საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

თამაზ გოგოლაძე

აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: „საქართველოს ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა საითიძე - ისტორიის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2012 წელი

შინაარსი

ანოტაცია 3

შესავალი 8

თავი I. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბებისათვის 9

თავი II. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლი XVII საუკუნეში 26

§ 1. ქართლის დედოფლის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის (XVII ს-ის I ნახ.) სიკვდილით დასჯის თარიღისათვის 26

§ 2. კიდევ ერთხელ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულებების შესახებ 35

§ 3. ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი და 1648-1653 წწ. შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილის და მისი ძმებისა პირღებულთა ღმრთისმშობელისადმი 99

§ 4. არსენ მანგლელის 1667 წლის სამშენებლო წარწერა მანგლისის ტაძრიდან და მისი მნიშვნელობა აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის 126

თავი III. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლი XVIII საუკუნეში 154

§ 1. აბაშ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური სახლის ისტორიიდან 154

§ 2. მასალები ქაიხოსრო აბაშიშვილ-ავთანდილიშვილის ფეოდალური ოჯახის შესახებ 180

§ 3. დედოფლის სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის ფეოდალური სახლი და 1702-1725 წლების პირღებულის მონასტრის ეპიტაფია „ხელმწიფეთა შეყვარებული გორჯასპისა“ 201

დასკვნა 231

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა 232

დანართი 1. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის XVI-XVIII საუკუნეების გენეალოგიური ტაბულა .....

აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში

(ანოტაცია)

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი გვაქვს ბარათაშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთი განშტოების, აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის XVI-XVIII საუკუნეების ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი დეტალები. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ფეოდალური ოჯახისადმი მიძღვნილი ცალკე სამეცნიერო ნაშრომი არ მოგვეპოვებოდა. სპარსული ნარატიული წყაროსა (ჰასან რუმლუ 1531/1532-1570-იანი წლები) და ქართული დიპლომატიკური ძეგლების ურთიერთშეჯერების საფუძველზე აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ბარათაშვილთა საგვარეულოდან გამოყოფა და მის ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბება XIV, XV ს. XVII საუკუნის II ნახევრის, XVII საუკუნის I ნახევრის ნაცვლად, XVI საუკუნის I ნახევრით განვსაზღვრეთ. XVII საუკუნის I ნახევრის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის – სახლთუხუცეს ქაიხოსრო აბაშიშვილის მოკვლის ფაქტი 1642 წლის როსტომ მეფის მიერ მისადმი ბოძებულ წყალობის წიგნისა და პირღებულის მონასტრის 1642 წლის ქაიხოსროს ეპიტაფიის ურთიერშეჯერების საფუძველზე 1636-1637 წლების ნაცვლად, 1642 წლით გადავათარიღეთ. იქიდან გამომდინარე, რომ ქაიხოსრო აბაშიშვილი ქართლელი ფეოდალის ნოდარ ციციშვილის გამოსვლას შეეწირა, ეს მოვლენაც ქაიხოსროს მოკვლის ამბის მსგავსად, 1636-1637 წლების ნაცვლად, 1642 წლის გვიანი შემოდგომით განვსაზღვრეთ. ამან მოგვცა საშუალება გადაგვეთარიღებინა სხვა გამოსვლა-შეთქმულებებიც, რომელიც მოეწყო როსტომ მეფის წინააღმდეგ. სახელდობრ, როსტომ მეფის წინააღმდეგ ქსნისა და არაგვის ერისთავთა გამოსვლის ქრონოლოგია – 1638 წლის მაგივრად, 1642 წლის 24-25 დეკემბრით გადავათარიღეთ. ქართლის ფეოდალთა მაშტაბური შეთქმულება – 1642 წლის ნაცვლად, 1643 წლით გადავათარიღეთ. ქართულ-სპარსული ნარატიული (ფარსადან გორგიჯანიძე, არჩილი, მოჰამედ თაჰერი, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი) წყაროებისა და ამ პერიოდის ქართული დიპლომატიკური ძეგლებზე დაყრდნობით არა მარტო გადავათარიღეთ აღნიშნული მოვლენები, არამედ ინფორმაციული თვალსაზრისითაც გავამდიდრეთ.

როგორც ცნობილია, აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის საპატიო სახელოს ფლობდნენ. ამ ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, რომელიც XVII საუკუნის I ნახევარში ამ საპატიო სახელოს ფლობდა, გახლდათ სუფრაჯი ავთანდილ აბაშიშვილი. ჩვენ საისტორიო საბუთების მეშვეობით გავარკვიეთ სუფრაჯ ავთანდილისა და მის ფეოდალური ოჯახთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. როგორც გავარკვიეთ, სუფრაჯ ავთანდილის წინაპართა საძვალეს მანგლისის ეკლესია წარმოადგენდა. გარდა ამისა, მისი გარდაცვალების ქრონოლოგია და იგი 1648-153 წლებით დავათარიღეთ. მისი ვაჟების აბელისა და მისი ძმების მიერ შესრულებული პირღებულის მონასტრის შეწირულების აქტის დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთი – XVII ს., [1644-1650-იანი წლები] კიდევ უფრო დავავიწროვეთ და ხუთწლიანი შუალედით, 1648-1653 წლებით დავათარიღეთ. ასევე დადგინდა, რომ მისი ერთ-ერთი ვაჟი, შემდგომში იოსები აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის საძვალის, პირღებულის მონასტრის წინამძღვარი იყო.

ასევე გავარკვიეთ, მანგლისის ეკლესიის 1667 წლის წარწერაში მოხსენიებული არსენ მანგლელის გვარიშვილობის საკითხი და იგი სამართლიანად ქართული საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით აბაშიშვილთა საგვარეულოს მივაკუთვნეთ, როცა ქართულ სამეცნიერო წრეებში მის წარმომავლობას გერმანოზიშვილთა ფეოდალურ სახლს უკავშირებდნენ. მისი მანგლელობა 1667-1670 წლების ნაცვლად, 1664-1667-1671 წლებით განვსაზღვრეთ. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ სწორედ არსენ მანგლელმა ჩაუყარა საფუძველი აბაშიშვილთა ფეოდალური ოჯახის ერთ-ერთ განშტოებას – ნამანგლელავიშვილთა საგვარეულოს.

ქართული დიპლომატიკური ძეგლებისა და ეპიგრაფიკული მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე დავადგინეთ აბაშიშვილთა ფედალური სახლის ურთიერთობა ქართლის სამეფო კართან და მათი ოჯახის კონკრეტული საქორწინო კავშირები ისეთ ძლიერ ფეოდალურ სახლებთან, როგორებიცაა: ამირეჯიბთა, ამილახორთა, სააკაძეთა, ყაფლანიშვილთა და იოთამიშვილთა ფეოდალური ოჯახები. ასევე მეტად მნიშვნელოვანია მათი ფეოდალური სახლიდან გამოსული პირღებულის

მონასტრის XVII-XVIII საუკუნეში მოღვაწე წინამძღვრები. აღნიშნულ წინამძღვართა შორის აღსაღნიშნავია XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი, პირღებულის მონასტრის წინამძღვარი იოსები, რომელიც შემდგომ მანგლელის სამწყსოს მწყემსთავარი გამხდარა. მის მანგლელობას 1725-1739 წლებით, ხოლო მანგლელ-თბილელობას 1728-1739 წლებით განვსაზღვრავთ.

აღნიშნულ ნაშრომში ასევე დაწვრილებითაა მოცემული ნუსხა იმ სოფლებისა და გლეხებისა, რომელნიც მათ დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ.

სულ ბოლოს, მოცემული გვაქვს აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის XVI-XVIII საუკუნეებში მოღვაწე წარმომადგენელთა გენეალოგიური ტაბულა, რაც საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ ამ პერიოდში მოღვაწე აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის წევრთა სახელებს.

The History of Abashishvilis' Feudal House in XVI-XVIII Centuries

(Abstract)

In the present thesis I have studied a number of issues concerning the life and activities of the Abashishvilis' feudal house, branch of the Baratashvilis' family. The study covers the period between XVI and XVIII centuries. It is to be noted that until recently the Georgian historiography lacked a scientific study specially dedicated to this feudal family. On the basis of a comparative analysis of the Persian narrative sources (Hassan Rumlu, 1531/1532-1570s) and of the Georgian diplomatic documents I have established that the feudal house of the Abashishvilis separated from the Barathashvilis' family and branched out into a new family line in the first half of the XVI century, and not in the XIV, XV, the first or second half of the XVII century, as earlier accepted. On the basis of a comparative analysis of a donation deed given by King Rostom to Qaikhosro Abashishvili in 1642 and of an epitaph inscribed on the gravestone of Qaikhosro in Pirghebuli monastery, containing the date 1642, I have re-dated assassination of *sakhltukhutsesi* Qaikhosro Abashvishvili, the well-known figure of the kingdom of Qartli during the first half of the XVII century, to the late fall 1642, instead of 1636-1637, as accepted earlier. Taking into consideration that Qaikhosro Abashishvili fall prey to conspiracy of Nodar Tsitsishvili, the feudal lord of Qartli, and based on the newly established date of Qaikhosro's death, I have re-dated the above conspiracy to the late fall 1642, instead of 1636-1637, as accepted earlier. This enabled me to re-date other conspiracy-uprisings against King Rostom. Namely, I have re-dated the uprising of the *eristavis* of Qsani and Aragvi to 24-25 December, 1642, instead of 1638, as accepted earlier. I also re-dated the large-scale uprising of the feudal lords of Qartli to 1643, instead of 1642. On the basis of the Georgian and Persian narrative sources (Parsadan Gorgijanidze, Archil, Muhammad ibn Jarir al-Tahari, Monk Egnatashvili, Prince Vakhushti) and of Georgian diplomatic monuments of the corresponding period I have not only re-dated, but have also enriched existing knowledge about the above-mentioned events.

It is well known that in a course of XVII-XVIII centuries the members of the Abashishvilis' feudal house held an honorary post of *supraji* at the Royal Court of the Qartli Kingdom. *Supraji* Avtandil Abashishvili, representative of this feudal house, occupied the above post in the first half of the XVII century. Based on historical sources I have established certain issues associated with *supraji* Avtandil and his feudal family. As I have found out, the Manglisi Church was the burial church of *supraji* Avtandil's ancestors. In addition, I have dated his death to 1648-1653. I have also defined more precisely the issue date of a donation act to Pirghebuli Monastery by his son Abel and his brothers,

which in the Georgian historiography was dated to the XVII century [1644-1650], and have re-dated it to 1648-1653. Thus, I have narrowed the chronology of the event down to a smaller range of five years. I have also established that one of his sons, later on Father Iosebi, became the father superior of Pirghebuli Monastery, where stood the burial church of the Abashishvilis' feudal house.

I have identified the descent of Arsen Mangleli, mentioned in the inscription from Manglisi Church dating from 1667. Based on the Georgian historical documents I have established that Arsen belonged to the house of the Abashishivilis and not to the Germanozishvilis as accepted by the Georgian scholarship. I have determined that in 1664, 1667 and 1671, and not in 1667-70 as considered earlier, Arsen held the position of bishop in the diocese of Manglisi. It is of special note that Arsen Mangleli laid foundation to the new family line of the Abashishvilis' feudal house, the Namanglelavishvilis.

Based on a comparative analysis of the Georgian diplomatic and epigraphic documents I have established that the Abashishvilis' feudal house had close relations with the Royal Court of Qartli Kingdom, as well as the marriage ties with powerful feudal houses like the Amirejibis, Amilakhoris, Saakadzes, Kaphlanishvilis and Iotamishvilis. It is to be noted that in XVII-XVIII centuries the members of the Abashishvilis' feudal house were father superiors of the Pirghebuli Monastery. Among them must be mentioned Iosebi, the son of s*upraji* Avtandil (late XVII and the first half of the XVIII cc.), the father superior of the Pirghebuli Monastery, who reached the bishop's rank of Manglisi eparchy. I have established that there were two periods of Iosebi's service in the rank of bishop: 1725-1729 and 1731-1739.

Detailed list of the villages and peasants belonging to the Abashishvilis is included in the thesis.

Genealogical table of the representatives of the Abashishvilis' feudal house, who carried out their activities in the XVI-XVIII centuries, is attached to the thesis. It enables to trace names of the Abashishvilis' feudal house members within the above-mentioned time period.

შესავალი

როგორც ცნობილია, XV საუკუნეში საქართველოს დაშლას ცალკეულ სამეფო-სამთავროებად მოჰყვა ახალი ფეოდალური საგვარეულოების ჩამოყალიბება, მათ შორის აღსაღნიშნავია ბარათაშვილთა ძლიერი და გავლენიანი ფეოდალური ოჯახი, რომელმაც XVI-XVII საუკუნეებში თავის მხრივ მოიცვა ყაფლანიშვილთა, იოთამიშვილთა, ზურაბიშვილთა, ფალავანხოსროშვილთა, ქავთარიშვილთა, იარალიშვილთა, აბაშიშვილთა და სხვა ფეოდალური სახლები. ჩვენი ნაშრომის მიზანია ბარათაშვილთა ერთ-ერთი განშტოების აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორიის შესწავლა XVI-XVIII საუკუნეებში. აქვე დავძენთ, რომ აღნიშნული საგვარეულო ჩვენამდე მონოგრაფიულად არ ყოფილა შესწავლილი. XVII-XVIII საუკუნეთა განმავლობაში ამ საგვარეულოს ერთ-ერთ პრეროგატივას ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის საპატიო სახელო წარმოადგენდა. თუმცა ამის პარალელურად ამ ფეოდალური ოჯახის წარმომადგენლები ფლობდნენ ისეთ მაღალ თანამდებობებს, როგორიცაა: სომხით-საბარათიანოს სარდლობა, ბოქაულთუხუცესობა, თბილისის მოურაობა, მეკობრისმძებნელობა და სხვა მნიშვნელოვანი სახელოები. შევეცდებით ჩვენს ხელთ არსებული ქართული და უცხოენოვანი ნარატიული წყაროების, ქართული დიპლომატიკური ძეგლებისა და ეპიგრაფიული მასალისა ურთერთშეჯერების საფუძველზე წარმოვადგინოთ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში.

თავი I. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბებისათვის

XV საუკუნე გახლავთ ის ხანა, როდესაც საქართველო დაიყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ამის პარალელურად შესამჩნევია დიდი აზნაურ-ფეოდალთა გაძლიერება და მათ მიერ ახალი ფეოდალური სახლების ჩამოყალიბება. ასეთ სათავადოთა რიგს მიეკუთვნება ამავე საუკუნის I ნახევარში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წარმოშობილი ბარათაშვილთა ფეოდალური სახლი, რომელიც თავის მხრივ XVI-XVII საუკუნეების განმავლობაში რამდენიმე ფეოდალურ ოჯახად დაიშალა. ბარათაშვილთა ფეოდალური ოჯახიდან წარმოიქმნა ისეთი ფეოდალური გვარები, როგორიცაა: იოთამიშვილები, ზურაბიშვილები, ყაფლანიშვილები, გოსტაშაბიშვილები, აბაშიშვილები და სხვა.

ჩვენი წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ცდას დავადგინოთ, თუ როდის მოხდა ბარათაშვილთა ფეოდალური სახლიდან აბაშიშვილთა საგვარეულოს გამოყოფა და მისი როგორც ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბება.

სანამ უშუალოდ დასმული პრობლემის გადაჭრას შევუდგებოდეთ, მანამ შემოგთავაზებთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ქართულ ნარატიულ წყაროებსა და ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

პირველი ისტორიკოსი, რომელიც აბაშიშვილთა გვარის ჩამოყალიბებაზე გვაწვდის ინფორმაციას, გახლავთ XVIII საუკუნის მემატიანე ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757 წწ.). მემატიანე სარგებლობს ბეთანიის გუჯრით, სადაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. გ. ჯამბურია, „გადმოცემულია ბარათაშვილთა გვარის ლეგენდარულ სამოსელში გახვეული ისტორია“ (ჯამბურია, 1955: 5). აღნიშნული ბეთანიის გუჯრის მიხედვით, 768 წელს ბირიან აბაში საქართველოში მოსულა. დიდად სახელ-ჩინებულ ამირას ჰყოლია ორი შვილი – ელეს და გურინ, ხოლო ცოლად ჰყოლია აბაშთ მეფის ქალი ელუნ. ბაგრატ მეფეს ბირიან აბაშისათვის გადაუცია ვერეს მდინარე თავისის ჴევის თავითა, ბედნის მდინარე თავის ჴევის თავითა, არჯენის მდინარე თავისის ჴევის თავითა, ფარავნის ბორცვის მდინარე თავისის ჴევის თავითა, ლელვის მდინარე თავისის ჴევის თავითა მტკვრამდი, მეფე ბაგრატს თავისი ასული თამარი ბირიან აბაშის უფროსი ვაჟისათვის მიუთხოვებია.

თვითონ ბირიან აბაში დასახლდა ორბეთს. მას გაუკეთებია ციხე გმირ-კვეთილს ორბელითისა, ციხე აწეულისა, ციხე ფარცხისისა და ეყენა რამდენიმე მცველნი ციხისანი. ბირიან აბაშის გარდაცვალების შემდეგ მის შთამომავლებს დაერქვათ აბაშიშვილები. რამდენი ხანი და ჟამი აბაშიშვილები რქმევიათ, შემდგომ დაერქვათ ქართველ ქაჩიბაძე, რამდენიმე წელი ქართველ ქაჩიბაძე ყოფილან. რამდენიმე დროის გასვლის შემდეგ დაერქვათ ბარათიანნი. ბარათაშვილობაში ესახლნენ ენაგეთს. ამ ბარათაშვილობაში ყოფილა იოანე, რომელსაც სამი ვაჟი ჰყოლია: აბაში, გუგუნა და დავითი. იოანეს შემდეგ სამი ძმა გაყრილან. აბაში სამშვილდეს დარჩა, გუგუნა ალგეთზე, ხოლო მესამე ვაჟი დავითი გარესჯას წასულა. ენაგეთიდან ძმების გაყრას ადგილი ჰქონია სამას ჩვიდმეტ წელს. ალექსანდრე მეფემ აღნიშნულ პირებს დაუყო ჭეობა და მამულები. აბაშს წილად ხვად დურნუკი, წინ-წყარო, ტბისელნი აზნაურნი და ორბეთი. წიგნები და გუჯრები ბირიან აბაშისა და ქაჩიბაძეობისა თემურ-ლენგს (1336-1405 წწ.) დაუწვავს, ქართველ ქაჩიბაძეობის წიგნი მანგლელ საბას ჰქონია, რომელიც თემურ ლენგს ქვათახევის საყდარში დაუწვავს.

რაც შეეხება ბეთანიის გუჯრის პირს, იგი ბეთანიის გუჯრიდან გადმოუწერია ბეთანიის დეკანოზს – იესეს, გიორგი XI-ის ზეობისა და ვახტანგ ბატონიშვილის (იგულისხ. ვახტანგ VI (1703-1724 წწ.) – თ. გ.) ჯანიშინობის დროს 1704 წელს (Такаишвили 1893: 113-114).

გარდა ამისა, სწავლული ბატონიშვილი აღნიშნული გუჯრის მიხედვით ადგენს ბარათაშვილთა გენეალოგიასაც, რომელიც შემდეგი სახით გამოიყურება:

ბირიან აბაში

|

— —

ელეს გურინ

|

იოანე

|

——— ——— ——

აბაში გუგუნა დავით

|

_____ _____ _____ _____ _____

გუნა ქუმსი გერმანოზ თაყა გოსტაშაბ (Такаишвили 1893: 119).

ბეთანიის გუჯარში მოთხრობილ ამბებთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს გ. ჯამბურია, რომლის მიხედვით, „ეს ცნობები რა თქმა უნდა ყველა მისაღები არ არის. იგი დაწერილია გვარის განსადიდებლად. მაგრამ აქ ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ბარათაშვილთა წინაპრად გამოცხადებულია ქაჩიბაძენი, რასაც ადასტურებს ქაჩიბაძე-ბარათაშვილთა წიგნები“ (ჯამბურია 1955: 6).

ვახუშტი ბატონიშვილი აბაშიშვილთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხს კვლავ შეეხო თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. აქ მემატიანე შემდეგ აზრს ავითარებს, რომ „ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გვარნი ესენი არიან: ბარათაშვილი, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა საერისთონი ტფილისის სამჴრით, ვიდრე ლორე-ფარავნამდე, თჳნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყვიან ესენი ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი. კვალად ყაფლანისშვილი და აბაშისშვილი სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანისშვილი იტყვის, გარნა იყო ორბელიანი სხვა და ქაჩიბაძე სხვა გვარი, არამედ ოდეს განიყუნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა საბარათიანოდ, ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხვანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. განა საგონებელ არს ყაფლანიანთაცა მესამეს ძმას ეწოდა ორბელი და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ, თვარე წინათქმული არა განმართლდებიან. ხოლო ბარათიანთ გუჯარსა შინა, რომელ არს ბეთენიას, წერილ არს: მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, განჰყარა სამნი ძმანი – აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან“ (ვახუშტი 1941: 24).

სწავლული ბატონიშვილის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო XVIII-XIX საუკუნეების ენციკლოპედისტი და ლექსიკოგრაფი იოანე ბაგრატიონი (1768-1830 წწ.), სადაც ნათქვამია, რომ „28. თავადი აბაშის შვილი. ესენი იყვნენ ძველად ყიფიანნი ეგვიპტის ნაწილიდგან; ოდეს მეფესა დიმიტრის ბრძოლასა შინა ეგვიპტელთასა ცხენი მოუკლეს;

მაშინ აბაშმან ამან ცხენი თვისი მიართო და განარინა მით წელსა ქრისტეს აქეთ 1285-სა და შემდგომად მოსვლისა ქართლსა შინა, თანა მოჰყვა აბაში იგი და მეფემან ჯილდოდ უბოძა თავადობა აბაშადვე წოდებით და სომხითსა შინა სამეფოთგან ადგილნი და სოფელნი ორბისის მხარეს და სხვაგან და მუნ ჟამიდგან არიან თავადად აბაშადვე აღვიარებულნი. გარნა ამა დროსა შინა ასწყდა გვარი მათი და არვინღა არიან შთამომავლობანი მისნი“ (ჯოჯუა 2011: 152).

რაც შეეხება ქართულ ისტორიოგრაფიას, პირველად აღნიშნულ საკითხი განიხილა თ. ჟორდანიამ თავის „ქრონიკები“-ის II ტომში, სადაც ავტორი აბაშიშვილთა გენეალოგიურ ტაბულას XIV საუკუნის ბოლოდან იწყებს. მეცნიერის თქმით, „ბარათაშვილებზე უკვე საკმაო საბუთები დაიბეჭდა ზემოთ და ამის გამო შესაძლისად ვრაცხთ აღვადგინოთ გვაროვნობითი შტო უძველესთა ბარათაშვილთა, ბარათა ქაჩიბაძისგან წარმომდგართა; ხოლო მეორე მისის ძმის აბაშის შტო ვერ აღდგება სრულად, მაგრამ ჩვენ საეჭვოდ დავსახავთ. ჩვენს შტოს ვინც შეუდარებს ბ. თაყაიშვილისაგან გამოცემულს ბეთანიის გუჯრის ბარათიანთა შტოსა, ის უსათუოდ დარწმუნდება, რომ უკანასკნელი თითქმის სრულიად მოკლებულია სიმართლეს. თვით საბუთები, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი შტო, იპოვება ჩვენს „ქრონიკებში“ იმავე წლებს ქვეშე, რომელნიც მოგვისხამს თითოეულ პირთან“ (ჟორდანია 1897: 353).

„მეორე შტოს ჩამომავლობა არ ჩანს, მაგრამ თუ მივიღებთ, რომ აბაშ იყო ძმა ბარათა დიდისა, მაშინ დაახლოებით ეს შტო ასრე დაგვესახება:

აბაში XIV საუკუნის დამლევს

|

— — — — — — — —

აბაშ აბაშის შვილი გუგუნა მესტუმრე † 1419 წ. უწინ

| |

| |

| |

— — — — — — — — — — — — — — — —

სულხანი მერაბ (ქ-ცხ.II, 262-4) | || ||

| შაჰყუბათ იარალი ლომა

| 1523 1493

— — — — — — — — — —

| | |

გ ი აბაში 1506 წ. №

| |

იოთამ 1550 წ. დავით 1506 წ.

ორბელი (1523 წ. აქედან ორბელის-შვილნი?) (ჟორდანია 1897: 353-354).

როგორც ვხედავთ, თედო ჟორდანიას ვარაუდის დონეზე დაჰყავს დიდი ბარათასა და აბაშის ძმობა და აქედან გამომდინარე ცდილობს მეორე შტოს (იგულისხმება აბაშის შტო – თ.გ) აღდგენას. თუ მის მიერვე გამოცემულ საბუთებს გადავავლებთ თვალს დიდი ბარათა ბარათაშვილის შესახებ, დავინახავთ, რომ აღნიშნული დოკუმენტებში ბარათას გვერდით არავითარი მისი ძმის – აბაშის სახელი არ იხსენიება. აქედან გამომდინარე, ცოტა ბუნდოვანია თედო ჟორდანიას ცდა აღადგინოს როგორც თვითონ უწოდებს „მეორე შტოს“ (იგულისხმება აბაშის – თ. გ.) გენეალოგია.

მეორედ, აკად. გიორგი ჩიტაია თავის ნაშრომში „გუდარეხისა და ფიტარეთის საფლავის ქვები“ გაკვრით შეეხო ჩვენთვის საინტერესო საკითხს, სადაც გაიზიარა სწავლული ბატონიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის წარმოქმნის შესახებ და თქვა, რომ „როგორც ვიცით, ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში ბარათაშვილების გვარეულობა სამ შტოდ გაიყო: ბარათაშვილებად, აბაშიშვილებად და ორბელიშვილებად“ (ჩიტაია 1926: 24).

გიორგი ჩიტაიას შემდეგ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბების საკითხს შეეხო გივი ჯამბურია თავის მონოგრაფიული ტიპის ნაშრომში „ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები)“, სადაც მეცნიერს ვახუშტი ბატონიშვილისა და თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრებები აღნიშნული საკითხის გარშემო აქვს განხილული. იგი ეწინააღმდეგება თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას აბაშიშვილთა გვარის ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის პარალელურად არსებობის შესახებ და იქვე დასძენს, რომ „მეორე შტოს“ წარმომადგენლები, რომელნიც XV საუკ. მოღვაწეებია, თავიანთ წინაპრად ბარათა ქაჩიბაძეს მიუთითებენ და ყველანი ბარათაშვილებად იწოდებიან. ამიტომ ის აზრი, რომ

აბაშიშვილების გვარი ბარათაშვილების გვერდით XV საუკუნიდანვე არსებობსო, მისაღები არ არის. წყაროთა უქონლობის გამო არ ირკვევა მათი ცალკე გვარად ჩამოყალიბების დრო (და გენეალოგია), მაგრამ აბაშიშვილები და სააბაშიშვილო რომ XVII საუკ. II ნახევრისათვის უკვე არსებობს სომხით-საბარათიანოს ტერიტორიაზე სხვა სათავადოების გვერდით, ეს კი ფაქტია აბაშიშვილების შესახებ საბუთები ძალიან ცოტაა შემონახული – ისიც XVIII საუკუნისაა“ (ჯამბურია 1955: 64).

ამრიგად, გივი ჯამბურია ვახუშტი ბატონიშვილისა და თედო ჟორდანიასაგან განსხვავებით უფრო ფრთხილ ვარაუდს გამოთქვამს აბაშიშვილთა გვარის ჩამოყალიბების თაობაზე, რომელიც შემდგომში მდგომარეობს, რომ წყაროთა უქონლობის გამო ძნელია მათი ცალკე გამოყოფის დროის დადგენა, თუმცა მიაჩნია, რომ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის არსებობა XVII საუკუნის II ნახევრისათვის სომხით-საბარათიანოს ტერიტორიაზე უდავოა, თუმცა იქვე მიუთითებს აბაშიშვილთა შესახებ დიპლომატიკური ძეგლების სიმცირეზე, მისი აზრით, მათ შესახებ მხოლოდ XVIII საუკუნის საბუთები გაგვაჩნია.

გივი ჯამბურიას შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხი განიხილა დევი ბერძენიშვილმა თავის მონოგრაფიული ტიპის ნაშრომში „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი“.

თავდაპირველად მეცნიერი სრულიად იზიარებს სწავლული ბატონიშვილის ცნობას ბარათაშვილთა საგვარეულოს ქაჩიბასძეთაგან წარმომავლობის შესახებ და ამბობს, რომ „ბარათაშვილთა წარმომავლობა ქაჩიბაძეებისაგან ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა და მიუთითებდა, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენელ „ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ადგილთა მათ ეწოდა საბარათიანოდ“ (ბერძენიშვილი 1979: 92).

ამის შემდეგ მეცნიერს მოჰყავს ბარათაშვილთა საგვარეულოს გადმოცემა, რომლის მიმოხილვის შემდეგ აცხადებს, რომ „რაც არ უნდა ზღაპრული იყოს ბირიან აბაშის პიროვნება, ან მისი ქართლში მოსვლის თარიღი (768 წ.), უეჭველია ბარათაშვილების ქაჩიბაძეთაგან წარმომავლობა. ასევე ნიშანდობლივი უნდა იყოს ბირიანის დასახლება ორბეთსა და გმირკვეთილს. ეს უკანასკნელი კი ჩხიკვთას მახლობლადაა, „დიდროვანითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელი არს მისი ქმნა, რომელი ავლია

ზღუდედ ... ძველად იწოდა გმირნაკვეთი, და იყო ციხე“. მაშასადამე, ბარათაშვილთა უძველესი წინაპრის პირველსაცხოვრისი ალგეთის ხევი გამოდის.

შემდეგ, ისევე როგორც ამას ქართლოსიანნი შვრებოდნენ, ლეონტის სქემის მიხედვით, ბირიანს „გაუკეთებია“ (დაარსება-აღშენება არ იგულისხმება) ციხეები ორბეთისა, ფარცხისისა და აწეულისა (ე.ი. აზეულა-კოჯრის ციხე), რაც კვლავ ალგეთის ხეობას გულისხმობს.

მას მერე, რაც „გარდაიცვალა დრო და ჟამი“. ქაჩიბაძე ყოფილი ბარათაშვილები ენაგეთს სახლობენ, ისევ ალგეთზე. აქ დამკვიდრებული, ჯერ გაუყრელი ძირითადი შტო, რა თქმა უნდა, ადრიდანვე აფართოვებდა თავის სამფლობელოს – იძენდა მამულებს მეზობელ ხევებში, რის შედეგადაც, გაყრისას „აბაში სამშვილდეს დარჩა, გუგუნა ალგეთზე, უმცროსი დავითი გარეჯას. უნდა ვიფიქროთ, ეს უკანასკნელი დმანისხევის დავით-საგარეჯოა, მაშავრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. კიანეთის SO მხარეს, ტყიან მთაზე არსებული სამონასტრო კომპლექსი. ნანგრევებში ჩალეწილი წარწერიდან, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისის განმაახლებელს ეკუთვნის, ჩანს, რომ მაშინ ეს „მონასტერი“ უქმი ყოფილა“ (ბერძენიშვილი 1979: 92-93).

მას შემდგომ, რაც დევი ბერძენიშვილი მიმოიხილავს ორბელიშვილ-ყაფლანიშვილთა, ირალიშვილთა და გოსტაშაბიშვილთა მამულებს, დასძენს, რომ „ალგეთის ხეობაში იყო ძირითადი ყმა-მამულები კიდევ ოთხი მცირე სათავადოსი, რომლებიც ბარათაშვილთა განაყარები იყვნენ და XVII ს. მეორე ნახევრიდან იხსენიებიან: გერმანოზიშვილები, აბაშიშვილები, ფალავანხოსროშვილები, ქავთარიშვილები. მამულები მათ ჰქონდათ ქციის ხრამში, დმანისხევში, ვერისხევსა და ყარაბულახშიაც (ზურტაკეტი). გერმანოზიშვილების სასაფლაო-მონასტერი გუდარეხი იყო, აბაშიშვილებისა კი პირღებული უნდა ყოფილიყო, ხოლო სასახლე – იქვე სამღერეთს (შდრ. საგავრეულო გადმოცემაში: „აბაში სამშვილდეს დარჩა...“). ზემოთხსენებულ სათავადოებს სასახლეები უნდა ჰქონოდათ ტაგნაგეთში, წინწყაროში, ღორისთავსა და პატივანშიაც – ვახუშტი ბატონიშვილს თავის რუკაზე მთავართა (თავადური სახლები) რეზიდენციები სწორედ ამ პუნქტებში აქვს აღნიშნული“ (ბერძენიშვილი 1979, 97).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი სავსებით იზიარებს ვახუშტის ცნობას ბარათაშვილთა

საგვარეულოს ქაჩიბაძეთაგან წარმომავლობის შესახებ, გარდა ამისა, მას მიუხედავად ბარათაშვილთა საგვარელოს გადმოცემის ლეგენდარულობისა ნიშანდობლივად მიაჩნია ბირიანის დასახლება ორბეთსა და გმირკვეთილს და მის მიერ ორბეთისა, ფარცხისისა და აწეულისა (ე.ი. აზეულა-კოჯრის ციხე – დ.ბ.) ციხეების აშენება. ყოველივე ამის საფუძველზე ბარათაშვილთა უძველესი წინაპრის პირველსაცხოვრისად ალგეთის ხევს მიიჩნევს.

რაც შეეხება აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბებას, მკვლევარს აბაშიშვილები ბარათაშვილთაგან გამოყოფილ საგვარეულოდ წარმოუდგენია და მათ გამოყოფას ბარათაშვილების საგვარეულოდან გერმანოზიშვილებთან, ქავთარიშვილებთან და ფალავახოსროშვილებთან ერთად გივი ჯამბურიაზე დაყრდნობით, XVII საუკუნის II ნახევრიდან განსაზღვრავს.

დევი ბერძენიშვილის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ნოდარ ბახტაძე შეეხო. მას თავის სტატიაში „პირღებულის მონასტრის არქეოლოგიური კვლევის ზოგიერთი ასპექტი“ მოყვანილი აქვს პირღებულის მონასტრის დარბაზის ცენტრალურ ინტერიერში არსებულ აბაშიშვილთა საფლავის ქვები და მათი ტექტები. მკვლევრის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია № 2 საფლავის ქვის ეპიტაფიამ, რომელიც ქაიხოსრო აბაშიშვილის სახელზეა ამოკვეთილი და 1642 წლით თარიღდება. იგი აღნიშნულ წარწერაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ „№ 2 საფლავის წარწერა (გულისხმობს ქაიხოსრო აბაშიშვილის საფლავის ქვის ეპიტაფიას – თ. გ.) ადასტურებს აბაშიშვილების გვარის უკვე XVII საუკუნის დასაწყისიდან გამოყოფას ბარათაშვილების საგვარეულოდან, რაც დღემდე არსებული დოკუმენტებიდან XVIII ს-ში ჩანდა“ (ბახტაძე 1999-2001: 99).

როგორც ვხედავთ, ნოდარ ბახტაძე ეყრდნობა რა 1642 წლის პირღებულის მონასტრის ქაიხოსრო აბაშიშვილის ეპიტაფიას, ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერებისაგან განსხვავებით, აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბებას XIV ს., XV ს. და XVII საუკუნის II ნახევრის ნაცვლად, XVII საუკუნის I ნახევრით განსაზღვრავს.

ამრიგად, დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ბარათაშვილთა საგვარეულოსაგან გამოყოფასა და მის ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბებას მეკვლევართა ერთი ნაწილი (თედო ჟორდანია) XIV საუკუნით, მეორე

ნაწილი (ვახუშტი ბატონიშვილი) XV საუკუნით, მესამე ნაწილი (გივი ჯამბურია, დევი ბერძენიშვილი) XVII საუკუნის II ნახევრით, ხოლო მეოთხე ნაწილი კი (ნოდარ ბახტაძე) XVII საუკუნის I ნახევრით განსაზღვრავდა.

ისმის კითხვა: რამდენად შეესაბამება რეალობას ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთაგან შემოთავაზებული ქრონოლოგიური მითითებები აბაშიშვილების ბარათაშვილთა საგვარეულოსაგან გამოყოფასა და მათ ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით?

სანამ უშუალოდ დასმულ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, საინტერესოა საიდან გაჩნდნენ ბარათაშვილები? აღნიშნული კითხვა დასვა ჯერ კიდევ აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ თავის 1952 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის“. მეცნიერს მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის წყარო, რომლის მიხედვით, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბარათაშვილების ფლობდნენ თბილისის სამხრეთ მდებარე გაჩიანისა და გარდაბნის ტერიტორიებს ლორე-ფარავნამდე. ასევე მათ გადმოცემაზე, რომ ქაჩიბაძეთაგან მათი წარმომავლობის შესახებ, „რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი, მეფეთაგან წყალობისანი“.

ამის შემდეგ მკვლევარი აღნიშნავს, რომ „აღნიშნულ გენეალოგიას აშკარად ადასტურებენ ის დოკუმენტები, რომელნიც მცხეთის საკათალიკოზო ტახტის უფლებების ამტკიცებენ სოფ. ყორანთის მიმართ სომხითში (მდ. მაშავრის ხეობაში, თანამედროვე ბოლნისის მახლობლად). ეს სოფელი ჯერ მცხეთისათვის შეუწირავთ სალაროს მოლარეს ბარათა ქაჩიბასძეს, მის ცოლს თინათინს და მათს შვილებს დავითს, გერმანოზსა და ლაპას, რომელნიც ყორანთას თავიანთს „მკუიდრ მამულს, მოუდევარსა და უსარჩლელს“ უწოდებენ. შემდეგ ამ ბარათას უფროსი შვილი, რომლის მამის თანამდებობა დაუმკვიდრებია, კვლავ აძლევს დოკუმენტს მცხეთას. აქ, „ქაჩიბასძენი, სალაროს მოლარე დავით, ძმა მის გერმანოზ და შვილნი მათნი ლაპა, ბარათა, სურამელი და ქავთარ“ აცხადებენ, რომ მათ „სივაჟისა მიუმხდრობითა და ავთა მზაკვართა კაცთა ენითა და შემობეზღებითა“, ერთხანს ყორანთა „უკუუჭერიათ“ ე.ი. წაურთმევიათ, ახლა კი ისევ უბრუნებენ კათალიკოზს, მშობლების სურვილის შესასრულებლად. ამასთანავე საბუთი შეიცავს რამდენსამე საყურადღებო ცნობას: მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს ქაჩიბასძენი

თავიანთ თავს „სამშვილდის მებატონეებს“ ეძახიან; შემდეგ საინტერესოა, რომ, ამ საბუთის მტკიცებით, ყორანთა ბარათასა და თინათინის „ნაღვაწი“, ე.ი. შეძენილი ყოფილა. ქრონოლოგიისათვის ისიც საინტერესოა, რომ დავითის მამის საბუთს „ძველ სიგელს“ უწოდებს. თითქმის სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ დავით ქაჩიბასძის უკანასკნელი შვილი ქავთარია, ეს ის ქავთარია, რომლის ოჯახიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გაიყარა 1523 წ. და რომელიც უკვე ბარათაშვილობით იხსენიება. ხოლო, უფრო ზოგადად, ყორანთას შემწირველ ქაჩიბასძეთა გაბარათაშვილება უკვე სრულიად უეჭველი ხდება 1529 წლის საბუთიდან, რომელშიაც „ბარათაშვილი აბაში და მისი ძმისწული დავითი“ აცხადებენ: „ჩუენ გუართაგან სააღაპოდ შემოწირული სოფელი ყორანთა ამოწყვედილიყო“ და „აწ ჩუენ ახლად მოგაჴსენეთ და დაგიმტკიცეთ“-ო. უკანასკნელ კვერს უკრავს ამ არგუმენტებს ლუარსაბ მეფის განაჩენი, რომელშიც გერმანოზ ბარათაშვილი მოიხსენიებს, რომ „ჩვენმა გვარმა კაცმა დიდმა ბარათამა ყორანთა შესწირა“-ო“ (ჯანაშია 1952: 468-469).

ამის შემდგომ მკვლევარი ასკვნის, რომ „ამრიგად, ვახუშტის სიტყვები მართლდება და ბარათაშვილების წარმომავლობა ქაჩიბაძეთაგან სადავოდ აღარ უნდა იყოს მიჩნეული. შეიძლება მეტიც ითქვას: წარმოდგენილი მასალა სარწმუნოს ხდის თედო ჟორდანიას მოსაზრებას, რომ ბარათაშვილობა ამ საგვარეულოს შეერქვა სწორედ ზემოთხსენებული, სალაროს მოლარე ბარათა ქაჩიბაძისგან, რომელიც მე-15 ს. პირველი ნახევრის პირი უნდა იყოს. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ გერმანოზ ბარათაშვილი მას „დიდ ბარათას“ ეძახის. ეს „სიდიადე“, თვით საგვარეულოს წევრთა შეგნებაში, საფიქრებელია, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ განსაკუთრებულ დამსახურებასთან, რომელიც ბარათას მიუძღოდა საბარათიანოს სენიორიის შექმნის საქმეში“ (ჯანაშია 1952: 470).

როგორც ვხედავთ, სიმონ ჯანაშიამ მხედველობაში მიიღო რა ვახუშტის ცნობა ბარათაშვილთა წარმომავლობის შესახებ, მეორეს მხრივ თვალი გაადევნა სოფ. ყორანთის შემწირველთა რიგს მცხეთის საკათალიკოზო ეკლესიისადმი და ყოველივე ამის საფუძველზე გაიზიარა თედო ჟორდანიას მოსაზრება ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის ქაჩიბასძეთა საგვარეულოდან წარმომავლობის შესახებ.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, უნდა შევთანხმდეთ ერთ საკითხზე, რომ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბება უკავშირდება ერთი კონკრეტული

პიროვნების სახელს, როგორც ეს მოხდა ბარათაშვილთა საგვარეულოს ჩამოყალიბების დროს, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ სახელიდან უნდა მომდინარეობდეს ამ ფეოდალური ოჯახის ცალკე ფეოდალურ სახლად წარმოქმნა. ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი წყაროებიც, რომლებიც ერთხმად მიუთითებენ სახელი „აბაშისაგან“ ამ გვარის ჩამოყალიბებას. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ გივი ჯამბურიას მიერ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებას აბაშიშვილთა გვარის ბარათაშვილების გვერდით XV საუკუნიდანვე არსებობის შესახებ. ჩვენთ ხელთ არსებულ დოკუმენტებზე დაკვირვება სრულიად სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა ჩვენს ნარატიულ თუ დიპლომატიკურ ძეგლებში როდის ჩნდება სახელი აბაში.

პირველად ქართულ საისტორიო საბუთებში სახელი აბაში 1506 წელს იხსენიება. აღნიშნულმა საბუთმა ჩვენამდე თედო ჟორდანიას ქრონიკების სახით ფრაგმენტულად მოაღწია. ამ სიგელის მიხედვით, 1506 წელს ბარათაშვილი აბაში და მისი ძმისწული დავითი კათალიკოზს დოროთეოს II-ს (1503-1513 წწ.) აძლევენ სიგელს, რომლის ძალითაც მათ მიერ ქართლის კათალიკოზისადმი ხდება შეწირვა ქალაქს მცხოვრები ორი კუამლი ავეტიზაშვილებისა. საბუთში ასევე საუბარია იმაზეც, თუ რა მიზეზით მოხდა აბაშ და დავით ბარათაშვილებისაგან ქართლის კათალიკოზისათვის აღნიშნული წყალობის მიცემა: „მას ჟამსა, ოდეს ციციშვილის ქალი მივეცით და თქუ ნ გამოგუ ნახენით (ნათესავობისა და უჯერობის გამო) ... საკანონოდ შემოგწირეთ (მცხეთას) .. ორი კუამლი ქალაქს მამული ავეტიზაშვილნი ... ქ კს :რჟდ:“ (ჟორდანია 1897: 325).

ამის შემდეგ, აბაშ და დავით ბარათაშვილები იხსენიებიან 1529 წელს, სადაც აღნიშნული პირები 1506 წლის საბუთის მსგავსად შემწირველებად გვევლინებიან მცხეთის ეკლესიისადმი. აღნიშნული საბუთის მიხედვით, „... ესე წიგნი მოგახსენეთ ჩუენ, ბარათასშვილმან აბაშმან და ჩემ{მ}ა ძმისწულმან, დავით, იარალმან, ბარათამან, ლომან და იოვანე და სახლისა ჩუენისა მომავალთა ყ(ოველ)თა , შვილთა და მომავალთა სახლისა ჩუენისათა ყოველთავე თქუენ დედაქალაქისა კათოლიკე მცხეთისა საყდრისა საჭეთმპყრობელისა, ქართლისა კ(ათალიკო)ზისა ბასილისი.

მას ჟამსა, ოდეს ჩუენთა გუართაგან სააღაპოდ შემოწირული სოფელი ყორანთა

ამოწყუედილიყო და საღალოვებს მიწებს აღარავინ რას გაამებდა, აწ, ჩუენ ახლად მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ ყორანთა ასრე, რომე სოფელი ა{ა}შ<ვ>{ე}ნო თუ საღალოდ იჴმარო ვერავინ დაგეცილოს და მოგიშალოს ყორანთის ეკლესია და ნასოფლარი მისითა მზღურითა უკლებად ასრე, რომე ჩუენთა გუართაგან გაჩენილი აღაპი არ მოგუეშალოს....“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 1449-1539).

როგორც ვხედავთ, აბაშ და დავით ბარათაშვილები მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიას ბასილის კათალიკოსობის დროს სწირავენ სოფელ ყორანთას, თან ამავდროულად ხაზს უსვამენ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ ეს სოფელი მათი წინაპრების დროს სააღაპოდ შემოწირული ყოფილა მცხეთის საყდრისადმი. ეს სოფელი, რომ მართლაც მათი წინაპრების მიერ მცხეთისადმი იყო შეწირული სააღაპოდ ამას ამტკიცებს უფრო ადრინდელი საბუთები.

პირველად სოფელ ყორანთის შეწირვა დიის ველთან ერთად მცხეთის საყდრისადმი ხდება ალექსანდრე I დიდის სალაროს მოლარის, ბარათა ქაჩიბაძის მიერ, რომლის სანაცვლოდაც შემწირველი (იგულისხმება ბარათა ქაჩიბასძე – თ.გ.) სანაცვლოდ მცხეთის საყდრისაგან ითხოვს ორი დღე კარგაღებულ აღაპს. აღნიშნული საბუთს სარგის კაკაბაძე 1447-1459 წლებით განსაზღვრავს (კაკაბაძე 1913: 37).

როგორც ჩანს, ბარათა ქაჩიბაძის შთამომავლების მიერ კვლავ ხდება მცხეთის ეკლესიისაგან ამ სოფლის ყორანთის გამოწირვა, რასაც ადასტურებს ბარათა ქაჩიბაძის უფროსი ვაჟის, სალაროს მოლარის დავით ქაჩიბაძის მიერ აღნიშნული სოფლის მცხეთის ეკლესიისადმი კვლავ დაბრუნების სიგელი, რომელიც სარგის კაკაბაძესთან 1466-1472 წლებით არის დათარიღებული. საბუთში დავით ქაჩიბასძე აღნიშნავს, რომ ეს სოფელი ყორანთა „[ჩუე]ნისა სივაჟისა მიუმხდრობითა და ავთა მზაკვართა კაცთა ენითა და შემობეზღებითა ცოტსა რასმე ხანსა ჩუენვე უკუგიჭირეთ“ (კაკაბაძე 1913: 38), თუმცა შემდგომ კვლავ განუახლებია სოფელი ყორანთის შეწირულება დავით ქაჩიბასძეს მცხეთის საყდრისადმი.

აღნიშნული ორი საბუთი მოვიტანეთ იმ მიზნით, რათა გვეჩვენებინა, რომ აბაშ ბარათაშვილის 1529 წლის სიგელში მოხსენიებულ ფრაზაში „ჩუენთა გუართაგან“-ში ბარათა ქაჩიბასძე და მისი შთამომავლები უნდა მოვიაზროთ. აღნიშნული საბუთების

ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ბარათაშვილთა გვარი ქაჩიბაძეთა გვარიდან მომდინარეობს და რომ „დიდი ბარათა“ ქაჩიბასძე ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის ფუძემდებელი იყო.

კვლავ ვუბრუნდებით აბაშ და დავით ბარათაშვილებს. ისინი რომ XVI საუკუნის I ნახევრის აქტიურ პოლიტიკური მოღვაწენი არიან, ამაზე მეტყველებს შემდგომ დროინდელი სიგელებიც, სადაც ხდება მათი მოხსენიება.

1529 წლის შემდეგ აბაშ და დავით ბარათაშვილები იხსენიებიან 1584 წლის ნიკოლოზ VI კათალიკოსის (1584-1589 წწ.) მიერ მანგლისის ეკლესიისათვის მიცემული მამულების დამტკიცების წიგნში, სადაც ჩამოთვლილია ის მამულები, რომელიც აღნიშნული პირების მფლობელობაში იყო. ეს საბუთი ფრაგმენტის სახითაა ჩვენამდე მოღწეული და იწყება პირდაპირ სოფლების ჩამონათვალით. ნიკოლოზ კათალიკოსის თქმით, „.... უბანი, ქცია, თეთრანი, მრაქათელა, შოშილეთი, საჭ..ე?, იფნარიანი, ახ{ა}შენი, ვარდისუბანი, დია და ახ{ა}ლდია ქციას გაღმა აბაშისა და დავითის კერძი მამული შენი და ოჴერი ჴელ-შეუალად ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ, მანგლისისა ღმრთისმშობელსა და თქუენსა საჭეთმპყრობელს პატრონს მანგლელსა“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (ხეც, QD-1604).

აღნიშნული საბუთიდან ვიგებთ, რომ აბაშ და დავით ბარათაშვილების კუთვნილი სოფლები ყოფილა: ... უბანი, ქცია, თეთრანი, მრაქათელა, შოშილეთი, საჭ..ე?, იფნარიანი, ახაშენი, ვარდისუბანი, დია და ახალდია ქციას გაღმა.

გარდა ამისა, მათ მფლობელობაში შედიოდა ალგეთს გაღმართი, ვაკე, ღორისთავი, გუდარეჴი, ცოვრეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უგუდეთი, გოგასგვერდი და ახალდაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა, მიტანებით მანგლის გარეშემო ორი ოძისი და კველთა. ამას ვგებულობთ, 1699 წლის კათალიკოს იოვანე დიასამიძის (1688-1700 წწ.) მიერ მანგლელ გაბრიელ ჯავახიშვილისათვის ბოძებული საბუთის თანახმად, სადაც ნათქვამია, რომ „ჩვენ, ...ქართლისა კათალიკოზმან, დიასამიძემ პატრონმან იოვანე ესე მტკიცე წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგაჴსენეთ თქვენ, პატიოსანსა სამეუფოსა საყდარსა მანგლისისა ღმრთისმშობელსა და თქვენსა საჭეთმპყრობელსა, მანგლელ ეფისკოპოზს, ჯავახიშვილს პატრონს გაბრიელს მოგეცით სამწყსოდ, რაც პატრონის აბაშისა

და დავითის კერძი მამული არის, აზნაურიშვილი და გლეხნი მთასა და ბარსა, უკლებად კიდევე მას ზედა მ{ო}გმატეთ ალგეთს გაღმართი, გაგისამძღვრეთ ვაკე, ღორისთავი, გუდარეჯი, ცოვრეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უგუდეთი, გოგასგვერდი და ახალდაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა, მიტანებით მანგლის გარეშემო ორი ოძისი და კველთა კიდევე, თქვენ და დმანელს სამწყსოზედ სარჩელი შ{ე}გქონდათ და ბატონიშვილს კათალიკოზს გაესამძღვრა და გაერიგებინა და ჩვენც იმავე წესით დავამტკიცეთ, რომელიც ბატონიშვილს კათალიკოზს გაერიგებინა.....“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (ხეც, AD-647).

სახელი აბაში გხვდება ასევე XVI საუკუნის ირანელი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს მიერ შედგენილ თხზულებაში „აჰსან ათ-თავარიხ“-ში. მემატიანე აღწერს რა შაჰ-თამაზის (1524-1576 წწ.) I ლაშქრობას საქართველოში და დეტალურად მოგვითხრობს თბილისის ციხის აღების ფაქტს, იქვე დასძენს, რომ „ჰაბაში, რომელიც ლუარსაბის ერთ-ერთი საპატიო ამირა იყო, [მოწინააღმდეგის] მრავალრიცხოვანი ჯარის შიშით გაიქცა და ბირთვისის ციხეში შევარდა“ (ჰასან რუმლუ 1966: 23).

ჩნდება კითხვა: რატომ გარბის ჰასან რუმლუს თხზულებაში მოხსენიებული „ჰაბაში“ მაინცდამაინც ბირთვისის ციხეში და არა სხვაგან?

ამ კითხვას ერთდაერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს ის, რომ აღნიშნული „ჰაბაში“ ბარათაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელია და ბუნებრივიცაა მისი მოქმედება, ის გარბის საბარათიანოს ერთ-ერთ ყველაზე კარგად გამაგრებულ პუნქტში – ბირთვისის ციხეში. რა კავშირში უნდა იყოს ჰასან რუმლუს მიერ ნახსენებ „ჰაბაში“ ჩვენს მიერ ზენოთ ნახსენებ აბაშ ბარათაშვილთან, წყაროების უქონლობის გამო ამის თქმა გაგვიჭირდება, თუმცა არაა გამორიცხული, რომ აღნიშნული „ჰაბაში“ და აბაშ ბარათაშვილი ერთი და იგივე პიროვნება იყოს.

ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვაზე – თუ რამდენად შეესაბამება რეალობას ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთაგან შემოთავაზებული ქრონოლოგიური მითითებები აბაშიშვილების ბარათაშვილთა საგვარეულოსაგან გამოყოფასა და მათ ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით – სრულად პასუხის გაცემის მიზნით მოვიყვანთ 1543 წლის 20 აპრილის ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) განჩინებას ბარათაშვილთა

გაყრის საქმეზე, სადაც ქართლის მეფე გიორგი და ფარიშატ ბარათაშვილებს უყოფს მამულებს. ეს დოკუმენტში ჩვენთვის იმდენად არის მნიშვნელოვანი, რომ აქ უკვე პირველად ქართულ დიპლომატიკურ ძეგლში ვხვდებით სიტყვა „აბაშიშვილს“ გვარის მნიშვნელობით. უფრო კონკრეტულად, გიორგი და ფარიშატ ბარათაშვილებს გაყოფილი მამულებიდან მოხსენიებულია ისეთი მამულებიც, რომლებიც მათ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებისაგან უყიდიათ ან გაუცვლიათ. ეს მამულებია: „და ღორიეთი აბაშიშვილის დავითისაგან მოსყიდული იყო, მისთვის უწილოდ გამოჰყვა. და რევაშენი აბაშიშვილის ზაქარიასაგან მოსყიდული იყო და მისთვის უწილოდ გამოჰყვა. და ნასოფლარი აკურისი ზაქარია აბაშიშვილისაგან გამოცვლილი იყო და მისთვის უწილოდ გამოჰყვა“ (დოლიძე 1972: 34-35).

აქედან დასკვნა: დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ბარათაშვილთა საგვარეულოსაგან გამოყოფასა და მის ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები არ შეესაბამება რეალობას და ჩვენი მხრიდან გარკვეულ შესწორებას მოითხოვს.

ერთი მხრივ ვეყრდნობით რა აბაშ და დავით ბარათაშვილების სახელზე XVI საუკუნის I ნახევარში გაცემულ დოკუმენტებს, მეორე მხრივ მხედველობაში ვიღებთ რა 1543 წლის 20 აპრილის ლუარსაბ I-ის განჩინებას ბარათაშვილთა გაყრის საქმეზე, აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ბარათაშვილთა საგვარეულოდან გამოყოფასა და მის ცალკე ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბებას XIV, XV ს. XVII საუკუნის II ნახევრის, XVII საუკუნის I ნახევრის ნაცვლად, XVI საუკუნის I ნახევრით განვსაზღვრავთ.

ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ XVI-XVII საუკუნების ორი დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილი იყო აბაშ და დავით აბაშიშვილების მამულები. გარდა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებისა, არსებობს კიდევ XVII საუკუნის I ნახევრის ორი საბუთი, სადაც ხდება აბაშ ბარათაშვილის მოხსენიება. პირველი სიგელი წყალობის საბუთს წამოადგენს და 1628 წლით თარიღდება. ამ საბუთის მიხედვით, ჯაჰანბანუ დედოფალი ერთგულ ფეოდალს – ავთანდილ ბარათაშვილს გოლთეთის მამულთან ერთად დუეზს უბოძებს. აღნიშნულ წყალობის წიგნში ქართლის დედოფალი ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ავთანდილ ბარათაშვილი აბაშის შვილიშვილია. თუ გავითვალისწინეთ ავთანდილ ბარათაშვილის

მოღვაწეობის წლებს 1627-1648 წწ, მაშინ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი პაპის აბაშის მოღვაწეობა XVI საუკუნის I ნახევარში უნდა ვივარაუდოთ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ 1506-1529 წლებში აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა აბაშ ბარათაშვილი თავის ძმისწულ დავით ბარათაშვილთან ერთად. ასე, რომ 1628 წლის წყალობის წიგნში ნახსენები აბაში იგივე აბაშ ბარათაშვილია, რომელიც XVI საუკუნის I ნახევრის აქტიურ პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა. ამრიგად, ავთანდილ ბარათაშვილს პაპა ყოფილა 1506-1529 წლებში ქართლში მოღვაწე აბაშ ბარათაშვილი.

1630 წლის წყალობის წიგნიდან გაცემული ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილისადმი ვგებულობთ, რომ მანგლისი „პირველადც თქვენის (იგულისხმება ავთანდილ ბარათაშვილი – თ.გ.) მამა-პაპათა სამკვიდრო და სასაფლავო ყოფილიყო“-ო (სეა, 15/29). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აბაშ ბარათაშვილი ავთანდილ ბარათაშვილის პაპაა და, ამავდროულად, მხედველობაში მივიღებთ ქართლის კათალიკოსის იოვანე დიასამიძის მიერ მანგლელი გაბრიელ ჯავახიშვილისადმი გადაცემულ აბაშ და დავით ბარათაშვილების ნაქონ მამულებს, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მანგლისიც მათ მფლობელობაში შედიოდა და სწორედ მანგლისში უნდა იყოს მათი განსასავენებელიც საძიებელი.

სულ ბოლოს, უფრო მეტი სიმტკიცისათვის მოვიტანთ პირღებულის მონასტრის მთავარ ინტერიერში დაცულ 1642 წლის ქაიხოსრო აბაშიშვილის საფლავის ქვის ეპიტაფიას, რომელიც დღემდე ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში არა ერთხელ გვქობდა მოხმობილი. კიდევ ერთხელ გთავაზობთ აღნიშნული ქაიხოსრო აბაშიშვილის საფლავის ქვის ეპიტაფიის ტექტს მისი ბოლო, 2005 წლის პუბლიკაციის მიხედვით:

„წ. ესე არს ს(ა)მკვიდ|რ{ე}ბელი ჩ(ემ)ი, რ(ამეთუ) მ|თნ(ა)ვს. და ამ(ა)ს | შ(ი)ნა მდ(ე)ბარე | არს გვამი | დ(ი)დის აბ(ა)შ(ი)ს|შვ(ი)ლ(ი)სი, ავთ{ა}ნდ|ილ(ი)ს ძის ქ(ა)ი|ხოსროსი. | ვინც აღმო|იკ(ი)თხევდეთ, | შენდობ(ა)ს | უბძ(ა)ნებდეთ. | ქ(რონი)კ(ონ)ს ტლ (1312+330=1642 წ.)“□ (ბახტაძე...2005: 195)

როგორც ვხედავთ, 1642 წლის ქაიხოსრო აბაშიშვილის საფლავის ქვის ეპიტაფიაში პირდაპირ არის მოხსენებული არა მარტო ქაიხოსროს მამის სახელი – ავთანდილი, არამედ თავისი პაპის სახელი – აბაშიც, რომელიც ეპიტაფიის ტექსტში დიდ აბაშად არის

მოხენიებული, რაც გვაფიქრებინებს, რომ აბაშიშვილთა გვარის ფუძემდებელთან გვაქვს საქმე. აქ მოხსენიებულ აბაშში 1628 წლის საბუთში ნახსენებ აბაშის მსგავსად აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ფუძემდებელი – 1506-1529 წლებში მოღვაწე აბაშ ბარათაშვილი უნდა მოვიაზროთ.

თავი II. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლი XVII საუკუნეში

§ 1. ქართლის დედოფლის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის (XVII ს-ის I ნახ.) სიკვდილით დასჯის თარიღისათვის

ქართლის დედოფლის სახლთუხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი XVII საუკუნის I ნახევრის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელიც ქართლის სამეფოს იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. მას ლუარსაბ II-ის მეფობიდან (1606-1614 წწ.) მოყოლებული როსტომის მეფობის (1632-1658 წწ.) ჩათვლით, ქართლის დედოფლის სახლთუხუცესობის გარდა, სხვადასხვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეკავა: ბოქაულთუხუცესობა, სომხით-საბარათიანოს სარდლობა, თბილისის მოურავობა და სხვ.

ქართველი ისტორიკოსები ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯას ქართლელი ფეოდალის ნოდარ ციციშვილის მიერ როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ ერთ-ერთ გამოსვლას უკავშირებენ, თუმცა განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ამ მოვლენის თარიღის შესახებ.

დავიწყოთ წერილობითი წყაროების ჩვენებით. ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის შესახებ ცნობებს მხოლოდ ფარსადან გორგიჯანიძე (1626-1696 წწ.) და ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757 წწ.) გვაწვდიან.

ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც აღწერილი მოვლენების თანამედროვეა, დეტალურად მოგვითხრობს ნოდარ ციციშვილის მიერ როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი ერთ-ერთი აჯანყების ჩახშობის ამბებს და დასძენს: ,,მეორეს დღეს გორიდამენ ქალაქს ჩაფარი გაგზავნეს და ქაიხოსროვ ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს – დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო და მისი შვილები დააჭირვინეს და გორის ციხეში დაატყვეს და მისი სიძე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატოანი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდაიხვეწა“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 248).

მართალია, ფარსადან გორგიჯანიძე პირდაპირ არ მიუთითებს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილის თარიღს, მაგრამ მისივე მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ამბავი უშუალოდ ნოდარ ციციშვილის აჯანყებასთან იყო დაკავშირებული. ვახუშტი ბაგრატიონი, ფარსადან გორგიჯანიძისაგან განსხვავებით, პირდაპირ ასახელებს ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის მიზეზს და გვაუწყებს, რომ მისთვის ბრალად 1625 წელს გიორგი სააკაძის მხარეზე გადასვლა და ბირთვისის ციხეში ყიზილბაშების ამოწყვეტა წაუყენებიათ: ,,კუალად როსტომ მოიკსენა შური ყიზილბაშთათჳს, რომელი მოსწყჳდნა მოურავმან ბირთჳსს, და შეიპყრა ქაიხოსრო ბარათასშვილი სისხლთა მათათჳს და გარდამოაგდო ციხიდამ განჯის კარისაკენ მაღლის გოდლიდამ“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 440).

ცალკე საუბრის თემაა აღნიშნული ფაქტის ვახუშტი ბაგრატიონისეული დათარიღება. ისტორიკოსი შემდეგი თანამიმდევრობით გადმოგვცემს ისტორიულ ამბებს: ოსმალეთის სულთნის მურად IV-ის (1623-1640 წწ.) მიერ ერევნის აღება; მურად IV-სა (1623-1640 წწ.) და ირანის შაჰ სეფი I-ს (1629-1642 წწ.) შორის ზავის დადება; ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა; დაბოლოს, თეიმურაზ I-ის მიერ კახეთის მმართველის სელიმ-ხანის გაძევება და კახეთში გაბატონება (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 440).

აქედან, ვახუშტი ერევნის აღებასა და თეიმურაზ I-ის კახეთში გაბატონებას 1636 წლით ათარიღებს [12, 440]. რაც შეეხება ზავის დადებასა და ქაიხოსროს სიკვდილით დასჯას, ეს ამბები ისტორიკოსს დათარიღებული არ აქვს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მოვლენებს ერევნის აღების შემდეგ და თეიმურაზ I-ის კახეთში გამეფებამდე აღწერს, საფიქრებელია, რომ ზავის დადებასა და ქაიხოსროს სიკვდილით დასჯასაც ამავე 1636 წლით განსაზღვრავს (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 440).

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის ამბავს ქართველ ისტორიკოსებს შორის პირველად სარგის კაკაბაძე შეეხო. მკვლევარმა ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებზე დაყრდნობით, ქაიხოსროს სიკვდილით დასჯა ნოდარ ციციშვილის აჯანყებას დაუკავშირა. მისი თქმით, ,,ნოდარ ციციშვილის უდროოდ გამოსვლამ და მისმა დამარცხებამ არივ-დარია შეთქმულთა გეგმა. იოთამ ამილახორი არაგვის საერისთავოში წავიდა, ქაიხოსრო ბარათაშვილი ტფილისში შეიპყრეს და ღამით

კოშკიდან გადააგდეს“ (კაკაბაძე 1922: 64). საგულისხმოა, რომ სარგის კაკაბაძე აღნიშნული მსჯელობისას საერთოდ არ ახსენებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას და დუმილით უვლის გვერდს მას.

რაც შეეხება ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის თარიღს, სარგის კაკაბაძე პირდაპირ არაფერს ამბობს ამის თაობაზე, თუმცა კი მიიჩნევს, რომ ნოდარ ციციშვილის დამარცხება ქრონოლოგიურად წინ უსწრებს თეიმურაზ I-ის კახეთში გამეფებას. ხოლო ვინაიდან თეიმურაზ I-ის კახეთში გამეფებას ის 1636 წლით ათარიღებს (კაკაბაძე 1922: 64-65), მაშინ ცხადი ხდება, რომ ნოდარის დამარცხების ამბავი მკვლევარს ან იმავე 1636 წელს ან კიდევ, 1636 წლამდე მომხდარ მოვლენად მიაჩნია.

ქაიხოსრო ბარათაშვილის პოლიტიკური საქმიანობა საფუძვლიანად არის შესწავლილი გივი ჯამბურიას მიერ 1955 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში – „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“. აქ მკვლევარი ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებზე დაყრდნობით, ვრცლად მსჯელობს ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის საკითხზე: „ქაიხოსროს ორმხრივი პოლიტიკა მაინც გამჟღავნებულა. იქ, სადაც ვახუშტი ბატონიშვილი 1636 წლის ამბების შესახებ საუბრობს, წერს: „კუალად როსტომ მოიკსენა შური ყიზილბაშთათჳს, რომელი მოსწყჳდნა მოურავმან ბირთჳსს, და შეიპყრა ქაიხოსრო ბარათასშვილი სისხლთა მათათჳს და გარდამოაგდო ციხიდამ განჯის კარისაკენ მაღლის გოდლიდამ“. რა თქმა უნდა, 500 ყიზილბაშის ამბავი ნამდვილი მიზეზი ვერ იქნებოდა ქაიხოსროს დაღუპვისა (წინააღმდეგ შემთხვევაში, როსტომს შური ადრევე უნდა ეძია, ის უკვე 4 წლის მოსული იყო ქართლში). მართლაც, ფ. გორგიჯანიძე სულ სხვა მიზეზს ასახელებს ქაიხოსროს დაღუპვისას. აღწერს რა ნოდარ ციციშვილის წინააღმდეგ როსტომის გალაშქრებას და გამარჯვებას, წერს: „და მეორეს დღეს გორიდამენ ქალაქს ჩაფარი გაგზავნეს და ქაიხოსროვ ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს – დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო და მისი შვილები დააჭირვინეს და გორის ციხეში დაატყვეს და მისი სიძე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატოანი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდაიხვეწა“. აქ უკვე გარკვევითაა ნათქვამი, რომ ქაიხოსროს კავშირი ჰქონია ნოდარ ციციშვილის აჯანყებასთან და ეტყობა საკუთარი გეგმებიც ჰქონია.

მისი სიძე ბახუტა ჰუსეინბეგის შვილი, რომელიც „ბაგრატოანი იყო“ და რომელსაც „ბატონობაც უნდოდა“, მხოლოდ ქაიხოსროს დახმარებით მიაღწევდა რაიმეს. როგორც ჩანს, ეს საქმე გამჟღავნებულა. ეს იყო სწორედ მიზეზი ქაიხოსროს სიკვდილით დასჯისა. როგორ ჩანს, ქაიხოსრო თავადთა იმ წრეებს კუთვნებია, „რომელთაც არა ერთი შეთქმულება ჩაეშალათ, არა ერთი შეთქმულება წააგეს როსტომის წინააღმდეგ“. ერთ-ერთი წაგებული შეთქმულების შედეგია ქაიხოსროს დაღუპვაც“ (ჯამბურია 1955: 27-28).

როგორც ვხედავთ, გივი ჯამბურიამ ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის საკითხზე მსჯელობისას ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების გარდა, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობასაც მიაქცია ყურადღება. თუმცა, მან ბოლომდე სარწმუნოდ არ მიიჩნია სწავლული ბატონიშვილის მონათხრობი, ჩათვალა, რომ ბირთვისში მდგომი 400 ყიზილბაშის ამოწყვეტა ქაიხოსროს მოკვლის ნამდვილი მიზეზი არ იყო, უპირატესობა ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას მიანიჭა და სარგის კაკაბაძის მსგავსად, დაასკვნა, რომ ქაიხოსრო როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო იქნა სიკვდილით დასჯილი.

გარდა ამისა, გივი ჯამბურიამ ყურადღება სხვა კუთხითაც გაამახვილა ფარსადან გორგიჯანიძის ცნობაზე და პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შეთქმულებაში მონაწილეობისას ქაიხოსროს „საკუთარი გეგმებიც“ ჰქონდა და ქართლში თავისი სიძის – ბახუტა ჰუსეინბეგისშვილის გამეფებას ცდილობდა. მკვლევრის დაკვირვებით, სწორედ ეს განზრახვა უნდა ყოფილიყო ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზი.

დასასრულ, შევნიშნავთ იმასაც, რომ გივი ჯამბურია, სარგის კაკაბაძისაგან განსხვავებით, პირდაპირ ასახელებს ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის თარიღს და ამ ამბავს, ვახუშტი ბაგრატიონზე დაყრდნობით, 1636 წლით განსაზღვრავს (ჯამბურია 1977: 200; ჯამბურია 1997: 354).

ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის თარიღის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს გულქან ჟორჟოლიანი. მკვლევარი, სარგის კაკაბაძისა და გივი ჯამბურიას მსგავსად, უპირატესობას, აგრეთვე, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას აძლევს, თუმცა, მათგან განსხვავებით, ნოდარ ციციშვილის გამოსვლასა და ქაიხოსროს სიკვდილით დასჯას 1637 წლით ათარიღებს (ჟორჟოლიანი 1987: 70).

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი მთლიანად ეყრდნობა ფარსადანის თხზულების იმ ქვეთავის სათაურს, სადაც აღწერილია ნოდარის გამოსვლისა და ქაიხოსროს მოკვლის ამბები. სათაური შემდეგი სახით იკითხება: „მოსვლა სულთან მურად ჴონთქრისა და ერევნის ციხის აღება ქკს ტკე“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 245).

მკვლევარმა სავსებით სარწმონოდ მიიჩნია ერევნის ციხის აღების აქ მითითებული თარიღი – 1637 წელი და ამავე ქვეთავში აღწერილი ამბები, მათ შორის, ნოდარის ციციშვილის აჯანყება და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა, აგრეთვე, 1637 წლით განსაზღვრა (ჟორჟოლიანი 1987: 70).

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში მთლიანად არის გაზიარებული სარგის კაკაბაძის, გივი ჯამბურიასა და გულქან ჟორჟოლიანის მოსაზრებები, რომელთა თანახმადაც ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზი ნოდარ ციციშვილის გამოსვლაში მონაწილეობა და ქართლში როსტომის ნაცვლად, საკუთარი სიძის – ბახუტა ჰუსეინბეგისშვილის გამეფების სურვილი იყო.

განსხვავებული მოსაზრებები მხოლოდ ქაიხოსროს მოკვლის თარიღთან დაკავშირებით არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მისაღებად მიიჩნევს სარგის კაკაბაძისა და გივი ჯამბურიას მიერ შემოთავაზებულ თარიღს – 1636 წელს (გვრიტიშვილი: 1955: 452 და სხვ.), ხოლო მეორე ნაწილი გულქან ჟორჟოლიანის მოსაზრებას აძლევს უპირატესობას და ქაიხოსროს სიკვდილით დასჯას 1637 წლით ათარიღებს (ნინიძე 2004: 276).

თითქოს ყველაფერი ნათელია და აღარც არაფერია გასარკვევი. თუმცა ეს, ერთი შეხედვით. სინამდვილეში, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის ზემოხსენებული თარიღები – 1636 და 1637 წლები არ შეესაბამება რეალობას და სერიოზულ კორექტირებას მოითხოვს.

დავიწყოთ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებით. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მისი თხზულების ერთ-ერთ ქვეთავს შემდეგი სათაური უზის: „მოსვლა სულთან მურად ჴონთქრისა და ერევნის ციხის აღება ქკს ტკე“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 245).

ამ სათაურში წარმოდგენილ თარიღს – 1637 წელს, სრული ნდობა გამოუცხადა გულქან ჟორჟოლიანმა და ერევნის ციხის აღება, ისე როგორც ამავე ქვეთავში აღწერილი

ქაიხოსროს მოკვლის ამბავი, 1637 წლით დაათარიღა.

სინამდვილეში, ფარსადანი ცდება, როცა ერევნის ციხის აღებას 1637 წლით განსაზღვრავს. დღეისათვის მყარად არის დადგენილი, რომ მურად IV-მ ერევანი აიღო არა 1637, არამედ 1635 წელს (სვანიძე 2007: 207).

შესაბამისად, აღნიშნულ შეცდომას მექნიკურად იმეორებს გულქან ჟორჟოლიანიც, რომელიც ფარსადან გორგიჯანიძეზე დაყრდნობით, ერევნის ციხის აღებასა და ქაიხოსროს სიკვდილით დასჯას 1637 წლით განსაზღვრავს.

გარდა ამისა, გულქან ჟორჟოლიანთან ვაწყდებით სხვა უზუსტობასაც. კერძოდ, მკვლევარი მიიჩნევს, რომ თუ ფარსადანის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ქვეთავის სათაურში გატანილია ერევნის ციხის აღების თარიღი – 1637 წელი, მაშინ ამავე ქვეთავში აღწერილი ყველა სხვა ამბავი, მათ შორის, ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქაიხოსროს სიკვდილით დასჯა, აგრეთვე 1637 წლით უნდა დათარიღდეს.

საპირისპიროდ ამ მოსაზრებისა, შევნიშნავთ, რომ ზუსტად ამავე ქვეთავში მოთხრობილია ირანის შაჰის სეფი I-ის სიკვდილისა და შაჰ აბას II-ის (1642-1666 წწ.) გამეფების ამბავი, რომელსაც, იმავე ფარსადანის თქმით, ტლ ქრონიკონს ანუ 1642 წელს ჰქონია ადგილი: „ამ დროს შაჰსეფი ყაენი მიიცვალა და ამისი შვილი შაჰბაზა (sic) გაჴელმწიფდა ქკს ტლ“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 245).

როგორც ვხედავთ, ფარსადანის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ქვეთავის სათაურში ერევნის ციხის აღების ამბავი განსაზღვრულია 1637 წლით, ხოლო თავად ქვეთავში აღწერილია შედარებით უფრო მოგვიანო პერიოდის – 1642 წლის ამბავი.

ასე, რომ ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის 1637 წლით დათარიღება მხოლოდ იმიტომ, რომ ფარსადანის თხზულების შესაბამისი ქვეთავის სათაურში მითითებულია 1637 წელი, რაიმე მყარ საფუძველს მოკლებულია და დამატებითი არგუმენტაციის გარეშე მისი გაზიარება ყოვლად შეუძლებელია.

დაახლოებით იგივე სურათი გვაქვს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებთან დაკავშირებითაც. სწავლული ბატონიშვილი ჩვენთვის საინტერესო ამბებს 1636 წლით ათარიღებს და შემდეგი თანამიმდევრობით აღწერს: მურად IV-ის მიერ ერევნის ციხის აღება; მურად IV-სა და სეფი I-ს შორის ზავის დადება; ქაიხოსრო ბარათაშვილ-

აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა; დაბოლოს, თეიმურაზ I-ის მიერ კახეთის მმართველის სელიმ-ხანის გაძევება და კახეთში გაბატონება (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 440).

სამწუხაროდ, ფარსადან გორგიჯანიძის მსგავსად, არც ვახუშტი ბაგრატიონის მონათხრობი შეესაბამება ისტორიულ რეალიებს. მართლაც, დღეისათვის საბოლოოდ არის გარკვეული, რომ მურად IV-მ ერევანი აიღო 1635 წელს (სვანიძე 2007: 207), ამავე მურად IV-სა და სეფი I-ს შორის ზავი (ე. წ. ზოჰაბის ზავი) დაიდო 1639 წელს (ჩოჩიევი 1957: 371), ხოლო თეიმურაზ I-მა სელიმ-ხანი კახეთიდან გაცილებით უფრო ადრე, 1634 წელს გააძევა (ჯამბურია 1973: 319).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ სარწმუნოდ არ მიგვაჩნია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ აღწერილი ამბების თანამიმდევრობა და შესაბამისად, ვერ გავიზიარებთ სარგის კაკაბაძისა და გივი ჯამბურიას მოსაზრებებს, რომელთა თანახმადაც ნოდარ ციციშვილის გამოსვლასა და ქაიხოსროს სიკვდილით დასჯას 1636 წელს უნდა ჰქონოდა ადგილი.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის დღეისათვის მიღებული არც ერთი თარიღი რეალობას არ შეესაბამება, მაშინ როდის უნდა მომხდარიყო აღნიშნული ფაქტი?

დასმულ კითხვაზე გარკვეულ პასუხს გვაძლევს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის HD კოლექციაში 14694-ე ნომრით დაცული 1642 წლის საბუთი – როსტომ მეფის წყალობის სიგელი ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი.

ეს დოკუმენტი, რომელმაც ჩვენამდე მღვდელ მახარებელ ქურხულის მიერ 1817 წელს გადაწერილი პირის სახით მოაღწია, გამოქვეყნებულია ერთადერთხელ, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, 1899 წელს, „საქართველოს სიძველენის“ I ტომში. აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით, სრულად მოგვაქვს საბუთის ტექსტი:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.

ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემა ჩვენმა, დედოფალთ დედოფალმა, პატრონმა მარიამ ესე საბოლოოდ გასათაებელი მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმათა: ბარათაშვილს, სახლის უხუცესს, ბატონს ქაიხოსროს და შვილსა თქუენსა ბარათასა და მომავალთა სახლისა თქვენისათა

ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს თუმინ<ი>{ს} თავისავე ნებითა მისი თავი თქუენთვის მოებარებინა, თქუენცა მოგვიდექით კარსა, თუმინისა მობარებისა და იმისი მამულის: ბუჟღულაშვილებისა და სრულად ბუჟღულანისა და ელფიას – მანუკაშვილის წყალობასა დაგვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, თუმ{ი}ნიც თქვენ მოგაბარეთ და მისი მამული: ბუჟღულანი და ელფიას – მანუკაშვილი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ მისითა მთითა, ბარითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ჭალითა, სათიბითა, ეკლესიითა, სასაფლაოთი, ტყითა, სანადიროთა, ყოვლისა მისის სამართლიანის შესავლითა და გასავლითა, სამძღვრითა და ფუ<ზ>{ძ}ითა, თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის სამკვიდროთ და სამამულოდ გვიბოძებია, ყოვლის კაცისაგან უცილებლად, ასრე და ამა წესითა: სადამდი თუმინ<ო>{ი} ცოცხალი იყოს, ეგეც თქუენი გაუყრელი არის, და რა სოფელმა მისი ბეგარა არ დაივალოს და თუმ{ი}ნი მის მეუფეს მიებაროს, როგორცა თქვენს სიკეთესა მართებდეს, სულის საქმე იმ რიგათ კარგათ გაურიგეთ და მამული სამკვიდროდ და საბოლოოდ თქვენთვის დაგვიმკვიდრებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან, ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან, არა ოდეს არ მოგეშალოს, არა ჩუენგან და არცა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან.

აწე, უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხვა მოსაქმენო, ვინ გინდ ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა ვინ გინდ ვინ იქნებოდეთ, ბძანება და ნიშანი ესე თქუენცა ასრე გაუთავეთ და დაუმკვიდრეთ, რა რიგადაც ამა ჩუენგან ბოძებულს სიგელსა შიგან ეწეროს, ნურას შეუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაიწერა ბძანება და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლ, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა მარტირუზაშვილი შალვასითა. როსტომ. მარიამ“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. გ.) (თაყაიშვილი 1899: 483-484).

როგორც ვხედავთ, როსტომის მიერ გაცემულ წყალობის წიგნს მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილის დასჯის აქამდე მიღებულ ქრონოლოგიაში. დოკუმენტი პირდაპირ გვაუწყებს, რომ 1642 წელს ქაიხოსრო ჯერ კიდევ ცოცხალია, სახლთუხუცესის საპატიო სახელოს ფლობს, როსტომის

კეთილგანწყობით სარგებლობს და მისგან კონკრეტულ წყალობასაც იღებს .

მიღებული დასკვნის შემდეგ კიდევ ერთხელ, ოღონდ ახლა ოდნავ უფრო სხვა კუთხით უნდა დავსვათ ზემოხსენებული კითხვა – თუ 1642 წელს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი ჯერ კიდევ ცოცხალია, და ეს ნამდვილად ასე ჩანს, მაშინ როდის უნდა დაესაჯათ იგი სიკვდილით?

დასმულ კითხვაზე საბოლოო პასუხს გვაძლევს ქვემო ქართლში მდებარე პირღებულის მონასტრის მთავარი ტაძრის ძირითადი დარბაზის იატაკში ჩადგმული ერთ-ერთი საფლავის ქვის ეპიტაფია.

დღეისათვის წარწერა გამოქვეყნებულია სამგზის: პირველად – 1999-2001 წლებში, ნოდარ ბახტაძის (ბახტაძე 1999-2001: 99), მეორედ – 2003 წელს, ავტორთა ჯგუფის (ბახტაძე...2003: 82), ხოლო მესამედ – 2005 წელს, თემო ჯოჯუას (ბახტაძე.... 2005: 195) მიერ .

წინამდებარე ნაშრომში ეპიტაფიის ტექსტი მოგვაქვს მისი ბოლო, 2005 წლის პუბლიკაციის მიხედვით:

„წ. ესე არს ს(ა)მკვიდ|რ{ე}ბელი ჩ(ემ)ი, რ(ამეთუ) მ|თნ(ა)ვს. და ამ(ა)ს | შ(ი)ნა მდ(ე)ბარე | არს გვამი | დ(ი)დის აბ(ა)შ(ი)ს|შვ(ი)ლ(ი)სი, ავთ{ა}ნდ|ილ(ი)ს ძის ქ◌ი|ხოსროსი. | ვინც აღმო|იკ(ი)თხევდეთ, | შენდობ(ა)ს | უბძ(ა)ნებდეთ. | ქ(რონი)კ(ონ)ს ტლ□(1312+330=1642 წ.)“ (ბახტაძე.... 2005: 195).

როგორც ვხედავთ, ეპიტაფია ჩვენთვის საინტერესო ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი. წარწერის ტექსტი პირდაპირ გვაუწყებს, რომ ქაიხოსრო გარდაიცვალა 1642 წელს.

აქვე, ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ პირღებულის მონასტრის 1642 წლის ეპიტაფია აქამდე არასოდეს ყოფილა გამოყენებული ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ბიოგრაფიული დეტალების დადგენისათვის. წინამდებარე ნაშრომში ეს წარწერა მხოლოდ ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღის დასადგენად გვაქვს მოხმობილი. არადა, ეპიტაფია სხვა მნიშვნელოვან ცნობებსაც გვაწვდის არამხოლოდ ქაიხოსროს ბიოგრაფიის, არამედ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორიის შესახებაც. აღნიშნული საკითხები ჩვენს მომდევნო ნაშრომებში გვექნება განხილული.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვითვალისწინებთ ქართლის

მეფე როსტომის 1642 წლის წყალობის სიგელს, პირღებულის მონასტრის საფლავის ქვის 1642 წლის ეპიტაფიას და სახლთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის თარიღს, აქამდე მიღებული 1636 და 1637 წლების ნაცვლად, 1642 წლით განვსაზღვრავთ.

§ 2. კიდევ ერთხელ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულებების შესახებ

XVII საუკუნის 40-იანი წლები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულ პერიოდს წარმოადგენს. ამ დროისათვის ქართლის სამეფოს ირანის შაჰის სეფი I-ის (1629-1642 წწ.) მიერ დადგენილი ვალი, ბაგრატიონთა სახლის გამაჰმადიანებული წარმომადგენელი როსტომი (1632-1658 წწ.) განაგებდა. მისი ოცდაექვსწლიანი მმართველობის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქართველი ფეოდალების რამდენიმე გამოსვლასა თუ შეთქმულებას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ ამ პერმანენტულ პროცესს ეხება ჩვენი წინამდებარე ნაშრომი, სადაც საგანგებოდ გვექნება შესწავლილი ე. წ. ნოდარ ციციშვილის გამოსვლასთან და ქართლის ფეოდალთა შეთქმულებასთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნული მოვლენების შესახებ საკმაოდ მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მოგვეპოვება. ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების შესახებ ცნობებს გვაწვდიან როგორც ქართული, ისე სპარსული წერილობითი წყაროები. თავდაპირველად მოვიტანთ ქართული წყაროების ცნობებს.

დავიწყოთ აღნიშნული მოვლენების უშუალო თვითმხილველის, მეფე როსტომის თანამოდასის, ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1696 წწ.) მიერ 1656-1696 წლებში შედგენილი „ისტორიით“, რომელიც დეტალურად გადმოგვცემს ჩვენთვის საინტერესო ამბებს. თხზულება 1642-1644 წლებს შორის მომხდარი მოვლენების გადმოცემისას (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 245, 253) მოგვითხრობს: „აწ სხვა ეშმაკობა და საქართველოს არევა მოინდომეს და თავადები შეიფიცნეს და ბატონს თეიმურაზს საფიცრები გაუგზავნეს, რომ

თვითან ლაშქრით ცხეთას მობძანდეს და გაღმით ერისთავი და ამილახორი ლაშქრით მოვიდნენ და გაღმართი მჴრის ლაშქარი ნოდარ შემოიყაროს, ჩხეიძენიც თან იახლოს და როსტომ მეფეს მტრობა გაუცხადონ და ძალათ ბატონობა წართვან.

ხოვლეთსა საჯავახიანოში ციციშვილი ნოდარ თავის ბატონს მეფეს როსტომს შეება და გაიქცა.

ციცისშვილმან ნოდარ სამარტოთ გამარჯვება მოინდომა, არც ბატონი თეიმურაზი მოიცადა და არც ერისთავი და არც ამილახორი. ვითაც ჩხეიძენ(ი) და სხვა იმერეთის საბატიოს კაცის შვილები მასთან იყვნენ და ყველანი ომნაცადნი კაცნი იყვნეს და საციციანოს მჴრისაკენ თავისი და სხვის ლაშქარი შემოჰყროდა. მოვიდა, ხოვლეთს ჩამოჴდა. თავისის კერძოს ლაშქარი ვინც არ შემოეყარა, მამულები (დაურბივა) და ეს ანბავი იორამ მოვრავისშვილს მეფისათვის მოეწერა: მალე წამობრძანდიო, თოარადა გაღმა მჴრის ლაშქარი შემოეყრებისო და საქმე გაჭირდებისო. შვადღისას ეს ანბავი ქალაქში მეფეს მოუვიდა, იმავე წამეს ისივ კაცი დააბრუნა და იორამს ასრე მისწერა, რომ რასაც წამეს ეს წინგნი მოგივიდესო, ფიცხლავ გზები შეუკვრევინეო, რომ აქითგნივ მიმავალი კაცი იქით არ გაუშვანო და მღ თისა შეწევნით ამაღამ ერდგან შევიყრებითო და იმ მისულს კაცს ასრე უბრძანა: ჩაფრად წადიო, ხვალ ამავეს დროსაო აქავ უნდა ანბავი მამიტანოო. კაცმან მადლი გარდიხადა და წავიდა. მეფემ ქალაქის მოვრავს უბრძანა: ჯარჩი დააძახეო, ვინცა ვინ ქალაქში მზას იყვნენო თათარნი, ქართველნი და სომეხნი, ვისაც ცხენი ჰყვანდესო, შესხდენო და რა ქარანის ჴმა გაიგონონო, სწრაფად წავიდნენო და ცხეთის საბაჟოსთან მზათ დაგვხვდენო, იქ აღლუმს ვნახავო. მაგრა ესეც ვინცა ვინ ცხენის მყოლებელიო არ წავიდესო, თავი მოჰკვეთეთო და თავისივე ცხენით უკან მამწივეთო. საღამოს ჟამს ქანარები დააძახეს და ჯარმ(ა) საჩქაროთ იარა და მეფე ცხენს შეჯდა და საჩქაროთ წაბძანდა. მეფის მისვლამდისინ უფროსიერთი ჯარი მისრულიყვნენ, მეფემ უბძანა: ღამე არისო და უკანა ჯარიც არ მოგვწევიანო და ისინიც მოვიდნენო, თქვენც ჩქარათ იარეთო და გათენებისას ხანსა ვნახავო. იარა და შვაღამისას კავთისჴევს მივიდა და მოვრავისშვილი იორამ იმ გარეშემოს ლაშქრით კარგ გვარათ წინ მოეგება. მეფემ ელიზბარ ბოქაულთუხუცეს უბრძანა: ლაშქარს უკან ჩამოუდექო და ვისიც ცხენთ შეძლება ჰქონდესო, ჩქარათ წამოასხიო, რომ მღ˜თისა შეწევნითო დილას ნოდარსთან გავითენებო. მიჯრის ჟამს

დილისასა მეფე ხოვლეთის ბოლოს მივიდა, მარქაფა გამოიცვალა და ჯარსაც უბრძანა: ცხენებს მოსართავებ(ი) უნახეთ და გაუკეთეთო და იარაღნი მოივარგეთო. რაზმი გაწყვეს და ქანარები დააძახეს და მეფეს ასრე მოახსენეს: შეუტყობლათ თავს დავესხათო. მეფემ თავდასხმა არ იკადრა და ასრე ბრძანა: ქართველთ (sic) სამართლის ქნის გამართლებისთვისო ერთმანერთს შეებმიანო, მეც ჩემს ყმას სამართალსზედ შევებმიო. თუ იმაზედ მემტყუვნებინოს, გამარჯვება იმასაო. ბედნიერს ყაენს გამოეპარაო და მთხოვა და არ მივეცო, ფარსადან მამამან მისმანო მრავალი მაძლიაო, რომ საციციანო მისის შვილისშვილის პაპუნა ყორჩიბაშისათვის მთხოვაო და არ მივეცო და მაგას უქრთამოთ მივეცო და ახლა ამდენის სიკეთის მაგიერათო ჩემთვის უმუხანათებიაო და სხვას ბატონს ჰბირებია. ამაზედ მინდა მღ˜თის სამართალი გავშინჯო, თუ რომელი ვსტყუით. დაძახებინა ქანარები. ამდენი ხანი რაზმს მოაცდევინა, რომ იმათაც შეიტყვეს და საომრათ შეიკაზმნენ და ცხენს შესხდეს და რაზმი გაირიგეს და საომრათ წინ წამოდგნენ და შეიქნა სროლა, კიკლაობა. იქიდამენ ჩხეიძენი და სხვანი იმერელი წამოდგნენ. შეიქნა შუბთა ძგერება და ჴმალთა ელვარება, ლახტების ჯახაჯუხა, მუზარათთა ხეთქინება. დიდს ხანობამდისინ ჩხეიძებმან ძალმიცემით ომი გარდიხადეს და საქმეც გაუჭირეს, ლაშქარიც დააბალითეს და კარგადაც იყვნენ, მაგრა ნოდარ ომს არ მოსრულიყო და უწინვე ვერის ციხისაკენ წასულიყო და ჩხეიძებს ზურგი არ მოაბა და კიდეც დაიჭრნეს, დაიღალნეს. მეფემანც თვითან ცხენს დაუძრა და ერთპირად ქართველნი მიეტ(ე)ვნეს და წაუშინეს. ბეჟია ჩხეიძე მოვრავის შვილმან იორამ დაირჩინა და ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს, ზოგნი ელიზბარ ბოქაულთუხუცის ყმებმან დაირჩინეს. ყველანი ორგნითვე კარგად იყვნენ და ძალმიცემით ომი გარდიხადეს და მეფემ გაიმარჯვა, ნოდარ ვერის ციხეში შეიხვეწა და ჩხეიძენი დაჭრილნი და დარჩენილნი მეფეს წინ მოასხეს მჴარწაკრულნი და გამარჯვება მოულოცეს. მეფემ ბძანა, ჩხეიძებს მკლავნი გაუხსნეს და გორს გაგზავნეს, რომ ტანისამოსი გამოუცვალონ და ქვეშსაგები და ზედსაფენი გაუკეთონ და კარგის პატივით ჴელი შეუწყონ და ვისაც მამაცობა ექნა, ყველაკას ხალათი და საჯილდოთ მამულები უბოძა. უფროსიერთთ საციციანო დაუყვეს და კაცები უჩინეს, რომ გაქცეულთ კაცთ უკან ნურვინ აედევნების და ვისაც საციციანოს კაცი დაეჭიროს, გაუშვანო. იმ ღამეს იქივ ნაომარზედ დადგა და მეორეს დღეს გორს მიბძანდა და მეორეს დღეს გორიდამენ ქალაქს ჩაფარი

გაგზავნეს და ქაიხოსროვ ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს – დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო და ამისი შვილები დააჭირვინეს და გორის ციხეში დაატყვეს და მისი სიძე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატოანი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდიხვეწა და კახეთს მივიდა და იოთამ ამილახორი ჯალაბობრივ საერ(ი)სთოში მივიდა. თვითან ბატონს თეიმურაზსთან მივიდნეს და ზამთარმანც მოატანა. ნოდარ ზოვრეთის ციხეში გამაგრდა. მეფემ გორიდამ ლაშქარი გაუძახა და სკრას ზეითი საციციანო დარბევინა და ჩხეიძენი ელიზბარ ბოქაულთუხუცის ელიზბარის ხელით ყაენთან გაგზავნა და არზა მისწერა: ქართველნი ჩემის უშვილობისათვის და უნათესაობისათვინ ურჩობენ და ავკაცობენ, რომ ჩემს საბოლოს ვერა ჴედვენო, ჩემს ბიძასშვილს თეიმურაზ მირზას სამნი შვილნი ჰყვანანო და რომელსაც პაპის ჩემის ლვარსაბი საჴელი ჰქვიანო, ის შვილათ გვიბოძეთო, რომ ჩვენს უკან ქართველთ საბოტონოთ ეგულებოდეს. ესენი ყაენთან გაისტუმრა და თვითან გორის ციხიდამ ზარბაზნები ჩამოიტანა და ზოვრეთის ციხეს შემოადგა. ზარბაზნებით დაუშინ(ა), მაგრა ქვიტკირს ვერა ავნო რა. მალე მალე ჴმას დაგდებდეს, რომ ბატონი თეიმურაზ მოეშველებისო. მეფეს აშინებდეს, მაგრა მეფემ ასრე ბრძანა – ხონთქარიც მოეშველისო, სიდამდისინ ნოდარს ციხიდამენ არ გამოვიყვანო, აქითგან არ დავიძვრიო. წყალკურთხევამდისინ სრულ ქართველთ ლაშქარი ზოვრეთის ციხეს ადგნენ და ვერ აიღეს და არც მშველი გაუჩნდა და ციხეს შიგნით ყმათ უმუხანათეს და ჰგმეს ბატონი და გაუორგულდნეს და ციხის გაცემას შეუდგნეს. ეს ნოდარ შეუტყო, რომ ყმანი ღალატს უპირებენ, ჩათრეულს ჩაყოლილი აჯობინა და თავისი დედა კახეთის ბატონისშვილი როსტომ მეფესთან სახვეწარათ გამოგზავნა. რა მოვიდა, ნამეტნავად მეფემ დიდი პატივი დასდვა და სახვეწარი დაუჯერა. გაცლის გზა სთხოვა. ვითაც ნათესავი იყო მეფისა და მერმე დედათა შიგან სიკეთეზედ ნაქები იყო და საქართველოში ძველით წესათ იყო, რომ ვისაც გასჭირებია შესახვეწრად, ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს, მეფენი და თავადნი პატივს დასდებდიან. მეფემაც გაათავა ძველი წესი, ბატონისშვილს ფეშქაში მიართვა და უვნებლობის საფიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისი მხლებლებითა და ქონებით არა უშავდესრა და ამდენი ცხენი, ჯორი ათხოეს ზოვრეთიდამენ, რომე თავიანთ ქონებით ახალციხემდისინ მიასხან. მაგრა ბევრს შემოიხვეწნეს, რომ ნოდარ

ინახვინოს. არ ინახვინა, მაგრა უზიანოთ სამცხეს მივიდნეს და ერისთავი ზაალ და ამილაჰორი იოთამ ბატონს თეიმურაზსთან იყვიან. მაგრა გზებზედ იწყინებოდეს და ნაპირის ალაგებს ერთი მეორეს ურბევდეს. ვინც იმათ შემოსწყრებოდეს, ამათ მოუვიდის. ვინც ამათ შემოსწყრის, იმათ მიუვიდის და ამათის საქმით ქართლი და კახეთი მოუსვენებელი და არეულ აოჰრებული იყო.

აქა მეფის როსტომის ილღარი ქალაქით, მზის ჩასვლისას ცხენს შეჯდა, გათენებისას შობის დღისას ახალგორს ერისთვებს თავს დაესხა და გაიმარჯვა მღ˜თითა.

ქალაქს შიგ მჯდომს მეფეს როსტომს ანბავი მოუვიდა, რომ ხვალ შობას ორნივ ერისთვები და იოთამ ამილახორი ახალგორს შობას ერთგან იქმონენო და იქ ლაშქარს შეიყრიანო და ბატონს თეიმურაზს საფურცლეს შემოეყრებიანო, იქიდამენ ცხეთას მოვლენო და ვისაც მათთან პირობა აქვთო, იქ შეეყარებიან და შეჰფიცვენ. რა ეს მეფეს მოახსენეს, ფიცხლავ მუჰრანის ბატონს ბახ(უ)ტას, რომ უკანას დროს თავისის ბატონის ადგილსზედ გამეფდა, წინგნი მისწერა – შენის ლაშქრითო მზას დამხვდიო, რომე მღ˜თისა შეწევნითაო ამაღამ მანდ მოვალო. კაცი რომ გაისტუმრა, ჯარჩი დააძახეს: ვაი იმასაო, რომელსაც ცხენი ჰყვანდესო, მზის ჩასვლისას ცხეთას არ დამხვდენო, ავად მოვეპყრობიო. ვითაც ახლო იყო, ყველანი მეფეს უწინ მივიდნენ. რა მეფემ ამდენი ჯარი ნახა, დიაღ იამა და მრავალი საიმედო სიტყვები ჯარს უბრძანა და მუჰრანის ბატონს ჩაფარი გაუგზავნა, რომ ჩვენც კარგის ჯარით მოვდივართო და თქვენც თქვენის ჯარით მზათ დაგვხვდითო, რომ მღ˜თის შეწევნითაო გაუთენებლივ თავს დავესხმითო. რა მეფე მუხრანს მივიდა, მუხრანის ბატონი კარგის ჯარით შემოეყარა და მეფეს იამა და აღარ შეისვენა და ჩქარათ იარეს, შობას დილას ახალგორს ლოცვაზედან მდგომთ თავს დაესხნეს და იმ დღეს მუხრანის ბატონის მამაცობის ქება თქვეს და ისინი შეუტყობარნი იყვნეს და თავსდასხმის ეჭვიც არა ჰქონდა(თ). რა ძახილი შეიქნა, ცხენი და იარაღი ვეღარ მოისწვრეს და არც ამათ დააცალეს. ანაზდეული მოულოდინელი საქმე მოუვიდა. ისინი ზოგნი ცხენით გარდიხვეწა და ზოგნი ქვეითათ, აქეთ იქით გარდიხვეწნეს და იმათი მასპინძლობის საჭმელი მეფის ლაშქარმან შეჭამა. მეფემანც სადილ ვახშამი იმათს სადგომს ჭამა და მეორეს დღეს, ვისაც დარჩენილი კაცნი ჰყვანდა, მეფეს წინ მოუსხეს. მეფემ ყველაკანი გააშვებინა და თვითან გორისაკენ წაბძანდა და იმ ზამთარს იქ დადგა. ელიზბარ

დავითისშვილი ყაენიდამ მოვიდა და ხალათი და ბატონისშვილი ლვარსაბ მოიყვანა.

აქა ბატონისშვილის ლვარსაბის გამოგზავნა ყაენისაგან როსტომ მეფის შვილად.

გორს ყაენის ხალათი ჩაიცვა და რაყამი წაიკითხეს. მოეწერა: შენის ბიძასშვილის თეიმურაზ მირზის შვილი ლვარსაბ შენთვის შვილად გეთხოვნაო, გამოგვიგზავნიაო და ქართველთათვის გვიბძანებიაო, რომ უფლისწულათ და თქვენად შვილად მიაჩნდესო და თქვენს უკან ქართლის მეფობა მაგისთვის მიგვიცემიაო. ეს ანბავი გოჩაშვილს გიორგის ეწყინა, ამისთვის რომ ბატონობას თვითან მოელოდა და ლვარსაბის მოყვანისათვის გავგულდა. ეს ანბავი ბატონს თეიმურაზსაც ეწყინა. ამაზედ კახმან ბატონმან ცალკე და ერისთავმან ცალკე დაუწყეს გოჩაშვილს ლაპარაკი, რომ შენ გაგაბატონებთო. დატყუეს და ქართველთა და ბარათიანთ წინგნი ჰსწერეს, დაუწყეს ბირება. დიასამიძე ქათალიკოზი და რევაზ ბარათაშვილი და სომხითის მელიქი ყორხმაზბეგ მრავლის ქადებითა დატყუებულიყვნენ და ეს სამნი საქმობდენ. მათი რჩევა და საწადელი ამათთან უმალავი იყო და გოჩასშვილს ატყუებდენ, თორადა ყველას მეფობა ბატონის თეიმურაზისათვის უნდოდა. ასრე პირობა შეჰკრეს რომ როსტომ მეფე ცოტას კაცით ცხირეთს არისო და ბატონი თეიმურაზ ცხენკეთილის ჯარით ანაზდათ მეტეხს მოვიდესო. რა მეფე მისი ჯარის სიცოტავეს ნახავსო, საომრად მოვაო და ომში მოვჰკლათო, რომ სამარტოთ არვის დაებრალოსო. სომხითის მელიქს ყაენისაგან შეშინდა და მათი საწადელი და მონაწერი წინგნები მეფეს მოართვა, ფიცის გატეხისა და საფიცრის მიცემმოცემისა აღარა ინაღვლა რა და იმ ღამეს, რომ ბატონი თეიმურაზ მეტეხს მოვიდა, მეფე გორს მივიდა. ამათმა რჩევამ ცუდათ ჩაიარა და ბატონი თეიმურაზ ისრევე კახეთს ჩავიდა. ქართველნი გორს მივიდნეს უშიშრათ. ასრე ეგონათ, იმათი ქნილობა მეფემ არ იცისო. მეფემ კათალიკოზი და გოჩასშვილი გიორგი და ერისთვისშვილი ლარგველი დაჭირვინა. გოჩასშვილს თვალები დასთხარა, ლარგველი გორის ციხით გაეპარა, სააკაძე ივანე კახეთს გარდიხვეწა და მის ძმას ზურაბს თვალები დასთხარეს. კათალიკოზი ქალაქის ციხეში ტყვეთ იყო თათრებში და ისიც დარჩვეს და ციხიდამ გარდმოაგდეს. ბარათაშვილი რევაზ კახეთს გარდიხვეწა და მეფე გორიდამ ქალაქს ჩავიდა და ეს ანბვები ყაენს მისწერა“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 247-250). ასე ვრცლად და დეტალურად მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანიძე მეფე როსტომის წინააღმდეგ მიმართული ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის

ფეოდალთა ორი შეთქმულების ამბავს.

ამასთან, ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ ფარსადანი აღნიშნული ამბების გადმოცემისას მხოლოდ ორ ზოგად ქრონოლოგიურ მითითებას გვაწვდის. მისი თქმით:

1. როსტომის ლაშქარს ზოვრეთის ციხეში გამაგრებული ნოდარ ციციშვილისათვის ალყა წყალკურთხევამდე ანუ ნათლისღებამდე ჰქონდა შემორტყმული.

2. როსტომმა ამბოხებული არაგვისა და ქსნის ერისთავები იოთამ ამილახორთან ერთად, ახალგორში შობის დილას დაამარცხა.

ეს არის და ეს. თუ აღწერილი ამბების ზოგად ქრონოლოგიურ ჩარჩოს – 1642-1644 წლებს არ მივიღებთ მხედველობაში, ფარსადან გორგიჯანიძე არანაირ კონკრეტულ თარიღს არ გვთავაზობს ჩვენთვის საინტერესო მოვლენების შესახებ.

ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების შესახებ, ფარსადან გორგიჯანიძის გარდა, საინტერესო ცნობებს გვაწვდიან კახეთის მეფე არჩილ II (1664-1675 წწ) და XVII-XVIII საუკუნეების ქართველი ისტორიკოსები – ბერი ეგნატაშვილი (გარდ. დაახლ. 1760-იანი წწ-ის დასაწ.) და ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757 წწ).

დავიწყოთ არჩილ II-ის მიერ 1681-1682 წლებში შედგენილი ისტორიული პოემით – „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“. ამ ლიტერატურულ ნაწარმოებში ჩვენთვის საინტერესო მოვლენები აღწერილია თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობის შემდეგ და მაღაროს ბრძოლის ამბებამდე. პოემის ავტორი თეიმურაზ I-ის პირით მოგვითხრობს:

„ამილახორი იოთამ და ზაალ მაშინც მე მახლდენ,
კათალიკოზი ევდემოზ და გოჩაშვილი გაახლდენ,
კვლავ ციცისშვილი ნოდარ და სხვა ქართველები ვთქვა რამდენ? –
და მიმიხმეს, ლაშქრით რა წაველ, ჩემად მისვლამდის გაცუდდენ.
ნოდარ ფიცეთს შეიყარა, ჩხეიძენიც მასთან იყვნენ,
როსტომს უთხრეს: „ესე ასრე ნოდარზედ მალ წაიყვანენ,
ნუ შევჰყრითო, მივაშუროთ, თორემ ბოლოს შეინანენ,
და ვინ მუხრანსა ჰპატრონობდი, ცუდ-მადები მოიხმარნენ.
მივიდენ ფიცეთს ნოდარზედ უვიცად, შეუტყობარად,
მას ყარაული არ ჰყვანდა, ნეტაა ზვართა საბარად?

ჩხეიძეებმა რა ნახეს ესენი მართ საშუბარად,

და მოვიდენ, მოიქნივესცა, ზოგთა ჰკრეს მწვე გასამწარად.

მეც მუხრანს მიველ, მიმასწრო და გაემარჯვა ნოდარზედ,

ბეჟია დარცა იორამს, მოურავის-შვილს, იმ ომზედ;

ოტია თვითან ოტიას რატიშვილს უჯდა გავაზედ;

და საციციანო კაცები ცხენს სხედან მათს კვიციანზედ“ (ბარამიძე.... 1937: 89).

როგორც ვხედავთ, არჩილ II პირდაპირ არაფერს ამბობს ნოდარ ციციშვილის გამოსვლის შესახებ. თუმცა კი, მის მიერ გადმოცემული ამბების თანამიმდევრობიდან ნათლად ჩანს, რომ მეფე-პოეტი ჩვენთვის საინტერესო მოვლენას თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობის შემდგომი და მაღაროს ბრძოლამდელი პერიოდით ათარიღებს.

აბსოლუტურად იდენტური სურათი გვაქვს ბერი ეგნატაშვილის მიერ 1721 წლამდე შედგენილ თხზულებაში – „ახალი ქართლის ცხოვრება“. აქ, ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბები, ისევე როგორც არჩილ II-ის პოემაში, გადმოცემულია თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობის შემდეგ და მაღაროს ბრძოლის ამბებამდე. ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს:

„შეკრეს პირობა [ზაალ] ერისთავმან, იოთამ ამილახორმან, ნოდარ ციციშვილმან, კათალიკოზმან დიასამიძემან ევდემოზ, გოჩაშვილმან გიორგი და ზოგმან რომელმანმე ქართველმანცა, ამათ ინებეს განდგომა როსტომ მეფისა. და უფროსღა ცდილობდა კათალიკოზი ევდემოზ იმისთჳს, რომე ამისი ძმის ასული დათუნა[ს], ბატონი თეიმურაზის შვილს, ცოლად ესუა. ამათ გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კაცი და მისცეს საფიცრები და პირობა დიდი და იჴმეს: „კუალად მოდი ქართლში და გაგაბატონებთო“. ამაში ნოდარ შემოიყარა ჯარი და წარვიდა.

რა სცნა საქმე ესე როსტომ მეფემან, შემოიყარა ჯარი და წარმოემართა იგიცა ნოდარზედა, მოვიდა და დადგა საჯავახიანოს. ვითარცა ესმა ნოდარს წარმოსვლა როსტომ მეფისა, გაიქცა და წავიდა, დევნა უყო როსტომ მეფემან უკანა. მაშინ ახლდა ნოდარს ორნი ძმანი ჩხეიძენი გარდმოვარდნილნი და იყვნენ ნოდართანა. რა მიეწივა როსტომ მეფე ნოდარს, გამოუბრუნდენ ორნივ ძმანი ჩხეიძენი, შემოებნენ, იომეს და დაჴოცნეს იგინიცა.

ხოლო ნოდარ ივლტოდა და შევიდა ციხესა ატენისასა. მივიდა როსტომ მეფე და შემოადგა გარს და ვერცაღა მუნ გამაგრდა ნოდარ და წარვიდა ზემო ქართლად, რომელ არს საათაბაგო.

ხოლო როსტომ მეფემან აღიღო ციხე, დაამტვრივა და წარმოვიდა მუნითგან, და დადგა ცხირეთს, და მუნ იჴმო დედოფალი მარიამ და იყოფოდენ მუნ. ხოლო კათალიკოზი ევდემოზ იყო მუნვე როსტომ მეფეს თანა. კუალად შეუთვალა ბატონს თეიმურაზს კათალიკოზმან ვითარმედ: „ნოდარ რომ წასულიყოს, მაგისთჳს საქმეს რატომ წააჴდენ და ან რატომ გაბრუნდი?“ მაშინ ბატონს თეიმურაზს შეეყარა ზაალ ერისთავი, მოვიდენ და დადგნენ მუხრანს. კუალად გაუგზავნა კათალიკოზმან კაცი: „ნუღარ ჰყოვნითო, მოდითო, და რაც გინდა გაქნევინებო“.

მაშინ, სცნა რა საქმე ესე მუხრანის ბატონმან ვახტანგ, წარმოავლინა კაცი მსწრაფლ და ამცნო საქმე ესე როსტომ მეფესა. მაშინ დედოფალი წარავლინა გორის ციხეშია და თჳთცა უკან მოუდგა და მივიდნენ გორის ციხეშია და მუნ გამაგრდენ.

ხოლო ბატონი თეიმურაზ მივიდა უფლისციხესა და ვერღარა გააწყო რა, გამობრუნდა და წარმოვიდა. და დახუდა წინა ვახტანგ მუხრანის ბატონი და უყო მრავალი ზიანი. და წარვიდა კახეთს.

ხოლო შეიპყრა კათალიკოზი ევდემოზ როსტომ მეფემან და წარავლინა ქალაქის ციხეშია და ტყუე-ყო და, ხანსა რაოდენსამე უკანა, მუნვე ციხეში მოაშთობინა. ხოლო გოჩაშვილი გიორგი შეიპყრა და დასთხარა თუალები, და სხუანი, რომელნიცა იყვნენ როსტომ მეფის ორგულნი, რომელნიმე გაახეიბრა და რომელნიმე მამულით გააღარიბა და განაძო თჳსისა ქუეყნიდამე, თჳნიერ ზაალ ერისთვისა და იოთამ ამილახორისა. ხოლო იოთამ ამილახორი ხან მოუდგებოდა როსტომ მეფესა და ხან ბატონ თეიმურაზს და სიტკენაც დრო დააჴელის, იქითკენ იყვის“ (ბერი ეგნატაშვილი 1959: 420-422).

ამგვარად, ბერი ეგნატაშვილი, ისე როგორც არჩილ II, პირდაპირ არაფერს ამბობს ჩვენთვის საინტერესო მოვლენების ქრონოლოგიის შესახებ, თუმცა კი მისი თხრობის თანამიმდევრობიდან ნათლად ჩანს, რომ ისტორიკოსი აღნიშნულ მოვლენებს არჩილ II-ის მსგავსად, აგრეთვე, თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობის შემდგომ და მაღაროს ბრძოლამდე მომხდარ ამბებად მიიჩნევს.

ქრონოლოგიის თვალსაზრისით, შედარებით უფრო უკეთესი სურათი გვაქვს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-1745 წლებში შედგენილ თხზულებაში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. აქ სწავლული ბატონიშვილი ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბებს 1638-1642 წლებს შორის მომხდარი მოვლენების გადმოცემისას (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 441-443) მოგვითხრობს:

„შემდგომად ამისა მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს ზაალ ერისთავმან, იოთამ ამილახორმან, ნოდარ ციციშვილმან, გიორგი გოჩასშვილმან და კათალიკოზმან ევდემოს დიასამიძემან გამეფებად ქართლს. და ნოდარ მოვიდა სპითა დოესს და მოელოდა მათცა. მცნობელი როსტომ მეფე წარმოვიდა. მისმან მხილველმან ნოდარ ვერღარა იკადრა ბრძოლა, არამედ ივლტოდა. გარნა ორთა ძმათა ჩხეიძეთა, ნოდარისა თანა მყოფთა, მოყურობით არა ინებეს ლტოლვა, მოიქცენ და ჩამოჰყარნეს მჴედარნი. ხოლო იორამ მოურავისშვილმან ჩამოჰყარნა იგინი, შეიპყრნა და მოართუა როსტომ მეფესა (ესე იორამ მოიყვანა როსტომ მეფემან აზრუმიდან კეთილისყოფისათჳს, რომელი უქმნა მოურავმან მას, და მისცნა მამულნი თჳსნი ყოველნი, ხოლო ნოდარ ლტოლვილი შევიდა ვერის-ციხესა შინა და მოადგა როსტომ, ვერ გამაგრდა ნოდარ, განივლტო და მივიდა სამცხეს. ხოლო მეფემან როსტომ აღიღო ციხე და შემუსრა. მუნიდამ მოიქცა და დადგა ცხირეთს. ესე აცნობა კათალიკოზმან ევდემოს ბატონს თეიმურაზს: „რაჲ ჰქმენ, სივლტოლისათჳს ნოდარისა უკუნ-იქეც, აწ მოვედ და დაესხი როსტომს, რამეთუ ჴელთა შენთა შინა არს (ამ კათალიკოზის ძმისწული ცოლად ჰყვა ბატონის თეიმურაზის ძესა დავითს და ამისთჳს ჰყოფდა კათალიკოზი ამას“).

ამისი მსმენელი თეიმურაზ რა წარმოემართა, ესე აუწყა როსტომ მეფესა ვახტანგ მუხრანის ბატონმან და მსწრაფლ შევიდა როსტომ გორის ციხესა შინა. ესმა ესე თეიმურაზს და უკუნ-იქცა. ამას ვახტანგ მუხრანის ბატონი მოეწია და ავნო დიდი ვიდრე სივლტოლად, და მოსწრაფედ მივიდა თეიმურაზ კახეთსვე. ამისთჳს შეიპყრა როსტომ მეფემან კათალიკოზი ევდემოზ და პატიმარ-ჰყო ტფილისს ციხესა შინა. შემდგომად გარდმოაგდო განჯის-კარის კოშკიდამ; კუალად შეიპყრა გოჩასშვილი გიორგი და აღმოჴადნა თუალნი, დაესხა იოთამ ამილახორსა, ჰგუემა იგი და განუტევა ფიცით, და შემუსრა ციხე ცხჳლოსი და სხუანი ვიეთნიმე განაძო და ზოგნი უმკჳდრო ჰყვნა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 441-

442).

როგორც ვხედავთ, ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ზუსტ თარიღს არც ვახუშტი ბაგრატიონი გვთავაზობს, თუმცა კი, ამ მოვლენებს, არჩილ II-ისა და ბერი ეგნატაშვილისაგან განსხვავებით, შედარებით უფრო მოკლე ქრონოლოგიური მონაკვეთით – 1638-1642 წლებით განსაზღვრავს.

მას შემდეგ, რაც სრულად მიმოვიხილეთ ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების შესახებ, საგანგებოდ შევეხებით შაჰ აბას II-ის (1642-1666 წწ.) კარის ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის (გარდ. XVII ს-ის მიწურ.) მიერ XVII საუკუნის II ნახევარში შედგენილ თხზულებას – „შაჰ აბას II-ის ისტორიას“.

მოჰამედ თაჰერს ჩვენთვის საინტერესო მოვლენები XVII-XVIII საუკუნეების ქართველი ავტორებისაგან განსხვავებული თანამიმდევრობით აქვს გადმოცემული. მის თხზულებაში მოთხრობილია ჯერ ქართლის ფეოდალთა შეთქმულებისა და მათი დამარცხების, ხოლო შემდეგ – ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბები, რასაც ცოტა უფრო ქვემოთ, პაატა ამილახორის მიერ იასე ქსნის ერისთავის მოკვლის ამბავი მოსდევს. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოჰამედ თაჰერს აღნიშნული მოვლენები აბას II-ის მმართველობის დროს მომხდარ ამბებად მიაჩნია. თხზულებაში ვკითხულობთ: კახეთის მეფემ (ვალმა) თეიმურაზ I-მა „გააღვივა შფოთის ცეცხლი და ზაალ ერისთავთან, ნოდართან და ქართლის კათალიკოზთან ერთად, რომელიც იმ ურწმუნოთა სრულუფლებიანი პირი და წინამძღვარია, გადასწყვიტა, რომ როსტომ-ხანი მოეკლათ. მათ ამ საქმეში მოკავშირედ გაიჩინეს მელიქი ყორხამასი, სომხითის მელიქ ათაბეგის შვილი.

რადგანაც ხსენებული მელიქი სახალიფო სასახლის (ე.ი. შაჰის) ერთგულთა რიცხვს ეკუთვნის, ამიტომ მან შეატყობინა როსტომ-ხანს იმ ურწმუნოთა ბოროტების შესახებ. როსტომ-ხანმა ამის შესახებ მოხსენება დაწერა და ხსენებული მელიქის საშუალებით უმაღლეს კარზედ გაგზავნა. ამ ამბავმა ხელმწიფე მეტად განარისხა და გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი, რომ „მმართველობის საფარველი“ ადამ-სულტანი, სუფის მმართველი, რომელიც როსტომის დისშვილია და ცნობილია როგორც გამოცდილი კაცი, აზერბაიჯანის, შირვანის, ყარაბაღისა და ერევნის ბეგლარბეგებთან ერთად და იუზბაშების,

ყორჩების, ღულამების და მეთოფეების რაზმის თანხლებით, რომელთა სამყოფელი ადგილი აზერბაიჯანი და შირვანია, გაემართოს იმ ურწმუნოთა ასაკლებად, დასახოცად და დასარბევად, რომელთაც თავის უღმერთოებას და უწმინდურობას კიდევ ურჩობა დაუმატესო. ის „მმართველობის საფარველი“ ბედნიერ საათში [შაჰის] ფეხთა კოცნის პატივით იქნა ამაღლებული და საქართველოსაკენ გაემართა. ვიდრე ის საქართველოში ჩავიდოდა, როსტომ-ხანმა ბრძანა კათალიკოსის ელამი თვალის გუგების მათი ბუდიდან ამოგდება (დათხრევინება) და თბილისის ციხის სატუსაღოში მისი დატყვევება, ხოლო რაზმით თავადებისა და აზნაურებისა, რომელნიც შემკულნი იყვნენ გულწრფელი ერთგულებით, ნოდარის ციხის დასაპყრობად გაემართა.

[ამ ციხის] სიმტკიცე და სიმაგრე, [მისი მისასვლელი] გზების სიძნელე და ტყეების სიხშირე იქაურ ხალხში ანდაზად არის გადაქცეული. მოკლე ხანში, მისი უდიდებულესობის „ღვთის ჩრდილის“ (შაჰის) ბედნიერი იღბლის ძალით, ის ფუძემაგარი ციხე შავ მიწასთან გაასწორეს და იმ დაკარგულის ცოლ-შვილი დაიჭირეს. ის ბოროტგანამზრახველი, უსაზღვრო სინანულში ჩავარდნილი (ნოდარი), გაიქცა და ახალციხეს მივიდა. ამ ცხადი გამარჯვებისა და ძლიერი ციხის აღების შემდეგ, ადამ-სულტანი ძლევამოსილი ლაშქრით კახეთში შევიდა“ (მოჰამედ თაჰერი 1954: 381-382).

როგორც ვხედავთ, მოჰამედ თაჰერი პირდაპირ არ ათარიღებს ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბებს. თუმცა კი, სპარსელი ისტორიკოსი ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს აბას II-ის შაჰის ტახტზე ასვლის შემდგომდროინდელ და იასე ქსნის ერისთავის მოკვლამდე პერიოდით განსაზღვრავს.

ამრიგად, ქართული (ფარსადან გორგიჯანიძე, არჩილ II, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი) და სპარსული (მოჰამედ თაჰერი) წერილობითი წყაროები დეტალურად აღწერენ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალების შეთქმულების ამბებს. მართალია, ამ ძეგლებში ჩვენთვის საინტერესო მოვლენები პირდაპირ დათარიღებული არ არის, მაგრამ გარკვეულ ქრონოლოგიურ მითითებას ხუთივე ავტორთან ვხვდებით. ჩამოვთვლით ამ ქრონოლოგიურ მითითებებს:

1. ფარსადან გორგიჯანიძე: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა, ახალგორის შეთქმულება და ქართლის ფეოდალთა

მომდევნო შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1642-1644 წლები.

2. მოჰამედ თაჰერი: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) და ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – ქრონოლოგიური მონაკვეთი აბას II-ის აღსაყდრებასა და იასე ქსნის ერისთავის მოკვლას შორის.

3. არჩილ II: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – ქრონოლოგიური მონაკვეთი თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობასა და მაღაროს ბრძოლას შორის.

4. ბერი ეგნატაშვილი: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – ქრონოლოგიური მონაკვეთი თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობასა და მაღაროს ბრძოლას შორის.

5. ვახუშტი ბაგრატიონი: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1638-1642 წლები.

ამით ვასრულებთ ქართული და სპარსული წერილობითი წყაროების დახასიათებას და გადავდივართ ჩვენთვის საინტერესო მოვლენების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვაზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავი პირველად განხილულია ანტონ ფურცელაძის მიერ 1892 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – „საქართველოს მოსასპობელად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“(ფურცელაძე 1892: 365-366; 369-370).

მეცნიერი აღნიშნულ ნაშრომში ნოდარ ციციშვილის გამოსვლას ორ ადგილას ეხება. პირველად მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო საკითხს როსტომ მეფის ქართლში შემოსვლის, თეიმურაზ I-ის იმერეთში გადასვლისა და სელიმ ხანის კახეთის მმართველად დანიშვნის შემდეგ განიხილავს. მისი თქმით, „თეიმურაზს ჰყავდა კიდევ ბევრი მომხრე ქართლში: ზაალ ერისთავი, ნოდარ ციცისშვილი, იოთამ ამილახვარი, გიორგი ბაგრატიონი, გოჩასშვილი, კათალიკოზი ევდემოს დიასამიძე, რომელნიც არ უდებდნენ როსტომს თავს.

იმათ მოიხმეს თეიმურაზ იმერეთიდამ, აეშალნენ როსტომს, და გამოაცხადეს მეფედ თეიმურაზ. ის გადმოვიდა იმერთა ჯარით. დაწყობილობა იყო, რომ თეიმურაზ უნდა თავისი ჯარებით მიშველებოდა ნოდარ ციციშვილს. ნოდარ ოროლი ძმა ჩხეიძით, დაიმედებული, რომ თეიმურაზ მიეშველება ამას, წავიდა როსტომ მეფეზედ. როსტომ მეფე თვითონვე დაესხა ნოდარს თავსა. თეიმურაზ ჯარებით არ მიეშველა ნოდარს. ნოდარმა რა ნახა ესა, გაერიდა ომს. ჩხეიძეებმა არ ინდომეს ბრძოლის გაცლა. შეიქნა ბრძოლა, ჩხეიძენი იბრძოდნენ ვაჟკაცურად. მაგრამ ორივენი ჩამოყარა ცხენიდამ იორამ სააკაძემ, გიორგი მოურავის შვილმა, რომელიც დააბრუნა ცოლ-შვილით საოსმალოდამ როსტომ მეფემ და თეიმურაზისაგან ჩამორთმეული მამულები დაუბრუნა უკან. იორამმა ორივე ჩხეიძენი მიართვა როსტომს. დანაშთენი ჯარი ნოდარისა გააქციეს. თეიმურაზ იძულებული იყო გავარდილიყო ისევ იმერეთში“ (ფურცელაძე 1892: 365-366).

მეორედ, ანტონ ფურცელაძე აღწერს რა როსტომ მეფის შვილობილის, ალექსანდრე იმერთა მეფის (1639-1660 წწ.) შვილის – მამუკა ბატონიშვილის მიერ როსტომისათვის მკვლელების მიგზავნასა და მისი მცდელობის მარცხით დასრულების ამბავს, ამის შემდეგ კვლავ უბრუნდება ნოდარ ციციშვილის გამოსვლას და აღნიშნავს: „ამავე გორგიჯანიძისა და პარიჟის ბიბლიოთეკის ხელ-ნაწერი ქართლ. ცხოვრ. ავტორის სიტყვით, ნოდარ ციციშვილი აეშალა როსტომს თეიმურაზის სასარგებლოთ. როდესაც როსტომისა და ნოდარის ჯარები შეიბრძოლნენ, ნოდარის ჯარებში ყველაზედ თავგამეტებით და ვაჟკაცათ იბრძოდნენ ორი ძმა ჩხეიძე. ბოლოს ისინი შეიპყრა საოსმალოდამ დაბრუნებულმა გიორგი სააკაძის შვილმა, იორამმა. ისინი მოჰგვარეს როსტომს ხელებ შეკრული. როსტომმა უბრძანა, დაუხსნან იმათ ხელები, წაიყვანონ გორში, გამოუცვალონ საცვალი და ტანისამოსი; მისცენ სუფთა და რბილი ქვეშსაგები, მიაპყრან დიდი პატივი და მოექცნენ, როგორც იმათს გვარის შვილობას ეკადრება.

ამავე ნოდართან ომის შესახებ, მოგვითხრობენ იგივე ავტორნი შემდეგს. „მეფეს მოახსენეს: შეუტყობრათ თავს დავესხათო. მეფემ ეს არ იკადრა და ასრე ბრძანა: „ქართველთ სამართლის ქნის გამართლებისთვის ერთმანერთს შეებმიანო, მეც ჩემს ყმას სამართალსზედ შევებმიო. თუ მე იმაზედ ვტყუი გამარჯვება იმას დარჩება, ეგ ბედნიერს ყაენს გამოეპარაო. ყეენმა მთხოვა და არ მივეციო. მაგის მამას ფარსადანს უნდოდა მთელი

საციცისშვილო თავისი შვილი პაპუნა ყორჩიბაშისთვის მიეცა და მე ვინებე, მაგას უქრთამოთ მივეციო, და ახლა ეგ ამდენი სიკეთის მაგიერათ მე მმუხანათობსო. ამაზედ მინდა ღვთის სამართალი გავსინჯო, თუ რომელი ვტყუითო“... „დააძახებინა ქანანები, იმოდენი ხანი აცდევინა რაზმთა, მინამ იმათაც არ შეიტყეს და არ გაემზადნენ საომრათ“ (ფურცელაძე 1892: 369-370).

როგორც ვხედავთ, ანტონ ფურცელაძე ფარსადან გორგიჯანიძისა და პარიჟის ბიბლიოთეკის ხელნაწერი ქართლის ცხოვრების ავტორზე დაყრდნობით, ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს დეტალურად აღწერს, თუმცა აღნიშნული მოვლენის თარიღს არ იძლევა. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მკვლევარი როსტომის მმართველობის დროს მომხდარი მოვლენებიდან მხოლოდ მისი გამეფების ამბავს ათარიღებს და ამ მოვლენას 1632 წლით განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, მმართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ მეცნიერი ნოდარის გამოვლის ფაქტს 1632 წლის შემდგომ დროინდელ მოვლენად მიიჩნევს.

ანტონ ფურცელაძის შემდეგ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბებს შეეხო სარგის კაკაბაძე თავის 1922 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – „საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810)“ (კაკაბაძე 1922: 64-67).

მართალია, პუბლიკაციაში მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს პირდაპირ არ ათარიღებს, მაგრამ მის მსჯელობაზე დაკვირვება გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მაინც იძლევა. კერძოდ, სარგის კაკაბაძე ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ამბებს შემდეგი თანამიმდევრობით გადმოგვცემს:

– არაგვის ერისთავის მიერ როსტომისათვის დაუმორჩილებლობის გამოცხადება; დათუნას მოკვლა ქართლის მეფისაგან მიგზავნილი გაბაშვილისა და თურქისტანიშვილის მიერ.

– დათუნას ძმის, ზაალის გაბატონება არაგვის საერისთავოში; ზაალის მიერ დუშეთისაკენ დაძრული როსტომისათვის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა და ქართლის მეფის უკან, თბილისში გაბრუნება.

– ზაალ არაგვის ერისთავის მიერ კავშირის შეკვრა იასე ქსნის ერისთავთან და როსტომის მოწინააღმდეგე სხვა ქართლელ ფეოდალებთან; თეიმურაზ I-ის იმერეთიდან

დუშეთს მისვლა და მისი ქართლში გამეფებისათვის მზადება.

– როსტომის მიერ საპასუხო ზომების გატარება, ქართლის ფეოდალთა მეორე ნაწილის გადაბირება და პოზიციების გაძლიერება ირანისა და კავკასიის მაჰმადიანურ გაერთიანებათა ლაშქრის დახმარებით.

– ნოდარ ციციშვილის გამოსვლა როსტომის წინააღმდეგ და მისი დამარცხება ხოვლეს ბრძოლაში; ქართლის მეფის ბრძანებით, ქაიხოსრო ბარათაშვილის სიკვდილით დასჯა; როსტომის მიერ ზოვრეთის ციხისათვის ალყის შემორტყმა, ნოდარ ციციშვილის დანებება და ახალციხის საფაშოში წასვლა.

– თეიმურაზ I-ის, არაგვისა და ქსნის ერისთავების ქართლიდან კახეთს გადასვლა და ირანის შაჰის მიერ კახეთის გამგებლად დადგენილი სალიმ-ხანის გაძევება; თეიმურაზ I-ის გამეფება კახეთში.

– თეიმურაზ I-ის მიერ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის რუსეთს, დიპლომატიური მისიით გაგზავნა; თავადი ვოლკონსკის ელჩობის ჩამოსვლა საქართველოში და კახეთის უმაღლესი ხელისუფლების მიერ ფიცის დადება რუსეთის მეფის ერთგულებაზე.

– თეიმურაზ I-ის, კათოლიკოს ევდემონ I-ის, გიორგი გოჩაშვილისა და ქართლის ფეოდალთა მიერ შეთქმულების მოწყობა როსტომის წინააღმდეგ და სომხითის მელიქის ყორხმაზ-ბეგის მიერ შეთქმულების გაცემა; როსტომის მიერ საპასუხო ღონისძიებების გატარება, შეთქმულთა ერთი ნაწილის შეპყრობა და დასჯა; ზაალ არაგვის ერისთავისა და იოთამ ამილახორის როსტომთან მისვლა და მათი ირანში გაგზავნა.

– ურთიერთობების გამწვავება თეიმურაზ I-სა და როსტომს შორის; კახეთის ლაშქრის დამარცხება თიანეთთან და თეიმურაზ I-ის ვაჟის – დავითის მოკვლა მაღაროს ბრძოლაში; თეიმურაზ I-ის მიერ მარცხის აღიარება, როსტომთან მოლაპარაკების გამართვა და კახეთიდან იმერეთს გადასვლა (კაკაბაძე 1922: 64-67).

ჩამოთვლილი მოვლენებიდან სარგის კაკაბაძე პირდაპირ მხოლოდ ოთხ ამბავს ათარიღებს. ეს მოვლენებია:

– დათუნა არაგვის ერისთავის მოკვლა – 1635 წელი.

– თეიმურაზ I-ის კახეთში გამეფება – 1636 წელი.

– თავადი ვოლკონსკის ელჩობა – 1637 წელი.

– თეიმურაზ I-ის იმერეთს გადასვლა – 1648 წელი.

აქედან, სარგის კაკაბაძე ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს დათუნა არაგვის ერისთავის მოკვლის (1635 წ.) შემდეგ და თეიმურაზ I-ის კახეთში გამეფებამდე (1636 წ.) გადმოგვცემს, ხოლო ქართლის ფეოდალების შეთქმულების ამბავს თავადი ვოლკონსკის ელჩობის შემდეგ (1637 წ.) და თეიმურაზ I-ის იმერეთში გადასვლამდე (1648 წ.) მოგვითხრობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუკი დავასკვნით, რომ სარგის კაკაბაძე ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს 1635-1636 წლებით ათარიღებდა, ქართლის ფეოდალების შეთქმულების ქრონოლოგიას კი 1637-1648 წლებით განსაზღვრავდა.

აქვე, ხაზგასმით შევნიშნავთ იმ ფაქტს, რომ სარგის კაკაბაძის განხილული ნაშრომი საკმაოდ სპეციფიური ხასიათის პუბლიკაციას წარმოადგენს. იგი ერთგვარი სახელმძღვანელო წიგნია და პრაქტიკულად, არ შეიცავს ბიბლიოგრაფიულ მითითებებს. შესაბამისად, თითქმის შეუძლებელია, ზუსტად განისაზღვროს, კონკრეტულად რომელ წერილობით წყაროსა თუ სამეცნიერო გამოკვლევას ემყარება ავტორი მის მიერ აღწერილი მოვლენების გადმოცემა-დათარიღებისას. აღნიშნული, ცხადია, ეხება ჩვენთვის საინტერესო ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბებსაც, რომელთა სარგის კაკაბაძისეული ინტერპრეტაცია, ნაშრომში, აგრეთვე, რაიმე არგუმენტაციის გარეშეა წარმოდგენილი.

სარგის კაკაბაძის შემდეგ ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს საგანგებოდ შეეხო კორნელი კეკელიძე 1930 წელს დაბეჭდილ წიგნში – „შვიდი მთიები (ბარამ-გური)“ (კეკელიძე 1930: 10).

ვინაიდან „ბარამ-გური“ სპარსულიდან ქართულად სწორედ ჩვენთვის საინტერესო ნოდარ ციციშვილის მიერ იყო ნათარგმნი, კორნელი კეკელიძემ ვრცელი მსჯელობა მიუძღვნა მის ბიოგრაფიულ დეტალებს და სხვა საკითხებთან ერთად, ნოდარის მიერ როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი გამოსვლაც განიხილა.

მკვლევრის თქმით, „1640 წელს დიდგვარიანმა თავადებმა, ნოდარის მონაწილეობით, განიზრახეს როსტომის მოკვლა და მის მაგიერ იმერეთის ბატონიშვილის მამუკას გამეფება;

ეს რომ ვერ მოახერხეს, 1641 წელს მათ მოუწოდეს თეიმურაზ პირველს და მასთან ერთად მოინდომეს ომით გაძევება მისი საქართველოდან და თეიმურაზის გამეფება. როსტომი შეუპოვრად გაემართა შეთქმულების წინააღმდეგ. ნოდარმა შებმა ვეღარ გაბედა, გაიქცა და ჯერ ვერის ციხეს შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ ზოვრეთის ციხეში გამაგრდა, როსტომმა ციხეს შემოარტყა ალყა, რომელიც 1642 წლის 6 იანვრამდე გაგრძელდა; ნოდარის მხლებლებს მოსწყინდათ ციხეში ჯდომა და მოინდომეს მისი გაცემა. ეს რომ ნოდარმა გაიგო, ჩათრეულს ჩაყოლილი ამჯობინა; მან როსტომთან მიგზავნა თავისი დედა და სთხოვა მას ნებართვა და გზა სამცხეში წასასვლელად. როსტომმა თხოვნა შეიწყნარა, ათხოვა მას ცხენები და კაცები ბარგის გადასაზიდად და ამალის გადასაყვანად“ (კეკელიძე 1930: 10).

აღნიშნული მსჯელობისას კორნელი კეკელიძე მთლიანად ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიას“ ემყარება, რასაც უთითებს კიდეც სქოლიოში. ამიტომაც მკვლევარს ჩვენთვის საინტერესო ამბები ზუსტად იმ თანამიმდევრობით აქვს აღწერილი, რა თანამიმდევრობითაც არის ეს მოვლენები გადმოცემული ფარსადანის თხზულებაში.

კითხვა მხოლოდ კორნელი კეკელიძის მიერ შემოთავაზებულ თარიღთან დაკავშირებით ჩნდება. რა მოსაზრებაზე დაყრდნობით ათარიღებს მკვლევარი ნოდარ ციციშვილის გამოსვლას მაინცადამაინც 1641 წლის მიწურულითა და 1642 წლის დასაწყისით? ფარსადან გორგიჯანიძეს ხომ ეს ამბავი ზოგადად 1642-1644 წლებს შორის აქვს მოთხრობილი? სამწუხაროდ, ამ საკითხის შესახებ აღნიშნული პუბლიკაცია არანაირ მითითებას არ გვაწვდის.

მიუხედავად ამისა, ერთი რამ ფაქტია – კორნელი კეკელიძეს ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ქრონოლოგია 1641 წლის მიწურულითა და 1642 წლის 6 იანვრამდე პერიოდით აქვს განსაზღვრული.

კორნელი კეკელიძის შემდეგ ნოდარ ციციშვილის გამოსვლის საკითხს ირიბად შეეხო გივი ჯამბურია თავის 1955 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში – „ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან“ (ჯამბურია 1955: 27-28).

ნაშრომში ავტორი საგანგებოდ დაინტერესდა ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ბიოგრაფიით და ყურადღება გაამახვილა ვახუშტი ბაგრატიონის ერთ ცნობაზე, რომლის

თანახმადაც მეფე როსტომმა ქაიხოსრო მოაკვლევინა 1636 წელს, დიდი ხნით ადრე მომხდარი ამბის – ბირთვისის ციხეში მდგომი 500 ირანელის ამოჟლეტის (1625 წ.) გამო: ,,კუალად როსტომ მოიკსენა შური ყიზილბაშთაჯს, რომელი მოსწყჯდნა მოურავმან ბირთჯსს, და შეიპყრა ქაიხოსრო ბარათასშვილი სისხლთა მათათჯს და გარდამოაგდო ციხიდამ განჯის კარისაკენ მაღლის გოდლიდამ“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 440).

იმავდროულად, გივი ჯამბურიამ სარწმუნოდ არ მიიჩნია ვახუშტი ბაგრატიონის აღნიშნული ცნობა და მასთან შედარებით, უპირატესობა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებას მისცა, სადაც ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის ამბავი ნოდარ ციციშვილის გამოსვლასთან არის დაკავშირებული. მკვლევრის თქმით, ,,500 ყიზილბაშის ამბავი ნამდვილი მიზეზი ვერ იქნებოდა ქაიხოსროს დაღუპვისა (წინააღმდეგ შემთხვევაში, როსტომს შური ადრევე უნდა ეძია. ის უკვე 4 წლის მოსული იყო ქართლში). მართლაც, ფ. გორგიჯანიძე სულ სხვა მიზეზს ასახელებს ქაიხოსროს დაღუპვისას. აღწერს რა ნოდარ ციციშვილის წინააღმდეგ როსტომის გალაშქრებას და გამარჯვებას, წერს: ,,მეორეს დღეს გორიდამენ ქალაქს ჩაფარი გაგზავნეს და ქაიხოსრო ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს: ,,დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო და ამისი შვილები დააჭირვინეს და გორის ციხეში დაატყვევეს და მისი სიძე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატოანი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდაიხვეწა და კახეთს მივიდა“. აქ უკვე გარკვევითაა ნათქვამი, რომ ქაიხოსროს კავშირი ჰქონია ნოდარ ციციშვილის აჯანყებასთან და ეტყობა საკუთარი გეგმებიც ჰქონია. მისი სიძე ბახუტა ჰუსეინბეგის შვილი ,,ბაგრატოანი იყო“ და რომელსაც ,,ბატონობაც უნდოდა“, მხოლოდ ქაიხოსროს დახმარებით მიაღწევდა რაიმეს. როგორც ჩანს, ეს საქმე გამჟღავნებულა. ეს იყო სწორედ მიზეზი ქაიხოსროს სიკვდილით დასჯისა. როგორც ჩანს, ქაიხოსრო თავადთა იმ წრეებს კუთვნებია, ,,რომელთაც არა ერთი შეთქმულება ჩაეშალათ, არა ერთი შეთქმულება წააგეს როსტომის წინააღმდეგ“. ერთ-ერთი წაგებული შეთქმულების შედეგია ქაიხოსროს დაღუპვაც“ (გივი ჯამბურია 1955: 28).

ამრიგად, გივი ჯამბურია ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის მოკვლის ამბავს ვახუშტი ბაგრატიონზე დაყრდნობით, 1636 წლით ათარიღებს (ჯამბურია 1977: 200).

ამასთან, მკვლევარი ქაიხოსროს მოკვლის მიზეზთან დაკავშირებით, უპირატესობას ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობს აძლევს და მიიჩნევს, რომ ქაიხოსრო სიკვდილით ნოდარ ციციშვილის გამოსვლასთან კავშირის გამო დასაჯეს. აქედან, უკვე ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ გივი ჯამბურიას აზრით, ნოდარ ციციშვილის გამოსვლას ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის პარალელურად ანუ 1636 წელს ჰქონდა ადგილი (ჯამბურია 1977: 200).

გივი ჯამბურიას შემდეგ ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს ვრცლად შეეხო დავით გვრიტიშვილი თავის 1955 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში – „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან“ (გვრიტიშვილი 1955: 442-444).

თავდაპირველად დავით გვრიტიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „XVII საუკუნის 40-იან წლებში საციციანოს უფროსად ნოდარ ციციშვილი“ იყო, ამის შემდეგ კი, დეტალურად მოგვითხრობს მის მიერ როსტომის წინააღმდეგ ორგანიზებული გამოსვლის ამბავს. მკვლევარს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის ცალკეული ეტაპები შემდეგი თანამიმდევრობით აქვს გადმოცემული:

– იმერელი თავადების – ჩხეიძეების ქართლში გადმოსვლა და ადგილობრივი ფეოდალების წაქეზება როსტომის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ.

– ნოდარ ციციშვილის, ამილახორისა და ქსნის ერისთავის მიერ კავშირის გაბმა ჩხეიძეებთან; ერთობლივი სამზადისის დაწყება როსტომის წინააღმდეგ გამოსვლისა და ქართლში თეიმურაზ I-ის გამეფებისათვის.

– ნოდარ ციციშვილის მიერ „სამარტოდ გამარჯვების“ მონდომება და გამოსვლის დაწყება თეიმურაზ I-თან, ქსნის ერისთავთან და ამილახორთან შეთანხმების გარეშე, საციციანოს ლაშქრის შეკრება და იმერელ დიდებულებთან ერთად ხოვლეში დაბანაკება.

– როსტომის მიერ იორამ სააკაძისაგან ნოდარის გამოსვლის ამბის გაგება, თბილისისაკენ მიმავალი გზების შეკვრა და დედაქალაქში მყოფი სამხედრო ძალების მობილიზება; იმავე ღამით როსტომის ლაშქრის კავთისხევს მისვლა, იორამ სააკაძის რაზმებთან გაერთიანება და გამთენიისას ხოვლესთან დაბანაკება.

– ნოდარ ციციშვილის მიერ ხოვლესთან ჩხეიძეების მიტოვება და წინდაწინ ვერის ციხეში გამაგრება; ხოვლეს ბრძოლის დაწყება და როსტომის მიერ ზურგმოუბმელი

ჩხეიძეების დამარცხება.

– როსტომის მიერ თბილისს ჩაფარის გაგზავნა, დედაქალაქში მყოფი ქაიხოსრო ბარათაშვილის შეპყრობა და სიკვდლით დასჯა; ქაიხოსროს შვილების გორის ციხეში დატყვევება და ქაიხოსროს სიძის, ქართლის სამეფო ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტის კახეთს გადახვეწა.

– როსტომის მიერ საცაციანოს დაკავება და მისი ტერიტორიის ერთგული მოლაშქრეებისათვის დანაწილება; ნოდარ ციციშვილის მიერ ვერის ციხის დაკარგვა და მძოვრეთის ციხეში გაქცევა.

– როსტომის გორს დაბანაკება, სკრას ზემოთ მდებარე საციციანოს დარბევა, გორის ციხიდან ზარბაზნების წაღება და მძოვრეთის ციხისათვის ალყის შემორტყმა;

– მძოვრეთის ალყის გაჭიანურება და ნოდარ ციციშვილის ყმების მხრიდან ღალატის მცდელობა; ნოდარის მიერ დედის, კახელი ბატონიშვილის როსტომთან გაგზავნა და „გაცლის გზის“ თხოვნა.

– როსტომის მიერ ნოდარისათვის უვნებლობის ფიცის მიცემა და სამგზავრო პირუტყვის თხოვება; ნოდარ ციციშვილის გამოსვლა მძოვრეთის ციხიდან და საკუთარი ქონებით ახალციხეს წასვლა (გვრიტიშვილი 1955: 442-444; 452-453).

ამრიგად, დავით გვრიტიშვილი არამხოლოდ დაწვრილებით აღწერს ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს, არამედ დაახლოებით ათარიღებს კიდეც მას. მკვლევრის თქმით, ამ ჩვენთვის საინტერესო მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა XVII საუკუნის 40-იან წლებში ანუ მაშინ, როცა საციციანოს უფროსი ნოდარ ციციშვილი იყო.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მკვლევარს განხილულ ნაშრომში განმარტებული არ აქვს, თუ კონკრეტულად რა მოსაზრებებზე დაყრდნობით დაათარიღა ნოდარის საციციანოში უფროსობა და შესაბამისად, მისი როსტომის წინააღმდეგ გამოსვლის ამბავი მაინცადამაინც XVII საუკუნის 40-იან წლებით. დასასრულ, შევნიშნავთ იმასაც, რომ დავით გვრიტიშვილი აღნიშნულ მოვლენას, ძირითადად, ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობზე დაყრდნობით განიხილავს, თუმცა კი შენიშნავს, რომ ამ ამბის შესახებ მცირე ცნობები ბერი ეგნატაშვილთან და ვახუშტი ბაგრატიონთანაც არის დაცული.

დავით გვრიტიშვილის შემდეგ ქართლის ფეოდალთა შეთქმულებას ირიბად შეეხო

ბაბული ლომინაძე თავის 1966 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „მასალები საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის“ (ლომინაძე 1951: 67-68). მეცნიერს აღნიშნულ ნაშრომში დადგენილი აქვს ამ პერიოდის ქართლის კათალიკოსთა მოღვაწეობის ქრონოლოგია და მათ შორის XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის კათალიკოსის ევდემოზ I დიასამიძის მოღვაწეობის წლები. ავტორი მას შემდეგ, რაც ევდემოზ I-ის კათალიკოსობას ქართულ საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით 1630-1638 წლებით განსაზღვრავს, ამის შემდეგ ამბობს, რომ „ევდემოზი, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, როსტომ მეფეს გადაუყენებია კათალიკოსობიდან და დაუპატიმრებია, ბოლოს ციხიდან გადმოგდებით სიკვდილით დაუსჯია. იკორთის ქრონიკა ევდემოზის მკვლელობას 1643 წლით უჩვენებს“ (ლომინაძე 1951: 68).

მართალია, მეცნიერს მშრალად აქვს მოთხრობილი ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბავი, თუმცა გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. მან პირველად ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ევდემოზის სიკვდილთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა იკორთის ქრონიკაზე, რომლის მიხედვით „ქკს ტლა: აქა კათალიკოზი ევდემოს მოკლეს“ (ჟორდანია 1897: 456). იკორთის ქრონიკაში დაცულ ევდეემოზ I-ის მოკვლის ქორონიკონს ტლა (1643 წ.) თუ შეუჯერებთ ზემოთმოყვანილი ქართული და სპარსული წყაროების მონაცემებს ევდემოზ კათალიკოზის ქართლის ფეოდალთა შეთქმულებაში მონაწილეობისა და როსტომის მიერ მისი სიკვდილი დასჯის შესახებ, მაშინ ცალსახად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბაბული ლომინაძე კათალიკოს ევდემონ დიასამიძისა და შესაბამისად ქართლის ფეოდალთა შეთქმულებას 1643 წლით განსაზღვრავს.

ბაბული ლომინაძის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა გივი ჯამბურია. მკვლევარმა 1973 წელს დაბეჭდილი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომისათვის მოამზადა ერთ-ერთი ქვეთავი სახელწოდებით – „საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90 წლებში“, სადაც ვრცლად არის განხილული როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლა-შეთქმულებებთან დაკავშირებული საკითხები (ჯამბურია 1973: 320-322).

გივი ჯამბურიას როსტომის ქართლში გამეფების შემდეგდროინდელი ამბები ასეთი

თანამიმდევრობით აქვს მოთხრობილი:

– როსტომის გამეფება ქართლში, თბილისის, გორისა და სურამის ციხეების გამაგრება და აქ ირანული გარნიზონების ჩაყენება; ქართლის ფეოდალთა დამორჩილება როსტომისადმი, თეიმურაზ I-ის მომხრე სახელმწიფო მოხელეების გადაყენება და როსტომის ერთგულ პირთა დაწინაურება; როსტომის პირველი ქორწინება ქეთევან აბაშიშვილზე და მეორე ქორწინება მარიამ დადიანზე.

– დათუნა არაგვის ერისთავის აჯანყება, მისი ღალატით მოკვლა როსტომის მიერ და ქართლის მეფის შეჭრა არაგვის საერისთავოში; ზაალის გაერისთავება და მისი მოწვევით თეიმურაზ I-ის მოსვლა ანანურს; თეიმურაზ I-ის, ზაალ არაგვის ერისთავის, იასე ქსნის ერისთავისა და კახელი ფეოდალების გალაშქრება როსტომი წინააღმდეგ; თეიმურაზ I-ის დამარცხება და მისი კახეთს გადასვლა; კახეთის ირანელი მმართველის სელიმ-ხანის გაძევება და თეიმურაზ I-ის გამეფება კახეთში.

– როსტომის გაძლიერება აზერბაიჯანიდან მოსული ლაშქრით და მისი კახეთში შეჭრა; თეიმურაზის მიერ შუამავლების გაგზავნა როსტომთან და დაპირისპირებული მხარეების შერიგება; თეიმურაზ I-ის ასულის თინათინის გაგზავნა ირანში და შაჰ სეფი I-ზე ქორწინება; შაჰის მიერ თეიმურაზ I-ის კახეთის მეფედ აღიარება (ჯამბურია 1973: 315-320).

ჩამოთვლილი ამბების გადმოცემის შემდეგ გივი ჯამბურია მოკლედ აღნიშნავს: „ერთხანს მართლაც მშვიდობიანობა ჩამოვარდა თეიმურაზსა და როსტომს შორის. როსტომმა შეირიგა ქართლის თავადები: ორივე ერისთავი, იოთამ ამილახორი და სხვები. მაგრამ, მშვიდობა მალე დაირღვა. თეიმურაზი კვლავ დიდი მონდომებით ცდილობდა როსტომის გაძევებასა და ქართლის ტახტის დაჭერას. ამ საქმეში მას მხარს უჭერდა ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი ნოდარ ციციშვილისა და ზაალ ერისთავის მეთაურობით. მათ რამდენჯერმე მოაწყვეს გამოსვლა როსტომის წინააღმდეგ (1636, 1638, 1642 წლებში), მაგრამ ისინი მარცხით დამთავრდა“ (ჯამბურია 1973: 320).

ამის შემდეგ გივი ჯამბურია როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი და მის მიერ ნახსენები 1636, 1638, 1642 წლების გამოსვლა-შეთქმულებებიდან მხოლოდ ბოლო გამოსვლაზე ამახვილების ყურადღებას და ვრცლად გადმოგვცემს ამ ამბავს: „1642 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო როსტომის წინააღმდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ:

ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე (მისი სიძე იყო თეიმურაზის ვაჟი დავითი), გიორგი გოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, სომხითის მელიქი ყორხმაზბეგ და სხვა. შეთქმულების მიზანი იყო როსტომის (რომელიც „ცოტას კაცით ცხირეთს“ იყო) მოკვლა და თეიმურაზის ქართლში გამეფება.

გადამწყვეტ მომენტში შეთქმულება გასცა სომხითის მელიქმა. როსტომი გორის ციხეში გამაგრდა. თეიმურაზმა, რომელიც უკვე მეტეხს მისულიყო, გაიგო შეთქმულების გაცემა და კახეთს გაბრუნდა. ქართლელი შეთქმულებიდან ზოგი – რევაზ ბარათაშვილი, ივანე სააკაძე – გადაიხვეწა, ზოგი გოჩაშვილი, კათალიკოსი, ზურაბ სააკაძე, ერისთვისშვილი ლარგველი როსტომმა შეიპყრო, გოჩაშვილსა და ზ. სააკაძეს თვალები დასთხარეს, კთალიკოსი ჯერ თბილისის ციხეში დაატყვევეს, მერე „და[ა]რჩვეს და ციხიდამ გადმოაგდეს“. ასე სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს როსტომი.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როსტომს ირანის შაჰისათვის მიუწერია თეიმურაზისა და ქართლის თავადთა ახალი აჯანყების შესახებ. მოთმინებიდან გამოსულმა შაჰმა დიდი ჯარი შეჰყარა, „ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, როსტომ მეფის დისწული“ სარდლად დანიშნა და საქართველოში გამოგზავნა, როსტომს კი შემოუთვალა: ბატონი თეიმურაზ გააგდონ და მის ალაგზედ კახეთში ადამ სულთან ანდრონიკაშვილი გააბატონონო. ამ ფაქტს შაჰ-აბას II-ის ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერიც ადასტურებს.

ყიზილბაშთა დიდი ჯარი კახეთში შემოვიდა. როგორც ჩანს, თეიმურაზი და მისი მომხრე თავადები: ნოდარ ციციშვილი (რომელიც როსტომის მიერ სამცხეში იყო გაგდებული) და ზაალ ერისთავი შეშფოთებულან და როსტომთან ნოდარის დაᲂ და ზაალის სიდედრი „ბატონი ანახანუმ“ მიუგზავნიათ და შერიგება უთხოვიათ. როსტომი ზაალს შეურიგდა იმ პირობით, რომ იგი ირანში წავიდოდა. ზაალი დათანხმდა. ზაალი და ნოდარი მეფესთან მივიდნენ და „ფეხს აკოცეს“. მან ნოდარს საციციანო დაუბრუნა. ზაალი კი ცოტა მოგვიანებით ირანში წავიდა. მას თან გაჰყვა ხელახლა შემორიგებული იოთამ ამილახვარიც. რაც შეეხება თეიმურაზს, როგორც ჩანს, როსტომს იგიც „შეუნდვია“, რადგან კახეთში ლაშქრობა 1644 წელს მოშალეს და „ადამ სულთან ერანის ლაშქრით ისრევ დააბრუნეს“ უკან“ (ჯამბურია 1973: 321-322).

ზემოთ ჩამოთვლილი მრავალრიცხოვანი მოვლენებიდან გივი ჯამბურიას პირდაპირ

მხოლოდ რამდენიმე ამბავი აქვს დათარიღებული:

– როსტომის გამეფება ქართლში – 1632 წ.

– როსტომის ერთგულ მოხელეთა დაწინაურება ქართლში – 1633-1634 წწ.

– როსტომის პირველი ქორწინება – 1632-1633 წწ.

– როსტომის მეორე ქორწინება – 1633 წ.

– თეიმურაზ I-ის გამეფება კახეთში – 1634 წ.

– თეიმურაზ I-ისა და ქართლის ფეოდალთა გამოსვლები როსტომის წინააღმდეგ – 1636 და 1638 წლები.

– თეიმურაზ I-ის, კათოლიკოს ევდემონის, გიორგი გოჩაშვილისა და სხვა ფეოდალთა შეთქმულება როსტომის წინააღმდეგ – 1642 წელი.

აღნიშნული თარიღებიდან ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი სამი გამოსვლის თარიღი – 1636, 1638 და 1642 წლები. სამწუხაროდ, გივი ჯამბურიას ნაშრომში განმარტებული არ აქვს, როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი და ისტორიული წყაროებით დადასტურებული რამდენიმე გამოსვლიდან კონკრეტულად რომელ ორ გამოსვლას ათარიღებს 1636 და 1638 წლებით. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მკვლევარს 1636 წლით დათარიღებული აქვს ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავი, რომელიც მისსავე 1955 წლის ნაშრომში სწორედ 1636 წლით არის განსაზღვრული (იხ. ზემოთ). რაც შეეხება 1642 წლით დათარიღებულ გამოსვლას, ამასთან დაკავშირებით გივი ჯამბურია პირდაპირ აღნიშნავს, რომ ხსენებულ ფაქტში გულისხმობს გამოსვლას, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ იღებდნენ კათოლიკოსი ევდემონი და გიორგი გოჩაშვილი.

სამწუხაროდ, ნაშრომიდან პირდაპირ არც ის ჩანს, სახელდობრ რა არგუმენტაციაზე დაყრდნობით ათარიღებს გივი ჯამბურია აღნიშნულ გამოსვლებს მაინცადამაინც 1636, 1638 და 1642 წლებით. ვიცით მხოლოდ, რომ მკვლევარი როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლებზე საუბრისას მთლიანად ეყრდნობა ზემოთ უკვე ციტირებული ავტორების: ფარსადან გორგიჯანიძის, მოჰამედ თაჰერის, არჩილ II-ის, ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებს.

გივი ჯამბურიას პარალელურად, ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს კიდევ ერთი

ქართველი ისტორიკოსი, ოლღა სოსელიაც შეეხო. მკვლევარი თავის 1973 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში – „ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“, დაწვრილებით შეისწავლის ჩხეიძეების ფეოდალური სახლის ისტორიას (სოსელია 1973: 40) და სხვა საკითხებთან ერთად, მოკლედ განიხილავს ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა მონაწილეობის ფაქტს ნოდარ ციციშვილის გამოსვლაში.

მისი თქმით, „ჩხეიძეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს იმ შეთქმულებაში, რომელიც როსტომ მეფის წინააღმდეგ მოეწყო ნოდარ ციციშვილისა და სხვათა თაოსნობით. შეთქმულების მონაწილეებს ქართლში იმერეთის ბატონიშვილის მამუკას გამეფება უნდოდათ. შეიძლება ეს აზრი ახალციხეში შემუშავდა საფარ ფაშას მონაწილეობით. ქართლში სულთნის ხელდებულის, იმერეთის უფლისწულის გამეფების იდეა ოსმალთა ინტერესებს შეესაბამებოდა, რადგან ამ იდეის განხორციელება ირანის პოზიციებს ამიერკავკასიაში დიდად შეასუსტებდა. მაგრამ შეთქმულება გამომჟღავნდა. მამუკა ბატონიშვილი იძულებული გახდა ისევ ახალციხეში გადასულიყო. მისი მომხრე ჩხეიძეები კი ქართლში დარჩნენ და ახლა თეიმურაზის სასარგებლოდ „ძალმიცემით“ იბრძოდნენ. მაგრამ თეიმურაზის მომხრეთა ჯგუფი დამარცხდა. ჩხეიძეები მეფეს ტყვედ ჩაუვარდნენ და ირანს გაგზავნეს. რამდენიმე ხნის შემდეგ როსტომმა გიორგი და ოტია ჩხეიძეები ირანიდან „მოაყვანინა“, ხოლო ბეჟია და ხუცია „ყაენის კარს დარჩნეს“ (სოსელია 1973: 40).

როგორც ვხედავთ, ოლღა სოსელია საერთოდ არაფერს ამბობს ნოდარ ციციშვილის გამოსვლის თარიღის შესახებ და მხოლოდ იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ამ გამოსვლაში მონაწილეობას იღებდნენ ბეჟია, ოტია, გიორგი და ხუცია ჩხეიძეები. აქვე, შევნიშნავთ იმასაც, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლაზე საუბრისას ოლღა სოსელია, ძირითადად, ეყრდნობა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებას, აგრეთვე, ერთ ქართულ-სპარსულ ისტორიულ საბუთს, სადაც ირანში გაგზავნილი ჩხეიძეების ამბებია აღწერილი.

ოლღა სოსელიას შემდეგ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულებების ამბებს შეეხო ნოდარ ნაკაშიძე თავის 1977 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „წიწამურიდან ბახტრიონამდე“ (ნაკაშიძე 1977: .160-163).

მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო მოვლენების განხილვამდე მოკლედ აღნიშნავს,

რომ „1635-1639 წლებში ადგილი ჰქონდა მთელი ქართლის აჯანყებას როსტომის წინააღმდეგ“ (ნაკაშიძე 1977: 158).

ამის შემდგომ ავტორი როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლა-შეთქმულებებს შემდეგი თანმიმდევრობით გადმოგვცემს:

– თეიმურაზ I-ის გამოსვლა ქართლელ (ზაალ არაგვის ერისთავი, იასე ქსნის ერისთავი, მუხრანის ბატონი, იოთამ ამილახორი) და კახელ დიდებულებთან ერთად როსტომ მეფის წინააღმდეგ. როსტომის მიერ ქართლში მყოფი ირანელებისა და სომხით-საბარითიანოს ლაშქრის მეშვეობით თეიმურაზის დამარცხება. დამარცხებული თეიმურაზის გადასვლა კახეთს.

– შაჰ-სეფის მიერ როსტომისათვის ქართლის სამეფოში მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, აზერბაიჯანის ჯარის გამომგზავნა. როსტომის გალაშქრება კახეთს თეიმურაზის წინააღმდეგ. თეიმურაზ I-ის მიერ ქართლის მეფისათვის „სახვეწრის წიგნების“ გაგზავნა და დაპირისპირებული მხარეების მორიგება. თეიმურაზის ინიციატივით თავისი ქალიშვილის თინათინის ირანს გაგზავნა და შაჰის მიერ მისი ცოლად შერთვა. ირანის მმართველის მიერ თეიმურაზისათვის რაყამის გაგზავნა და კახეთის მეფედ მისი ხელმეორედ აღიარება.

– ქართლის მსხვილი ფეოდალების – ნოდარ ციციშვილის, ზაალ არგვის ერისთავის, აისე ქსნის ერისთავისა და იოთამ ამილახორის თაოსნობით როსტომის წინააღმდეგ აჯანყების განახლება.

– ნოდარ ციციშვილის აჩქარება, მის მიერ მოკავშირეებისათვის არ მოცდა და იმერელ დიდებულებთან – ჩხეიძეებთან ერთად როსტომის წინააღმდეგ გამოსვლა. ქართლის მეფის მიერ ხოვლეში აჯანყებულებთან შებმა და მის მიერ ამბოხებულთა დამარცხება.

– ქართლის თავადთა მიერ მოწყობილი კიდევ ერთი მკვლელობის მცდელობა როსტომ მეფისა სასახლის აბანოში. შემთხვევის წყალობით ქართლის მეფის სიკვდილისაგან გადარჩენა და შეთქმულთა მცდელობის ჩავარდნა.

– ქართლის ფეოდალების (კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოჩაშვილი, ერისთვისშვილი ლარგველი, რევაზ ბარათაშვილი, ივანე სააკაძე, ზურაბ სააკაძე) მაშტაბური შეთქმულება როსტომის წინააღმდეგ. ქართლის მეფის მიერ ქართულ-

ყიზილბაშური ლაშქართან ერთად მაღაროსთან მარტოდ მყოფ თეიმურაზზე თავდასხმა. კახეთის მეფის მხრიდან როსტომისათვის წინააღმდეგობის გაწევა და ქართლის მეფის უკან დახევა.

– შაჰ-სეფის საპასუხო რეაქცია. მისი ბრძანებით, როსტომ მეფის დისშვილის – ადამ-სულთან ანდრონიკაშვილის მეთაურობით ქართლში ყიზილბაშთა დამხმარე ლაშქრის გამოგზავნა. შაჰის განკარგულება გაცემული როსტომისადმი თეიმურაზის კახეთიდან გაძევებისა და მის ადგილზე ადამ-სულთან ანდრონიკაშვილის გამეფების შესახებ.

– ირანის დამხმარე ჯარით გაძლირებული ქართლის მეფის კახეთს ლაშქრობა და მის მიერ თეიმურაზის დამარცხება. როსტომის განმეორებითი „კომპრომისი“ კახეთის მეფის მიმართ, მისივე ბრძანებით, ლაშქრობის მოშლა და თეიმურაზისათვის კახეთის ტახტის შენარჩუნება.

– როსტომის მიერ სიკვდილით დასჯილ კათალიკოს ევდემონ დიასამიძის ნაცვლად ქართლის კათალიკოსად ქრისტეფორე ურდუბეგაშვილის დანიშვნა (ნაკაშიძე 1977: 156-163).

მეცნიერი ზემოთჩამოთვლილი მოვლენებიდან მხოლოდ ერთ – ნოდარ ციციშვილის გამოსვლას ათარიღებს და ამ ფაქტს 1636 წლით განსაზღვრავს. იგი დანარჩენი მოვლენების და მათ შორის ქართლის ფეოდალთა მასშტაბური შეთქმულების შესახებ რაიმე კონკრეტულ თარიღს არ იძლევა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, მკვლევრის მიერ აღნიშნული მოვლენების წინ გაკეთებულ შენიშვნას 1635-1639 წლებში როსტომის წინააღმდეგ მთელი ქართლის გამოსვლის შესახებ, ამასთან ერთად თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ ნოდარ ნაკაშიძე ქართლის ფეოდალთა შეთქმულება ნოდარ ციციშვილის გამოსვლის შემდეგ აქვს მოცემული, მაშინ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იგი ქართლის ფეოდალთა მასშტაბურ შეთქმულებას ზოგარდი ქრონოლოგიური მონაკვეთით – 1636-1639 წლებით განსაზღვრავდა. ავტორი ამ ამბების გადმოცემისას ქართულ (ფარსადან გორგიჯანიძე, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი) და სპარსულ (მოჰამედ თაჰერი) წყაროებს ეყრდნობა.

ნოდარ ნაკაშიძის შემდეგ ქართლის ფეოდალთა შეთქმულება ხელმეორედ განიხილა ოლღა სოსელიამ. ავტორი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის IV ტომისათვიხ მომზადებულ

ერთ-ერთ სტატიაში აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ევდემოზ I-ის შესახებ ამბობს, რომ „ევდემოზ I (დიასამიძე) (გ. 1643) აღმ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1630-1638 წწ. ე. I მონაწილეობდა ქართლის მეფის როსტომის (1632-1658 წწ.) წინააღმდეგ შეთქმულებაში. შეთქმულების მიზანი იყო როსტომის გადაყენება და გაერთ. ქართლ-კახეთის ტახტზე კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მოწვევა. შეთქმულების დამარცხების შემდეგ ე. I სხვებან ერთად დააპატიმრეს და როსტომის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს“ (ლომინაძე 1979: 31).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი ჩვენთვის საინტერესო მოვლენას წინა ნაშრომისაგან განსხვავებით უფრო დეტალურად აღწერს. აქ უკვე მკვლევარი გარკვევით ამბობს, რომ ევდემოზ კათალიკოსისა და შესაბამისად ქართლის ფეოდალთა შეთქმულებას 1643 წელს ჰქონდა ადგილი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აღნიშნული ამბის დათრიღებისას მეცნიერი ეყრდნობა იკორთის ქრონიკაში დაცულ ევდემოზ კათალიკოსის მოკვლის მოცემულ თარიღს – ქორონიკონს ტლა-ს (1643 წ.).

ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბები ვრცლად განიხილა გულქან ჟორჟოლიანმა თავის 1987 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიაში – „აღმოსავლეთ საქართველო XVII საუკუნის 30-50 წლებში“ (ჟორჟოლიანი 1987: 69-72).

მკვლევრის აზრით, როსტომის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა თეიმურაზ I-ისა და ქართლის ფეოდალთა სამ გამოსვლას. გულქან ჟორჟოლიანი ცალ-ცალკე განიხილავს თითოეულ გამოსვლას.

I გამოსვლა: „როსტომთან თეიმურაზის მომხრე თავადების შემორიგება (იგულისხმება ფარსადან გორგიჯანიძის მიერ 1637 წლით დათარიღებული ამბავი როსტომის მიერ ამბოხებული ქართლელი ფეოდალების – იასე ქსნის ერისთავისა და ნოდარ ციციშვილის შეწყალების შესახებ – თ. გ.) ხანმოკლე აღმოჩნდა. შინაფეოდალური ომი კვლავ მძვინვარებდა. 1637 წელს მან სერიოზული ხასიათი მიიღო. ნოდარ ციციშვილმა როსტომ მეფეზე „სამარტოთ“ გამარჯვება მოინდომა. არც თეიმურაზი, არც არაგვის ერისთავი და არც ამილახორი ამ საქმეში არ ჩარია. იმერეთის „საბატიოს კაცის შვილები ჩხეიძენი“, რომლებიც „ომნაცადნი კაცნი იყვნენ გვერდს იახლა“, საციციანოს ლაშქრით საჯავახიანოში შეიჭრა. „ხოვლეთს ჩამოჴდა“ და ვინც ლაშქრით არ შემოეყარა ყველას

მამულები დაურბია. როსტომის ერთგულმა იორამ მოურავისშვილმა (გიორგის სააკაძის შვილმა) აჯანყების დაწყება დაუყოვნებლივ მეფეს აცნობა. მეფის მკაცრი ბრძანებით, ქალაქის მოურავმა, თბილისის მცხოვრებთა სრული მობილიზაცია გამოაცხადა და „თათართა, ქართველთა და სომეხთა“ დიდი ლაშქარი შეჰყარა. როსტომის განკარგულების შესაბამისად ვინც ცხენით არ გამოვიდოდა, თავს მოჰკვეთდნენ. შუაღამისას, კავთისხევს მისულ როსტომ მეფეს იორამ მოურავისშვილი „გარეშემოს ლაშქრით“ წინ მოეგება. ელიზბარ ბოქაულთუხუცესმა ყველა, ვისაც „ცხენთ შეიძლება ჰქონდა“ სალაშქროდ გამოიყვანა. როსტომ მეფე საბარათიანოსა და ყიზილბაშთა ლაშქრის მოშველიებით ნოდარს ხოვლეში შეება. ნოდარ ციციშვილმა ჩხეიძეებს „ზურგი არ მოაბა“, თავიდანვე ვერის ციხეში გამაგრდა და საომრად არ გამოვიდა. ჩხეიძეები მამაცურად იბრძოდნენ: ზოგი მოკლეს და ბევრიც დაატყვევეს: ბეჟია ჩხეიძე იორამ მოურავისშვილმა იგდო ხელთ. ხუცია ჩხეიძე ფარეშთუხუცეს პაატა ჯავახიშვილს ხვდა წილად, „ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს და ზოგი ელიზბარ ბოქაულთუხუცესის ყმებთან დაატყვევეს“. მეფის ბრძანებით, დატყვევებულ, „მხარწაკრულ“ ჩხეიძეებს პატივით მოექცნენ. ვინც მამაცობა გამოიჩინა, ყველას „ჭალათი“ და ჯილდოდ მამულები უბოძეს. მალე ჩხეიძეები, ბოქაულთუხუცესის ელიზბარ დავითისშვილის ხელით როსტომმა ყაენთან გაგზავნა და არზა მისწერა: „ ქართველნი ჩემის უშვილობისათვის და უნათესაობისათვინ ურჩობენ“... „რადგან ჩემს საბოლოს ვერა ჭედვენო“. მეფე ქართლის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადების მიზნით შაჰს თავისი ბიძაშვილის, თეიმურაზ მირზას სამი შვილიდან ერთ-ერთის (მას პაპის – ლუარსაბის სახელი ერქვა) შვილად ბოძებას თხოვდა.

გამარჯვებულ როსტომს ნოდარ ციციშვილი დანებდა. მან პატიების სათხოვნელად მეფესთან თავისი დედა, კახეთის ბატონიშვილი მიგზავნა. მეფემ „უვნებლობის ფიცით“ ნოდარს დანაშაული აპატია. “ცხენ-ჯორი ათხოვა“ და ზოვრეთიდან ახალციხეში გადასვლის ნება დართო.

აჯანყებულთა დასასჯელად და ურჩი ფეოდალების დასათრგუნავად როსტომ მეფემ სათანადო ზომები მიიღო. დედოფლის სახლთუხუცესი ბარათაშვილი მეფის ღალატისათვის დაიჭირეს, ჯერ ციხეში დაამწყვდიეს, ხოლო შემდეგ, ღამით კოშკიდან გადმოაგდეს. თქვეს – „დამთვრალა და თვითონ გადმოვარდნილაო“. მალე მისი შვილებიც

დაატყვევეს და გორის ციხეში მოათავსეს. ზოგმა თავადმა გაქცევით უშველა თავს. ასე მაგალითად, სახლთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილის სიძე, ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი, რომელიც ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი იყო და პრეტენზია ჰქონდა სამეფო გვირგვინზე, კახეთში გადაიხვეწა. იოთამ ამილახორმაც თავისი ჯალაბით კახეთს შეაფარა თავი“ (ჟორჟოლიანი 1987: 69-70).

II გამოსვლა: „1638 წელს როსტომის წინააღმდეგ კვლავ შეთქმულება მოეწყო. შეთქმულების მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ შობა დღეს ახალგორში იოთამ ამილახორი და „ორნივ ერისთავი“ ერთმანეთს შეხვდებოდნენ და საფურცლეში თეიმურაზს შეუერთდებოდნენ. შემდეგ მცხეთაში მისულები პირობას დასდებდნენ, რომ როსტომის წინააღმდეგ მოქმედებას სისრულეში მოიყვანდნენ. როსტომ მეფემ თეიმურაზისა და თავადთა შეთქმულების შეტყობინებისთანავე კონტრზომები სასწრაფოდ მიიღო. მრავალრიცხოვანი ლაშქრით მეფე მუხრანში მივიდა. იქ „კარგი ჯარით ბახუტა (ვახტანგ მუხრანბატონი) შემოეყარა. ახალგორში განლაგებულ შეთქმულებს შობა დილას მოულოდნელად თავს დაესხნენ და დაამარცხეს. ვახტანგ მუხრანბატონმა მამაცობით გამოიჩინა თავი. ცხირეთს მყოფი როსტომ მეფე ხიფათისაგან იხსნა. მეფე სასწრაფოდ დაბრუნდა გორის ციხეში. თეიმურაზ მეფემ უკან დაიხია. ვახტანგ მუხრანბატონი „მიეწია და ავნო დიდი“.

შაჰის ნებართვით, ისფაჰანიდან ქართლის ტახტის მემკვიდრედ მაჰმადიანი ლუარსაბ ბაგრატიონის ჩამოყვანამ თეიმურაზისა და ქართლის ფეოდალების განაწყენება გამოიწვია“ (ჟორჟოლიანი 1987: 71).

III გამოსვლა: „1642 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ კვლავ დიდი შეთქმულება მოაწყვეს. შაჰ-აბას II-ის ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის ინფორმაციით, „თეიმურაზი შეუთანხმდა ზაალ ერისთავს – ყარა-ყალხანს, ნოდარ და იოთამ ამილახვრებს ... რათა როგორმე მოსპონ მეფობის საფარველი როსტომ მეფე“. როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ ამ ახალ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოჩაშვილი (რომელიც მეფობას თვითონვე მოელოდა). სომხითის მელიქი ყორხმაზბეგ ათაბეგისშვილი და სხვა ქართველნი. შეთქმულთა შორის ყველაზე აქტიურად ქართლის კათალიკოსი ევდემონ

დიასამიძე მოქმედებდა. (მისი ძმის ასული თეიმურაზის შვილის, დავით ბატონიშვილის ცოლი იყო). დადებული პირობის თანახმად, შეთქმულთა მიზანს „ცოტას კაცით“ ცხირეთს მყოფი როსტომ მეფის მოკვლა და მის ადგილზე თეიმურაზის გაბატონება წარმოადგენდა. შეთქმულებმა გადმოსაბირებლად „ქართველთა და ბარათიანთ წიგნები მიწერეს“.

სომხითის მელიქმა, რომელიც „სახალიფოს სასახლის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“, „შაჰის შიშით ფიცი გატეხა, მათი (შეთქმულთა – გ.ჟ) საწადელი და მინაწერი წიგნები მეფეს მიართვა“. შეთქმულების გამომჟღავნებისთანავე როსტომი გორში დაბრუნდა, თეიმურაზი კი კახეთში ჩავიდა.

ზედიზედ მოწყობილმა შეთქმულება-აჯანყებებმა როსტომს რადიკალური ზომების მიღება გადააწყვეტინა. მეფის ბრძანებით შეთქმულების მონაწილენი: კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოჩაშვილი, ერისთვიშვილი ლარგველი დაატყვევეს. გიორგი გოჩაშვილსა და ზურაბ სააკაძეს თვალები დასთხარეს. კათალიკოსი ქალაქის ციხეში დაამწყვდიეს, შემდეგ „და(ა)რჩვეს და ციხიდან გარდმოაგდეს“. ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობის თანახმად, „ორგულნი ზოგნი გაახეიბრა, ზოგნი უმკვ(ი)დრო ჰყვნა, ზოგი მამულით გააღარიბა და განაძო თვისისა ქვეყნიდამე, თვინიერ ზაალ ერისთვისა და იოთამ ამილახორისა“ (ჟორჟოლიანი 1987: 71-72).

როგორც ვხედავთ, გულქან ჟორჟოლიანი პირდაპირ ათარიღებს როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი სამივე გამოსვლა-შეთქმულებას. მკვლევრის თქმით, I ანუ ნოდარ ციციშვილის გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1637 წელს, II ანუ ახალგორის შეთქმულებას – 1638 წელს, ხოლო III ანუ კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლას – 1642 წელს.

გულქან ჟორჟოლიანის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს შეეხო ელდარ მამისთვალიშვილიც თავის 1996 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში – „ამილახვრები“ (მამისთვალიშვილი 1996: 16).

მკვლევარს აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილი აქვს ამილახორთა ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის – იოთამ ამილახორის პოლიტიკური მოღვაწეობის საკითხები და მათ შორის, იოთამის მონაწილეობის ფაქტი როსტომის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ გამოსვლაში.

ელდარ მამისთვალიშვილის თქმით, „1636 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო როსტომის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდნენ ქართლის უდიდესი თავადები: ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე (მისი სიძე იყო თეიმურაზ I-ის ვაჟი დავითი), გიორგი გოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, სომხითის მელიქი ყორხმაზბეგ და სხვები. ზოგიერთი ცნობის მიხედვით შეთქმულების მონაწილე იყო იოთამ ამილახვარიც. შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ როსტომის მოკვლა და თეიმურაზის გამეფება ქართლშიც. შეთქმულება ყორხმაზბეგმა გასცა, როსტომი ყველას მკაცრად გაუსწორდა ვინც მოიხელთა. თავადები მაინც არ ისვენებდნენ. საპასუხოდ როსტომმა იასე ერისთავის და იოთამ ამილახვრის ცოლ-შვილი გორის ციხეში შეიყვანა და თვით იასეს და იოთამის შეპყრობას ლამობდა, მაგრამ თავადებმა გაიგეს როსტომის განზრახვა და ახალგორს შეეფარნენ. როსტომმა იოთამი ამილახორობიდან გადააყენა და მის მაგიერ მისი ძმა ბეჟანი დანიშნა, ხოლო ამილახვართა მთავარი რეზიდენცია – სხვილოს ციხე დააქცია. იასე და იოთამი კახეთს თეიმურაზთან გადავიდნენ და იქიდან დედოფალ მარიამს დაუწყეს ხვეწნა მეფემ ჩვენი ცოლშვილი გამოუშვასო. როსტომმა მართლაც გაანთავისუფლა იესეს და იოთამის ჯალაბი “ (მამისთვალიშვილი 1996: 16-17).

ამრიგად, ელდარ მამისთავლიშვილი მიიჩნევს, რომ როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლას, რომელშიც მონაწილეობას ერთდროულად იღებდნენ: ნოდარ ციციშვილი, კათოლიკოსი ევდემონი, გიორგი გოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, სომხითის მელიქი ყორხმაზბეგი და სხვები, ადგილი ჰქონდა 1636 წელს.

ამავე 1996 წელს ანანია ჯაფარიძე თავის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომში „ქართული ეკლესია XVII საუკუნეში“ როსტომისა და თეიმურაზ I-ის დაპირისპირების განხილვისას ეხება ქართლის ფეოდალთა შეთქმულების საკითხს. ავტორის მიხედვით, „1642 წელს როსტომის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. შეთქმულებაში: ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე და სხვანი მონაწილეობდნენ. შეთქმულება სომხითის მელიქმა გასცა. ამის შემდეგ კათალიკოსი არ გატყდა და შეთქმულებს როსტომის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა, მაგრამ როსტომმა ისინი დაამარცხა. „ხოლო შეიპყრა კათალიკოზი ევდემონ როსტომ მეფემან და წარავლინა ქალაქის ციხეშია და ტყვე-ყო და ხანსა რაოდენსადმე უკანა, მუნვე ციხეში

მოაშთობინა...“ (ქ. ცხ., II, გვ.420), შემდგომად გარდმოაგდო განჯის კარის კოშკიდამ“ (ქ. ც., IV, გვ.442) (ჯაფარიძე 1996: 58).

როგორც ვხედავთ, ავტორი ქართლის ფეოდალთა შეთქმულების გადმოცემისას მხოლოდ ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებით სარგებლობს და ჩვენთვის საინტერესო მოვლენას 1642 წლით ათარიღებს. თუმცა აღნიშნული ნაშრომიდან არ ჩანს, თუ რაზე დაყრდნობით განსაზღვრავს მეცნიერი ამ ფაქტს მაინცდამაინც 1642 წლით.

ანანია ჯაფარიძის შემდეგ ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბავი ავტორთა ჯგუფის – მიხეილ და ნუგზარ რეხვიაშვილთა განხილვის საგანი გახდა. ისტორიკოსები თავიანთ 2000 წელს გამოქვეყნებულ სახელმძღვანელო ტიპის ნაშრომში „საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე)“ საკმაოდ ვრცლად ეხებიან ჩვენთვის საინტერესო მოვლენას. მკვლევართა ჯგუფი აღნიშნულ მოვლენას შემდეგი თანმიმდევრობით გადმოგვცემენ:

– ქართლის ფეოდალთა (ზაალ ერისთავი, გიორგი გოჩაშვილი, ივანე და ზურაბ სააკაძეები, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, რევაზ ბარათაშვილი, სომხითის მელიქი ყორხმაზბეგი და სხვ.) მიერ შეთქმულების ორგანიზება როსტომ მეფის წინააღმდეგ.

– იორამ მოურავიშვილის მიერ როსტომისათვის აღნიშნული შეთქმულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ქართლის მეფის საპასუხო რეაქცია. როსტომის თავდასხმა ხოვლეში შეკრებილ შეთქმულებზე და მათი დამარცხება.

– შეთქმულთა კიდევ ერთი მცდელობა როსტომ მეფის მოკვლისა და მის მაგივრად ქართლის ტახტზე თეიმურაზის გამეფებისა. შეთქმულების გამჟღავნება. როსტომის მიერ შეთქმულთა წევრებზე (ნაწილისათვის თვალების დათხრა და ნაწილისათვის კი სიკვდილით დასჯა. მაგ. კათალიკოს ევდემონ დიასამიძის ნარიყალას ციხეში დახრჩობა,) სასტიკი ღონისძიებების გატარება. ქართლში მოსულ თეიმურაზის მიერ შეთქმულბის გაცემის გაგება და კახთა მეფის უკან დახევა თავის სამეფოში. კახეთში მიმავალ თეიმურაზზე ვახტანგ მუხრანბატონის მიერ თავდასხმის მოწყობა და კახეთის მეფისათვის დიდი ზიანის მიყენება.

მეცნიერთა ჯგუფი ქართლის ფეოდალთა შეთქმულებას 1642 წლით განსაზღვრავენ. იმის გათვალისწინებით, რომ ავტორთა ნაშრომი არანაირ ბიბლიოგრაფიულ მითითებას არ შეიცავს, აქედან გამომდინარე ძნელია რაიმეს თქმა, თუ რაზე დაყრდნობით ათარიღებენ მკვლევარები ჩვენთვის საინტერესო მოვლენას – 1642 წლით.

სულ ბოლოს, ჩვენთვის საინტერესო მოვლენები განხილული აქვს დავით ნინიძეს თავის 2004 წლის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომში „ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია“ (დავით ნინიძე, გვ.222-223; გვ.263-265; გვ.276).

ისტორიკოსი აღნიშნულ მონოგრაფიაში გადმოგვცემს ბაგრატიონთა სამეფო სახლის გვერდითი შტოების ისტორიას XIII-XVIII საუკუნეებში. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ნოდარ ციციშვილის გამოსვლასა და ქართლის მასშტაბურ შეთქმულებაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოების წარმომადგენლები (გოჩაშვილები, დავითიშილები, ჰუსეინ ბეგიშვილები) აქტიურად მონაწილეობდნენ. აქედან გამომდინარე მკვლევარი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ზემოთაღნიშნულ ამბებს და თავის ნაშრომში რამდენიმე ადგილას აქვს მოცემული.

პირველად, იგი ნოდარ ციციშვილის ცნობილ გამოსვლას როსტომის წინაღმდეგ XVII საუკუნის I ნახევრის დავითიშვილების ფეოდალური სახლის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენლის – ბოქაულთუხუცესს ელიზბარ დავითიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვისას შეეხო. მისი თქმით, „XVII ს. 30-იანი წლების სხვა საბუთებით, საგვარეულო განშტოების მეთაური უკვე დავითის შვილი ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილია. იგი როსტომ მეფის წინააღმდეგ 1637 წ. აჯანყებისას, მეფის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია: ნოდარ ციცისშვილს გვერდს უმაგრებდნენ „ჩხეიძენი და სხვა იმერეთის საბატიოს კაცის შვილები“; როსტომ მეფემ ლაშქრის შეკრება ბრძანა და საბრძოლველად გაემართა, ხოლო ელიზბარ ბოქაულთუხუცესს (დავითიშვილს) უბრძანა: „ლაშქარს უკან ჩაუდექო და ვისაც ცხენით შეძლება ჰქონდესო, ჩქარათ წამოასხიო, რომ მღ˜თისა შეწევნითო დილას ნოდარსთან გავითენებო“. ხოვლესთან ბრძოლაში აჯანყებულები დამარცხდნენ და „ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს, ზოგნი ელიზბარ ბოქაულთუხუცის ყმებმან დაირჩინეს“; „ჩხეიძენი დაჭრილნი და დარჩენილნი მეფეს წინ მოასხეს“, რის შემდეგაც მეფემ ჩხეიძეები, „ბოქაულთუხუცესის ელიზბარის ხელით ყაენთან გაგზავნა“

და „არზა“ მისწერა ლუარსაბ ბატონიშვილის მეფის შვილად ბოძების თაობაზე (ამის შესახებ ვრცლად იხ. სავახტანგოსთან დაკავშირებულ ნაწილში). ასეთი ხასიათის საკითხზე როსტომის მიერ ირანში ელიზბარ დავითიშვილის გაგზავნა ლაპარაკობს ამ პიროვნების მაღალ რანგსა და საერთოდ, დავითიშვილების სახლის მნიშვნელობაზე XVII ს-ის ქართლის სამეფოში.

აჯანყებულთა წინააღმდეგ როსტომ მეფემ სათანადო ზომები მიიღო: მაგ., „ქაიხოსროვ ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს – დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო...“. აქვე საინტერესო ფაქტია დაცული ბაგრატიონთა სახლის განშტოებათა ისტორიასთან დაკავშირებით: ქაიხოსროს „სიძე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატიონი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდიხვეწა კახეთს მივიდა...“. ამდენად, ამ ფაქტს 1637 წ. ჰქონია ადგილი.

რაც შეეხება ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილს, მან მეფის დავალება წარმატებით შეასრულა, ელიზბარი „ყაენიდამ მოვიდა და ხალათი და ბატონიშვილი ლვარსაბ მოიყვანა“. სწორედ ამ ფაქტის გამო აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე, რომ „ეს ანბავი გოჩაშვილს გიორგის ეწყინა“ (ამის შესახებ იხ. ქვევით).

1637 წ. როსტომ მეფემ წყალობის წიგნით ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილს დაუმტკიცა – „დღეს რისაც მამულის მქონებელი და ანუ საჴელოსი იყუნეთ, იმისგან არ დაგამციროთ და არცა რა მოგიშალოთ“ (ნინიძე 2004: 222-223).

მეორედ, ავტორი ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს ამ მოვლენის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის – ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილის ბიოგრაფიის განხილვისას შეეხო. მისი თქმით, „ბახუტას ძველ დანაშაულს უკვალოდ არ ჩაუვლია. დავითიშვილების სახლის ისტორიაში როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ 1637 წ. აჯანყებაზე ვრცლად ვისაუბრეთ, სადაც აღინიშნა მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ქაიხოსრო ბარათაშვილის ბედის შესახებ – „...ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს – დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო“; სწორედ მისი სიძე იყო ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი, რომელსაც თავისი ბაგრატიონობის – „ნათესავობით ბაგრატოვანთა“ ჩამომავლობის გამო „ბატონობაც უნდოდა“. 1637 წ. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი

იძულებული გახდა კახეთისათვის შეეფარებინა თავი“ (ნინიძე 2004: 276).

რაც შეეხება ქართლის ფეოდალთა მასშტაბურ გამოსვლას როსტომ მეფის წინააღმდეგ, მკვლევარი ამ მოვლენის შესახებ გოჩაშვილთა ფეოდალური ოჯახის ისტორიის გადმოცემისას ვრცლად მოგვითხრობს და დასძენს, რომ ,, როსტომმა თავისი პოზიციების გასამაგრებლად სავახტანგოს პატრონის – ვახტანგ ბატონიშვილის შვილიშვილი ლუარსაბ თეიმურაზის ძე იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა; შაჰს უბრძანებია: როსტომის ,,უკან ქართლის მეფობა მაგისათვის მიგვიცემიაო“, რასაც გოჩა ბატონიშვილისა შვილის – გიორგი გოჩაშვილის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა: ,,ეს ამბავი გოჩაშვილს გიორგის ეწყინა, ამისთვის რომ ბატონობას თვითონ მოელოდა და ლვარსაბის მოყვანისთვის გავგულდა“. გიორგი გოჩაშვილის პოზიციით ისარგებლეს როსტომის მოწინააღმდეგეებმა – ,,კახმან ბატონმან ცალკე და ერისთავმან ცალკე დაუწყეს გოჩაშვილს ლაპარაკი, რომ შენ გაგაბატონებთო“. ასე თანდათანობით მზადდება როსტომის წინააღმდეგ მიმართული ცნობილი შეთქმულება, რომლის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი გიორგი გოჩაშვილიცაა. გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა ბატონიშვილობის საკითხის კლასილური გამოვლინებაა. მის გადაბირებაში განსაკუთრებული მონდომება კათალიკოს ევდემონ დიასამიძეს, რევაზ ბარათაშვილსა და სომხითის მელიქს გამოუჩენიათ, ,,ეს სამნი საქმობდნენ“, – აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე. ვახუშტიც, შეთქმულთა შორის, ზაალ ერისთავის, იოთამ ამილახვარის, ნოდარ ციციშვილისა და კათალიკოს ევდემონ დიასამიძის გარდა გიორგი გოჩაშვილსაც ასახელებს; სინამდვილეში შეთქმულები გიორგის – ,,გოჩაშვილს ატყუებდნენ“ და ქართლის ტახტზე რეალურად თეიმურაზ კახთა მეფის აყვანა ჰქონდათ გადაწყვეტილი. სომხითის მელიქის საშუალებით როსტომ მეფისათვის შეთქმულთა განზრახვა გამჟღავნდა, რის შემდეგაც სამეფო კარი სხვებთან ერთად გოჩაშვილსაც გაუსწორდა: გიორგის თვალები დათხარეს და ,,მოკლეს გორს“ (ნინიძე 2004: 263).

როგორც ვხედავთ, დავით ნინიძე გულქან ჟორჟოლიანის მსგავსად, ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის ფაქტს 1637 წლით განსაზღვრავს. თუმცა მან პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, გულქან ჟორჯოლიანისაგან განსხვავებით ამ მოვლენის დათარიღებისას ფარსადან

გორგიჯანიძის თხზულების გარდა ყურადღება გაამახვილა 1637 წლის როსტომ მეფის მიერ ელიზბარ დავითიშვილისადმი გაცემულ წყალობის საბუთზე, რაც დამატებით არგუმენტად ჩათვალა იმისათვის, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქაიხოსრო ბარათაშვილის სიკვდილით დასჯის ამბავი 1637 წლით განესაზღვრა. რაც შეეხება ქართლის ფეოდალთა მასშტაბურ შეთქმულებას, მართალია მკვლევარი მის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს, თუმცა ამ მოვლენასთან დაკავშირებით თარიღს არ იძლევა. ავტორი ამ ამბების გადმოცემისას ძირითადად ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებს ეყრდნობა.

ამრიგად, დღეისათვის ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბები სხვადასხვა კუთხით არის შესწავლილი ქართველი მკვლევრების: ანტონ ფურცელაძის, სარგის კაკაბაძის, კორნელი კეკელიძის, გივი ჯამბურიას, დავით გვრიტიშვილის, ბაბული ლომინაძის, ოლღა სოსელიას, ნოდარ ნაკაშიძის, გულქან ჟორჟოლიანის, ელდარ მამისთვალიშვილის, ანანია ჯაფარიძის, ავტორთა ჯგუფისა (მიხეილ და ნუგზარ რეხვიაშვილები) და დავით ნინიძის მიერ. ამასთან, თითოეულ დასახელებულ მკვლევარს ჩვენთვის საინტერესო მოვლენების თანამიმდევრობისა და დათარიღების შესახებ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები აქვს გამოთქმული. წარმოვადგენთ ყველა ამ მოსაზრებას:

1. ანტონ ფურცელაძე: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – ზოგადი ქრონოლოგიური თარიღი, როსტომის გამეფების (1632 წ.) შემდგომი პერიოდი.

2. სარგის კაკაბაძე: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა – 1635-1636 წლები; ქართლის ფეოდალების შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1637-1648 წლები.

3. კორნელი კეკელიძე: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – 1641 წლის მიწურულიდან, ვიდრე 1642 წლის 6 იანვრამდე პერიოდი.

4. გივი ჯამბურია: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა – 1636 წელი; ქართლის ფეოდალთა ერთ-ერთი შეთქმულება – 1638 წელი; ქართლის ფეოდალთა მორიგი შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1642 წელი.

5. დავით გვრიტიშვილი: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა – 1640-იანი წლები.

6. ბაბული ლომინაძე: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება – 1643 წელი.

7. ოლღა სოსელია: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – თარიღის გარეშე.

8. ნოდარ ნაკაშიძე: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა – 1636 წელი; ქართლის ფეოდალების შეთქმულება (კათალიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1636-1639 წლები.

9. გულქან ჟორჟოლიანი: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა – 1637 წელი; ახალგორის შეთქმულება – 1638 წელი ; ქართლის ფეოდალების შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1642 წელი.

10. ელდარ მამისთავალიშვილი: ქართლის ფეოდალების (ნოდარ ციციშვილის, კათოლიკოსი ევდემონის, გიორგი გოჩაშვილის, რევაზ ბარათაშვილის, სომხითის მელიქის ყორხმაზბეგისა და სხვ.) შეთქმულება – 1636 წელი.

11. ანანია ჯაფარიძე: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება – 1642 წელი.

12. მიხეილ და ნუგზარ რეხვიაშვილები: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება – 1642 წელი.

13. დავით ნინიძე: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და სახლთუხუცესს ქაიხოსრო ბარათაშვილის სიკვდილით დასჯა – 1637 წელი, ქართლის ფეოდალთა მაშტაბური შეთქმულება – თარიღის გარეშე.

მას შემდეგ, რაც დეტალურად მიმოვიხილეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი გამოსვლების თანამიმდევრობისა და დათარიღების თაობაზე, აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა – რამდენად შეესაბამება ქართველ მკვლევართა მიერ შემოთავაზებული თარიღები ქართულ-სპარსული წერილობითი წყაროების ჩვენებებს?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, აქ კიდევ ერთხელ მოვიტანთ ქართულ-სპარსული წერილობითი წყაროების მონაცემებს ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულებების შესახებ:

1. ფარსადან გორგიჯანიძე: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა, ახალგორის შეთქმულება და ქართლის ფეოდალთა მომდევნო შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1642-1644 წლები.

2. მოჰამედ თაჰერი: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) და ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – ქრონოლოგიური მონაკვეთი აბას II-ის აღსაყდრებასა და იასე ქსნის ერისთავის მოკვლას შორის.

3. არჩილ II: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – ქრონოლოგიური მონაკვეთი თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობასა და მაღაროს ბრძოლას შორის.

4. ბერი ეგნატაშვილი: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – ქრონოლოგიური მონაკვეთი თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობასა და მაღაროს ბრძოლას შორის.

5. ვახუშტი ბაგრატიონი: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1638-1642 წლები.

როგორც ვხედავთ, მოჰამედ თაჰერი, არჩილ II და ბერი ეგნატაშვილი ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს პირდაპირ არ ათარიღებენ და მხოლოდ იმით იფარგლებიან, რომ ამ ამბებს სხვადასხვა ისტორიულ ფაქტებს შორის ათავსებენ. ეს ფაქტებია: აბას II-ის ასვლა შაჰის ტახტზე და იასე ქსნის ერისთავის მოკვლა ყაზვინში (მოჰამედ თაჰერი); თეიმურაზ I-ის ლაშქრობა დიდოეთში და მაღაროს ბრძოლა (არჩილ II და ბერი ეგნატაშვილი).

დღეისათვის ყველა ეს ფაქტი, სხვადასხვა საისტორიო მასალაზე დაყრდნობით, მყარად არის დათარიღებული. კერძოდ, კი დადგენილია, რომ: აბას II შაჰის ტახტზე ავიდა 1642 წელს; პაატა ამილახორმა იასე ქსნის ერისთავი მოკლა ამავე 1642 წელს (ღუნაშვილი 2005: 160); თეიმურაზ I-მა დიდოეთში ილაშქრა 1636 წელს (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 440); ხოლო მაღაროს ბრძოლას ადგილი ჰქონდა 1648 წელს (ჟორჟოლიანი 1987: 76).

მაშასადამე, აღნიშნული დაზუსტებების გათვალისწინებით, შეგვიძლია, კიდევ უფრო

დავაკონკრეტოთ მოჰამედ თაჰერის, არჩილ II-ისა და ბერი ეგნატაშვილის ქრონოლოგიური მონაცემები და დავასკვნათ, რომ ისინი ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს შემდეგი სახით ათარიღებენ:

– მოჰამედ თაჰერი: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) და ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – 1642 წელი.

– არჩილ II: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა – 1636-1648 წლები.

– ბერი ეგნატაშვილი: ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – – 1636-1648 წლები.

აღნიშნული საკითხების გარკვევის შემდეგ კიდევ ერთხელ ისმის კითხვა – რამდენად შეესაბამება როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი გამოსვლა-შეთქმულებების დათარიღების თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები ქართულ-სპარსული წერილობითი წყაროების ჩვენებებს?

დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემის მიზნით, თავდაპირველად შევეხებით ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს, რომელიც, ფარსადან გორგიჯანიძის, ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის თანახმად, ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ ორ სხვა შეთქმულებას – ახალგორის გამოსვლასა და ქართველ ფეოდალთა შეთქმულებას (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლას) .

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავი ფარსადან გორგიჯანიძის მიერ განსაზღვრულია 1642-1644 წლებით, მოჰამედ თაჰერის მიერ – 1642 წლით, არჩილ II-ისა და ბერი ეგნატაშვილის მიერ – 1636-1648 წლებით, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის მიერ – 1638-1642 წლებით.

ჩამოთვლილი წერილობითი წყაროების ერთმანეთთან შეჯერება ცალსახად აჩვენებს, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლას ადგილი შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ 1642 წელს. მართლაც, დასახელებული ქართულ-სპარსული წერილობითი წყაროების ჩვენებები მხოლოდ ამ შემთხვევაში შეესაბამება ერთიმეორეს. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას

ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფარსადან გორგიჯანიძისა და მოჰამედ თაჰერის ცნობებს, რომლებიც აღწერილი მოვლენების თანამედროვენი არიან და მეტად სანდო ავტორებად ითვლებიან.

ამრიგად, ჩვენამდე მოღწეულ ქართულ-სპარსულ წერილობით წყაროებზე, პირველ რიგში კი, ფარსადან გორგიჯანიძისა და მოჰამედ თაჰერის თხზულებებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლა მოხდა, უფრო ზუსტად კი, დაიწყო არა 1635, 1636, 1637 ან 1641 წლებში, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული, არამედ – 1642 წელს.

მიღებული დასკვნის შემდეგ ბუნებრივად ჩნდება კიდევ ერთი კითხვა – თუ ქართულ-სპარსული წერილობითი წყაროების შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1642 წელს, მაშინ რატომ ათარიღებენ ქართველი მკვლევარები ამ ფაქტს 1635, 1636, 1637 ან 1641 წლებით?

ჩვენ ზემოთ საგანგებოდ განვიხილეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ქრონოლოგიის თაობაზე და ვაჩვენეთ, რომ არც ერთი ეს მოსაზრება, გარდა გივი ჯამბურიას მიერ შემოთავაზებული თარიღისა (1636 წ.), რომლის შესახებაც ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი, შემაგრებული არ არის რაიმე კონკრეტული არგუმენტით და მარტოოდენ ამა თუ იმ მკვლევრის სუბიექტური დაკვირვების შედეგს წარმოადგენს. შესაბამისად, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, თუ რატომ არ ემთხვევა ქართველ მკვლევართა მოსაზრებები ქართულ-სპარსული წერილობითი წყაროების მონაცემებს, თუმცა ამ მოსაზრებებსა და წერილობითი წყაროების ჩვენებებს შორის რომ აშკარად არსებობს შეუსაბამობა, ამაში, ვფიქრობთ, სადავო არაფერია.

წერილობითი წყაროების ჩვენებებისაგან განსაკუთრებით დაცილებულია სარგის კაკაბაძის (1635-1636 წწ.), ნოდარ ნაკაშიძის (1636 წ.), გულქან ჟორჟოლიანისა (1637 წ.), ელდარ მამისთვალიშვილისა (1636 წ.) და დავით ნინიძის (1637 წ.) მიერ შემოთავაზებული თარიღები. რაც შეეხება კორნელი კეკელიძის (1641-1642 წწ.) და დავით გვრიტიშვილის (1640-იანი წწ.) დათარიღებებს, ისინი შედარებით უფრო ახლოს დგანან წერილობითი წყაროების მონაცემებთან, თუმცა ბოლომდე არც ეს დათარიღებები შეესაბამება რეალობას.

დავუბრუნდეთ ნოდარ ციციშვილის გამოსვლის თარიღს და განვიხილოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მთლიანად მხარს უჭერს ქართულ-სპარსული

წერილობითი წყაროების მონაცემებს და ცალსახად აჩვენებს, რომ აღნიშნული გამოსვლის დაწყებას ნამდვილად 1642 წელს ჰქონდა ადგილი.

ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, ნოდარ ციციშვილის გამოსვლასთან ორგანულად იყო დაკავშირებული დედოფლის სახლთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯა. ისტორიკოსის თქმით, თბილისს მყოფი ქაიხოსრო როსტომის ბრძანებით ტყვედ შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს (ქალაქის ციხდან გადმოაგდეს) ხოვლეს ბრძოლის მომდევნო დღეს: „მეორეს დღეს გორიდამენ ქალაქს ჩაფარი გაგზავნეს და ქაიხოსროვ ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს – დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო“.

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯის დრო და მიზეზი განსხვავებულად აქვს აღწერილი ვახუშტი ბაგრატიონს. მისი თქმით, ქაიხოსროს სიკვდილით დასჯა ქრონოლოგიურად საკმაოდ წინ უსწრებდა ნოდარ ციციშვილის გამოსვლას და მისი მოკვლის მიზეზიც არა ნოდარის გამოსვლასთან კავშირი, არამედ ბევრად უფრო ადრე, 1625 წელს მომხდარი ამბავი იყო, როცა ქაიხოსრომ ბირთვისის ციხეში მდგომი 500 ირანელი ამოაჟლეტინა ამბოხებულ ქართველებს: 1636 წელს „როსტომ მოიკვსენა შური ყიზილბაშთაკს, რომელი მოსწყუდნა მოურავმან ბირთკსს, და შეიპყრა ქაიხოსრო ბარათასშვილი სისხლთა მათათკს და გარდამოაგდო ციხიდამ განჯის კარისაკენ მაღლის გოდლიდამ“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 440).

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ჯერ კიდევ 1955 წელს გივი ჯამბურიამ სამართლიანად მიანიჭა უპირატესობა ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობს და სავსებით არგუმენტირებულად აჩვენა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის მიზეზის შესახებ არ შეესაბამებოდა რეალობას (ჯამბურია 1955: 28).

მოგვიანებით, გივი ჯამბურიას ეს მოსაზრება ფართოდ იქნა გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (გვრიტიშვილი 1955: 452-453); (ჟორჟოლიანი 1987: 70); (ნაკაშიძე 1977: 161); (ნინიძე 2004: 223) და სხვ. შდრ. (კაკაბაძე 1922: 64). ჩვენც, ჩვენის მხრივ, სრულად ვიზიარებთ გივი ჯამბურიას ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი სიკვდილით დასაჯეს ხოვლეს ბრძოლის მომდევნო დღეს, ნოდარ

ციციშვილის გამოსვლასთან კავშირის გამო.

დავუშვათ, რომ აღნიშნული მოსაზრება სწორია, და ეს ნამდვილად ასე ჩანს, მაშინ ლოგიკურად იბადება კითხვა – როდის დასაჯეს სიკვდილით ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი? დასმულ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემას მხოლოდ ქაიხოსროს მოკვლის ქრონოლოგიისათვის არ აქვს მნიშვნელობა. პირიქით, ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის თარიღის მიხედვით, შესაძლებელი ხდება, ზუსტად განისაზღვროს ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ქრონოლოგიაც.

აღნიშნული გარემოება იმთავითვე სწორად გაითვალისწინა გივი ჯამბურიამ და ნოდარ ციციშვილის გამოსვლის დათარიღება ზუსტად ამ ლოგიკით სცადა. ოღონდ, მან 1955 წლის ნაშრომში ნდობა გამოუცხადა ქაიხოსრის სიკვდილით დასჯის ვახუშტი ბაგრატიონისეულ თარიღს – 1636 წელს და ამავე 1636 წლით დაათარიღა ნოდარ ციციშვილის გამოსვლაც (ჯამბურია 1955: 27).

გივი ჯამბურიას მიერ შემოთავაზებული ლოგიკური მსჯელობა სავსებით მისაღებია ჩვენთვის, მაგრამ რამდენად მართებულია ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომლის თანახმადაც ქაიხოსროს სიკვდილით დასჯას 1636 წელს ჰქონდა ადგილი? იქნებ, სწავლული ბატონიშვილი თარიღის შემთხვევაშიც ისევე ცდება, როგორც ის შეცდა ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის მიზეზების გადმოცემისას?

ამ მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე საბოლოო პასუხს გვაძლევს პირღებულის მონასტრის 1642 წლის საფლავის ქვის წარწერა. აღნიშნული წარწერა ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ეპიტაფიას წარმოადგენს და შემდეგი სახით იკითხება:

„წ. ესე არს ს(ა)მკვიდ|რ{ე}ბელი ჩ(ემ)ი, რ(ამეთუ) მ|თნ(ა)ვს. და ამ(ა)ს | შ(ი)ნა მდ(ე)ბარე | არს გვამი | დ(ი)დის აბ(ა)შ(ი)ს|შვ(ი)ლ(ი)სი, ავთ{ა}ნდ|ილ(ი)ს ძის ქაი|ხოსროსი. | ვინც აღმო|იკ(ი)თხევდეთ, | შენდობ(ა)ს | უბძ(ა)ნებდეთ. | ქ(რონი)კ(ონ)ს ტლ (1312+330=1642 წ.)“ (ბახტაძე..... 2005: 195).

ამრიგად, პირღებულის მონასტრის 1642 წლის საფლავის ქვის წარწერა პირდაპირ გვამცნობს, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი სიკვდილით დასაჯეს არა 1636 წელს, როგორც ამას გვაუწყებს ვახუშტი ბაგრატიონი, არამედ – 1642 წელს, როგორც ეს არის მითითებული თავად ქაიხოსროს ეპიტაფიის ტექსტში.

ის ფაქტი, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი 1642 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ნათლად ჩანს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1642 წლის ერთი სიგელიდანაც (ხეც, HD-14694). ამ დოკუმენტით როსტომმა ქაიხოსროსა და მის ვაჟს ბარათას უწყალობა სოფელი ბუჟღულეთი („ბუჟღულაშვილები“) და მისი მოსახლეობა („სრულად ბუჟღულანი“), აგრეთვე, სოფელ ელფიაში მოსახლე მანუკაშვილი. აღნიშნულ 1642 წლის სიგელში ვკითხულობთ:

„...ჩვენ, მეფეთმეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემა{ნ} ჩვენმა{ნ}, დედოფალთდედოფალმა{ნ}, პატრონმა{ნ} მარიამ, ესე ....წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ...ბარათაშვილს, სახლის უხუცესს, ბატონს ქაიხოსროს და შვილსა თქუენსა ბარათასა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს თუმინ<ი>{ს} თავისავე ნებითა მისი თავი თქუენთვის მოებარებინა, თქუენცა მოგვიდექით კარსა, თუმინისა მობარებისა და იმისი მამულის: ბუჟღულაშვილებისა და სრულად ბუჟღულანისა და ელფიას – მანუკაშვილის წყალობასა დაგვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, თუმ{ი}ნიც თქვენ მოგაბარეთ და მისი მამული: ბუჟღულანი და ელფიას – მანუკაშვილი, შეგიწყალეთ....“ (ტექსტის წაკითხვა, ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. გ.) (ხეც, HD-14694).

როგორც ვხედავთ, ციტირებული საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი, 1642 წელს, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობის საპირისპიროდ, არამხოლოდ ცოცხალია, არამედ კვლავინდებურად ფლობს სახლთუხუცესის მაღალ სამოხელეო წოდებას და როსტომის კეთილგანწყობითაც სარგებლობს.

პირღებულის მონასტრის 1642 წლის ეპიტაფიისა და როსტომის მიერ გაცემული 1642 წლის წყალობის წიგნის ცნობებს, ერთი მხრივ, მთლიანად ადასტურებს, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო აზუსტებს როსტომის მიერ ამავე 1642 წლის 2 დეკემბერს გაცემული კიდევ ერთი წყალობის წიგნი. აღნიშნული დოკუმენტი ქართლის მეფეს მიცემული აქვს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ძმისწულის – ხოსია ბარათაშვილისა და მისი შვილებისათვის.

ციტირებული საბუთის გარდა ამ სიგელებიდან ნოდარის გამოსვლის

განსაზღვრისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საბუთია – 1642 წლის როსტომის წყალობის სიგელი ხოსია ბარათაშვილისადმი, სადაც როსტომ მეფე ხოსია ბარათაშვილსა და მის შვილებს ოთარს, ბერუკას, საამს უბოძებს ნოსტის ოძისს. აღნიშნულ საბუთში კარგად ჩანს, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლა ახალი მომხდარია, რადგანაც როსტომ მეფე აღნიშნავს, ,,ახლა კიდევე ნოდარ და არაგვის ერისთავი უკუგუიდგნეს, იმერელნი დარბაისელნი გუერც ახლდეს, მოუ3ედით ქალაქიდამე და თქუენ მოწინავედ მოგუიძეღით და ჩუენს უღურზედ თავი არ დაიწყალობეთ, გააქციეთ და მრავალი სახელი ჰქენით. აწ ამისად [სა]მუქფო და საჯილდაოდ, რაც ნაძალადევად ბიძა თქუენს ქაიხოსროს... ოძი[ს] ჰქონდა: ჰქონდა ულუმბეხაშვილიანად, ესები ისრევ თქუენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ" (ფუთურიძე 1955: 227).

აღნიშნულ საბუთში მოთხრობილი ამბავი კიდევ მეტ სიმტკიცეს სძენს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას ნოდარ ციციშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით, უფრო მეტიც აქედან ვგებულობთ, რომ ხოსია ბარათაშვილი წარმოადგენდა ქართლის ერთ-ერთ იმ ფეოდალთაგანს, რომელმაც როსტომ მეფეს უერთგულა და იორამ მოურავიშვილთან ერთად ნოდარ ციციშვილის წინააღმდეგ დაძრულ როსტომ მეფეს წინ მიეგება. ამ საბუთში ნახსენები ქაიხოსრო, რომ ნამდვილად სახლთუხუცესი – ქაიხოსრო ბარათაშვილია, ეს ნათლად ჩანს თეიმურაზ მეფის 1629 წლის წყალობის სიგელიდან ქაიხოსროსადმი, რისი მეშვეობითაც თეიმურაზმა ქაიხოსროს უწყალობა ნოსტის ოძისი ულუმბეხაშვილითურთ. ამ წყალობის სიგელმა ქართულ-სპარსული ჰოქმის სახით მოაღწია ჩვენამდე, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, AD-1138 ფონდში ინახება. მართალია ქართულ საბუთს მხოლოდ ქორონიკონი ტლ უზის, რაც 1642 წელს შეესაბამება. სპარსულ ნაწილი საშუალებას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ აღნიშნული წყალობის წიგნის გაცემის თარიღი კერძოდ, 1642 წლის 2 დეკემბერით. ასე, რომ 1642 წლის ზემოთდასახელებული როსტომის ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთი ფარსადანის ისტორიას უფრო ამდიდრებს და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ნოდარის გამოსვლა 1642 წლის გვიან შემოდგომაზე მოეწყო. გარდა ამისა, საბუთი გვისახელებს როსტომის მომხრე ერთ-ერთ ქართლელ ფეოდალს, სახლთუხუცესს ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ძმის წულს – ხოსია ბარათაშვილს.

ამრიგად, პირღებულის მონასტრის 1642 წლის საფლავის ქვის წარწერიდან და როსტომის მიერ გაცემული 1642 წლის ორი წყალობის წიგნიდან ირკვევა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომლის თანახმადაც ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი სიკვდილით დასაჯეს 1636 წელს, რეალობას არ შეესაბამება. მეტიც, დასახელებული საბუთებიდან და განსაკუთრებით, ეპიტაფიიდან ნათლად ჩანს, რომ ქაიხოსრო სიკვდილით დასაჯეს გაცილებით უფრო გვიან – 1642 წელს.

მას შემდეგ, რაც დანამდვილებით გავარკვიეთ ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის თარიღი, შესაძლებელი ხდება, ზუსტად განვსაზღვროთ ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ქრონოლოგიაც. ამ შემთხვევაში, ჩვენი მსჯელობა, პრაქტიკულად, იმავე ლოგიკას დაემყარება, რა ლოგიკითაც ხელმძღვანელობდა ნოდარ ციციშვილის გამოსვლის დათარიღებისას გივი ჯამბურია. ლოგიკა კი ასეთია:

1. ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი სიკვდილით დასაჯეს 1642 წელს.

2. ვინაიდან ქაიხოსრო სიკვდილით დასაჯეს ხოვლეს ბრძოლის მეორე დღეს, ცხადია, რომ ხოვლეს ბრძოლას ადგილი ჰქონდა იმავე 1642 წელს.

3. რადგან ხოვლეს ბრძოლას ადგილი ჰქონდა 1642 წელს, ირკვევა, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლა დაწყებულა აგრეთვე 1642 წელს.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულად ვეყრდნობით პირღებულის მონასტრის 1642 წლის ეპიტაფიას, როსტომის მიერ გაცემულ 1642 წლის წყალობის წიგნს, ფარსადან გორგიჯანიძისა და მოჰამედ თაჰერის თხზულებებს, აგრეთვე, არჩილ II-ის, ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცალკეულ ცნობებს და გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ნოდარ ციციშვილის გამოსვლის დაწყებას, ხოვლეს ბრძოლასა და ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის სიკვდილით დასჯას ადგილი ჰქონდა არა 1636, 1637 ან 1641 წლებში, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ – 1642 წელს.

ამ ზემოთ მოცემულ არგუმენტებს ემატება 1642-1643 წწ. როსტომის მიერ გაცემული წყალობის საბუთები, რომლებიც ერთი მხრივ საშუალებას გვაძლევენ უფრო მეტი არგუმენტაციით განვამტკიცოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნოდარის გამოსვლის თარიღი 1642 წელი, ხოლო მეორე მხრივ გავამდიდროთ ფარსადან გორგიჯანიძის

თხზულება. გთავაზობთ როსტომის მიერ 1642-1643 წლებში გაცემულ წყალობის სიგელებს ქრონოლოგირი პრინციპით.

ამ ამბებს კიდევ უფრო აზუსტებს როსტომ მეფის 1643 წლის წყალობის სიგელი პაატა ჯავახიშვილისადმი, რომლის საფუძველზე პაატა ჯავახიშვილს, მის ძმას ქაიხოსროს და მის შვილებს ზურაბსა და ჯავახს უბოძებს სოფლებს ავკეთსა და იისციხეს, რადგან როგორც საბუთიდან ირკვევა დიდი წვლილი შეუტანია მის წინააღმდეგ მოწყობილ ერთ-ერთი შეთქმულების გამოვლინებაში, კერძოდ ნოდარ ციციშვილისა და ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ ორგანიზებული გამოსვლის გამომჟღავნებაში. საბუთში პაატა ჯავახიშვილის დამსახურება აღნიშნულ მოვლენებში დაწვრილებით არის მოთხრობილი, ,,მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას გუიაჯენით, ვითაც არაგუის ერისთავი ზა[ა]ალ და ციციშვილი ნოდარ უკუგუიდგნეს, კახს ბატონს ესაქმნეს, შეიყარნეს და არაგუზედ მიგებება გაბედეს და კახი ბატონი უნდოდა[თ] ქართლში შემოეყუანა[თ] და გაებატონებინათ. ნოდარ მოსულიყო და თავისი მოსამართლენი ჩხეიძე[ე]ბი გუერც იახლა და ხოვლეს თქუენს მამულებში ჩამომ3დარიყუნეს და თქუენთუინაც საქმობა დაეწყოთ, რომე ბატონს თეიმურაზს გაბატონებას უპირებთ და შემოგვეყარენითო. აწე ჩუენ ქალაქიდამე შინას ყმის ჯარით წამოვედით, თქუენ წინ მოგუეგებენით, მოგვიძეღუით. გაგვემარჯუა და შევარცხუინეთ და ჩხეიძე ხუცია ჩამოგეგდო, 3ელთ დაგენარჩუნა და ყოვლის კაცისაგან უწინ მოგუაგებეთ” (ფუთურიძე 1955: 173-174).

ეს წყალობის სიგელი საშუალებას გვაძლევს ამ ამბებში შემოვიყვანოთ კიდევ ერთი როსტომ მეფის მომხრე – პაატა ჯავახიშვილის, მის ძმის ქაიხოსროსა და მისი შვილების ზურაბისა და ჯავახის სახით. პაატა ჯავახიშვილი ზემოთნახსენები ციხეები მიუღია როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების გამოვლინებისათვის, კერძოდ იგი, როცა ნოდარ ციციშვილი ჩხეიძებითურთ მის მამულში ხოვლეში გაჩერდა და მოუწოდა ჯავახიშვილებს შეერთებოდნენ როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას, არ აყვა მათ მოწოდებებს და როსტომ მეფეს მხარე დაიჭირა. მას ნოდარ ციციშვილისა და ჩხეიძეების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაშიც მიუღია მონაწილება და ჩხეიძეთაგან ერთ-ერთი – ხუცია ჩხეიძე ტყვედ ჩაუგდია და მიუგვრია როსტომისათვის. სწორედ ამ ყოველივეს სანაცვლოდ ქართლის მეფისაგან ავკეთისა და იისციხეები მიიღო (ფარსადან

გორგიჯანიძე 1925: 248).

ჩვენ შემოგთავაზებთ ამ ამბების კიდევ ერთ მონაწილეს, როსტომის მომხრე ფარსადან ბარათაშვილს, რომლის დამსახურება ნოდარ ციციშვლის გამოსვლასთან დაკავშირებით როსტომ მეფეს აღნიშნული აქვს მის მიერ 1643 წლის დასაწყისში გაცემულ წყალობის საბუთში ფარსადან ბარათაშვილისადმი, საიდანაც ვგებულობთ, რომ ფარსადანს ბეჟია ჩხეიძის შვილი ოტია ტყვედ ჩაუგდია და როსტომ მეფისათვის მიუგვრია, რის სანაცვლოდ ქართლის მეფემ მას ენაგეთს ხუციშვილი და ფირუაშვილები მამულებით უბოძა (ფუთურიძე 1955: 175-176).

ამგვარად, 1642 წლის ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავში შემოვიყვანეთ ხოსია ბარათაშვილთან და პაატა ჯავახიშვილთან ერთად ამ მოვლენის კიდევ ერთი აქტიური მონაწილე და როსტომ მეფის მხარდამჭერი ფეოდალი – ფარსადან ბარათაშვილი.

1642 წლის ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს ინფორმაციული თვალსაზრისით, კიდევ უფრო ამდიდრებს როსტომ მეფის მიერ გაცემული ერთ-ერთი უთარიღო საბუთის ფრაგმენტი, სადაც როსტომი დირბის მცხოვრებლებს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „ ... დირბელნო მერმე ფიცხლავ ელიზბარ<ი>ს შემოეყარენით ლაშქრად, თორემ რაც ავი არის იმას გიზამთ, იცოდ<ი>{ე}თ თემი და ქვეყანა აქ არის და თქვენ შინ წამოჯდომილხართ, რაც სხუის მოურავისათუის გემსახურო<ს>{თ} მს[ა]ხურეთ და ამისი ნაცვალიც ასაქმეთ სამართლიანის საქმითა ზენარ“ (პუნქტუაცია – თ. გ.) (ხეც, HD-14429).

ზემოთმოყვანილი საბუთიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ემზადებოდა როსტომ მეფე ამბოხებული ნოდარ ციციშვილის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მართალია აღნიშნულ საბუთს თარიღი არ უზის, თუმცა თუ ამ სიგელს შევუჯერებთ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას – ელიზბარ ბოქაულთუხუცესის მიერ თავის ყმებთან ერთად ნოდარ ციციშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისა და მათ მიერ ნოდარის მომხრე იმერელი დიდებულების ნაწილის დატყვევების შესახებ. აქედან გამომდინარე, ცალსახად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აღნიშნული საბუთი როსტომის მიერ გაცემულ იქნა ხოვლეს ბრძოლის წინ ანუ 1642 წელს.

1642 წელს ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავს კიდევ უფრო ავსებს როსტომ მეფის მიერ გაცემული უთარიღო სიგელი მესტუმრე დონდარა ეჯიბისშვილისადმი. აღნიშნულ

საბუთში როსტომ მეფე აღნიშნავს, რომ „ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერ<დ>თგულთა და წესისაებრ ნამსახურთა ყმათა, კარისა ჩუენისა მესტუმრეს ეჯიბისშვილსა დონდარს, ძმასა შენსა ზურაბს, შვილსა თქუენთა შავერდის და გამრიკს, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა.

მას ჟამსა, ოდეს ქალაქს ფათერაკის საქმითა ძველითგანც თქვენის ნაქონის და მეორედ ჩუენგანც ნაწყალობევისა და ჯილდოდ ნაბოძებისა ტალავრისა თავს სოფლის მაშტარ{ა}შნისა და კიდევე ჩუენგან ჯილდოდ ბოძებულის ტალავერს ჩუენის სახასოს მებადურისა და დარბაზელთაგან თქუენი ნასყიდის სავენაჭისა წიგნები და სიგლები დაგწ{ვ}ოდა და დამწვარი წიგნებიცა ჩუენს წინა მოიტანეთ და წიგნებისა გა{ა}ხლებასა (სიც) დაგუეაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და სიგლითა ამით გაგიახლეთ და გიბოძეთ ძველთაგან<ც> და ნოდარზედ რომ გავიმარჯვეთ და თქუენ კაცი დაგრჩა და მოგვართვით, ხელახლად ამისად ჯილდოდ ჩვენგან ნაბოძები სოფელი მაშტარაშენი...“ (ხეც, QD-9585).

აღნიშნული წყალობის წიგნიდან ვიგებთ, რომ 1642 წელს ნოდარ ციციშვილის გამოსვლის წინააღმდეგ როსტომის მომხრეთა შორის მესტუმრე დონდარა ეჯიბისშვილიც ირიცხებოდა. გარდა ამისა, მას აღნიშნულ ბრძოლაში თავი გამოუჩენია და ნოდარ ციციშვილის მომხრეთაგან ერთ-ერთი დაუტყვევებია. ქართლის მეფემ ეს დამსახურება დაუფასა ერთგულ ფეოდალს და სწორედ ყოველივე ამის სანაცვლოდ უბოძა მას სოფელი მაშტარაშენი.

მას შემდეგ, რაც ნოდარ ციციშვილის გამოსვლა მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით 1636, 1637 და 1641 წლებიდან 1642 წლის გვიან შემოდგომით გადავათირიღეთ და დეტალურად გავარკვიეთ ბრძოლის დეტალები, საინტერესოა ამის შემდეგ რა პროცესებს აქვს ადგილი ქართლში როსტომ მეფის წინააღმდეგ და რამდენად შეესაბამება რეალობას ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული დათარიღებები აღნიშნული მოვლენების შესახებ?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით კიდევ ერთხელ მოვიტანთ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში დაცულ ცნობებს ნოდარის გამოსვლის შემდეგ ქართლში

მიმდინარე ამბების შესახებ. მემატიანის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ ხოვლესთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ როსტომმა სკრას ზევით მდებარე საციციანოს მამულები დაარბია. ამასობაში ზამთარმაც მოატანა, დამარცხებული ნოდარ ციციშვილი კი გაიქცა ვერის ციხეში, ხოლო შემდეგ ზოვრეთის ციხეს შეაფარა თავი. ამ ციხეს როსტომმა ალყა შემოარტყა. აღნიშნული ციხეზე როსტომის ალყა წყალკურთხევამდის ანუ ნათლისღებამდის გაგრძელდა. ნოდარ ციციშვილმა დახმარება ვერსაიდან ვერ მიიღო, იმავდროულად შეიტყო ინფორმაცია ციხის ღალატით დანებების შესახებ, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და როსტომს თავისი დედა (ფარსადანის თქმით კახეთის ბატონიშვილი) მიუგზავნა და გზა სთხოვა. მეფემ უვნებლობის ფიცი მისცა ნოდარის დედას, რითაც ნოდარს სამცხეში გადასვლის საშუალება მისცა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ფარსადან გორგიჯანიძე ამ ამბის ქრონოლოგიას 1642-1644 წლებს შორის ათავსებს.

ჩვენს მიერ ზემოთდასახელებული ავტორებიდან ჩვენთვის საინტერესო ამბავის განხილვას მხოლოდ სარგის კაკაბაძის, კორნელი კეკელიძისა და დავით გვრიტიშვილის ნაშრომებში ვხვდებით. ქართველი ისტორიკოსები აღნიშნული მოვლენას სხვადასხვა დროით ათარიღებენ. კიდევ ერთხელ გთავაზობთ მათ მიერ შემოთავაზებულ თარიღებს:

1. სარგის კაკაბაძე – 1635-1636 წლები.

2. კორნელი კეკელიძე – 1641 წლის მიწურულიდან, ვიდრე 1642 წლის 6 იანვრამდე პერიოდი.

3. დავით გვრიტიშვილი – 1640-იანი წლები.

აღნიშნულ მკვლევართაგან, მხოლოდ კორნელი კეკელიძემ მიაქცია ყურადღება ფარსადან გორგიჯანიძის ზოგარ ქრონოლოგიურ თარიღს წყალკურთხევამდის ზოვრეთის ციხის ალყის გაგრძელების შესახებ და შესაბამისად ამ ამბის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად აიღო ნათლისღების დღესასწაული. ერთი შეხედვით მეცნიერს სწორი ლოგიკით მიჰყავს თავისი მსჯელობა, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ავტორი მიჰყვება ნოდარის გამოსვლის შემდგომი მოვლენების გადმოცემისას ფარსადანის თხზულებას, თუმცა მის მიერ შემოთავაზებული თარიღი (1642 წლის 6 იანვრამდე ალყის გაგრძელების შესახებ) მაინც არ შეესაბამება სინამდვილეს და იგი ჩვენი მხრიდან ქრონოლოგიის თვალსაზრისით კორექტივის შეტანას მოითხოვს. მკვლევრის შეცდომა მდგომარეობს

იმაში, რომ იგი მსგავსად სხვა მეცნიერებისა ნოდარ ციციშვილის გამოსვლის დათარიღებისას სუბიექტურია და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ნოდარის გამოსვლის დაწყების თარიღად რატომღაც 1641 წელს ასახელებს. იქიდან გამომდინარე, რომ დანარჩენი ორი მკვლევართა (სარგის კაკაბაძისა და დავით გვრიტიშვილის) მიერ აღნიშნული ამბის დათარიღებები უფრო ზოგადი ხასიათისაა, აქ აღარ შეუდგებით მათ განხილვას. სამივე ავტორი ამ ამბის გადმოცემისას ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებას ეყრდნობა.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენს მიერ დადგენილ ნოდარ ციციშვილის გამოსვლის თარიღს 1642 წელს, ამის პარალელურად მხედველობაში მივიღებთ ვიღებთ ფარსადანის თხზულების მიერ მოწოდებულ ზოგად ქრონოლოგიურ თარიღს – ზოვრეთის ციხის ალყის წყალკურთხევამდე გაგრძელების შესახებ, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ზოვრეთის ციხის ალყა არა 1642 წლის 6 იანვრამდე, არამედ 1643 წლის 6 იანვრამდე გაგრძელდა.

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში ზოვრეთის ციხის ალყის დასრულების (1643 წლის 6 იანვარი) შემდეგ მოთხრობილია ორივე ერისთავისა (იგულ. ქსნისა და არაგვის ერისთავები – თ.გ.) და იოთამ ამილახორის მიერ ახალგორში დაგეგმილი შეთქმულება როსტომ მეფის წინააღმდეგ. მემატიანის მიხედვით, ქრისტეშობის წინა დღეს, თბილისში მყოფ როსტომ მეფეს ბახუტა მუხრანბატონმა შეატყობინა იოთამ ამილახორისა და ქსან-არგვის ერისთავთა გეგმა ახალგორს შეკრების შესახებ.

ახალი ამბით შეშფოთებულმა როსტომმა ბახუტას მუხრანბატონს წერილი მისწერა და უბრძანა, თავისი ჯარით მზად დახვედროდა, თავად კი თბილისში შეკრებილი ლაშქარი მცხეთაში გაგზავნა. მეფე ოდნავ მოგვიანებით ჩავიდა მცხეთას და ჯარის სიმრავლით გულმოცემულმა ბახუტა მუხრანბატონს სამოქმედო გეგმა აცნობა, რომლის თანახმადაც მათ სამხედრო ძალები უნდა გააერთიანებინათ და შობის გამთენიისას ამბოხებულებს დასხმოდნენ თავს. როსტომი და ბახუტა ერთმანეთს მუხრანთან შეხვდნენ, გზა შეუსვენებლად გააგრძელეს ახალგორისაკენ და შობის დილას, ანაზდეულად მიიტანეს იერიში ლოცვაზე მყოფ შეთქმულებზე. მოულოდნელი თავდასხმის გამო ამბოხებულებმა წინააღმდგობის გაწევა ვერ მოახერხეს და გაქცევით უშველეს თავს.

ფარსადან გორგიჯანიძის აღნიშნული ნაამბობიდან გამოვყოფთ ამ მოვლენის ორ ზოგად ქრონოლოგიურ მითითებას:

1. შობის წინა დღეს ბახუტა მუხრანბატონის მიერ როსტომისათვის ახალგორში დაგეგმილი შეთქმულების შეტყობინება.

2. როსტომმა ამბოხებული არაგვისა და ქსნის ერისთავები იოთამ ამილახორთან ერთად, ახალგორში შობის დილას დაამარცხა.

ამის შემდეგ კი კიდევ ერთხელ მოვიტანთ ქართველ ისტორიკოსთა დათარიღებებს ახალგორში დაგეგმილი შეთქმულების შესახებ.

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ახალგორში დაგეგმილ „ორნივ ერისთვები“-სა და იოთამ ამილახორის შეთქმულებას როსტომ მეფის წინააღმდეგ 1638 წლით განსაზღვრავდნენ. პირველად აღნიშნული ფაქტი ქართულ ისტორიოგრაფიაში გულქან ჟორჟოლიანმა დაათარიღა. იგი ნოდარ გამოსვლის დამთავრების შემდეგ მოგვითხრობს ქსნისა და არაგვის ერისთავებისა და იოთამ ამილახორის შეთქმულების შესახებ და ამბობს, რომ „1638 წელს როსტომის წინააღმდეგ კვლავ შეთქმულება მოეწყო. შეთქმულების მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ შობა დღეს ახალგორში იოთამ ამილახორი და „ორნივ ერისთავი“ ერთმანეთს შეხვდებოდნენ და საფურცლეში თეიმურაზს შეუერთდებოდნენ. შემდეგ მცხეთაში მისულები პირობას დასდებდნენ, რომ როსტომის წინააღმდეგ მოქმედებას სისრულეში მოიყვანდნენ“ (ჟორჟოლიანი 1987: 71).

მკვლევარი ამ ამბის გადმოცემისას სარგებლობს ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიით, თუმცა აღნიშნულ მემატიანესთან, ნოდარ ციციშვილის გამოსვლის ამბავის მსგავსად, ქართლის ფეოდალების შეთქმულებაც დათარიღებული არ არის. იგი, როგორც წინა შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს ნოდარ ციციშვილის გამოსვლა როსტომ მეფის წინააღმდეგ, თავის ნაშრომში არ უთითებს თუ რაზე დაყრდნობით ათარიღებს ქართლის მეფის წინააღმდეგ მიმართულ ქართლის ფეოდალების შეთქმულებას. მაშინ, როდესაც ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში ამ ფაქტის 1638 წლით განსაზღვრისათვის ვერანაირ მინიშნებასაც კი ვერ ვხვდებით, საინტერესოა თუ რაზე დაყრდნობით განსაზღვრავს გ.ჟორჟოლიანი მაინცდამაინც 1638 წლით ქართლის ფეოდალების აღნიშნულ

შეთქმულებას. ჩვენი დაკვირვებით, მართალია მისი თხრობა ამ ფაქტის გადმოცემისას ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას ეფუძნება, თუმცა იგი ამ მოვლენის დათარიღებისას ვახუშტი ბატონიშვილის წყაროს ეყრდნობა. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი სანამ უშუალოდ როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილი გამოსვლა-შეთქმულებების შესახებ მოგვითხრობს, მანამ აღნიშნავს როსტომ მეფისა და ლევან დადიანის ფაქტს და ამ მოვლენას 1638 წლით ათარიღებს. შემდეგ არის მოცემული როსტომ მეფის წინააღმდეგ მიმართული ქართლის ფეოდალების გამოსვლა-შეთქმულებები, კერძოდ ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქართლის ფეოდალების მასშტაბური შეთქმულება. ვახუშტის აღნიშნული მოვლენები დათარიღებული არ აქვს. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ამ გამოსვლა-შეთქმულებების გადმოცემისას სწავლული ბატონიშვილი ქსნისა და არაგვის ერისთავებისა და იოთამ ამილახორის შეთქმულების შესახებ არაფერს არ ამბობს. Mმიუხედავად ამისა, მკვლევარმა როსტომისა და ლევან დადიანის დამოყვრების თარიღი – 1638 წელი საკმარის არგუმენტად მიიჩნია იმისათვის, რომ ქართლის ფეოდალების შეთქმულებაც ამავე 1638 წლით დაეთარიღებინა. დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში გულქან ჟორჟოლიანის მიერ შემოთავაზებული ქსნის და არაგვის ერისთავებისა და იოთამ ამილახორის მიერ ახალგორში დაგეგმილი შეთქმულების თარიღი – 1638 წელი (ღუნაშვილი 2005: 160) ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მთლიანად იქნა გაზიარებული.

სრულიად აშკარაა, რომ ქართველი ისტორიკოსები ცდებიან ახალგორში დაგეგმილის შეთქმულების დათარიღებისას და ამ ფაქტს შეცდომით 1638 წლით განსაზღვრავენ. თუ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თარიღი 1638 წელი არ შეესაბამება რეალობას, მაშინ ჩნდება ლოგიკური კითხვა – როდის შეიძლება ჰქონოდა ადგილი ამ შეთქმულებას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, საჭიროა კიდევ ერთხელ სრული ნდობა გამოუცხადოთ ამ ამბის თანამედროვის ფარსადანის თხრობის თანმიმდევრობას, სადაც ახალგორში დაგეგმილი შეთქმულება ზოვრეთის ციხის ალყის დამთავრების შემდეგ არის მოთხრობილი. ერთი შეხედვით, შეიძლება დაგვრჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ როსტომის მიერ ზოვრეთის ციხეზე ალყის მოხსნის (1643 წლის 6 იანვარი) შემდეგ ჰქონდა ადგილი აღნიშნულ შეთქმულებას. თუმცა ეს ერთი შეხედვით, თუ კარგად ჩაუკვირდებით

თხზულების ჩვენთვის საინტერესო მოვლენას, დავრწმუნდებით, რომ ახალგორის შეთქმულება მოხდა არა 1638 წელს, არამედ ზოვრეთის ალყის პარალელურად ანუ 1642 წელს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ აღნიშნული გამოსვლის მცდელობის ამბებთან დაკავშირებით ფარსადან გორგიჯანიძე როსტომ მეფის ერთ-ერთ უმთავრეს მოწინააღმდეგეს ნოდარ ციციშვილს არ მოიხსენიებს. ეს ბუნებრივიცაა, იგი ნოდარ ციციშვილს ვერ მოიხსენიებდა აღნიშნულ ამბავთან დაკავშირებით, რადგან იგი ზოვრეთის ციხეში ალყაშემორტყმულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ახალგორში დაგეგმილი შეთქმულება 1638 წლიდან 1642 წლით უნდა გადათარიღდეს. უფრო მეტიც, ახალგორის შეთქმულებასთან დაკავშირებით ფარსადანის მიერ მოწოდებული ორი ზოგადი ქრონოლოგიური თარიღი – შობის წინა დღეს ბახუტა მუხრანბატონის მიერ როსტომისათვის ახალგორში დაგეგმილი შეთქმულების შეტყობინება და როსტომის მიერ ამბოხებული არაგვისა და ქსნის ერისთავების იოთამ ამილახორთან ერთად, ახალგორში შობის დილას დამარცხება, საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო დავავიწროვოთ აღნიშნული ამბის ქრონოლოგია და ეს ამბავი ამავე 1642 წლის 24-25 დეკემბრით განვსაზღვროთ.

ჩვენთვის საინტერესო მოვლენებიდან, ფარსადან გორგიჯანიძე ქრონოლოგიური თვალსაზრისით სულ ბოლოს ქართლის ფეოდალთა შეთქმულების ამბავს მოგვითხრობს. კიდევ ერთხელ გთავაზობთ ქართული წყაროების ქრონოლოგიურ მითითებებს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის შესახებ:

1. ფარსადან გორგიჯანიძე: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1642-1644 წლები.

2. მოჰამედ თაჰერი: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – ქრონოლოგიური მონაკვეთი აბას II-ის აღსაყდრებასა და იასე ქსნის ერისთავის მოკვლას შორის.

3. ბერი ეგნატაშვილი: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – ქრონოლოგიური მონაკვეთი თეიმურაზ I-ის დიდოეთში ლაშქრობასა და მაღაროს ბრძოლას შორის.

4. ვახუშტი ბაგრატიონი: ქართლის ფეოდალთა შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი

ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1638-1642 წლები.

რაც შეეხება ქართულ ისტორიოგრაფიას, პირველად ქართველ ფეოდალთა შეთქმულების კონკრეტულ თარიღს გივი ჯამბურია გვაწვდის და ამ ფაქტს ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე 1642 წლით განსაზღვრა, რაც შემდგომში ქართველ მკვლევართა უმრავლესობის (გულქან ჟორჟოლიანი, ანანია ჯაფარიძე, მიხეილ და ნუგზარ რეხვიაშვილები) მიერ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გაზიარებულ იქნა. თუმცა საპირისპიროდ ამ მოსაზრებისა ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებასაც, რომლის ავტორიც როგორც ზემოთ მოგახსენეთ ბაბული ლომინაძე გახლავთ. იგი გივი ჯამბურიასაგან განსხვავებით, ქართლელ ფეოდალთა მაშტაბურს შეთქმულების დათარიღებისას სარგებლობს იკორთის ქრინიკაში დაცული ევდემონ კათალიკოსის მოკვლის თარიღით – ქორონიკონი ტლა-თი და ყოველივე ამის საფუძველზე ამ ამბავს 1643 წლით ათარიღებს. ამ ორი მოსაზრების გარდა, ჩვენთვის საინტერესო ამბის დათარიღების გარშემო არსებობს კიდევ ორი განსხვავებული შეხედულება:

1. სარგის კაკაბაძე: ქართლის ფეოდალების შეთქმულება (იგივე კათოლიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1637-1648 წლები.

2. ნოდარ ნაკაშიძე: ქართლის ფეოდალების შეთქმულება (კათალიკოსი ევდემონისა და გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა) – 1636-1639 წლები.

როგორც ვხედავთ აღნიშნული ავტორები გივი ჯამბურიასა და ბაბული ლომინაძისაგან განსხვავებით, ამ ამბავთან დაკავშირებით კონკრეტულ თარიღს არ იძლევიან და ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით ათარიღებენ.

ყოველივე ამის შემდეგ გვიჩნდება ლოგიკური კითხვა – რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს ქართველ მკვლევართა მიერ შემოთავაზებული თარიღები ქართლელ ფეოდალთა შეთქმულების გარშემო?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, დავსვამთ კიდევ ერთ კითხვას ამ მოვლენის გივი ჯამბურიასეულ თარიღთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომში მდგომარეობს – თუ მკვლევარს არანაირი მკიცებულება არ ჰქონდა ამ მოვლენის დასათარიღებლად, მაშ რატომღა განსაზღვრა ეს ფაქტი მაინცდამაინც 1642 წლით?

მართალია, მეცნიერი არ ასახელებს თავის ნაშრომში არანაირ მითითებას რაზე დაყრდნობითაც შეიძლება განესაზღვრა ქართლის ფეოდალთა შეთქმულება 1642 წლით, თუმცა მიუხედავად ამისა ჩვენი დაკვირვებით იგი ამ ამბის დათარიღებისას მუჰამედ თაჰერის თხზულებას ეყრდნობა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მუჰამედ თაჰერი ირანის შაჰის აბას II-ის კარის ისტორიკოსი იყო. მის მიერ შედგენილი მატიანეც სწორედ შაჰ აბასის მეფობის ამბებს ეძღვნება. ასევე საყოველთაოდ ცნობილია, შაჰ აბას II ტახტზე აღსაყდრების თარიღი – 1642 წელი. ჩვენი აზრით, ეს ყოველივე კი გივი ჯამბურიამ საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია, რათა ქართლის ფეოდალთა შეთქმულება 1642 წლით განესაზღვრა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, გივი ჯამბურიასაგან განსხვავებით ბაბული ლომინაძე ამ მოვლენის დათარიღებისას ეყრდნობა იკორთის ქრონიკაში დაცულ ევდემონ კათალიკოსის მოკვლის თარიღს ქორონიკონს – ტლა-ს. იქიდან გამომდინარე, რომ ევდემონ კათალიკოსი ამ შეთქმულების Eერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, შესაბამისად შეგვიძლია ვიფიქროთ რომ ავტორი ქართლის ფეოდალთა შეთქმულებასაც ამავე 1643 წლით განსაზღვრავდა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერს მოჰყავს კონკრეტული არგუმენტი ამ ამბის დათარიღებისას, მაინც არ იქნა ქართულ ისტორიოგრაფიაში მისი მოსაზრება გაზიარებული.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გვიჩნდება ლოგიკური კითხვა – რამდენად შეესაბამება იკორთის ქრონიკაში დაცული ევდემონ კათალიკოსის მოკვლის თარიღი ქორონიკონი ტლა რეალობას?

ამ კითხვაზე ამომწურავი და არგუმენტირებული პასუხის გაცემის მიზნით გთავაზობთ 1642-1643 წლების როსტომ მეფის მიერ ბოძებულ წყალობის საბუთებს გერმანოზ ბარათაშვილისადმი.

1642 წლის სიგელით როსტომ მეფემ გერმანოზ ბარათაშვილს სამკვიდრო სოფელი ცოვრეთი გამოართვა და გიორგი ბატონიშვილს გადასცა. ბარათაშვილები აღნიშნული სოფლის სანაცვლოდ წყალობას ითხოვენ და როსტომ მეფისაგან სომხითში სოფელ ,,დიდი წერაქუის" ღებულობენ. მომდევნო, 1643 წლის სიგელის საფუძველზე კი როსტომი გერმანოზ ბარათაშვილს 1642 წელს გამორთმეულ სოფ. ცოვრეთს უმტკიცებს, ამავე დროს

გუდარეხის მონასტერსაც აძლევს. 1643 წლის სიგელში როსტომ მეფე ასევე საუბრობს აღნიშნული წყალობის ბოძების წინაპირობებზე და ამბობს: ,,და ვითარცა ნოდარზედი გავიმარჯვეთ და ცოვრეთი გამოვართუით და ბატონისშუილსა გიორგის მივეცით თქუენი სამკუიდრო, მასუკან გიორგი ჩუენს სიკუდილსა და ღალატში გაერივა, იმას ყაზბი უყავით და თქუენის მამისა და პაპის სამკუიდრო ცოვრეთი ისრევე თქუენ დაგიმკვიდრეთ". პირველად, 1643 წლის როსტომის წყალობის სიგელის ქართული ნაწილი 1899 წელს ე.თაყაიშვილმა ,,საქართველოს სიძველენი"-ის I ტომში გამოსცა (თაყაიშვილი 1899: 484-485). მეორედ, როსტომ მეფის 1643 წლის ქართულ-სპარსული საბუთი ნ. დუნდუამ თავის ერთ-ერთ სტატიაში ,,როსტომ მეფის ორენოვანი (ქართულ-სპარსული) ჰოქმები" გამოსცა (დუნდუა 1980: 129-130). სტატიას ავტორი ამ საბუთის ერთ-ერთ ფრაზას ,,ვითარცა ნოდარზედი გავიმარჯვეთ" (დუნდუა 1980: 129) ცალკე გამოჰყოფს შენიშვნის სახით და ფიქრობს, რომ ამ ფრაზაში ,,იგულისხმება 1642 წ. შეთქმულება, რომელიც მოეწყო როსტომ მეფის წინააღმდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, გიორგი გოჩაშვილი და სხვ. როსტომმა ჩაახშო ეს შეთქმულება და სასტიკად გაუსწორდა მასში მონაწილე თავადებს" (დუნდუა 1980: 129). ჩვენ ვერ გავიზიარებთ ნ. დუნდუას მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას, რადგან ზემოთნახსენებ მეცნიერს ორ სხვადასხვა მოვლენა, კერძოდ, ნოდარ ციციშვილის გამოსვლა და ქართლის ფეოდალების შეთქმულება ერევა ერთმანეთში. მას შემდეგ, რაც ჩვენ როსტომ მეფის წინააღმდეგ მიმართული ნოდარ ციციშვილის გამოსვლა 1636, 1637. 1641 წლებიდან 1642 წლით გადავათარიღეთ, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ზემოთაღნიშნულ ფრაზაში ,,ვითარცა ნოდარზედი გავიმარჯვეთ" როსტომ მეფე გულისხმობს არა ქართლის ფეოდალების შეთქმულებას, როგორც ეს ჰგონია ნ.დუნდუას, არამედ 1642 წლის ნოდარ ციციშვილის გამოსვლას. 1643 წლის საბუთში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ჯერ, 1642 წელს ნოდარ ციციშვილის გამოსვლა მოხდა, რომლის დროსაც როგორც ჩანს, გიორგი გოჩაშვილი როსტომ მეფის თანამოდასეა, უფრო კონკრეტულად სავარაუდოა, რომ მან გარკვეული წვლილი შეიტანა ნოდარ ციციშვილისა და ქართლის ფეოდალების ორგანიზებულ აჯანყების ჩახშობაში და ალბათ ამიტომაც უწყალობა როსტომმა მას სოფ. ცოვრეთი. ამის შემდგომ ის ამავე საბუთის მიხედვით როსტომი ამბობს, რომ ,,მასუკან

გიორგი ჩუენს სიკუდილსა და ღალატში გაერივა, იმას ყაზბი უყავით” ე.ი. 1642 წლის შემდეგ გიორგი გოჩაშვილი როსტომის ღალატში გაერია, რის გამოც გაღარიბებულ იქნა და აღნიშნული სოფელი ცოვრეთი ჩამოერთვა, იგი დაუბრუნდა ძველ მფლობელ გერმანოზ ბარათაშვილს გუდარეხის მონასტრითურთ. ამ დოკუმენტს თუ შევუჯერებთ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას ამ ამბებთან დაკავშირებით, მივიღებთ შემდგომ სურათს, რომ

ა) 1642 წელს გიორგი გოჩაშვილი ამავე წლის ნოდარ ციციშვილის გამოსვლის დროს როსტომ მეფის მომხრეთა ბანაკშია და სავარაუდოდ, როგორც ჩანს, გარკვეული დახმარებაც აღმოუჩინა ქართლის მეფეს ამ აჯანყების ჩახშობაში. სწორედ ამის სანაცვლოდ გიორგი გოჩაშვილმა როსტომისაგან სოფ. ცოვრეთი მიიღო.

ბ) ,,მასუკან” ანუ 1643 წელს მან, რომელიც ფარსადანის თქმით ქართლის ტახტზე აცხადებდა პრეტენზიას და როსტომისაგან მეფობას ელოდა, როსტომ მეფის წინააღმდეგ ზემოთნახსენებ ქართლის თავადთა მასშტაბურ შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღო, რის შემდეგაც იქნა გაღარიბებული, უფრო მეტიც მას როსტომ მეფის ბრძანებით, თვალები დასთხარეს.

დავით ნინიძე ჩვენს მიერ ზემოთგანხილულ მონოგრაფიაში ,,ბაგრატიონთა სახლის განშტოებათა ისტორია XVI-XVIII სს.“ ბაგრატიონთა სახლის გვერდითი შტოს – გოჩაშვილთა ისტორიის განხილვისას, შეეხო როსტომ მეფის მიერ 1643 წელს გერმანოზ ბარათაშვილისადმი ბოძებულ საბუთს. იგი სამართლიანად ამ საბუთში ნახსენებ გიორგი ბატონიშვილში გიორგი გოჩაშვილს მოიაზრებს, რასაც 1643 წლის როსტომის წყალობის სიგელისა გერმანოზ ბარათაშვილისადმი და ფარსადან გორგიჯანიძის წყაროთა შეჯერება ნათლად მეტყველებს. თუმცა დავით ნინიძე ნუგზარ დუნდუას მსგავსად, 1643 წლის როსტომის მიერ გაცემულ გერმანოზ ბარათაშვილისადმი წყალობის სიგელ არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს და ამბობს შემდგომს, რომ ,,აქ მართალია აღნიშნულია, რომ გიორგი ბატონიშვილს ბარათაშვილთა სამკვიდრო მამული – ცოვრეთი გადაეცა, მაგრამ როსტომის სიტყვებით, როცა ,,ნოდარზედი გავიმარჯვეთ” და ეს გიორგი მეფის ,,სიკუდილსა და ღალატში გაერივა”, ბატონიშვილს იგი ჩამოერთვა და ბარათაშვილებს დაუბრუნდათ. აქ პირდაპირ არის მითითებულია როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილი ცნობილი შეთქმულების შესახებ, რომელიც ,,ბატონობას თვითონ მოელოდა”, სხვა

თავადებთან ერთად ,,გაღარიბებულ" იქნა; მითითებული საბუთით, კონკრეტულად მას სოფ. ცოვრეთი ჩამოერთვა" (ნინიძე 2004: 265).

ამრიგად, 1642-1643 წწ როსტომ მეფის მიერ გერმანოზ ბარათაშვილისადმი გაცემული წყალობის საბუთებზე დაყრდნობით გავარკვიეთ ქართლის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტის – გიორგი გოჩაშვილის პოზიცია 1642-1643 წწ. ქართლის მეფის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების მიმართ.

გარდა ამისა, აღნიშნულ წყალობის სიგელები საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ დოკუმენტურად დავამტკიცოთ, იკორთის ქრონიკაში დაცული ევდემონ კათალიკოსის მოკვლის თარიღის (1643 წ.) მმართებულობა და ბაბული ლომინაძის მსგავსად, ქართლის ფეოდალთა მაშტაბური შეთქმულება 1642 წლის ნაცვლად, 1643 წლით განსაზღვროთ.

ამრიგად, 1642 წლის ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ეპიტაფიის შეჯერება ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიასა და როსტომ მეფის მიერ 1642-1643 წლების გაცემული წყალობის სიგელებთან საშუალებას გვაძლევს გადაჭრით ვთქვათ, რომ 1642 წელს როსტომის მმართველობით უკმაყოფილო ქართველი ფეოდალები კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს (1606-1648 წწ.) დაუკავშირდნენ და ქართლში გამეფება შესთავაზეს. მეამბოხე ფეოდალებმა თეიმურაზ I-ს გაერთიანებილი ლაშქრის შეკრების ადგილად მცხეთა დაუთქვეს. მცხეთას უნდა მისულიყვნენ ქართლის დიდი ფეოდალებიც – არაგვის ერისთავი, ამილახორი და ნოდარ ციციშვილი თავიანთი ლაშქრით, აგრეთვე, ნოდართან მყოფი იმერელი თავადები – ძმები ჩხეიძეები. ამბოხებულთა მიზანს როსტომის ტახტიდან ჩამოგდება და ქართლში თეიმურაზ I-ის გამეფება წარმოადგენდა.

მართალია, გეგმა წინასწარ იყო შეთანხმებული, მაგრამ ნოდარ ციციშვილი თეიმურაზ I-სა და სხვა ამბოხებულებს არ დაელოდა, თან მხოლოდ იმერელი წარჩინებულები იახლა, საციციანოში შეკრებილი ლაშქარით ხოვლეში დაბანაკდა, მთელი გაღმამხრის ჯარის თავმოყრას შეუდგა და იმ ფეოდალთა მამულების რბევას მიჰყო ხელი, რომლებმაც ლაშქრის მიშველებაზე უარი უთხრეს.

ნოდარის გამოსვლის შესახებ როსტომს გიორგი სააკაძის ვაჟმა – იორამ მოურავისშვილმა აცნობა და აჩქარება ურჩია. როსტომმა, თავის მხრივ, იორამს გზების შეკვრა დაავალა და თბილისის მოურავს ქალაქში მყოფი ირანელების, ქართველებისა და

სომხების სალაშქროდ შეყრა უბრძანა. საღამოს ჯარჩი დაძახება, ჯარის მცხეთაში ჩასვლა, როსტომის შემდეგ წასვლა და აღლუმის ნახვა! იმავე ღამეს როსტომი ჯართან ერთად კავთისხევს მივიდა, სადაც მას იორამი და მისი ლაშქარი შეუერთდა. მეფემ სვლა სწრაფად განაგრძო და გამთენიისას ხოვლეს ბოლოს შეჩერდა.

როსტომს თანამოლაშქრეებმა მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი თავდასხმა შესთავაზეს, თუმცა მეფემ სხვა გზა აირჩია და ნოდარ ციციშვილს საშუალება მისცა, საბრძოლველად მომზადებულიყო. იერიშზე გადასულ როსტომის ლაშქარს ჩხეიძეები და სხვა იმერლები მიეგებნენ. თავდაპირველად უპირატესობა ამბოხებულთა მხარეს იყო, თუმცა ნოდარ ციციშვილი ბრძოლაში აღარ ჩაება, ხოვლე მიატოვა და ვერის ციხეში გამაგრდა. ქართლის ლაშქარმა ზურგმოუბმელი ჩხეიძეები იოლად დაამარცხა.

იმერელი მოლაშქრეები როსტომის მომხრე ბარათაშვილებმა: ხოსია ბარათაშვილმა, ფარსადან ბარათაშვილმა, ბოქაულთუხუცეს ელიზბარის ყმებმა და დონდარა ეჯიბისშვილმა შეიპყრეს, მათი ერთ-ერთი მეთაური – ბეჟია ჩხეიძე კი იორამ მოურავისშვილმა ჩაიგდო ტყვედ, ხუცია ჩხეიძე პაატა ჯავახიშვილმა დატყვევა, ხოლო ფარსადან ბარათაშვილმა ბეჟიას ჩხეიძის ვაჟი – ოტია. დატყვევებული ჩხეიძეები როსტომს მიჰგვარეს. მეფემ ისინი ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ჯეროვანი პატივით მიიღო და გორს გაგზავნა.

გამარჯვებულმა როსტომმა თანამებრძოლებს მამულები და ხალათები უბოძა, ლაშქრის მეთაურებს კი საციციანო დაუნაწილა. მანვე გასცა ბრძანება, რომ ლაშქარს საციციანოს მოსახლეობის დევნა შეეწყვიტა და დატყვევებულები გაეთავისუფლებინა.

როსტომმა ღამე ნაომარ ადგილას გაათენა, მეორე დღეს კი გორს მივიდა.

ამავე დღეს მეფემ გორიდან თბილისში ჩაფარი გააგზავნა, რომლის მიერ ჩატანილი ბრძანებითაც, ქალაქში მყოფი დედოფლის სახლთუხუცესი – ქაიხოსრო ბარათაშვილი ტყვედ შეიპყრეს, ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდან გადმოაგდეს, თან ხმა დაყარეს, დათვრა და თავად გადმოვარდაო. როსტომი ამით არ დაკმაყოფილდა, ქაიხოსროს შვილები შეიპყრო და გორის ციხეში დაატყვევა. ქაიხოსროს სიძემ, ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთ წარმომადგენელმა – ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილმა, რომელიც ქართლის სამეფო ტახტზე აცხადებდა პრეტენზიას, გაქცევით უშველა თავს და კახეთს გადაიხვეწა.

ქართლს გაერიდა კიდევ ერთი მეამბოხე ფეოდალი – იოთამ ამილახორიც. მან საკუთარი ოჯახი არაგვის (?) საერისთავოში გახიზნა, თავად კი არაგვის (?) ერისთავთან ერთად, კახეთში გადავიდა და თეიმურაზ I-ს ეახლა.

ამასობაში ზამთარმაც მოატანა. ნოდარ ციციშვილი მძოვრეთის ციხეში გამაგრდა, როსტომმა კი გორში მდგომ ლაშქარს სკრას ზემოთა საციციანო დარბევინა.

ამავე ხანებში, როსტომმა ტყვედ ჩაგდებული ჩხეიძეები ელიზბარ ბოქაულთუხუცესის ხელით ირანში გაგზავნა, თან შაჰს არზა მისწერა – ჩემი უშვილობის გამო ქართველები შფოთს არ იშლიან და ამიტომ ჩემი ბიძაშვილის – თეიმურაზ მირზას ერთ-ერთი ვაჟი, პაპიჩემის სეხნია – ლუარსაბი შვილად დამიმტკიცეთო.

ელიზბარ ბოქაულთუხუცესის ირანში გაგზავნის შემდეგ როსტომმა გორის ციხიდან ზარბაზნები გაიტანა და ზოვრეთის ციხეს ალყა შემოარტყა. მოალყეებმა ნოდარ ციციშვილის თავშესაფარს ზარბაზნები დაუშინეს, თუმცა ქვითკირით ნაგებ ციხეს ვერაფერი დააკლეს. ამ უშედეგო იერიშების დროს ხმა გავრცელდა, რომ ალყაშემორტყმულების საშველად თეიმურაზ I მოემართებოდა. მართალია, მოვლენების ასეთი განვითარება მოალყეებს საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ როსტომი თავის გადაწყვეტილებაზე მტკიცედ იდგა და ამბობდა, ოსმალეთის სულთანიც რომ მიეშველოს, სანამ ნოდარს ხელთ არ ვიგდებ, ადგილიდან არ დავიძვრებიო.

ზოვრეთის ციხის ალყა 1643 წლის 6 იანვრამდე ანუ წყალკურთხევამდე გაგრძელდა. ალყაშემორტყმულების მდგომარეობა თანდათანობით დამძიმდა. მათ თეიმურაზ I-ისაგან დახმარება ვერ მიიღეს. ამას ისიც დაემატა, რომ ნოდარს საკუთარმა ყმებმაც უღალატეს და ციხის გაცემა გადაწყვიტეს. როცა ნოდარმა ღალატის ამბავი შეიტყო, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და როსტომს შუამავლად საკუთარი დედა – კახთა მეფის ასული მიუგზავნა. როსტომმა შუამავალი დიდი პატივით მიიღო. კახთა მეფის ასულმა ნოდარისათვის ციხიდან უვნებლად გასვლის პირობა ითხოვა. როსტომმა ძველ ქართულ ტრადიციას არ უღალატა, მეფის ასულს საჩუქრები მიართვა და ნოდარისათვის უვნებლობის ფიცი მისცა – საითაც უნდა, იქით წავიდეს თავისი მხლებლებითა და საქონებელითო. გარდა ამისა, როსტომმა ნოდარს ცხენები და ჯორებიც ათხოვა, რათა ამ უკანასკნელს თავისი ქონება ახალციხემდე მიეტანა. ნოდარი ბევრს ეცადა, როსტომს პირადად ხლებოდა, მაგრამ მეფემ

მეამბოხე ფეოდალის ნახვა არ ისურვა და ნოდარიც სამცხეში გადავიდა.

ამ დროისათვის სხვა მეამბოხე ფეოდალები – ზაალ არაგვის ერისთავი და იოთამ ამილახორი კახეთში, თეიმურაზ I-თან იმყოფებოდნენ.

ნოდარ ციციშვილის დამარცხების მიუხედავად, აღმოსავლეთ საქართველოში კვლავინდებურად გრძელდებოდა როსტომისა და თეიმურაზ I-ის მომხრეთა დაპირისპირება. ქართველი ფეოდალები, რომლებიც იოლად იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას, გაუთავებლად არბევდნენ ერთმანეთის მამულებს.

ქრისტეშობის წინა დღეს, 1642 წლის 24 დეკემბერს თბილისში მყოფ როსტომ მეფეს შეატყობინეს, რომ არაგვისა და ქსნის ერისთავები იოთამ ამილახორთან ერთად, ახალგორს შეკრებას გეგმავდნენ, შობას ერთად იდღესასწაულებდნენ, ლაშქარს შეკრებდნენ, საფურცლესთან თეიმურაზ I-ს შეუერთდებოდნენ, გაერთიანებული მხედრობით მცხეთას მივიდოდნენ, სხვა მომხრეებსაც თავს მოუყრიდნენ და ერთმანეთს ერთგულების ფიცს მისცემდნენ.

ახალი ამბით შეშფოთებულმა როსტომმა ბახუტა მუხრანბატონს, შემდგომში ქართლის მეფე ვახტანგ V-ს (1658-1675 წწ.) წერილი მისწერა და უბრძანა, თავისი ჯარით მზად დახვედროდა, თავად კი თბილისში შეკრებილი ლაშქარი მცხეთაში გაგზავნა. მეფე ოდნავ მოგვიანებით ჩავიდა მცხეთას და ჯარის სიმრავლით გულმოცემულმა ბახუტა მუხრანბატონს სამოქმედო გეგმა აცნობა, რომლის თანახმადაც მათ სამხედრო ძალები უნდა გააერთიანებინათ და შობის გამთენიისას ამბოხებულებს დასხმოდნენ თავს. როსტომი და ბახუტა ერთმანეთს მუხრანთან შეხვდნენ, გზა შეუსვენებლად გააგრძელეს ახალგორისაკენ და შობის დილას, 1642 წლის 25 დეკემბერს ანაზდეულად მიიტანეს იერიში ლოცვაზე მყოფ შეთქმულებზე. მოულოდნელი თავდასხმის გამო ამბოხებულებმა წინააღმდგობის გაწევა ვერ მოახერხეს და გაქცევით უშველეს თავს, სადღესასწაულოდ გამზადებული სადილ-ვახშამი კი ხელუხლებელი დაუტოვეს როსტომის ლაშქარს.

შობის მეორე დღეს ამბოხებულთაგან ტყვედ ჩავარდნილი მოლაშქრეები როსტომს წარუდგინეს. მეფემ ტყვეები გაათავისუფლა და გორს წავიდა.

როსტომმა მთელი ზამთარი გორში გაატარა.

1643 წელს როსტომის მიერ ირანში გაგზავნილი ელიზბარ დავითიშვილი ლუარსაბ

ბატონიშვილთან ერთად ქართლში დაბრუნდა და თან შაჰის წერილი ჩამოიტანა. მეფეს წერილი გორში აახლეს. შაჰმა დააკმაყოფილა როსტომის თხოვნა და მის შვილობილად და ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრედ ლუარსაბი დაამტკიცა.

ამ ამბავმა ძალზედ გაანაწყენა გიორგი გოჩაშვილი, რომელსაც ქართლის მეფობა თავად სურდა. ახალმა ამბავმა თეიმურაზ I-იც აღაშფოთა. მან და არაგვის (?) ერისთავმა კარგად ისარგებლეს გიორგი გოჩაშვილის განაწყენებით და ქართლში გამეფება შესთავაზეს. 1643 წელს თეიმურაზ I-მა და არაგვის (?) ერისთავმა სხვა ქართლელი ფეოდალების მიმხრობაც სცადეს, დიდი მიმოწერა გააჩაღეს და რამდენიმე მათგანი – ქართლის კათოლიკოსი ევდემონ I დიასამიძე (1630-1643 წწ.), რევაზ ბარათაშვილი და სომხითის მელიქი ყორხმაზბეგი გადაიბირეს კიდეც.

შეთქმულებმა გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ როსტომი არცთუ დიდი ლაშქრით ცხირეთს იმყოფებოდა და შემდეგი სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს: თეიმურაზ I რჩეული ცხენოსანი რაზმით მოულოდნელად მივიდოდა მეტეხს, მისი მცირერიცხოვანობით გულმოცემული როსტომი მოწინააღმდეგისაკენ დაიძვრებოდა და შეთქმულებიც ბრძოლის ველზე მოკლავდნენ მას. ამ შემთხვევაში, ქართლის მეფის სიკვდილი კონკრეტულად არავის დაბრალდებოდა. როსტომის მოკვლის შემდეგ შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ქართლში თეიმურაზ I გაემეფებინათ, თუმცა ამას გიორგი გოჩაშვილს არ უმხელდნენ.

შეთქმულებს დასახული გეგმის განხორციელება არ დასცალდათ. მათი განზრახვა შეთქმულების ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ – სომხითის მელიქმა ყორხმაზბეგმა გასცა, რომელსაც შაჰის რისხვის შეეშინდა და როსტომს შეთქმულთა მიერ გამოგზავნილი წერილები უჩვენა.

როსტომმა დაუყოვნებლივ მიიღო საპასუხო ზომები და სანამ თეიმურაზ I მეტეხს მივიდოდა, მანამ გორში შეასწრო და იქ გამაგრდა. შეთქმულთა მიერ შემუშავებული გეგმა ჩაიშალა და თეიმურაზ I უკან, კახეთს გაბრუნდა.

შეთქმული ქართლელი ფეოდალები, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ სომხითის მელიქისაგან გაცემის ამბავი, უშიშრად მივიდნენ გორს და ხიფათს გადარჩენილ როსტომს ეახლნენ. მეფემ კათოლიკოსი ევდემონი და გიორგი გოჩაშვილი ჯერ დააჭერინა, ხოლო

შემდეგ კი სასტიკად დასაჯა: გიორგი გოჩაშვილს თვალები დასთხარა, კათოლიკოსი ევდემონი კი თბილისს გაგზავნა და იქ, ქალაქის ციხეში, ირანელებს მოაშთობინა. გორში მყოფ როსტომს სხვა შეთქმულებთან ერთად ერისთვისშვილი ლარგველიც ეახლა. მეფემ ისიც დააჭერინა, თუმცა ლარგველმა გორის ციხიდან გაპარვა მოახერხა. კიდევ ორმა შეთქმულმა – რევაზ ბარათაშვილმა და ივანე სააკაძემ გაქცევით უშველეს თავს და კახეთს გადაიხვეწნენ. სამაგიეროდ, როსტომმა ივანე სააკაძის ძმა – ზურაბი შეიპყრო ტყვედ და მასაც თვალები დასთხარა.

შეთქმულთა დასჯის შემდეგ როსტომი გორიდან თბილისს მივიდა და მომხდარის შესახებ ირანის შაჰს აცნობა. შაჰმა ქართლის მეფეს საჩუქრები გამოუგზავნა და თან როსტომის დისწულის – ადამ სულთან ენდრონიკაშვილის მეთაურობით, ირანელთა ლაშქარი მოაშველა. შეთქმულება საბოლოოდ დამარცხდა (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 247-250).

§ 3. ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი და 1648-1653 წწ. შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილის და მისი ძმებისა პირღებულთა ღმრთისმშობელისადმი

XVII საუკუნის ქართლის სამეფოს ფეოდალური სახლებიდან ჩვენ დიდ ინტერესს იწვევს აბაშიშვილთა ფეოდალური სახლი, კერძოდ ამ საგვარეულოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ამავე XVII საუკუნის I ნახევრის პოლიტიკური ფიგურის – ქართლის მეფის, სიმონ II-ის (1619-1631 წწ.) თანამეცხედრის, ჯაჰანბანუ დედოფლის სუფრაჯ, ავთანდილ აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი. ამ ფეოდალური სახლის შესახებ საინტერესო ცნობებს ამავე პერიოდის დიმლომატიკური საბუთებში ვხვდებით. აღნიშნული ისტორიული საბუთების განხილვა საშუალებას გვაძლევს შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ ქართლის სამეფო კარზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელოს მქონე, სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური სახლის ცხოვრება და მოღვაწეობა. აქვე დავძენთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური გამოკვლევა

ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალურ ოჯახზე არ მოგვეპოვება.

დღეისათვის სულ 16 დიპლომატიკური ძეგლი გვაქვს ხელთ ავთანდილ აბაშიშვილის ფეოდალური სახლის შესახებ, რომელთაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოგიდგენთ. ეს ისტორიული საბუთებია: 1) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1627 წ.) (ქართულ-სპარსული დოკუმენტი); 2) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის განახლების წიგნი, ბოძებული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1628 წ.); 3) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის განახლების წიგნი, მიცემული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1628 წ.); 4) დავის გარიგების წიგნი ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ საამ საგინაშვილისათვის მიცემული ხოდაბუნების დათმობისა (1628 წ.); 5) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის სიგელი, სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის მანგლისის მოურავად დანიშვნის შესახებ (1629 წ.); 6) დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი, მიცემული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1630 წ.); 7) წიგნი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილსა და მგელა ვალალაშვილს შორის უძრავი ქონების გაცვლის შესახებ (1637 წ.); 8) როსტომ მეფის წყალობის წიგნი, ბოძებული მის დისშვილ ხვარაშან ბატონიშვილისადმი (1641 წ.); (ქართულ-სპარსული დოკუმენტი); 9) როსტომ მეფის წყალობის წიგნი, მიცემული ხვარაშან ბატონიშვილისადმი (1641 წ.); 10) ნასყიდობის წიგნი, სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისა მიერ ევანეზ ზეგულაშვილისაგან მისივე ზვრის პირას მდებარე მიწის ავეტისას მიწამდე ყიდვის შესახებ (1644 წ.); 11) ნასყიდობის წიგნი, მიცემული მამასახლის სამებისას მიერ ალიხანა [იაგულაშვილისათვის] (1646 წ.); 12) განჩინება ტოტუაშვილებსა და აჯაბნუნაშვილებს შორის სახლის ადგილის გამო (1648 წ.); 13) ქართლის მეფის როსტომის წყალობის განახლების წიგნი, გაცემული აბელ ბარათაშვილისადმი (1653 წ.); 14) დავის წიგნი, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილსა და იოთამიშვილებს შორის აკაურთულ მიწებზე (1662 წ.); 15) დავის წიგნი, ბარათაშვილ-აბაშიშვილებსა და იოთამიშვილებს შორის აკაურთულ მიწებზე (1662 წ.); 16) ვახტანგ V-ის (1658-1675 წწ.) მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილებისადმი (1664 წ.).

გთავაზობთ, ზემოთჩამოთვლილ ისტორიულ დოკუმენტებში დაცულ ცნობებს სუფრაჯ

ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური სახლის შესახებ.

პირველად ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი 1627 წლის ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში იხსენიება, რომლის მიხედვით ჯაჰანბანუ დედოფალმა მას ნასოფლარი დიდი ურცევანი უწყალობა. 1627 წლის საბუთში ვკითხულობთ:

„....ჯ{ა}ჰ{ა}ნბანუ{მ} ესე წყალობის წიგნი და ნიშანი [შეგიწყალეთ და გიბოძეთ] ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით [ნამსახურსა ყმასა], ბარათაშვ{ი}ლს ავთანდილს და შენს ძმასა მერაბსა და თქვენს ძმისწულსა აბაშსა და შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამს, როდის მოგვიდეგით<ა> კარსა და თქვენისავ სამკვიდროს წყალობას გვიაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენ და მოკითხული ვქენით და პირველადც თქვენი<ვ> მამა-პაპათა ყოფილ იყო, გიბოძეთ საბარათაშვილი ჩიგა ნასოფლარი – დიდი ურცევანი...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.) (სეა, 15/30).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ სიგელში ავთანდილ აბაშიშვილი თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად იხსენიება. გარდა ამისა, აღნიშნული საბუთი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა: ა) ის, რომ 1627 წლისათვის ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად ნასოფლარ დიდ ურცევანს ფლობს, ხოლო მეორე მხრივ ნათლად ჩანს, რომ ოჯახი გაუყრელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ძმები ავთანდილ და მერაბ ბარათაშვილ-აბაშიშვილები ჯაჰანბანუ დედოფლისაგან ერთად არ მიიღებდნენ წყალობას. მესამე ის, რომ აღნიშნული ნასოფლარი დიდი ურცევანი ავთანდილ და მერაბ ბარათაშვილ-აბაშიშვილების წინაპრების საკუთრებას წარმოადგენდა.

1628 წლის წყალობის წიგნში, რომელიც ასევე ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ არის გაცემული ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

„...ჩვენ, დედოფალმა, პატრონმა ჯაჰანაბანუ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმას, ბარათაშვილ<ი>სა სუფრაჩს ავთანდილს და შენსა ძმას მერაბას და თქვენს ძმისწულს აბაშას და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისათა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამს, როდის მოგვიდეგით კარსა და კიკეთის წყალობასა გვეაჯენით და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და პირველადც თქვენი ნაქონი ყოფილ იყო და აწეც, წიგნითა ამით გაგიახლეთ და გიბოძეთ კიკეთი ....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.) (სეა, 15/10).

როგორც ჩანს, ავთანდილი აქ უკვე სუფრაჯის სახელოთი მოიხსენიება. 1628 წლის წყალობის სიგელში სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი კვლავ თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად არის დასახელებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოჯახი კვლავ გაუყრელია. ამ წყალობის სიგელით ჯაჰანბანუ დედოფალი მათ უახლებს კიკეთის წყალობას, რომელიც თავდაპირველად „მათი ნაქონი ყოფილ იყო“.

იმავე, 1628 წელს ჯაჰანბანუ დედოფალი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს კიდევ ერთ წყალობის სიგელს აძლევს, რომლის მიხედვით ქართლის დედოფალმა მას გოლთეთას მამული დუეზითურთ უწყალობა:

„....ჩვენ, დედოფალმა, პატრონმა ჯაჰ{ა}ნ<ა>ბანუ{მ} ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა თავდადებით ნამსახურს ყმასა, აბაშის შვილიშვილს – ავთანდილ<ა>ს და ძმას შენსა – მერაბსა და ძმისწულსა შენსა – აბაშსა და შვილთ და მომავალთა და სახლსა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა, თქვენსავ სამკვიდრო მამულს გოლთეთას გვიაჯენით, მისის დუეზით მოკითხული ვქენით და პირველადაც თქვენის მამა პაპათა ყოფილ იყო, ჩვენცა წიგნ[ით] ამითა გაგიახლეთ და გიბოძეთ....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/51).

ამ წყალობის საბუთზე დაყრდნობით ვგებულობთ, რომ ა) ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის პაპას სახელად აბაში რქმევია. ბ) ავთანდილი ისევ თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად იხსენიება. გ) აღნიშნული მამულები გოლთეთა და დუეზი ავთანდილ აბაშიშვილის წინაპრების საკუთრებას წარმოადგენდა, რომელსაც ჯაჰანბანუ დედოფალი თავის მხრივ უახლებს ერთგულ ფეოდალს. დ) ოჯახი კვლავ გაუყრელია.

ჩნდება ლოგიკური კითხვა – რომელი საუკუნის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ ამ საბუთში დასახელებული ავთანდილ აბაშიშვილის პაპა – აბაში?

თუ ამოვალთ იქიდან, რომ სუფრაჯი ავთანდილი XVII საუკუნის I ნახევრის

მოღვაწეა, გამოდის რომ მისი მამა, რომლის სახელიც სამწუხაროდ არც ქართულ ნარატიულ წყაროებმა და არც ქართულ დიპოლომატიკურ ძეგლებმა არ შემოგვინახა, XVI საუკუნის II ნახევრის მოღვაწე უნდა ყოფილიყო, აქედან გამომდინარე ლოგიკურია, თუ ვიფიქრებთ, რომ ავთანდილის პაპა – აბაში XVI საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა.

მას შემდეგ, რაც სავარაუდოდ დავადგინეთ ავთანდილის პაპის აბაშის მოღვაწეობის ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთი, საინტერესოა თუ როდის ჩნდება პირველად ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში სახელი – აბაში?

პირველად ქართულ საისტორიო საბუთებში სახელი აბაში 1506 წელს ჩნდება. ეს დოკუმენტი ფრაგმენტულია და ჩვენამდე თედო ჟორდანიას ქრონიკების სახით მოაღწია. ამ სიგელის მიხედვით, 1506 წელს აბაშ ბარათაშვილი და მისი ძმისწული დავითი სვეტიცხოველს წყალობის სახით ქალაქს მცხოვრებ ორი კომლ ავეტიზაშვილებს სწირავენ (ჟორდანია 1897: 325).

ამის შემდეგ, აბაშ და დავით ბარათაშვილები იხსენიებიან 1529 წლის საბუთში, სადაც აღნიშნული პირები 1506 წლის დოკუმენტის მსგავსად შემწირველებად გვევლინებიან მცხეთის ეკლესიისადმი. აღნიშნული საბუთის მიხედვით, აბაშ და დავით ბარათაშვილები ბასილის კათალიკოსობის დროს სოფელ ყორანთის ეკლესიას მისი ნასოფლარით მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიას სწირავენ (სეა, 1449-1539).

ამრიგად, ზემოთმოყვანილი 1506 და 1529 წლების საბუთები ნათლად აჩვენებს, რომ აბაშ ბარათაშვილი თავის ძმისწულ დავითთან ერთად XVI საუკუნის I ნახევრის ქართლის სამეფოს ერთ-ერთ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეს წარმოადგენდა.

მართალია, ქართულ დიპლომატუკურ ძეგლებში მართლაც მოიძებნა სახელი აბაში, თუმცა მიუხედავად ამისა გასარკვევი რჩება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი – თუ რა მიმართებაში არის ჩვენს მიერ ზემოთდასახელებული აბაშ ბარათაშვილი 1628 წლის საბუთში მოხსენიებულ ავთანდილ აბაშისშვილის პაპა – აბაშთან?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, მეტად მნიშვნელოვანია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში QD კოლექციაში 1604 ნომრით განთავსებული დოკუმენტი. აღნიშნული საბუთი ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზ VI-ის მიერ მანგლისის ეკლესიისათვის დამტკიცების წიგნს წარმოადგენს და 1584 წლით არის დათარიღებული. ეს

საბუთიც ფრაგმენტის სახითაა ჩვენამდე მოღწეული და იწყება პირდაპირ სოფლების ჩამონათვალით. ქართლის კათალიკოსის თქმით, „.... უბანი, ქცია, თეთრანი, მრაქათელა, შოშილეთი, საჭ..ე?, იფნარიანი, ახ{ალ}შენი, ვარდისუბანი, დია და ახ{ა}ლდია ქციას გაღმა აბაშისა და დავითის კერძი მამული შენი და ოჴერი ჴელ-შეუალად {გ}ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ, მანგლისისა ღმრთისმშობელსა და თქუენსა საჭეთმპყრობელს პატრონს მანგლელსა“ (ხეც, QD-1604).

აღნიშნული საბუთიდან ვიგებთ, რომ აბაშ და დავით ბარათაშვილების კუთვნილი სოფლები ყოფილა: ქცია, თეთრანი, მრაქათელა, შოშილეთი, საჭ..ე?, იფნარიანი, ახალშენი, ვარდისუბანი, დია და ქციას გაღმა მდებარე, სოფელი ახალდია.

გარდა ამისა, საინტერესოა კიდევ ერთი 1699 წლის საბუთი გაცემული ქართლის კათალიკოს იოვანე დიასამიძის მიერ მანგლელ გაბრიელ ჯავახიშვილისათვის, სადაც ქართლის კათალიკოსი მანგლელს სხვა მამულებთან ერთად აბაშისა და დავითის ნაქონ მამულებს უბოძებს (ხეც, AD-647).

როგორც ამ ორ საბუთიდან ჩანს, მანგლელის სამწყსოში შემავალი სოფლები ადრე უფრო კონკრეტულად, XVI საუკუნის I ნახევარში აბაშ და დავით ბარათაშვილების მფლობელობაში ყოფილა. ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვას ამომწურავ პასუხს სცემს 1630 წელს ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი მანგლისის წყალობის სიგელი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

„... ჩუენ, დედოფალმა პატრ(ო)<მა>ნმა ჯაჰნ -აბანუ[მ] ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმას, ბარათასშვილს სუფრაჩს ავთანდილს და ძმას თქვენს მერაბს და შვილსა თქვენსა ბადურას და ძმის წულსა თქუენსა აბაშსა და შვილთა და მომავალსა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამს, როდეს მოგვიდეგით კარსა და მა(ნ)გლის[ის] გვიაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით და პირველადც თქვენის მამა პაპათა სამკვიდრო და სასაფლავო ყოფილ იყო და ახლაც წიგნითა ამითა გაგიახლეთ და გიბოძეთ თქვენივ სამკვიდრო მა(ნ)გლისი...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ) (სეა, 15/29).

როგორც ვხედავთ, 1630 წლის დოკუმენტში მეტად საინტერესო ცნობებს ვხვდებით: ა) ავთანდილი კვლავ სუფრაჯის საპატიო სახელოს ფლობს. ბ) იგი იხსენიება კვლავ თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად. გ) აღნიშნულ საბუთში ავთანდილი იხსენიება აგრეთვე თავის უფროს ვაჟ ბადურასთან ერთად. დ) აღსაღნიშნავია, რომ ამ სიგელში ჯერ ავთანდილის ვაჟი – ბადურაა მოხსენიებული, ხოლო შემდეგ მერაბის ვაჟი – აბაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ავთანდილი ბარათაშვილ-აბაშიშვილი ოჯახის უფროსია და აქედან გამომდინარეა, რომ მის გვერდით ჯერ თავის ვაჟი ბადურაა დასახელებული, ხოლო შემდეგ კი მისი ძმის, მერაბის ვაჟი – აბაში. ეს მანიშნებელია იმისა, თუ როგორ მკაცრად იყო განსაზღვრული უფროს-უმცროსობის პრინციპი იმდროინდელ ქართულ ფეოდალურ ოჯახში. ე) ავთანდილი კვლავ გაუყოფელია ძმასთან. ვ) ამ დოკუმენტში ჯაჰანბანუ დედოფალი ჩვენთვის ერთ მეტად საყურადღებო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ მანგლისი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის წინაპართა „სამკვიდრო და სასაფლავო იყო“. ამრიგად, სუფრაჯ ავთანდილის მამა-პაპათა სამკვიდრო და საძვალე ადგილს მანგლისი წარმოადგენდა.

ერთი მხრივ ვითვალისწინებთ, 1584 წლის ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის მანგლისის ეკლესიისადმი გაცემულ წყალობის წიგნსა და 1699 წლის ასევე ქართლის კათალიკოს ევდემონ დიასამიძის მიერ მანგლელ გაბრიელ ჯავახიშვილისადმი შეწირულების სიგელს, მეორე მხრივ მხედველობაში ვიღებთ 1630 წლის ჯაჰანბანუ დედოფლის მიერ ავთანდილ ბარათაშვილისადმი მანგლისის ბოძების წიგნში აღნიშნულ მეტად საყურადღებო პასაჟს, რომლის მიხედვითაც მანგლისი სუფრაჯ ავთანდილის წინაპართა საძვალეს წარმოადგენდა, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სწორედ 1506-1529 წლებში ქართულ საისტორიო საბუთებში მოხსენიებული აბაშ ბარათაშვილი გახლდათ სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის პაპა. აქვე შევნიშავთ, რომ არ არის გამორიცხული 1506-1529 წლებში ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში ნახსენები აბაშ ბარათაშვილი აბაშიშვილთა ფეოდალური ოჯახის დამფუძნებელი იყოს, რაზეც შესაძლოა მეტყველებს ერთი საუკუნის შემდეგ ქართლის დედოფლის ჯაჰანბანუს მიერ 1630 წლის საბუთში საგანგებო ხაზგასმა იმ ფაქტზე, რომ აბაშის შვილიშვილი იყო სუფრაჯი ავთანდილ აბაშიშვილი. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ავთანდილ

ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახის ცხოვრება-მოღვაწეობის დღემდე უცნობი დეტალების დადგენა, ამის გამო აქ ამ მიმართულებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. თუმცა აქვე დავძენთ, რომ ამ საკითხს მოვუბრუნდებით მაშინ როდესაც საუბარი გვექნება აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ჩამოყალიბებაზე.

1628 წელს ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ახლა უკვე მოწმის სტატუსით გვევლინება ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ საამ საგინაშვილისათვის მიცემული ხოდაბუნების დათმობის სიგელში. ჩვენთვის სავსებით გასაგებია, თუ რატომ არის ამ საბუთში მოხსენიებული ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოწმეს სახით, რადგან როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, საამ საგინაშვილი ქაიხოსრო ბარათაშვილს „გოლთეთს წყაროსთან“ მდებარე ხოდაბუნს ედავებოდა. გოლთეთას მამულს დუეზითურთ კი როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ამ დროისათვის ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ფლობს თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად. სწორედ ამის გამო არის აღნიშნულ სიგელში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოწმედ მოხსენიებული.

1629 წელს ჯაჰანბანუ დედოფალი სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს სამოურაოდ მანგლისს აძლევს:

„ქ. ჯაჰანბანუ დედოფალი გ(ი)ბ(რძანე)ბთ, მა(ნ)გლისის მამასახლისნო და ერთობილნო მა(ნ)გლელნო, მერმე თქვენი თავი სამოურაოდ სუფრაჩის ავ<ა>თანდილისათუნ მიმიცემია და მიუდეგით...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ) (სეა,1448 3262).

როგორც საბუთიდან ირკვევა, 1629 წელს ქართლის დედოფალი ჯაჰანბანუ მანგლისს სამოურაოდ სუფრაჯ ავთანდილ აბაშისშვილს აძლევს.

1637 წლის გაცვლის წიგნში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ისევ ბარათასშვილად არის მოხსენიებული. ამ წყალობს წიგნში ვკითხულობთ:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა. შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე ჟამთა გას{ა}თავებელი წიგნი და სიგელი ჩუენ, ბარათასშვილმა <პატავთ> პატრონმა ავთანდილ, ძემა ჩუენმა პატრონმა ლევან და ძ<ა>მამა ჩუენმა პატრონმა მერაბ, ძ<ა>მისწულმა ჩუენმა პატრონმა აბაშ შენ, ვალალასშვილს

მგელიას და სახლისა მომავალსა შენისათა.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ფეშქაში მოგვართვით და ჭიჭრიანს სათიბს და ახოთას ერთს ნაოხ{ა}რს ცხურის საფარეხეთ გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ, მოგცეს. ღმერთმან და გიბედნიაროს მერმე მოკითხული ვქენით და ამას წინათაც ელიოზს თქუენთუის ახოთას მიწები მოეცა ის გამოგართვ<ა>ით და ამის მუქფათ ეს გიბოძეთ“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.) (სეა, 1448-2936).

1637 წლის გაცვლის სიგელის მიხედვით, ისინი ახოთასა და ჭიჭრიანს ფლობენ, თუმცა ადრე ახოთაზე ხელი ჰქონია ვიღაც ელიოზს, რომელსაც წინათ ახოთას მიწები მგელია ვალალაშვილისათვის მიუცია. სწორედ აღნიშნული ახოთას მიწები გამოართვა ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილმა მგელია ვალალაშვილს, რომლის სანაცვლოდ მას ჭიჭრიანის სათიბი და ახოთას ერთი ნაოხარი ცხვრის საფარეხედ მისცა.

ამ დოკუმენტში ავთანდილი თავის შვილ ლეონთან, ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთან იხსენიება. აღნიშნულ სიგელში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ მნიშვნელოვან დეტალმა, რაც მდგომარეობს შემდგომში, რომ ზემოთაღნიშნულ სიგელში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს თავის ძმა მერაბზე წინ წამოწეული ჰყავს თავისი რიგით მეორე ვაჟი – ლეონი. გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ქონების გაცვლის წიგნში ქრება ავთანდილ აბაშისშვილის უფროსი ვაჟის – ბადურას სახელი. ამ ცვლილებას ჩვენამდე ყურადღება მიაქცია მეცნიერმა – თემო ჯოჯუამ, რომელიც სამართლიანად ფიქრობს რომ, „უფროსი ძმა – ბადურა მამის გვერდით მხოლოდ ერთ, 1630 წლის საბუთში იხსენიება (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394). ქრონოლოგიურად მომდევნო, 1637 წლის დოკუმენტში ბადურას სახელს ვეღარ ვხედავთ. სამაგიეროდ, აქ, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის გვერდით, ახლა უკვე მომდევნო ძმის – ლეონის სახელი ჩნდება (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394). ამგვარ ცვლილებას, ვფიქრობთ, ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს 1630-1637 წლებს შორის პერიოდში ბადურა, როგორც ჩანს, გარდაიცვალა და ავთანდილ აბაშისშვილის ოჯახშიც მისი ადგილი, პირმშოობის წესის თანახმად, მომდევნო ძმამ – ლეონმა დაიკავა“ (ბახტაძე....2005: 199).

ამგვარად, მკვლევარმა ერთი მხრივ გაითვალისწინა 1630 წლის საბუთში ავთანდილ

აბაშისშვილის გვერდით მისი უფროსი ვაჟის – ბადურას მოხსენიება, ხოლო მეორე მხრივ ყურადღება გაამახვილა მომდევნო 1637 წელს სიგელში მისი უფროსი ვაჟის მოუხსენიებლობაზე და ყოველივე ამის საფუძველზე სავსებით სამართლიანად გამოთქვა მოსაზრება, რომ, როგორც ჩანს, სუფრაჯ ავთანდილის უფროსი ვაჟი – ბადურა 1630-1637 წლებს შორის პერიოდში გარდაიცვალა.

1641 წელს როსტომ მეფემ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს კიკეთი ჩამოართვა და მის დისწულს ბატონიშვილ ხორეშანსა და მის შვილებს – ლეონს, დავითს, ბერსა და იოსებს გადასცა. ამ წყალობის საბუთში ავთანდილი კვლავ ფეოდალური სახლის უფროსია:

„ჩვენ, მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ ესე საბოლოვოთ და სამკუიდროთ გასათავებელი კიკეთის სოფლისა წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენს დისწულსა, ბატონიშუილს ბატონს ხუარეშანს და შუილთა თქუენთა ლეონს და დავითს და ბერს, იოსებს მომავალთა სახლისა თქვენისათა ასრე რომე ამ სოფელთან არს ავთანდილის სახლის კაცს ხელი არა ქონდეს....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.) (სეა, 15/11).

იმავე, 1641 წლის საბუთის მიხედვით, „ჩუენ, მეფეთ მეფემან, პატრონმ{ა}ნ როსტომ ესე სამკუიდროთ და საბოლოვოთ გასათავებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა დისწულს ბატონიშუილს ბატონს ხუარეშანს და შვილთა თქუენთა ლეონს და დავითს და ბერს იოსებს და ჩამომავლთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.) (სეა, 15/52).

როგორც ვხედავთ, როსტომ მეფემ ამჯერად ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილს გოლთეთა ჩამოართვა და ისევ თავის დისწულ ბატონიშვილ ხორეშანსა და მის შვილებს – ლეონს, დავითს, ბერსა და იოსებს უწყალობა.

1644 წელს ავთანდილი ბარათაშვილ-აბაშიშვილმა ევანეზ ზეგულაშვილისაგან მისივე ზვრის პირას მდებარე მიწა იყიდა ავეტისას მიწამდე. 1644 წლის ნასყიდობის წიგნში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი კვლავ სუფრაჯის სახელოს ფლობს, იგი აღნიშნულ სიგელში უკვე აღარ იხსენიება თავის ძმა მერაბთან და ძმისწულ აბაშთან ერთად, არამედ ავთანდილის გვერდით დასახელებულია მისი სამი ვაჟი: ლევანი, აბელი და გორჯასპი. ეს

ცვლილება ჩვენი მხრიდან გარკვეულ ახსნას მოითხოვს, რაც ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ავთანდილი და მერაბი 1644 წლისათვის უკვე გაყრილნი არიან. სწორედ ამის გამო აღარ იხსენიება მერაბ და მისი ვაჟი – აბაში ავთანდილის გვერდით. ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით განვსაზღვროთ, თუ როდის შეიძლება მომხდარიყო ავთანდილისა და მერაბის გაყრა. თუ იქიდან ამოვალთ, რომ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის გვერდით მერაბი და მისი ვაჟი – აბაში უკანასკნელად 1637 წლის საბუთში არიან მოხსენიებულნი და ამ ცნობას შევუჯერებთ 1644 წლის ნასყიდობის წიგნს, მაშინ გამოდის, რომ ავთანდილისა და მისი ძმის, მერაბ ბარათაშვილ-აბაშიშვილების გაყოფა 1637-1644 წლებს შორის უნდა მომხდარიყო. აღნიშნულ ნასყიდობის წიგნის მიხედვით, შუა ბოლნისში მდებარე ზვარი ავთანდილისა და მისი ვაჟების – ლევან, აბელ და გორჯასპ აბაშიშვილების საკუთრებას წარმოადგენს. გარდა ამისა, 1644 წელს ევანეზა ზეგულაშვილისაგან ზვარს კიდევ დამატებით ყიდულობენ.

ავთანდილ ვაჟ გორჯასპისთან დაკავშირებით გვახსენდება ვახუშტის ცნობა, რომლის მიხედვითაც, როსტომს 1633 წელს „საქართველოში ჩამოსვლისთანავე ცოლად შეურთავს გორჯასპი აბაშიშვილის ასული ქეთევანი, რომელიც, როგორც ჩანს, მალე გარდაცვლილა“ (ჯამბურია 1973: 316). აქ მოხსენიებულ გორჯასპის გაიგივება ავთანდილის ვაჟ გორჯასპთან შეუძლებელია, რადგან როგორც ზემოთ ვაჩნეთ, იგი ქართულ საისტორი საბუთებში 1644 წელს ჩნდება. ასევე მართებული არ იქნება, თუ გორჯასპი აბაშიშვილს სუფრაჯ ავთანდილის მამად მივიჩნევთ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ გორჯასპი აბაშიშვილი 1633 წლისათვის ცოცხალია, რომელსაც მისი ქალიშვილი ქეთევანი როსტომ მეფისათვის მიუთხოვებია. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, 1627 წლიდან სუფრაჯი ავთანდილი ოჯახის უფროსად გვევლინება. გორჯასპი აბაშიშვილი, რომ სუფრაჯ ავთანდილის მამა ყოფილიყო ჯერ მოხსენიებული იქნებოდა თვითონ გორჯასპი და შემდეგ სუფრაჯი ავთანდილი და შემდეგ მათი ფეოდალური სახლის სხვა წევრები. ამიტომ უფრო ლოგიკურია თუ, სწავლულ ბატონიშვილთან მოხსენიებულ გორჯასპი აბაშიშვილს სუფრაჯ ავთნდილის ბიძად მივიჩნევთ. სწორედ მისი ბიძის, გორჯასპის მაღალი მდგომარეობის გამო დაარქვა თავის ერთ-ერთ ვაჟს სახელად გორჯასპი.

ამის შემდეგ ავთანდილი ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოწმედ იხსენიება 1646 წელს შუა

ბოლნელების დავის სიგელში, რადგან, როგორც ზემოთ მოყვანილი 1644 წლის ნასყიდობის წიგნიდან ვიცით, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი და მის ვაჟებს შუა ბოლნისში ჰქონდათ ზვარი და უფრო მეტიც 1644 წლისათვის ევანეზა ზეგულაშვილისაგან ზვარი კიდევ იყიდეს. აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რა მიზეზით მონაწილეობს შუა ბოლნელების დავაში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი. 1646 წლისათვის იგი ჯერ კიდევ დედოფლის სუფრაჯია.

1648 წელს დედოფლის სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი ტოტუაშვილებსა და აჯაბნუნაშვილებს შორის არსებულ დავის გამრიგედ იხსენიება. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დავის განჩინება მარიამ დედოფლის ბრძანებითა და თაოსნობით მიმდინარეობდა, ბუნებრივია დედოფალი მეფის მოხელეებთან ერთად თავისი მოხელესაც დასვამდა აღნიშნული დავის მოსაწესრიგებლად, ასეთ მოხელედ კი გვევლინება დედოფლის სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი.

1648 წლიდან დიპლომატიკურ ძეგლებში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი აღარ იხსენიება. ბოლოს, ავთანდილი მოიხსენიება, 1653 წელს როსტომ მეფის მიერ გაცემული წყალობის წიგნში მიცემული აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისადმი, სადაც ვკითხულობთ, რომ „...ჩვენ, ...ჴელმწიფემან პატრონმა როსტომ და თანა მეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან მარიამ ესე .... წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბარათაშვილს ჩუენის სუფრაჩის შვ(ი)ლს –P აბელს, ძმათა თქვენთა – ქაიხოსროს და იესესა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე.
მას ჟამსა, ოდეს თქუენის მამულის სიგლის გახლებას დაგვიაჯენით, შეგიწყალეთ და რაც კურთხეულის მამის თქუენის ჟამში მამული გქონენ, ხელ-შეუალად მთით ბარამდისინ სამკუიდროდ საბოლოოდ სიგლითა ამით დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია ყოვლის კაცისა უცილებრად....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. გ.) (სეა, 15/21).

როგორც ვხედავთ, 1653 წლის დოკუმენტში ავთანდილი გარდაცვლილი ჩანს, რისი ნათელი დადასტურებაცაა ის არის, რომ 1653 წელს უკვე სახლის უფროსი მისი ვაჟი აბელია და როსტომ მეფემ სწორედ მას და მის ძმებს უახლებს წყალობას იმ მამულებისა, რომელთაც „კურთხეული მამის“ (იგულისხმება ავთანდილი – თ.გ.) დროს ფლობდნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ დედოფლის სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოქმედ პირად ბოლოს 1648 წლის დავის დოკუმენტში არის დასახელებული, ხოლო როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 1653 წლის საბუთში კი უკვე გარდაცვლილია. აქედან გამომდინარე, იგი 1648-1653 წლებს შორის უნდა გარდაცვლილიყო. ზემონახსენებ წყალობის საბუთში აბელ ბარათაშვილი როსტომის ერთგულ და „მრავალფერად“ ნამსახურ ყმად არის მოხსენიებული.

ამ საბუთში ასახული ცვლილებები ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის ვაჟებთან დაკავშირებით ასევე შეუმჩნეველი არ დარჩენილა მკვლევარ თემო ჯოჯუასთვის, რომელიც მას შემდეგ რაც ავთანდილის უფროსი ვაჟის – ბადურას გარდაცვალებას 1630-1637 წლებს შორის პერიოდით ათარიღებს, იქვე აგრძელებს თავის მსჯელობას და ამბობს, რომ „1637 წლისათვის შექმნილი მდგომარეობა 1644 წელს ჯერ კიდევ უცვლელი ჩანს. ამ წლით დათარიღებულ საბუთში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი გვერდით ერთბაშად მისი სამი ვაჟია დასახელებული: ჯერ – ლეონი, ხოლო შემდეგ კი – ლეონის მომდევნონი: აბელი და გორჯასპი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394). აბსოლუტურად განსხვავებული სურათია წარმოდგენილი 1653 წლის დოკუმენტში, სადაც აღარც ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი ჩანს და აღარც მისი რიგით მეორე ვაჟი – ლეონი. მათ ნაცვლად, ქართლის მეფე როსტომი წყალობის განახლების წიგნს უკვე რიგით მესამე ვაჟს – აბელს აძლევს. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე 1653 წლის საბუთში აღარც აბელის მომდევნო, რიგით მეოთხე ძმა – გორჯასპია მოხსენიებული. ამ უკანასკნელის მაგივრად, აბელის გვერდით ორი უმცროსი ძმის – ქაიხოსროსა და იესეს სახელებს ვხედავთ (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 393). ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ცვლილება არ უნდა იყოს ძნელი ასახსნელი. როგორც ჩანს, 1653 წლისათვის გარდაცვლილნი არიან როგორც თავად ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი, ისე მისი რიგით მეორე და მეოთხე ვაჟი – ლეონი და გორჯასპი, მათი სათავადოს სახლის უფროსობა კი, პირმშოობის წესის ძალით, რიგით მესამე ვაჟს – აბელს აქვს დამკვიდრებული“ (ბახტაძე... 2005: 199).

აქ ნათლად ჩანს, რომ მკვლევარი სავსებით სარწმუნო ახსნას უძებნის 1653 წლის დოკუმენტში ასახულ ცვლილებას ავთანდილის ვაჟებთან დაკავშირებით და სავსებით

სამართლიანად მიიჩნევს, რომ 1653 წელს გარდაცვლილია არა მარტო ავთანდილ აბაშისშვილი, არამედ მისი რიგით მეორე და მეოთხე ვაჟებიც: ლეონი და გორჯასპიც გარდაცვლილი ჩანან. მართალია, მეცნიერი ამგვარ ცვლილებას სამართლიან ახსნას უძებნის, თუმცა ლეონისა და გორჯასპის გარდაცვალებას კონკრეტული თარიღით არ განსაზღვრავს. თუმცა მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ იგი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის ვაჟების – ლეონისა და გორჯასპის გარდაცვალებას 1644-1653 წლებით განსაზღვრავს.

მკვლევარის მიერ სუფრაჯ ავთანდილის რიგით მეოთხე ვაჟის – გორჯასპის გარდაცვალების თარიღს – 1644-1653 წლებს სავსებით ვიზიარებთ, თუმცა მისი რიგით მეორე ვაჟის – ლეონის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით გვიჩნდება კითხვა – რამდენად შეესაბამება რეალობას მკვლევრის მიერ ავთანდილის ვაჟის ლეონ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი 1644-1653 წლებს?

ამ კითხვაზე სრულად პასუხის გაცემის მიზნით მოგვყავს შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისა პირღებულთა ღმრთისმშობელისადმი.

დღემდე ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისა პირღებულის ღვთისმშობელისადმი სამგზის იქნა გამოქვეყნებული: პირველად – 1904 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, მეორედ – 2003 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ, ხოლო მესამედ – 2005 წელს, თემო ჯოჯუას მიერ.

აღნიშნული წარწერა პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა (1863-1953 წწ.) გამოაქვეყნა თავის 1904 წლის ნაშრომში – „Грузинские памятники окрестностей Белаго-Ключа“, სადაც მკვლევარი აღნიშნულ შეწირულების აქტს პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ზოგადად XVII საუკუნით განსაზღვრავს. შეწირულების აქტის ექვთიმე თაყაიშვილესული გამოცემა:

„ქ:. აგრევე:. ბარათაშვილმან:. აბელ:. და:. მისმან:. ძმებმან:. შემოგწირეს:. პირღებულთა:. ღთ|ისმშობელსა:. მათის:. ძმის:. ლეო|ნის:. სულისათვის:. დიას:. ჯ[ვა]რს | ორი ..... საკომლო:. და ს....ჩ | ფემ.....მწებ:. შემოგწ[ირეთ]:. ამინ:.“ (Такаишвили 1904: 22-23; შდრ. Такаишвили 1905: 22-23).

ექვთიმესეული ტექსტის წაკითხვა რუსულ ენაზე:

„Точно также Баратащвили Абелъ и его братья пожертвовали Пиргебулъской Божъей Матери въ поминновение ихъ брата Леона два дыма крестъянъ въ диасъ-джвари (?) .... Пожертвовали земли, аминъ“ (Такаишвили 1904: 22-23; შდრ. Такаишвили 1905: 22-23).

მეორედ, აღნიშნული შეწირულების აქტი ავტორთა ჯგუფის (ნოდარ ბახტაძე, კონრად ზენდერი, ნანა კუპრაშვილი, ლადო მირიანაშვილი, თემო ჯოჯუა) მიერ თავიანთ 2003 წლის სტატიაში „პირღებულის მონასტრის კომპლექსური კვლევის შედეგები“ იქნა გამოქვეყნებული.

გთავაზობთ აღნიშნული წარწერის ავტორთა ჯგუფისეულ ინტერპრეტაციას, რომელიც დამყარებულია ექვთიმე თაყაიშვილის 1904 წლის პუბლიკაციაზე:

„ქ. აგრევე, ბარათაშვილმან აბ|ელ და მისმან ძმებმან შემ|ოგწირეს პირღებულთა ღ(მრ)თ|ისმშობელსა მათის ძმის ლეო|ნის სულისათვის დიას ჯ[ვა]რს | ორი ... საკომლო და ს...ჩ | ფემ...მწები შემოგწ[ირეთ], ამინ“ (ბახტაძე.... 2003: 83).

გარდა ამისა, ავტორთა ჯგუფმა ექვთიმე თაყაიშვილისაგან განსხვავებით აბელისა და მისი ძმების შეწირულების აქტის ქრონოლოგია დაავიწროვა. მათ გაითვალისწინეს რა ტექსტში ნახსენები ლეონ და აბელ ბარათაშვილების მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიული საბუთების მონაცემები და აქედან გამომდინარე წარწერის ქრონოლოგია XVII საუკუნის ნაცვლად, 1644-1650-იანი წლებით განსაზღვრეს.

სულ ბოლოს, ეს შეწირულების აქტი გამოაქვეყნა თემო ჯოჯუამ 2005 წელს გამოცემულ პირღებულის მონასტრისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში „პირღებულის მონასტერი, 1989-2002-2003 წწ. კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები“.

გთავაზობთ შეწირულების აქტის ტექსტის თემო ჯოჯუასეულ გადმონაწერს და მის მისეულ წაკითხვას:

1. ქ:. აგრევე:. ბარათაშვილმან:. აბ

2. ელ:. და:. მისმან:. ძმებმან:. შემ

3. ოგწირეს:. პირღებულთა:. ღ˜თ

4. ისმშობელსა:. მათის:. ძმის:. ლეო

5. ნის:. სულისათვის:. დიას:. ჯ[ვ]არს

6. ორი [...] საკომლო:. და ს[...]ჩ (?)

7. ფემ[...]მწები(?):. შემოგწ[ირეთ]:. ამინ:.

„ქ. აგრევე, ბარათაშვილმან აბ|ელ და მისმან ძმებმან შემ|ოგწირეს პირღებულთა ღ(მრ)თ|ისმშობელსა მათის ძმის ლეო|ნის სულისათვის დიას ჯვარს | ორი [...] საკომლო და ს[...]ჩ (?) ფემ[...]მწები (?) შემოგწ[ირეთ], ამინ“ (ბახტაძე.... 2005: 201).

მკვლევარს მას შემდეგ, რაც მოჰყავს შეწირულების აქტის ტექსტი, ვრცლად მსჯელობს მისი ქრონოლოგიის შესახებ. მისი მიხედვით: „წარწერას, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, თარიღი არ უზის. სამაგიეროდ მოგვეპოვება XVII საუკუნის ოთხ დოკუმენტში დაცული რამდენიმე საყურადღებო ცნობა ტექსტში მოხსენიებული ისტორიული პირების – აბელ ბარათაშვილისა და მისი გარდაცვლილი ძმის ლეონის შესახებ, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებლობა გვაქვს მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ ჩვენთვის საინტერესო ეპიგრაფიკული აქტის ქრონოლოგია. ეს დიპლომატიკური ძეგლებია: დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი სუფრაჩ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1630 წ.) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394); წიგნი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისა და მგელა ვალალაშვილს შორის უძრავი ქონების გაცვლის შესახებ (1637 წ.) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394); წიგნი სუფრაჩ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის მიერ ევანეზ ზეგულაშვილისაგან მიწის ნასყიდობის შესახებ (1644 წ.) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394); და ბოლოს, ქართლის მეფის როსტომის წყალობის განახლების წიგნი აბელ ბარათაშვილისადმი (1653 წ.) (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 393). დასახელებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ლეონ და აბელ ბარათაშვილების მამა – ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი დიდმოხელე – სუფრაჯი და მანგლისის მოურავი ყოფილა. მას ჰყოლია ექვსი ვაჟი, რომელთა ასაკობრივი თანმიმდევრობაც სავარაუდოდ, ასეთი უნდა ყოფილიყო – ბადურა, ლევანი//ლეონი, აბელი, გორჯასპი, ქაიხოსრო და იესე (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394). აქედან, უფროსი ძმა – ბადურა მამის გვერდით მხოლოდ ერთ, 1630 წლის საბუთში იხსენიება (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394). ქრონოლოგიურად მომდევნო, 1637 წლის დოკუმენტში ბადურას სახელს ვეღარ ვხედავთ. სამაგიეროდ, აქ, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის გვერდით, ახლა უკვე მომდევნო ძმის – ლეონის სახელი ჩნდება (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394). ამგვარ ცვლილებას,

ვფიქრობთ, ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს 1630-1637 წლებს შორის პერიოდში ბადურა, როგორც ჩანს, გარდაიცვალადა ავთანდილ აბაშისშვილის ოჯახშიც მისი ადგილი, პირმშოობის წესის თანახმად, მომდევნო ძმამ – ლეონმა დაიკავა. 1637 წლისათვის შექმნილი მდგომარეობა 1644 წელს ჯერ კიდევ უცვლელი ჩანს. ამ წლით დათარიღებულ საბუთში ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი გვერდით ერთბაშად მისი სამი ვაჟია დასახელებული: ჯერ – ლეონი, ხოლო შემდეგ კი – ლეონის მომდევნონი: აბელი და გორჯასპი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394). აბსოლუტურად განსხვავებული სურათია წარმოდგენილი 1653 წლის დოკუმენტში, სადაც აღარც ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი ჩანს და აღარც მისი რიგით მეორე ვაჟი – ლეონი. მათ ნაცვლად, ქართლის მეფე როსტომი წყალობის განახლების წიგნს უკვე რიგით მესამე ვაჟს – აბელს აძლევს. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე 1653 წლის საბუთში აღარც აბელის მომდევნო, რიგით მეოთხე ძმა – გორჯასპია მოხსენიებული. ამ უკანასკნელის მაგივრად, აბელის გვერდით ორი უმცროსი ძმის – ქაიხოსროსა და იესეს სახელებს ვხედავთ (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 393). ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ცვლილება არ უნდა იყოს ძნელი ასახსნელი. როგორც ჩანს, 1653 წლისათვის გარდაცვლილნი არიან როგორც თავად ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი, ისე მისი რიგით მეორე და მეოთხე ვაჟი – ლეონი და გორჯასპი, მათი სათავდოს სახლის უფროსობა კი, პირმშოობის წესის ძალით, რიგით მესამე ვაჟს – აბელს აქვს დამკვიდრებული. მიღებული დასკვნები მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან მათზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ პირღებულის მონასტრის განსახილავ წარწერაში გარდაცვლილად მოხსენიებული ლეონ ბარათაშვილი 1644 წლისათვის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შესაბამისად, აღნიშნული წარწერის ამოკვეთის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად უეჭველად 1644 წელი უნდა მივიღოთ. გაცილებით უფრო ამოცანაა მეტნაკლებად ზუსტი ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დადგენა. აქ, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1653 წლის შემდეგ ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში საერთოდ ქრება აბელ ბარათაშვილის სახელი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991, 394). აქედან, ვფიქრობთ, ლოგიკურად უნდა მომდინარეობდეს დასკვნა, რომ აბელ ბარათაშვილი სათავადო სახლის პირველკაცობას 1653 წლის ახლოხანებში, უფრო ზოგადად კი – 1650-იან წლებში ფლობდა. ჩვენი

ვარაუდით, ამავე 1650-იანი წლებით უნდა განისაზღვროს პირღებულის მონასტრის განსახილავი წარწერის ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც, რომლის შემდგენელთა შორის მთავარ იურიდიულ სუბიექტად სწორედ აბელ ბარათაშვილი გვევლინება, რაც, თავის მხრივ, მისი, როგორც კონკრეტული სათავადო სახლის უფროსის განსაკუთრებული სტატუსით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირღებულის მონასტრის აბელ ბარათაშვილისეული წარწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1650-იან წლებს ვიღებთ და მთლიანად ეპიგრაფიკულ აქტსაც 1644-1650-იანი წლებით ვათარიღებთ“ (ბახტაძე.... 2005: 198-200).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი წარწერის თარიღის უქონლობის მიუხედავად ცდილობს წარწერაში მოხსენიებული პირებისადი გაცემული XVII საუკუნის ოთხი დოკუმენტის საფუძველზე დაავიწროვოს აღნიშნული შეწირულების აქტის ქრონოლოგია. იგი ავტორთა ჯგუფის მსგავსად, მხედველობაში იღებს რა იმ ფაქტს, რომ 1644 წლის საბუთის შემდეგ ლეონი ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში აღარ იხსენიება და შესაბამისად წარწერის შესრულების ქვედა ქრონოლოგირ ზღვრად 1644 წელს დებს. რაც შეეხება შეწირულების აქტის ზედა ქრონოლოგირ ზღვარს, აქ მკვლევარმა ყურადღებაა გაამახვილა იმაზე, რომ შეწირულების აქტის მთავარი მოქმედი პირი და ოჯახის უფროსი აბელ ბარათაშვილი ქართული საისტორიო საბუთებიდან ქრება და ყოველივე ამის საფუძველზე აბელ ბარათაშვილის სათავადოს სახლის პირველკაცობას 1653 წლის ახლო ხანებით, უფრო ზოგადად კი – 1650-იანი წლებით განსაზღვრავს. ეს ყოველივე მკვლევარმა საკმარის არგუმენტად მიიჩნია იმისათვის, რომ წარწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად იგივე 1650-იანი წლები დაედო.

ამრიგად, მეცნიერი ავტორთა ჯგუფის (ნოდარ ბახტაძე, კონრად ზენდერი, ნანა კუპრაშვილი, ლადო მირიანაშვილი, თემო ჯოჯუა) მსგავსად აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტს პირღებულის ღმრთისმშობელისადმი 1644-1650-იანი წლებით ათარიღებს.

ამრიგად, დღემდე ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტს პირღებულის ღმრთისმშობელისადმი მეცნიერთა ერთი ნაწილი – (ექვთიმე თაყაიშვილი) მისი პალეოგრაფიული ნიშნების

მიხედვით ზოგადად XVII საუკუნით ათარიღებს, ხოლო მეორე ნაწილი კი – ავტორთა ჯგუფი (ნოდარ ბახტაძე, კონრად ზენდერი, ნანა კუპრაშვილი, ლადო მირიანაშვილი, თემო ჯოჯუა), (თემო ჯოჯუა) ითვალისწინებენ რა წარწერაში მოხსენიებული ლეონ და აბელ ბარათაშვილების ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში მოხსენიების ქრონოლოგიას, მის თარიღს ექვთიმე თაყაიშვილისაგან განსხვავებით კიდევ უფრო ავიწროვებენ და 1644-1650-იანი წლებით განსაზღვრავენ.

ჩვენი აზრით, ზემოთჩამოთვლილ მეცნიერთაგან შემოთავაზებული თარიღები (XVII ს.), [1644-1650-იანი წლები] არ შეესაბამება რეალობას ჩვენი მხრიდან შესწორებას მოითხოვს. ამისათვის კიდევ ერთხელ მოვიტანთ აღნიშნულ შეწირულების აქტს მისი ბოლო პუბლიკაციაზე დაყრდნობით:

„ქ. აგრევე, ბარათაშვილმან აბ|ელ და მისმან ძმებმან შემ|ოგწირეს პირღებულთა ღ(მრ)თ|ისმშობელსა მათის ძმის ლეო|ნის სულისათვის დიას ჯვარს | ორი [...] საკომლო და ს[...]ჩ (?) ფემ[...]მწები (?) შემოგწ[ირეთ], ამინ“ (ბახტაძე....2005: 201).

აღნიშნული შეწირულების აქტის მიხედვით, აბელ ბარათაშვილსა და მის ძმებს მათი გარდაცვლილი ძმის, ლეონის სულის საოხად პირღებულის ღმრთისმშობელისადმი ქვემო ქართლში მდებარე ერთ-ერთ სოფლის – დიას ჯვარს მცხოვრებ ორი კომლ გლეხს სწირავენ. თუ შევუჯერებთ აღნიშნულ ტექსტში დაცულ ინფორმაციას 1584 წლის ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის მიერ მანგლისის ეკლესიისათვის დამტკიცების წიგნს, სადაც ქართლის კათალიკოსის მიერ ჩამოთვლილ აბაშ და დავით ბარათაშვილების ნაქონ სოფლებს შორის სოფელი დიაც არის მოხსენიებული, ეს მოგვცემს საშუალებას კიდევ ერთხელ გადაჭრით ვთქვათ, რომ 1630 წლის საბუთში მოხსენიებული ავთანდილის პაპა აბაში XVI საუკუნის I ნახევარში მოღვაწე აბაშ ბარათაშვილია.

ამრიგად, აღნიშნული შეწირულების აქტი კიდევ ერთ მყარ არგუმენტს წარმოადგენს იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ თამამად განვაცხადოთ აბაშ ბარათაშვილისა და ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის პაპა-შვილიშვილობის ფაქტის რეალობის შესახებ.

ჩვენი ყურადღება ამ შეწირულების აქტში მიიქცია ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა გარემოებამ, რომელიც შემდგომში მდგომარეობს, რომ ამ წარწერაში არ არის მოხსენიებული აღნიშნული იურიდიული აქტის მთავარი მოქმედი პირის აბელის მამა –

ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილი. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ იგი შეწირულების აქტის შედგენის დროს უკვე გარდაცვლილი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ წარწერაში ჯერ მოხსენიებული იქნებოდა ავთანდილ აბაშისშვილი და შემდეგ მისი ვაჟები (ვგულისხმობთ აბელსა და მის ძმებს – თ.გ.). როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი მოქმედ პირად სულ ბოლოს 1648 წლის 22 მაისის სიგელში იხსენიება, სადაც დედოფლის სუფრაჯი – ავთანდილი ტოტუაშვილებსა და აჯაბნუნაშვილებს შორის არსებული დავის გამრიგედ გვევლინება. აქედან გამომდინარე, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ წარწერის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1644 წლის ნაცვლად, 1648 წელი უნდა დავდოთ, რაც შეეხება შეწირულების აქტის შედგენის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს აქ მხედველობაში ვიღებთ 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის სიგელს გაცემულს აბელ ბარათაშვილისადმი, სადაც როგორც ვნახეთ, ავთანდილ აბაშისშვილთან ერთად მისი რიგით მეორე და რიგით მეოთხე ვაჟების – ლეონისა და გორჯასპის სახელებიც ქრება, ამავდროულად მხედველობაში ვიღებთ იმ ფაქტსაც, რომ შეწირულების აქტი შედგენილია სწორედ ლეონ ბარათაშვილის სულის საოხად, თამამად შეგვიძლია ამ წარწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1653 წელი მივიჩნიოთ. ასე, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული შეწირულების აქტის დღემდე მიღებული თარიღს კიდევ უფრო ვავიწროვეთ და XVII ს., [1644-1650-იანი წწ.] ნაცვლად, ხუთწლიანი შუალედით, კერძოდ, 1648-1653 წლებით განვსაზღვრავთ.

მას შემდეგ, რაც დავავიწროვეთ ხუთწლიანი პერიოდით აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტის ქრონოლოგია, აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია სრულად გავცეთ ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ კითხვას პასუხი და სრული დამაჯერებლობით განვაცხადოთ, რომ ამავე 1648-1653 წლებით უნდა განისაზღვროს ლეონ ბარათაშვილის გარდაცვალების ქრონოლოგიაც.

სულ ბოლოს, ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ 1662 წლის ორ საბუთზე, სადაც მოთხრობილია ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილსა და იოთამიშვილებს შორის მომხდარი დავის ამბავი აკაურთულ მიწებზე. ამ ორმა დოკუმენტმა ჩვენამდე პირის სახით მოაღწია, სადაც ვკითხულობთ::

„....ჩუვენ, დედოფალთა დედოფალმან, პატრონმან მარიამ ესე ..... წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ, ბარათაშვილებს გიორგის, ბეჟანს, გივსა და ერასტას,

შვილთა თქვენთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თქვენ და აბაშისშვილები ავთანდილ, აბაშ, შერმაზან და სულხან აკაურთულს მიწებზედ შეიცილენით და მიხუედით და ჩვენს კარზედ სამართალი ჰქენით, ფიცი ავთანდილს, აბაშსა და მერაბისშვილებს დაედვა, ბოქ{ა}ულთუხუცესი ზაალ გაგატანეთ, წახუედით და ხატი მოგესვენებინა და აბაშიშვილებს ვეღარ დაეფიცა და გამტყუვნებული იყვნენ, მიწები თქვენი ყოფილიყო და თქვენვე დაგრჩომოდათ ამ სამძღვრითა, რომე აკაურთი დაღმა საქალაქე დიდი შარა ქალა{ქ}ისკენ წავა<ა> და ავაზნიას ძირს გაივლის და ღომელაში რატევნულს სამძღუარს შე{ე}ყრების, იმას ქვეით თქვენი არის და აბაშანთ ჴელი არა გაქუს.....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ) (სეა, 38/5).

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ქართლის დედოფალი აკაურთულ მიწებს იოთამიშვილებს უმტკიცებს, თუმცა ამავე სიგელში საუბრობს იმ წინაპირობებზეც თუ რა მიზეზით უწყალობა აღნიშნული მამულები მან იოთამიშვილებს. მისი თქმით, იოთამიშვილები და აბაშიშვილები: ავთანდილი, აბაში, შერმაზანი და სულხანი შეცილებიან ერთმანეთს აკაურთულ მიწებზე, ფიცი აბაშიშვილებს დაედოთ, თუმცა მას შემდეგ, რაც ზაალ ბოქაულთუხუცესს აბაშიშვილები წაუყენებია ხატზე დასაფიცებლად მათ ვერ დაუფიცებიათ და აქედან გამომდინარე დედოფალმა მარიამმა აკაურთულ მიწები იოთამიშვილებს მიაკუთვნა.

მიუხედავად ქართლის დედოფლის გადაწყვეტილებისა აბაშიშვილები კვლავ განაგრძობენ დავას იოთამიშვილებთან აღნიშნულ მამულებზე, რაზეც მეტყველებს 1662 წლის კიდევ ერთი დოკუმენტის შინაარსი, საიდანაც ვიგებთ, რომ აბაშიშვილებს ხელმეორედ უჩივლიათ მდივან ედიშერთან ამ მამულებზე. საბუთის მიხედვით, მდივანბეგ ედიშერს ძველი წიგნები მოუკითხვას და მარიამ დედოფლის წყალობის წიგნიც უნახავს გაცემული იოთამიშვილებისადმი. ყოველივე აქედან გამომდინარე, მდივანბეგ ედიშერმაც ქართლის დედოფლის მსგავსად აღნიშნული დავა იოთამიშვილების სასარგებლოდ გადაწყვიტა (სეა, 38/4).

ჩვენ დავინტერესდით პირველ საბუთში მოხსენიებული ავთანდილ აბაშიშვილის პიროვნებით, რომელიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, თავის სახლიკაცებთან: აბაშთან, შერმაზანთან და სულხანთან ერთად იოთამიშვილებთან აწარმოებს დავას აკაურთულ

მიწებზე. თუ გავითვალისწინებთ, 1627-1648 წლებში სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილთან ერთად მისი ძმის მერაბისა და მისი ძმისწულის აბაშის მოხსენიებას, ამავდროულად ყურადღებას გავამახვილებთ 1654 წლის მერაბ აბაშიშვილის მიერ პაპუნა არეშიშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნზეც, სადაც მერაბის შვილებად დასახელებულნი არიან: შერმაზანი და სულხანი, სავსებით ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილს ბადურას, ლევანის, აბელის, გორჯასპის, ქაიხოსროს, და იესეს გარდა ჰყოლია კიდევ ერთი, მისი მოსახელე ვაჟი – სახელად ავთანდილი.

ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, Sd კოლექციაში დაცული კიდევ ერთი 1664 წლის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (1658-1675 წწ.) მიერ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილებისადმი. გთავაზობთ საბუთის ტექსტს: „...ჩვენ, ... მეფეთ მეფემან, პატრონმან შაჰნავაზ .... ესე ..... წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ... ბარათაშვილს ავთანდილს, ძმასა შენსა ქაიხოსროს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და თქვენის სამკვიდროს სოფელი ქციის წყალობას დაგვეაჯენით, მოკითხული ვქენით და მამათა და პაპათა თქვენთა სამკვიდრო იყო და ცოტას ხანსა დაუნაშავებლად გამოგრთმეოდათ, აწე, ისევე შეგიწყალეთ, გიბოძეთ სოფელი....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (ხეც, Sd-1).

როგორც საბუთიდან ვგებულობთ, ვახტანგ V და მისი თანამეცხედრე მარიამი ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილებს აძლევენ დროებით წართმეულ სოფელ ქციას, რომელიც მათ მამა-პაპათა საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც მათ „ცოტას ხანსა დაუნაშავებლად“ გამორთმეული ჰქონდათ.

ამ საბუთთან დაკავშირებით მეტად საინტერესო სურათი გვაქვს, რაც გამოიხატება იმით, რომ ამ საბუთის გარდა არსებობდა იგივე შინაარსის კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელსაც თან დართული ჰქონდა ტექტსის სპარსული ვარიანტი. ამას მოწმობს Sd-1 საბუთის პირი, რომლის გადამწერს ქართულ ტექსტან ერთად გადმოუწერია საბუთის სპარსული ვერსიაც. აღნიშნული პირის, როგორც ქართული ასვე სპარსული ვარიანტი გამოქვეყნებული აქვს ვლადიმერ ფუთურიძეს თავის მონოგრაფიული ტიპის ნაშრომში

„ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები“. Sd-1 საბუთისა და 1450 ფონდის საბუთების ქართული ტექსტი სიტვასიტვით იმეორებს ერთმანეთს, რაც შეეხება 1450 ფონდის სპარსულ ვერსიას ის კიდევ უფრო ავსებს საბუთის ქართულ ვარიანტს, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „გამოვიდა მაღალი ბრძანებულება, რომ ავთანდილ-ბეგ ბარათაშვილის შვილების – სიდიადის საფარველის ავთანდილისა და ქაიხოსროსადმი წყალობის [მიპყრობის] და კეთილგანწყობილების გამო, იმ საფუძველზე, რომელიც ქვემოთ ქართულად არის დაწერილი, ჩვენ დავუმტკიცეთ წესისამებრ თიულად ხსენებული, ნიანგის წლის ცხრათვეობის დასაწყისიდან, საბარათიანოს სოფელი ქცია, რომელიც წინათ ხსენებულთა მშობელს ჰქონდა დამტკიცებული...“ (ფუთურიძე 1955: 302).

აქ უკვე გარკვევით არის ნათქვამი, რომ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილების მამას სახელად ავთანდილი რქმევია, რომელსაც აღნიშნული სოფელი ქცია ჰქონია ადრე დამტკიცებული. ისმის კითხვა – ვინ შეიძლება ამ საბუთის სპარსულ ვერსიაში მოხენიებულ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილების მამა ავთანდილში მოვიაზროთ?

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ აბაშ ბარათაშვილისა და სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის პაპა-შვილიშვილობის საკითხი, სრულიად ნათელია, რომ აქ მოხსენიებულ ავთანდილისა და ქაიხოსროს მშობელ ავთანდილში 1627-1648 წლებში მოღვაწე ქართლის დედოფლის სუფრაჯი – ავთანდილი უნდა მივიჩნიოთ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს, 1584 წლის ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის წყალობის წიგნი გაცემული მანგლისის საყდრისადმი, რომელიც ზემოთ არა ერთხელ მოვიყვანეთ და რომლის მიხედვითაც აბაშ ბარათაშვილის საკუთრებას სხვა სოფლების გარდა სოფელი ქციაც წარმოადგენდა. სავსებით ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ თავისი პაპის – აბაშ ბარათაშვილის ქონება გადასცემოდა თავის შვილიშვილს, ამ შემთხვევაში სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილს, რაც იმდროინდელ ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ასე, რომ 1662 წლის ორი საბუთის, 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის წიგნის, ამავე 1664 წლის საბუთის პირის სპარსული ვარიანტისა და 1584 წლის ქართლის კათალიკოსის საბუთების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილს ბადურას, ლევანის, აბელის, გორჯასპის, ქაიხოსროს და იესეს გარდა ჰყოლია კიდევ ერთი, მისი მოსახელე ვაჟი სახელად ავთანდილი. გარდა ამისა,

ვიგებთ, რომ ქართლის დედოფლის სუფრაჯ ავთანდილის მფლობელობაში ყოფილა სოფელი ქცია, რაც მის სახელზე გაცემული დოკუმენტებიდან არ ჩანდა. როგორც ჩანს, ეს წყალობის სიგელი დროთა სიავის გამო განადგურდა და ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მიღებული დასკვნების შემდეგ შესაძლოა და ლოგიკურიცაა დაისვას შემდგომი კითხვები – თუ ჰყავდა სუფრაჯ ავთნდილს მისი მოსახელე ვაჟი ავთანდილი რატომ არ მოიხსენიება არც 1627-1648 წლების ავთანდილის სახელზე გაცემულ საბუთებში და არც 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის სიგელში აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისადმი? თუ 1653 წლის როსტომის წყალობის წიგნში აბელის გვერდით მისი ძმების: ქაიხოსროსა და იესეს სახელებს ვხვდებით, მაშინ რატომ არის, რომ 1664 წელს ვახტანგ V-ის წყალობის სიგელში ჯერ ავთანდილ ბარათაშვილია მოხსენიებულია, ხოლო შემდეგ მისი უფროსი ძმა ქაიხოსრო?

ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ პირველ კითხვას შეიძლება ერთადერთი ახსნა მოეძებნოს ის, რომ სუფრაჯ ავთნდილ აბაშიშვილის ვაჟი 1653 წლისათვის მცირეწლოვანი იყო და ამის გამო არ არის ის მოხსენიებული მისი ძმების გვერდით. რაც შეეხება მეორე კითხვას აქ ჩვენი აზრით, ქართულ ფეოდალურ ოჯახში უფროს-უმცროსობის პრინციპის დარღვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მკაცრად იყო განსაზღვრული. აქ გასათვალის წინებელია და ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ავთანდილი მისი სახელოვანი მამის მოსახელეა, იმავდროულად აქტიური პოლიტური ფიგურაცაა, ყოველივე ამის ფონზე გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს მის მიერ აღნიშნული ფეოდალური ოჯახის უფროსობის დაკავება. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის წიგნში ჯერ ავთანდილია მოხსენიებული, ხოლო შემდგომ მისი უფრი ძმა ქაიხოსრო.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და ეს როგორც ზემოთ ვაჩვენეთ ასეა, მაშინ იბადება კიდევ ერთი კითხვა – თუ რით შეიძლება აიხსნეს ის ფაქტი, რომ 1664 წლისათვის ავთანდილისა და ქაიხოსროს გვერდით ვეღარ ვხვდებით მათი ძმების: აბელისა და იესეს სახელებს?

დასმულ კითხვას ერთადერთი ლოგიკური ახსნა შეიძლება მოეძებნოს ის, რომ 1664 წლისათვის ისევე როგორც აბელი, ასევე იესეც გარდაცვლილნი არიან და სწორედ ამის

გამოა, რომ ისინი აღნიშნულ დოკუმენტში უკვე აღარ იხსენიებიან. აღნიშნული ახსნა სრულიად შეესაბამება აბელის გარდაცვალებას, რადგან მისი სახელი აღარც შემდგომი დროის დოკუმენტებში და აღარც ნარატიულ წყაროებში გვხვდება, ხოლო რაც შეეხება იოსებს აქ საქმე სულ სხვა რამესთან გვაქვს. შესაბამისად, ვსვამთ კიდევ ერთ კითხვას – თუ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი იესე გარდაცვლილი არ არის, მაშინ, რამ განაპირობა მისი მოუხსენიებლობა 1664 წლის წყალობის სიგელში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მოვიხმობთ 1657 წლის ნასყიდობის წიგნს, სადაც ნათქვამია, რომ: „....ესე მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობა მოგეცით ჩვენ, სამშვი{ლ}დელმა ფარეშიშვილმა თამაზამ და ოთარ{ა}მა სოფ<ე>ლ<ა>{ი}ს თავში დი{ი}ს ველზედ თქვენ, სუფრაჯის შვილს, წინამძღვარს იოსებს ოთხის დღის მიწა აქეთ გუბაშაშვილის მიწის სამძღვრამდის და იქით გოხამდის და თუ რამ ძეძვი ამაიღო შეუმატოთ, რომე ისიც თქვენი იყოს და თუ ამისი ღალა <ქ>{გ}თხო{ვო}ს ვინმე{მ}, პირისა და პასუხის მიმცემი ჩვენ და ჩვენის სახლის ჩამომავალი ვიყვნეთ, ავიღეთ ფასი სრული და უნაკლულო, როგორც ჩვენი გული შეგჯერდებოდა, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს....“(ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ) (სეა, 15/23).

როგორც ამ საბუთიდან ვიგებთ, სამშვილდელ თამაზ და ოთარ ფარეშიშვილი სუფრაჯის ვაჟს, იოსებს სოფელ დიის დასაწყისში მდებარე ოთხი დღის მიწას აძლევენ ნასყიდობის სახით. ჩვენი აზრით, აღნიშნულ სუფრაჯის ვაჟ, წინამძღვარ იოსებში სუფრაჯ ავთანდილის რიგით მეექვსე ვაჟი იოსები უნდა მოვიაზროთ. აქ აღნიშნულია წინამძღვარ იოსების მამის, სუფრაჯ ავთანდილის წინანდელი მდგომარეობა, რადგან, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, იგი 1648-1653 წლებში გარდაიცვალა. აქ გასათავლისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ საბუთში დასახელებული მიწის გამყიდველები თამაზ და ოთარ ფარეშიშვილები სამშვილდიდან არიან. როგორც ცნობილია, აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის საძვალე პირღებულის მონასტერი სამშვილდიდან 3 კოლომეტრით არის დაშორებული. ამას ემატება 1648-1653 წლების შეწირულების აქტი პირღებულთა ღმრთიმშობელისადმი, რომლის მიხედვით აბელ ბარათაშვილი და მის ძმები მათი გარდაცვლილი ძმის, ლეონის სულის საოხად პირღებულის ღმრთისმშობელისადმი ქვემო ქართლში მდებარე ერთ-ერთ

სოფლის – დიას ჯვარს მცხოვრებ ორი კომლ გლეხს სწირავენ. აქედან გამომდინარე, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი იესეს 1653 წლიდან დაუწყია სასულიერო ცხოვრება და, უფრო მეტიც, იგი მათი საგვარეულო საძვალის, პირღებულის მონასტრის წინამძვარიც გამხდარა, რაზეც ნათალად მეტყველებს 1657 წლის აღნიშნული ნასყიდობის წიგნი. სწორედ ამის გამო აღარ იხსენიება იესე 1664 წლის წყალობის სიგელში მისი ძმების ავთანდილისა და ქაიხოსრო გვერდით.

თუ გავითვალისწინებთ, 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის განახლების წიგნს, სადაც აბელი ცოცხალ პირად გვევლინებიან და ყოველივე ამას შევუჯერებთ 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის დოკუმენტს, სადაც უკვე მისი სახელი აღარ გხვდება, მაშინ შეგვიძლია დავადგინოთ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილების ძმის, აბელის გარდაცვალების თარიღი და იგი ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით – 1653-1664 წლებით განვსაზღვროთ.

ამრიგად, ზემოთჩამოთვლილ დიპლომატიკურ ძეგლებში დაცული ინფორმაცია ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის ფეოდალური ოჯახის შესახებ დაწვრილებით განვიხილეთ, ამ ყოველივეს შევუჯერეთ აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტი პირღებულის ღმრთისმშობელისადმი, რამაც მიგვიყვანა მეტად საინტერესო დასკვნებამდე, რომელიც შემდგომში მდგომარეობს:

1. 1627 წლის ჯაჰანბანუ დედოფლის წყალობის სიგელის მიხედვით, ქართლის დედოფლის მიერ ავთანდილისათვის ნაბოძები ნასოფლარი დიდი ურცევანი მისი წინაპრების საკუთრებას წარმოადგენდა.

2. 1628 წლის ქართლის დედოფლის წყალობის წიგნის თანახმად, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის პაპას სახელად აბაში რქმევია. გოლთეთასა და დუეზის მამულები ავთანდილ აბაშიშვილის წინაპრების საკუთრებას წარმოადგენდა, რომელსაც ჯაჰანბანუ დედოფალი თავის მხრივ უახლებს ერთგულ ფეოდალს. გარდა ამისა, მოვახდინეთ აღნიშნული აბაშის იდენტიფიცირება 1506-1529 წლებში მოღვაწე აბაშ ბარათაშვილთან.

2. ავთანდილ ბარათაშვილის წინაპართა მფლობელობაში ყოფილა შემდგომი სოფლები: ურცევანი, გოლთეთა, დუეზი, ქცია, თეთრანი, მრაქათელა, შოშილეთი,

იფნარიანი, ახალშენი, ვარდისუბანი, დია და ახალდია.

3. ავთანდილ აბაშიშვილის წინაპართა საძვალეს მანგლისის საყდარი წარმოადგენდა.

4. ამოვედით იქიდან რა, რომ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის გვერდით მისი ძმა მერაბი და მისი ძმისწული აბაში უკანასკნელად 1637 წლის საბუთში არიან მოხსენიებულნი, ამ ცნობას შევუჯერეთ 1644 წლის ნასყიდობის წიგნი, სადაც აღარც ავთანდილის ძმა მერაბი და აღარც მისი ძმისწული აბაში არიან მის გვერდით დასახელებულნი და ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ავთანდილისა და მისი ძმის მერაბ ბარათაშვილ-აბაშიშვილების გაყოფა ზოგადი ქრონოლოგიური თარიღით – 1637-1644 წლებით განვსაზღვრეთ.

5. გავითვალისწინეთ, რომ დედოფლის სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი მოქმედ პირად ბოლოს 1648 წლის დავის დოკუმენტში არის დასახელებული, ხოლო 1653 წლის საბუთში კი უკვე გარდაცვლილია. აღნიშნული ორი დოკუმენტში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავთანდილის გარდაცვალების თარიღი ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით – 1648-1653 წლებით განვსაზღვრეთ. აქედან გამომდინარე, აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმების შეწირულების აქტის დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ზოგადი ქრონოლოგიური მითითებები – XVII ს., [1644-1650-იანი წლები] კიდევ უფრო დავავიწროვეთ და ხუთწლიანი შუალედით, ამავე 1648-1653 წლებით დავათარიღეთ. ამავე 1648-1653 წლებით განვსაზღვრეთ სუფრაჯ ავთნდილის ვაჟის ლეონ ბარათაშვილის გარდაცვალების ქრონოლოგიაც.

6. 1662 წლის ორი საბუთის, 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის წიგნის, ამავე 1664 წლის საბუთის პირის სპარსული ვარიანტისა და 1584 წლის ქართლის კათალიკოსის საბუთების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილს ბადურას, ლევანის, აბელის, გორჯასპის, ქაიხოსროს და იესეს გარდა ჰყოლია კიდევ ერთი, მისი მოსახელე ვაჟი სახელად ავთანდილი. გარდა ამისა, ვიგებთ, რომ ქართლის დედოფლის სუფრაჯ ავთანდილის მფლობელობაში ყოფილა სოფელი ქცია, რაც მის სახელზე გაცემული დოკუმენტებიდან არ ჩანდა.

7. გავითვალისწინეთ, 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის განახლების წიგნი, სადაც აბელი და იესე ცოცხალ პირებად გვევლინებიან და ყოველივე ამას შევუჯერეთ 1664 წლის

ვახტანგ V-ის წყალობის დოკუმენტი, სადაც უკვე აღარც აბელისა და აღარც იესეს სახელი აღარ გხვდება, ყოველივე ამის საფუძველზე დავადგინეთ ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილების ძმების: აბელისა და იესეს გარდაცვალების თარიღი და იგი ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით 1653-1664 წლებით განვსაზღვრეთ.

§ 4. არსენ მანგლელის 1667 წლის სამშენებლო წარწერა მანგლისის ტაძრიდან და მისი მნიშვნელობა აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ მანგლისის ტაძრის გალავნის აღმოსავლეთ კედელში არსებული შესასვლელის თავზე მოთავსებულ, 1667 წლის არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერას. შევეცდებით კიდევ ერთხელ ქართული დიპლომატიკური ძეგლების საფუძველზე აღნიშნულ სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული არსენ მანგლელის ფეოდალური სახლის კუთვნილების საკითხის გარკვევას. ქართულ ისტორიოგრაფიაში (გურამ ჯანდიერი, გულიკო მჭედლიძე) დღემდე მყარად არის დამკვიდრებული შემდეგი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ამ სამშენებლო წარწერაში მოხსენიებულ არსენ მანგლელს ბარათაშვილთა ერთ-ერთ განშტოებას, სახელდობრ, გერმანოზიშვილთა ფეოდალურ ოჯახს მიაკუთვნებენ. ჩვენი აზრით, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში დამყარებული აღნიშნული მოსაზრება არ შეესაბამება რეალობას და ჩვენი მხრიდან კიდევ ერთხელ გადახედვას მოითხოვს.

წარმოვადგენთ აღნიშნული 1667 წლის არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერის პუბლიკაციებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერა დღემდე მრავალგზის იქნა გამოცემული.

პირველად, აღნიშნული წარწერა 1837 წელს გამოიცა მარი ბროსეს (1802-1880 წწ.) მიერ. მეცნიერი განიხილავს რა მანგლისის ტაძრის სხვა წარწერებს, სულ ბოლოს ეხება არსენ მანგლელის წარწერას და დასძენს, რომ ამ წარწერის შესახებ ცნობა მიაწოდა მ. ჩუბინაშვილმა. ამის შემდეგ კი მოჰყავს მ. ჩუბინაშვილის მიერ გაგზავნილი წარწერის ტექსტის ქართული გადმონაწერი და მისი ფრანგულ ენაზე პერეფრაზირება:

„ღმერთო შეიწყალე ამისი ამშენებელი, მანგლელი ეპისკოპოსი არსენი, ოსტატი

თეიმურაზისა. ქორონიკონს: ტნ:

Seigneur, air pitié d'Arseni, constructeur de cet édifice, éveque de Manglis, et de l'artisan Théimouraz. En l'an 350 – 1662." (Brosset 1839: 431).

ამის შემდეგ ავტორი გვამცნობს, რომ მისთვის მ. ჩუბინაშვილს არაფერი არ უთქვამს ამ წარწერის წარმომავლობის შესახებ, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, მისი ადგილ-მდებარეობის შესახებ.

როგორც ვხედავთ, მ. ჩუბინაშვილის მიერ მ. ბროსესათვის გაგზავნილ ჩვენთვის საინტერესო წარწერის მიხედვით, მაშენებელი არსენ მანგლელი, ოსტატი თეიმურაზისა ღმრთისაგან შენდობას ითხოვს. აღნიშნულ პუბლიკაციაში ამ წარწერას ბოლოში უზის ქორონიკონი ტნ. ამის მიუხედავად, მ. ბროსემ მის წინ განთავსებული სიტყვის „ქორონიკონს" ბოლო გრაფემა „ს" დაუმატა შემდგომ ორ გრაფემას „ტნ"-ს და ყოველივე ამის საფუძველზე ამ წარწერის შესრულების თარიღად 1662 წელი მიიჩნია. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ისტორიკოსს ამის საშუალებას მისთვის მ. ჩუბინაშვილის მიერ გაგზავნილი წარწერის ტექსტის გადმონაწერი არ აძლევდა, რადგან აღნიშნული გადმონაწერიდან საკმაოდ ნათალად ჩანს, რომ წარწერის ბოლო ორი გრაფემა „ტნ" წინა სიტყვისაგან ორწერტილით არის გამოყოფილი.

მარი ბროსეს შემდეგ აღნიშნული წარწერა გამოქვეყნდა 1848 წლის გაზეთ „Кавказ"-ის 37-ე ნომერში ი. სლივიცკის მიერ, რომელიც გთავაზობს ამ წარწერას და მის სიტყვა-სიტყვით რუსულ თარგმანს. ვიძლევით აღნიშნული წარწერის ი. სლივიცკისეულ წაკითხვას:

„ღმერთო შეიწყალე

ამისი ამშენებელი

მანგლელი

ეფისკოპოზი

არსენ ოსტატი

თებერვლის გ. ქორონიკოს სტნ

Господи помылуи этого строителя, Манглискаго Епископа Арсенiя и архитектора Февраля 3-го г. хрон. 355 (1667 по Р.Х.)" (Сливицкий 1848: 148).

ი. სლივიცკიმ მ. ბროსესაგან განსხვავებით, 1848 წელს თავად მოინახულა მანგლისის ტაძარი და შესაბამისად ჩვენთვის საინტერესო სამშენებლო წარწერაც უშუალოდ ნახა. მას წინა ავტორისაგან განსხვავებით, არსენ მანგლელის წარწერა 6 სტრიქონად აქვს მოცემული. აღნიშნული წარწერის ი. სლივიცკისეული წაკითხვა შინაარსობრივი თვალსაზრისთაც განსხვავდება მ. ბროსეს წაკითხვისაგან, რაც გამოიხატება შემდეგში: თუ, ბროსესთან სიტყვა „ეპისკოპოსი“ გხვდება, სლივიცკისთან ეს სიტყვა „ეფისკოპოზი“-ს სახით არის წარმოდგენილი. მ. ბროსესთან მანგლელის სახელი არსენი სახელობით ბრუნვაშია, ხოლო ი. სლივიცკისთან წოდებით ბრუნვაში „არსენ“ გვხვდება. სიტყვა „ოსტატი“-ს შემდეგ მ. ბროსე კითხულობს სიტყვა „თეიმურაზისა“-ს, ხოლო ი. სლივიცკი კი ამ სიტყვის ნაცვლად სიტყვა “თებერვლის“. უფრო მეტიც, ი. სლივიცკიმ ამ სიტყვის შემდეგ კიდევ ერთი გრაფემა „გ“ ამოიკითხა. მკვლევარი წინა ავტორისაგან განსხვავებით, სიტყვა ქორონიკონს „ნ“ გრაფემის გარეშე წარმოადგენს. რაც შეეხება ქორონიკონის აღმნიშვნელ გრაფემებს ორივე ავტორი ერთნაირად კითხულობს და მის აღმნიშვნელად „სტნ“ გრაფემებს გვთავაზობენ. თუმცა აქ დასაზუსტებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ თუ, მ. ბროსემ „ტნ“ გრაფემებს წინა სიტყვა „ქორონიკონს“ ბოლო გრაფემა „ს“ დაუმატა, ი. სლივიცკის აღნიშნული სამი გრაფემა „სტნ“ ქორონიკონის აღნიშვნის მიზნით ერთად აქვს მოცემული, თუმცა მას მ. ბროსესგან განსხვავებით, აღნიშნული წარწერის თარიღად 1667 წლის 3 თებერვალი მიაჩნია. მისი აზრით, „სტნ“ გრაფემათა სისტემა რატომღაც მაინცდამაინც 355 უდრის, შესაბამისად მკვლევარი ამ ეპიგრაფიკულ ძეგლს 1667 წლის 3 თებერვლით ათარიღებს, როცა მ. ბროსემ სავსებით სამართლიანად „სტნ“ გრაფემათა საფუძველზე მიღებული 350 ქორონიკონი (1312+350=1662) 1662 წელს შეუსაბამა.

ი. სლივიცკის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო სამშენებლო წარწერის შესახებ საუბრობს ა. უმანეცი თავის 1852 წლის სტატიაში „Древний храм в Манглисе“. მკვლევარი ეყრდნობა რა ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757 წწ.) ცნობებს, აცხადებს, რომ მანგლისის ტაძარი XVIII საუკუნის დასაწყისში ვერ გადაურჩა დარბევას. მისი თქმით, „ქართველი ისტორიკოსის თქმით, (ვახუშტი ბატონიშვილს გულისხმობს – თ.გ.) მანგლისი XII საუკუნის დასაწყისში დავით III მეფობის დროს, XII საუკუნის დასაწყისში დაზარალდა, XVII საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფის სიმონ II-ის ზეობის დროს. ამ სიტუაციამ ბიძგი მისცა არსენ

ეპისკოპოსს ეკლესია რამდენიმე ადგილას გაემაგრებინა და იგი ქვის გალავნით დაეცვა. კარიბჭის ახლოს გარეთ, მან პატარა ეკლესია ააშენა. ეს გალავნები ამ დრომდე სავსებით არ იყო. კარების თავზე მოიპოვება შემდეგი ქართული წარწერა, ახალი ხელით, შესრულებული ქვაზე: „Господи! помилуй строителя этого, Манглисскаго епископа мастера Арсенїя, февраля 3 г. хрон. 355 (1667 по Р.Х.) (Уманец 1852: 466).

როგორც ვხედავთ, ა. უმანეცი სწავლულ ბატონიშვილზე დაყრდნობით აღწერს მონასტრის ისტორიას, გარდა ამისა საუბრობს მანგლელი ეპისკოპოსის არსენის სამშენებლო საქმიანობაზე და სულ ბოლოს მოაქვს ჩვენთვის საინტერესო წარწერის მისეული წაკითხვის რუსული ვარიანტი. იგი ი. სლივიცკის მსგავსად, მ. ბროსესაგან განსხვავებით, არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერას 1667 წლის 3 თებერვლით ათარიღებს. თუმცა აქვე დავძენთ, რომ ზემო ორი ავტორისაგან განსხვავებით, მას არ მოაქვს აღნიშნული წარწერის ქორონიკონის აღმნიშვნელი გრაფემები, რის საფუძველზეც მან ძეგლის მაინცდამაინც 1667 წლის 3 თებერვლით დაათარიღა.

ამის შემდეგ ი. სლივიცკი კვლავ მოუბრუნდა მანგლისის ეკლესიის შესაწვლის საქმეს და 1902 წელს წალკე გამოცემულ ბროშურაში ცალკე თავად გვხდება მისი გამოკვლევა მანგლისის ტაძრის შესახებ სახელწოდებით „Древнїй храмъ въ манглисъ“, სადაც იგივე აზრი აქვს გატარებული, რაც თავის 1848 წლის სტატიაში გამოთქვა. თუმცა ერთი გასნხვავებით, ავტორი აქ წარწერის სულ სხვაგვარ წაკითხვას გვთავაზობს:

„ღმერთო შეიწყალე

ამისი ამშენებელი

მაძვლელი

ეფისკოპოზი

არსენ ოსტატი

თებერვლის ვ. ქარონიკომ ხტნ

Вотъ буквальный ея переводъ: Господи помылуи этого строителя, Манглискаго Епископа Арсенїя и архитектора, Февраля 3-го г. хрон. 355 (1667 по Р.Х.)“ (Сливицкий 1902: 26-27).

აქ, როგორც ვნახეთ, ი. სლივიცკი მის წინა პუბლიკაციასაგან განსხვავებით, ჩვენთვის საინტერესო წარწერას სულ სხვაგვარად კითხულობს. აღნიშნული წარწერის მესამე

სტრიქონზე სიტყვა „მანგლელის“ ნაცვლად, სიტყვა „მაძვლელი“-ს კითხულობს. სულ ბოლო სტრიქონზე სიტყვა „ქორონიკონი“ს მაგივრად, სიტყვა „ქარონიკომ“-ს. სულ ბოლოს შევნიშნავთ, რომ თუ წინა წაკითხვაში ქორონიკონის აღმნიშვნელად კითხულობდა შემდგომ სამ გრაფებას „სტნ“, აქ უფრო შორს წავიდა და სიტყვა „ქარონიკამ“-ის შემდეგ კითხულობს „ხტნ“ გრაფემათა კონსტრუქციას და რაც ყველაზე გასაკვირია, არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერას იმავე – 1667 წლის 3 თებერვლით ათარიღებს.

ი. სლივიცკის შემდეგ მანგლისის წარწერები გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა (1863-1953 წწ.) თავის 1913 წლის ნაშრომის „Археологическия Экскурсии, Разыскания и Заметки“-ის IV ტომში, სადაც ცალკე თავი აქვს მიძღვნილი მანგლისის ტაძრის წარწერებს. აღნიშნულ წარწერებს შორის მეცნიერს მოტანილი აქვს ჩვენთვის საინტერესო არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერაც. მის თქმით, „Въ стень ограды Манглисскаго храма направо отъ воротъ вдьланъ каменъ съ вульгарною позднею надписью некрасивыми строчными мхедрули. Надпись давно извъстна и правильно разобрана и у Броссе:

ქ ღ ̃თო შეიწყალე	Господи, помилуй
ამისი ამშენებე	строителя сего
ლი მნგლელ	манглисскаго
ეფისკოპოზი	епископа ма-
არსენ ოსტატ	стера Арсения,
ი თებერ გ ქკ ̃ს ტნე	февраля 3-го, въ корониконъ 355 (=1667).

Ръчь идёть, въроятно, о построикь воротъ ограды. Это единственная поздная надпись, касаюшаяся Манглисскаго храма. Она во всякомъ показываетъ, что во второй половинь XVII въка жизнь вокругъ храма и вообше на Манглись не замирала“ (Такаишвили 1913: 140-141).

ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით, მანგლისის ტაძრის კარიბჭის მარჯვენა მხარეს, გალავნის კედელში ჩადგმული გვიანი მდარედ შესრულებული მხედრული წარწერა დიდი ხანი ცნობილი ყოფილა და ის სწორად ყოფილა გარკვეული ბროსესთან. ამის შემდეგ, როგორც ზემოთ ვაჩვენთ, მოჰყავს თვით წარწერის ტექსტი. მართალია, ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ სწორად იქნა ეს წარწერა გაშიფრული მ. ბროსეს მიერ, თუმცა მის და მ.

ბროსესეულ წაკითხვას შორის დიდი სხვაობაა, რაც გამოიხატება შემდეგში: წინა მკვლევართაგან განსხვავებით, ე. თაყაიშვილი კითხულობს „ქ“ გრაფემას ანუ ქანწილს, გარდა ამისა, მის წაკითხვაში ამის შემდეგ ამოკვეთილი სიტყვა ღმერთო „ღ˜თო“ დაქარაგმებულია, რაც წინა ავტორებთან ყოველგვარი ქარაგმის გარეშე არის წარმოდგენილი. აგრეთვე თვალში მოსახვედრია ექვთიმეს მიერ წარწერის მესამე სტრიქონზე ამოკითხული სიტყვა „მნგლელ“, რასაც ზემოთჩამოთვლილი ავტორები პირდაპირ „მანგლელი“-ს სახით კითხულობდნენ. აქვე ავღნიშნავთ, რომ თუ ი. სლივიცკისთან მაშენებელი მეორე სტრიქომზეა მთლიანად მოთავსებული, ექვთიმესთან აღნიშნული სიტყვის ბოლო ორი გრაფემა მესამე სტრიქონზეა გადატანილი. სულ ბოლოს ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ე. თაყაიშვილის მიერ არსენ მანგლელის წარწერის ქორონიკონის ამღნიშვნელ სამი გრაფემის ახალ წაკითხვაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ე. თაყაიშვილი წინა მკვლევათაგან განსხვავებით, აღნიშნული წარწერის ქორონიკონის აღმნიშვნელად „ტნე“ გრაფემებს კითხულობს, რაც მართალაც უდრის (1312+355=1667 წ.) 1667 წელს. ჩვენ დიდ გაკვირვებას იწვევს ე. თაყაიშვილის მხრიდან ის განცხადება, რომ არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერა მ. ბროსეს მიერ სწორადაა გაშიფრული, რადგან, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ამ სამშენებლო წარწერის ე. თაყაიშვილისეული წაკითხვა წინა ორი ავტორისაგან განსხვავებით არა მარტო ტექსტოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდება, არამედ ეპიგრაგიკული ძეგლის თარიღის აღმნიშვნელი ქორონიკონის წაკითხვაშიც.

გარდა ამისა, ე. თაყაიშვილი წარწერის ტექსტის შინაარსითაც დაინტერესდა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ალბათ წარწერაში საუბარია გალავნის კარის აშენებაზე. მისი აზრით, ეს ყოველ შემთხვევაში მიუთითებს იმაზე, რომ XVII საუკუნის II ნახევარში მონასტრის ირგვლივ და საერთოდ მანგლისში სიცოცხლე არ ჩამკვდარა.

ექვთიმეს შემდეგ ჩვენთვის საინტერესო სამშენებლო წარწერა აკაკი შანიძის განხილვის საგანი გახდა. მეცნიერმა 1926 წლის მიმოხილველის I ნომერში გამოსცა თავისი ნაშრომი სახელწოდებით „კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ“. მკვლევრის ძირითად ინტერესს მონასტრის აღმოსავლეთ ფასადზე სამხრეთ კარიბჭის გარედან ამოკვეთილი “დოღომაᲘს ძეთᲘ“-ს წარწერა წარმოადგენდა. მან აღნიშნული წარწერის გარდა გადმოიღო

ჩვენთვის საინტერესო არსენ მანგლელის წარწერაც, რომელიც ნაშრომში სულ ბოლოს მოჰყავს. მისი თქმით, „მხედრული წარწერა ჭიშკრისა, ექვს სტრიქონიანი, რიგიანად აქვს გამოცემული ე. თაყაიშვილს (გვ. 140), რომელსაც ოღონდ განკვეთილობის ნიშნები არ აქვს დაცული. აქ იკითხება:

ქ ღ ̆თო: შეიწყალე | ამისი: ამშენებე|ლი. მნგლელ. | ეფისკაპოზი | არსენ ოსტატ|ი თებერ გ ქ ̆კს ტნე“ (შანიძე 1926: 235).

როგორც ვხედავთ, აკ. შანიძე ამ წარწერის ე. თაყაიშვილისეულ წაკითხვას მთლიანად იზიარებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მიერ წაკითხულ სიტყვა „ეფისკოპოზი“-ს ნაცვლად სიტყვა „ეფისკაპოზი“-ს. გარდა ამისა, მან თავის პუბლიკაციაში აღნიშნული წარწერის განკვეთილობის ნიშნებიც აღნიშნა.

ამის შემდეგ აღნიშნული წარწერა გამოაქვეყნა 1956 წელს ვახტანგ ბერიძემ თავის მონოგრაფიული ტიპის ნაშრომში „ძველი ქართველი ხოროთმოძღვრები“, სადაც მას ანბანურ რიგზე აქვს გაწყობილი ქართველი ოსტატები, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო არსენ მანგლელიც, რადგან, როგორც აღნიშნული სამშენებლო წარწერა გვამცნობს, მას თავად მიუღია მშენებლობაში მონაწილეობა და ოსტატადაც კი არის ნახსენები ამ წარწერაში. აღნიშნული წარწერას ვ. ბერიძე გვთავაზობს მთლიანად ე. თაყაიშვილისეულ წაკითხვაზე დაყრდნობით. იგი წერს: „არსენ ოსტატი – მანგლელი ეპისკოპოსი, ცხოვრობდა XVII ს-ის მეორე ნახევარში. მოხსენიებულია მანგლისის ტაძრის გალავანში ჩატანებულ წარწერაში: „ღმერთო, შეიწყალე ა მ ი ს ი ა მ შ ე ნ ე ბ ე ლ ი მ ა ნ გ ლ ე ლ ი ე ფ ი ს კ ო პ ო ზ ი ა რ ს ე ნ ო ს ტ ა ტ ი, თებერ გ ქრონიკს ტნე“ (=1667 წელს). ე. თაყაიშვილის აზრით, არსენის აშენებული უნდა ყოფილიყო გალავანში შესასვლელი ბჭე“ (ბერიძე 1956: 24).

ამის შემდეგ მანგლისის ტაძრის წარწერებისადმი საგანგებო ნაშრომი გამოქვეყნდა 1961 წელს თეიმურაზ ბარნაველის მიერ სახელწოდებით „მანგლისის ტაძრის წარწერები“, სადაც ავტორი სხვა წარწერებთან ერთად წარმოადგენს არსენ მანგლელის 1667 წლის სამშენებლო წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას, წარწერის ტექსტის გადმონაწერს, მისეულ წაკითხვას, წარწერის პალეოგრაფიულ პირსა და წარწერის შავ-თეთრ ფოტოს:

„გვიანი წარწერაა მოთავსებული ეკლესიის გალავანში აღმოსავლეთის მხრიდან

შესასვლელის მარჯვნივ, ზემოთ. წარწერა შესრულებულია მხედრული დამწერლობით, მეტად მდარე და ულამაზო ხელით.

ქ. ღთო: შეიწ˜ლე

ამისი: ამშენებე

ლი. მნგლელ.

ეფისკოპოზი (!) არსენ ოსტატ

ი თებერ გ ქკს ტნე

ე.ი. „ქ. ღმერთო შეიწყალე ამისი ამშენებელი

მანგლელ[ი] ეპისკოპოზი არსენ ოსტატი.

თებერ[ვალსა] გ, ქორონიკონს[ა] ტნე. (1667 წ.)

ეს წარწერა უნდა ეხებოდეს გალავანში შესასვლელ კარიბჭის აშენებას. პუბლიკაციებში თარიღი სხვადასხვაგვარად არის მოყვანილი“ (ბარნაველი 1961: 14-15).

როგორ ზემოთ მოტანილი წარწერის ტექტსიდან ჩანს, მას ექვ. თაყაიშვილისა და აკ. შანიძისაგან განსხვავებით ქარგმა დასმული აქვს არა პირველ სიტყვა „ღმერთო“-ზე, არამედ ამის მომდევნო სიტყვა „შეიწყალე“-ზე, სახელდობრ, ამ სიტყვის „წ“ გრაფემას შემდეგ სვამს ქარაგმის ნიშანს, რომელსაც მოსდევს „ლე“ გრაფემები. მართალია, წარწერის ტექსტის გადმონაწერში მან სიტყვა შეიწყალეს ქარაგმის ნიშანი დაუსვა, თუმცა მისეულ წაკითხვაში მას ეს სიტყვა ყოველგვარი ქარაგმის გახსნის ნიშნის გარეშე აქვს წარმოდგენილი. მის ნაშრომში პარალელურად მისდევს ერთმანეთს წარწერის პალეოგრაფიული პირი და მისი დედნის გადმონაწერი. თუმცა რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მაინც ვნახულობთ განსხვავებას ამათ შორის, კერძოდ, თუ წარწერის პალეოგრაფიულ პირის მეორე და მესამე სტრიქონებზე ამოკვეთილია სიტყვა „ამშენებლი“, თ. ბარნაველი ამ სიტყვას კითხულობს როგორც „ამშენებელი“ ანუ ამ სიტყვაში გრაფემა „ბ“-ს შემდეგ „ე“ გრაფემა ჩაამატა, როცა მას მის მიერვე გადმოღებული წარწერის პალეოგრაფიული პირი ამის საშუალებას არ აძლევდა. ჩვენ დიდ გაკვირვებას იწვევს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ თუ, წარწერის პალეოგრაფიულ პირი ექვსი სტრიქონისაგან

შედგება, მის მიერ გადმოწერილ წარწერის დედანში ტექტი 5 სტრიქონია. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ მის მიერ გადმოღებულ პალეოგრაფიულ პირში სიტყვები „ეფისკოპოზი“ და „არსენ ოსტატ“ სხვადასხვა სტრიქონზეა, ხოლო მის მიერ გადმონაწერ დედნის ტექტსში ერთ სტრიქონზეა. სწორედ ამის გამო შედგება წარწერის პალეოგრაფიული პირი 6 სტრიქონისაგან და მის მიერ გადმოღებული დედნის ტექსტი 5 სტრიქონისაგან. უფრო მეტიც, მისეულ წაკითხვაში ჩვენთვის საინტერესო წარწერის ტექტს სულ სამიოდე სტრიქონი აქვს დაკავებული. მას ე. თაყაიშვილის მსგავსად, აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული არსენ მანგლელი გალავანში შესასვლელის კარიბჭის მაშენებლად მიაჩნია.

თეიმურაზ ბარნაველის შემდეგ არსენ მანგლელის წარწერა გურამ ჯანდიერს აქვს მოყვანილი თავის სტატიაში „XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი).იქ, სადაც მკვლევარი ადგენს XVII საუკუნის II ნახევრის მანგლელ ეპისკოპოსთა რიგს, ჩვენთვის საინტერესო პიროვნების არსენ ბარათაშვილის მანგლელობას ამ სამშენებლო წარწერისა და საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით – 1667-1670 წლებით განსაზღვრავს. არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერის წაკითხვისას მთლიანად ეყრდნობა თეიმურაზ ბარნაველისეულ წაკითხვას, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ ერთხელ უკვე ვაჩვენეთ, ეს წარწერა შემდეგი სახით იკითხება: „ღმერთო, შეიწყალე ამისი ამშენებელი მანგლელ[ი] ეპისკოპოზი არსენ ოსტატი. თებერ[ვლსა] გ, ქორონიკონს[ა] ტნე“ (ჯანდიერი 1971: 340).

სულ ბოლოს, მანგლისის ტაძარს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა მალაქია დვალმა. მას თავის 1974 წლის ნაშრომში „მანგლისის ხუროთმოღვრული ძეგლი“ მოცემული აქვს ძეგლის შესწავლის ისტორია, ძეგლის აღწერა, თვით ძეგლის ისტორია და მისი ხუროთმოძღვრული ანალიზი. მკვლევარი რამდენჯერმე ეხება არსენ მანგლელის წარწერასა და მისი ჩატარებულ სამუშაოებს მანგლისის ტაძართად დაკავშირებით.

პირველად აღწერს რა მანგლისის ტაძრის გალავანს ამბობს: „გალავანი ნაგებია ფლეთილი ქვით, კირის ხსნარზე. შიგადაშიგ კედლის წყობაში (ძირითადად სამხ. და აღმ. კედლებში) დიდი თლილი დღეს არსებული გალავანი რომ ძეგლისდროინდელი არ არის, ის ზემოთ ნათქვამიდანაც ჩანს. ის არსენ ეპისკოპოსს აუგია 1667 წელს, რაც გალავნის აღმ.

კარებთან მოთავსებულ მხედრულ წარწერაშია აღნიშნული (იხ. ტაბ. 502)“ (დვალი 1974: 17). მეორედ აღწერს რა მანგლისის ტაძრის საკურთხეველს, ამბობს: „ამჟამად საკურთხეველს ტრანსეპტისაგან კაკლის ხის მაღალი იკონოსტასი ჰყოფს, რომელიც XIX საუკუნეში რემონტის დროს (1858 წელს) გაუკეთებიათ, მანამდე არსებული „ქვით და აგურით“ ნაგები კანკელის მაგივრად, რომელიც იმ დროს უკვე ძლიერ ყოფილა დაზიანებული. აი, როგორ აღწერს ამას ი. სლივიცკი: „Возвышаюшаяся перед алтарём на полтора аршина стена, по всей вероятности, позднейшей построики; плохая кладка камней и кирпичей отстранают мысль о глубокой древности“. მაგრამ კანკელი საკურთხევლის წინ კი არ იყო აღმართული, როგორც ამას სლივიცკი წერს, არამედ ტრანსეპტის წინ, როგორც ეს კირპიჩნიკოვს აქვს გეგმაზე აღნიშნული. ასევე აქვს აღწერილი ის უმანეცს: ...„иконостас со своего места, по тесноте алтаря или по другим соображениям, был отнесён в средною арку“ და შემდეგ – „Новый иконостас, в средней арке, сделань был из кирпича, с пролётом, для царских врат и одной северной двери“. მართლაც ყველაფერი მოწმობს, რომ აღნიშნული კანკელი გვიანდელი წარმოშობისა იყო, მაგრამ რომელ ეპოქას ეკუთვნოდა, ამის დადგენა ძნელია, ვინაიდან ხელთ არაფერი რეალური მასალა არა გვაქვს მის დასათარიღებ;ლად. საფიქრებელი კია, რომ ის იმ არსენ ეპისკოპოსის შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს (XVII ს-ში), რომელიც გალავნის აღმ. კარების თავზე მოთავსებულ მხედრულ წარწერაშია მოხსენიებული“ (დვალი 1974: 20).

სულ ბოლოს კი იქ, სადაც საუბრობს მანგლისის ტაძრის XVII საუკუნის მეორე ნახევრის მდგომარეობის შესახებ, დასძენს:

„XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის ძეგლის მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის მანგლისის გალავნის აღმოსავლეთ კედელში არსებული შესასვლელის თავზე მოთავსებული მხედრული წარწერა, რომელიც გვატყობინებს, რომ 1667 წელს მანგლელ ეპისკოპოსს არსენს ძეგლზე სამშენებლო სამუშაო ჩაუტარებია. წარწერა ასე იკითხება:

„ქ. ღ˜თო შეიწყალე

ამისი ამშენებე

ლი მნგლელ

ეფისკაპოსი

არსენ ოსტატ

ი თებერ გ ქ ̆კს ტნე (-1667 წელს)“.

ცხადია, წარწერაში ლაპარაკია გალავნის აგებაზე და არა ტაძრის აშენებაზე, ეს ჯერ კიდევ ი. სლივიცკიმ აღნიშნა, მას ეჭვი ეპარება, რომ ეპისკოპოსი არსენი თავის თავს მთელი ტაძრის ამშენებლად ასახელებსო და დასძენს: „Епископ Арсен принял на себя слишком много“. საქართველოს მაშინდელ მდგომარეობაში ამოდენა ტაძრის აგებას ვერ შეძლებდნენო.

ე. თაყაიშვილის აზრით არსენის აშენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ გალავანში შესასვლელი ბჭე. ჩვენ გვგონია, რომ არსენს, ალბათ, გალავანი აღუდგენია და თვით ძეგლიც შეუკეთებია. კერძოდ, არსენის სამშენებლო მოღვაწეობის ნაყოფი უნდა ყოყილიყო ტრანსეპტის წინ აგურით და ქვით ნაგები კანკელი, რომელსაც ა. უმანეცი და ი. სლივიცკი აღწერენ და კირპიჩნიკოვსაც აქვს დატანილი თავის გეგმაზე“ (დვალი 1974: 42-43).

ზემოთმოყვანილი მანგლისის ტაძრის გალავნის აღმოსავლეთ კედელში არსებული შესასვლელის თავზე მოთავსებულ 1667 წლის წარწერის მიხედვით, არსენ მანგლელს და იმავდროულად ოსტატს, როგორც ჩანს, იგი უშუალოდ იღებდა მონაწილეობას მისი თაოსნობით ჩატარებულ სამშენებლო საქმიანობის შესრულებაში, ამიტომაც უწოდებს თავის თავს ოსტატს, აუშენებია მანგლისის მონასტრის გალავანი და ამის გამო შენდობას ითხოვს ღმრთისაგან.

როგორც ნაშრომის დასაწყისში ავღნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში (გურამ ჯანდიერი, გულიკო მჭედლიძე) გამოთქმულია მოსაზრება აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული არსენ მანგლელის ბარათაშვილთა ერთ-ერთი განშტოების, გერმანოზიშვილთა ფეოდალური სახლისათვის მიკუთვნების შესახებ, შევეცდებით ერთხელ კიდევ მოუბრუნდეთ ამ საკითხს და კიდევ ერთხელ განვიხილოთ არსენ მანგლელის გვარიშვილობის საკითხი.

თუმცა მანამდე ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გთავაზობთ ქართულ სამეცნიერო წრეებში გამოთქმულ შეხედულებებს.

პირველად არსენ მანგლელის გვარიშვილობის საკითხს შეეხო გურამ ჯანდიერი თავის 1971 წლის ნაშრომში „XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი)“, სადაც მკვლევარს დადგენილი აქვს XVII საუკუნის საქართველოს სხვადასხვა ეპარქიის მწყემსმთავართა ქრონოლოგიური რიგი. მას ცალკე თავად აქვს გამოყოფილი მანგლელ ეპისკოპოსთა ნუსხაც. იგი მას შემდეგ, რაც 1652-1653 წლებში ქართულ საისტორიო საბუთებში ნახსენებ ნიკოლოზ მანგლელზე ამთავრებს საუბარს, დასძენს:

„1667 წ. მანგლელად არის ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ა რ ს ე ნ: ღმერთო, შეიწყალე ამისი ამშენებელი მანგლელ[ი] ეპისკოპოზი არსენ ოსტატი. თებერ[ვალსა] გ, ქორონიკონს[ა] ტნე“. 1669 წ. მეფე შაჰნავაზმა შესწირა ყმა-მამული მანგლისის ღვთისმშობელს. 1670 წელს არსენმა ამირაშვილებს უწყალობა მამული“ (ჯანდიერი 1971: 340).

ამის შემდეგ საუბრობს არსენ ბარათაშვილის შემდგომ დროინდელ XVII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე მანგლელებზე და სულ ბოლოს მოჰყავს მათი ქრონოლოგიური რიგი, სადაც არსენის მანგლელობას – 1667-1670 (1667, 1669, 1670) წწ. განსაზღვრავს. თუმცა აქ ჩვენი ყურადღება ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა გარემოებამ მიიქცია, რაც მდგომარეობს შემდგომში, მეცნიერი არსენ ბარათაშვილის შემდეგ მანგლელად ასახელებს გაბრიელ ჯავახიშვილს, რომლის მწყემსმთვარობას 1672-1673 წლების ნასყიდობის წიგნების მიხედვით, ამავე – 1672-1673 წლებით ათარიღებს. მისი თქმით, გაბრიელ ჯავახიშვილი მოწმედ იხსენიება ნასყიდობის წიგნში, მიცემული ჯანო ენდრონიკაშვილის მიერ ქართლის კათალიკოს დომენტი III-სათვის (1660-1676 წწ.). იგი ამთავრებს რა ამ ფრაზას, შენიშვნის სახით აქვს ჩატანილი სქოლიოში: „1662 წლითაა დათარიღებული (ქრ-ის II წიგნში, გვ. 480.) ფრაგმენტი დოკუმენტიდან, რომლიდანაც ირკვევა, რომ გ ა ბ რ ი ე ლ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ეპისკოპოსად კ ა თ ა ლ ი კ ო ს დ ო მ ე ნ ტ ი ს უკურთხებია, რის გამოც იგი აძლევს პირობას ერთგულებისა და მორჩილების შესახებ. ცნობა გაბრიელის მანგლელობის შესახებ 1672 წელზე ადრე სხვა დოკუმენტებიდან არ დასტურდება. საფიქრებელია, რომ ეს თარიღი შეცდომითაა მოცემული (ამ პერიოდში ბარათაშვილი არსენი ჩანს 1669, 70), მაგრამ, საინტერესოა ფაქტი, საიდან ირკვევა, რომ დომენტის უკურთხებია იგი ეპისკოპოსად)“ (ჯანდიერი 1971: 341).

როგორც ვხედავთ, ისტორიკოსი მანგლისის ტაძრის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებულ არსენ მანგლელს 1669-1670 წლების წყალობის სიგელთა საფუძველზე სამართლიანად ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლად მიიჩნევს და მის მანგლელობას აღნიშნული წარწერისა და ამ ორი დიპლომატიკური ძეგლის ურთიერთშეჯერების საფუძველზე – 1667-1670 წლებით ათარიღებს. ამის პარალელურად მას მოჰყავს თედო ჟორდანიას ქრონიკებიდან II ტომიდან 1662 წლის საბუთის ფრაგმენტი, რომლის მიხედვით დომენტი კათალიკოსს გაბრიელ ჯავახიშვილი მანგლელად უკურთხებია, რის სანაცვლოდაც იგი ქართლის ეკლესიის მწყემსმთავარს აძლევს ერთგულებისა და მორჩილების პირობას. ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით აღნიშნული საბუთის ფრაგმენტით, გავეცანით შესაბამის ლიტერატურას, გვაქვს მეტად საინტერესო სურათი. კერძოდ, პირთა ანოტირებული ლექსიკონის II ტომში დომენტი კათალიკოსზე გატანილია ჩვენთვის საინტერესო საბუთის ფრაგმენტი, თუმცა მათთანაც მითითებულია თედო ჟორდანიას ქრონიკების II ტომის ის გვერდი, რაც მითითებული აქვს გურამ ჯანდიერს თავის ზემოთაღნიშნულ ნაშრომში და რაც ყველაზე საინტერესოა ავტორთა ჯგუფიც ამ საბუთის ფრაგმენტის ქრონოლოგიას, გურამ ჯანდიერის მსგავსად, იმავე 1662 წლით განსაზღვრავს (კლდიაშვილი .... 1993: 94). ამის შემდეგ გავეცანით თედო ჟორდანიას აღნიშნული ნაშრომის ჩვენთვის საინტერესო ადგილს, სადაც ავტორს ჯერ მოყვანილი აქვს 1662 წლით დათარიღებული ორი მინაწერი, შემდეგ 1662 წლის იკორთის ზატიკის წარწერა, რომლის მიხედვით იესე ქსნის ერისთავი მის ოჯახთან ერთად იკორთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიას სწირავს სოფელ შუაცხვირს, ხოლო შემდგომ ამბობს: „ამავე დროებში ქკ˜ზს დომენტის ერთგულების წიგნს უწერს ჯავახიშვილი მანგლელი გაბრიელ: „თქუⒶნ მიერი (ეპისკოპოსად) კურთხევა მოვიღეთ ჩემზედა... ვიყუნეთ თქუⒶნნი ერთგულნი და.. მორჩილნი“ (მცხეთის ნუსხა №:რმა:“ (ჟორდანია 1897: 480).

როგორც ავღნიშნეთ, თედო ჟორდანიას მიერ ზემოთ მოყვანილი ორი მინაწერი და ზატიკის წარწერა კონკრეტული თარიღით – 1662 წლით არის განსაზღვრული, ხოლო ჩვენთვის საინტერესო სიგელის ფრაგმენტს არ უზის თარიღი, რის გამოც სრულიად დაუშვებელია მისი თარიღის განსაზღვრა მაინცდამაინც 1662 წლით. აქედან გამომდინარე,

სრულიად ბუნდოვანია ამ საბუთის გურამ ჯანდიერისა და ავტორთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული თარიღი 1662 წელი, რადგან ეს საბუთი შეიძლება გაცემულიყო როგორც 1662 წელს, ასევე 1672-1673 წლებში, როცა მანგლელად იხსენიება გაბრიელ ჯავახიშვილი. აქედან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ ავტორთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ ამ საბუთის ფრაგმენტის თარიღს – 1662 წელს. თუმცა აქვე აღნიშვნის ღირსია ის, რომ მართალია გურამ ჯანდიერი ამ საბუთის ფრაგმენტის თარიღად 1662 წელს მიიჩნევს, თუმცა ამის პარალელურად მიაჩნია, რომ გაბრიელ ჯავახიშვილზე არსებული დოკუმენტების მიხედვით (მხედველობაში აქვს 1672-1673 წლების ნასყიდობის საბუთები – თ.გ.), იგი მანგლელად 1672 წელზე ადრე არ იხსენიება, აქედან გამომდინარე ეჭვი ეპარება ამ თარიღის სისწორეში. მისი თქმით, ამ პერიოდში მანგლელად არსენ ბარათაშვილია და უთითებს 1669-1670 წლებს. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ გურამ ჯანდიერი ამ პერიოდისათვის ანუ XVII საუკუნის 60-იანი წლებისათვის მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავრად არსენ ბარათაშვილს მიიჩნევს.

1991 წლის მრავალთავის მე-16 ტომში დაიბეჭდა გურამ ჯანდიერის წერილი სახელწოდებით „ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის საგვარეულოს განშტოებათა შესახებ“, სადაც ავტორი ქართულ საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით განიხილავს ბარათაშვილთა სხვადასხვა განაყოფების – ქავთარიშვილების, ზურაბიშვილების, აბულფათიშვილების, გერმანოზიშვილების და მათ შორის ნამანგლელავიშვილების ჩამოყალიბების საკითხს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ უკანასკნელი განშტოების შესახებ იგი წერს: „ბარათაშვილების სამამულო დავის გარიგების აღნიშნულ წიგნში მოხსენიებულია აგრეთვე ნამანგლელავისშვილი: „ერთი კომლი თავისი მამულით ნამანგლელავისშვილს პატარა ხანს სჭეროდა ჭანდარში“. თვით გვარის მიხედვით ცხადია, რომ ისინი მანგლელყოფილის შთამომავლები არიან, მაგრამ ბარათაშვილთა რომელ განშტოებას ეკუთვნიან?

ნამანგლელავისშვილი გუგუნა და როსტომ საბუთებში გვხვდება 1690-იანი წლების ბოლოდან. ბარათაშვილთა გვარში XVII ს-ში ორი მანგლელი ეპისკოპოსია – არსენ ბარათაშვილი და ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი მანგლელად დოკუმენტებში გვხვდება 1699 წ-დან და მისი მოღვაწეობა გადადის XVIII ს-ში. რაც შეეხება

არსენ ბარათაშვილს, იგი მანგლელად დოკუმენტებში იხსენიება 1666-1670 წწ-ში. XVII ს-ის II ნახევრის საბუთებში არსენი, პატა, ვარაზა და ოთარი მოიხსენიებიან გერმანოზ ბარათაშვილის შვილებად. 1663 წ-ის დოკუმენტში ნათქვამია, რომ ოთარმა, პატამ, არსენმა და ვარაზამ განუახლეს სვეტიცხოველს ნასოფლარ საბროწლეს შეწირულობა. არსენი სასულიერო სახელია. ამ სახელით 1667-1670 წწ-ში გვხვდება მანგლელად არსენ ბარათაშვილი. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს მანგლელი არსენ ბარათაშვილი უნდა იყოს გერმანოზის შვილი, რომელიც 1663 წ-ის დოკუმენტში იხსენიება ძმებთან ერთად. ჩვენს ვარაუდს ადასტურებს დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს გერმანოზიშვილების სამამულო დავის გარიგების წიგნს. საბუთის მიხედვით, ვარაზა და მის ძმის პატას შვილები გაყრილან. გაყრის შემდეგ წარმოშობილა დავა მამულის გამო. ერთ-ერთი სადაო მამული გამხდარა ტბისს მანგლელის ზვარი. თუ მოწმე დაიფიცებდა, რომ სადაო ზვარი „საძმოს ფასით“ არის ნაყიდი, მაშინ 2 წილი პატას ძეს პაპუას დარჩებოდა, ხოლო 1 წილი – ვარაზას. ცხადია, რომ „საძმოს ფასით“ ნასყიდობის შემთხვევაში ვარაზას, როგორც მანგლელის ძმას, წილი ექნებოდა სადაო ზვარზე. მანგლელი კი ამ პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო არსენ ბარათაშვილი. ვფიქრობთ, რომ სწორედ გერმანოზიშვილთა შტოს წარმომადგენელ არსენ მანგლელის შთამომავლები არიან როსტომ და გუგუნა, რომლებიც 1690-იანი წწ-ის ბოლოდან იწოდებიან ნამანგლელავისშილებად“ (ჯანდიერი 1991: 175-176).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი საგანგებოდ დაინტერესდა ბარათაშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთი განშტოების ნამანგლელავიშვილთა წარმოშობის საკითხით. იგი სამართლიანად აკეთებს აქცენტს იმ ფაქტზე, რომ ამ გვარის წარმომადგენლები მანგლელყოფილის შთამომავლები არიან. ამის შემდგომ ის ყურადღებას ამახვილებს როსტომ და გუგუნა ნამანგლელვიშვილებად XVII საუკუნის 90-იანი წლებიდან მოხსენიების ფაქტზე. ყოველივე ამის ფონზე, მან XVII საუკუნის მანგლელებიდან ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის ორი წარმომადგენელი – არსენ ბარათაშვილი და ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი გამოჰყო. იქიდან გამომდინარე, რომ ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი მანგლელად 1699 წლიდან იხსენიება გამორიცხა მისი ამ გვარის ფუძემდებლობა. ამის შემდეგ ყურადღება გაამახვილა 1663 წლის ოთარ, პაატა, არსენ და

ვარაზა გერმანოზიშვილების მიერ სვეტიცხოვლისათვის ნასოფლარ საბროწლეს შეწირულობის განახლების საბუთზე. მას ამ საბუთში მოხსენიებული გერმანოზ ბარათაშვილის რიგით მესამე ვაჟის სახელი არსენი, მის სასულიერო სახელად მიაჩნია და ფიქრობს, რომ სწორედ ეს უნდა იყოს 1667-1670 წლებში მოხსენიებული მანგლელი არსენ ბარათაშვილი. მას აღნიშნული მოსაზრების განსამტკიცებლად მოჰყავს არსენის ძმის, ვარაზასა და მის მეორე ძმის, პაატას შვილების დავის გარიგების წიგნი, სადაც დავის ერთ-ერთი საგანი ტბისში მდებარე მანგლელის ზვარი გამხდარა, რომელიც ძმების ხარჯით იყო შეძენილი. თუ, მოწმე დაიფიცებდა, აქედან ორი წილი პაატას შვილს – პაპუას, ხოლო ერთი ნაწილი კი ვარაზას დარჩებოდა. ისტორიკოსი ფიქრობს, რომ რაღამც საბუთში ნახსენებია, რომ აღნიშნული მანგლელის ზვარი „საძმოს ფასით“ იყო შეძენილი, ვარაზას, როგორც არსენ მანგლელის ძმას წილი შეხვდებოდა. აქედან გამომდინარე შეჯამების სახით ვიტყვით, რომ მან ნამანგლევიშვილთა საგვარეულო გერმანოზიშვილთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთ განშტოებად მიიჩნია და ამ გვარის ფუძემდებლად კი 1667-1670 წლებში მოხსენიებული არსენ მანგლელი.

ამავე 1991 წელს გამოცემულ პირთა ანოტირებული ლექსიკონის I ტომში ბარათაშვილთა გვარი და მისი განშტოებები შესრულებულ იქნა გურამ ჯანდიერის მიერ. აქ ბარათაშვილთა გვარის წარმომადგენლები ანბანური რიგით არიან ჩამოთვლილნი. თუ წინა ნაშრომებში ავტორი არსენ ბარათაშვილთან დაკავშირებით მხოლოდ ორ 1669-1670 წლის საბუთებს უთითებდა, აქ მას არსენ მანგლელთან მიმართებაში დამატებული აქვს კიდევ ერთი დავის სიგელი, წარმოებული ფარსადანსა და თაყაშვილებს შორის, რომლის ქრონოლოგიასაც 1661-1688 წლებით განსაზღვრავს. ამ საბუთიდან გამომდინარე, მის მანგლელობას ([1661], 1669-1670, [1688] წწ.) განსაზღვრავს (კლდიაშვილი 1991: 395).

ჩვენ დავინტერესდით აღნიშნული 1661-1688 წლების დავის გარიგების წიგნით, გავეცანით მას. იგი პირს წარმოადგენს და ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია, კერძოდ, საბუთს დასაწყისი ნაწილი აკლია. წარმოვადგენთ საბუთის ტექტის ჩვენთვის საინტერესო ნაწილს:

„...{ტფი}ლელი პავლე და მანგ{ლ}ელი არსენ გაეგზავნათ იმათ ზოგი რამე მართებულად გაერი{გებინათ}, ზოგი უგზოდ ვერად{ა}<დ>ე-ვ{რ}, ლაპარაკ{ი} შე{ე}ქნათ,

მერმე ჩვენ ახალს მანგლელ სა{ა}კაძეს იოსებს წიგნი მივსწერე, საქმე იმათზე შეაგდევით, იმას გაეშინჯა და მოკითხული ექნა, ზოგიერთი ტფილელის გარიგებული არ მოეშალა...“ (სეა, 11/8).

როგორც საბუთიდან ჩანს, დავის გასარიგებლად თბილელი პავლე და არსენ მანგლელი გაუგზავნიათ, მათ ზოგი საქმე გაურიგებიათ, ხოლო ზოგი კი ვერ მოუგვარებიათ, ამის გამო გაგზავნეს აღნიშნული დავის გარიგების მიზნით ახალი მანგლელი იოსებ სააკაძე, რომელსაც ამ დავის საქმე მოუკითხავს. როგორც ზემოთ დავინახეთ, XVII საუკუნის მანგლელთა ქრონოლოგიურ რიგში არსად არ შეგხვედრია იოსებ სააკაძის სახელი, მითუმეტეს არსენ ბარათაშვილის შემდეგ. ჩვენი აზრით, აქ საუბარია არა არსენ ბარათაშვილზე, არამედ არსენ დოლენჯიშვილზე, რომელი XVIII საუკუნის დასაწყისში განაგებდა მანგლისის სამწყსოს. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა 1721 წლის შეწირულების წიგნი და გუჯარი, მიცემული იოსებ მანგლელ სააკაძის მიერ მანგლისის ღმრთისმშობლის ტაძრისადმი, სადაც მანგლელი დაწვრილებით აღწერს აბაშიშვილებთან მანგლისის მამულებზე ატეხილ დავის ამბებს, ხოლო ბოლოს აღნიშნავს, რომ ამ დავის შემდეგ მან დათმო მანგლელობა და ეს საპატიო სახელო „...მეფემაცა და დედოფალმაც დოლენჯისშვილს არსენს უბოძა, უწინაც იმას ეჭირა, მე, რომ მომცეს და ისევ იმას მიუთვალე პ(ა)ტიოსანი ტაძარი დ(ამბადე)ბლისა ღ(მრთ)ისმშობელისა...“ (სეა, 1449-1916).

ამ საბუთში მკაფიოდ არის ხაზგასმული ის, რომ სანამ იოსებ სააკაძე მანგლელი გახდებოდა, ამ სასულიერო წოდებას ატარებდა არსენ დოლენჯიშვილი, რომლისთვისაც სამეფო კარს იოსებ სააკაძის შემდეგ კვლავ დაუბრუნებიათ აღნიშნული წოდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ გურამ ჯანდიერის მიერ შემოთავაზებულ ფარსადანსა და თაყაშვილების დავის გარიგები საბუთის თარიღს – 1661-1688 წლებს, უფრო მეტიც, ჩვენ ამ საბუთს ქრონოლოგიას 1661-1688 წლებით ნაცვლად, XVIII საუკუნის დასაწყისით განვსაზღვრავთ. ასევე მკაფიოდ არის განსაზღვრული იოსებ მანგლელობის წლები და იგი 1717-1721 წლებით თარიღდება (შაორშაძე 2008: 186-188).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენთვის საინტერესო საბუთი გაიცა მაშინ, როცა იოსებ მანგლელი ახალი კურთხეული იყო მანგლელად, არ შევცდებით თუ ამ

საბუთის ქრონოლოგიას კიდევ უფრო დავავიწროვებთ და 1661-1688 წლების ნაცვლად, 1717-1718 წლებით განვსაზღვრავთ.

გურამ ჯანდიერის შემდეგ არსენ მანგლელის გვარიშვილობის საკითხს შეეხო გულიკო მჭედლიძე თავის 2001 წლის ნაშრომში „გერმანოზიშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან“, სადაც მეცნიერი აცხადებს:

„XVII ს-ის II ნახევარსა და XVIII ს-ში გერმანოზიანთ სათავადო სახლის წევრებს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეჭირათ სამეფო კარზე. ასე მაგალითად: ოთარ გერმანოზიშვილი ბოქაულთუხუცესი იყო (ცსსა ფ. 1450 14-8), მისი ძმა პაატა მეჯინიბეთუხუცესი (ხ.ი.SD -794, HD-14664), ასევე მეჯინიბეთუხუცესის სახელოს ატარებდა პაატას შემდგომ მისი ძმა ვარაზა, მათი ძმა არსენ-ბერი მანგლელი ეპისკოპოსი იყო (ხ.ი. AD-624, ცსსა 1449-1825)“. (მჭედლიძე 2001: 404).

გულიკო მჭედლიძესაც გურამ ჯანდიერის მსგავსად ფიქრობს, რომ არსენ მანგლელი გერმანოზიშვილთა ფეოდალური ოჯახიდან იყო. აქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ, რაც მდგომარეობს შემდეგში, ავტორს არსენ მანგლელის დასამოწმებლად მოჰყავს 1669-1670 წლების საბუთები, სადაც ნახსენებია არსენ მანგლელი.

აღნიშნული მკვლევარი თავის 2009 წლის მონოგრაფიულ ტიპის ნაშრომში „გუდარეხის მონასტერი“ იგივე შეხედულებას გამოთქვამს არსენ მანგლელის გვარიშვილობასთან დაკავშირებით. ავტორი ნაშრომში ოთხ ადგილას ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

პირველად ჩამოთვლის რა გერმანოზ ბარათაშვილის შვილთა თანამდებობებს, ამბობს: „ოთარ გერმანოზისშვილი ბოქაულთუხუცესი იყო, მეჯინიბეთუხუცესის სახელოს ფლობდა მისი ძმა პაატა, პაატას შემდეგ ეს თანამდებობა მის ძმას ვარაზას რგებია. ამათი ძმა არსენი – მანგლელი ეპისკოპოსი იყო“ (მჭედლიძე 2009: 68).

მეორედ, როცა საუბრობს იმის შესახებ, რომ გერმანოზიშვილთა ფეოდალური სახლის ფუძემდებელი 1627-1643 წლებში მოხსენიებული გერმანოზ ბარათაშვილი იყო, შემდეგ ასახალებს მის ვაჟებს თავიანთი სამოხელეო თანამდებობებით: „ოთარი (ბოქაულთუხუცესი), პაატა (მეჯინიბეთუხუცესი), არსენი, იგივე ბერი (მანგლელი მთავარეპისკოპოსი), ვარაზა (მეჯინიბეთუხუცესი) და როსები“ (მჭედლიძე 2009: 70).

მესამედ, განიხილავს რა საისტორიო საბუთებისა და ეპიგრაფიკული მასალის

ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაწვრილებით გერმანოზ ბარათაშვილის შვილების ბიოგრაფიას ასაკობრივი თანმიმდევრობით, დასძენს: „ასევე შემორჩენილია ცნობები გერმანოზ ბართაშვილის მესამე ვაჟის, XVII ს. 70-იანი წლების მოღვაწე არსენ მანგლელის შესახებ, მისი საერო სახელი იყო ბერი. ამიტომ დოკუმენტებში ჯერ ბერის, ხოლო შემდეგ არსენის სახელით გხვდება. მის შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტები მცირერიცხოვანია: მაგალითად, 1670 წ. მან აბანოურში მამული უწყალობა ამიძაშვილებს. მისი მანგლელობის დროს 1669 წ. შაჰნავაზმა ყმა-მამული უწყალობა მანგლისის ეკლესიას. XVII ს. 70-იან წლებში კი თავის სამწყსოში არიგებს სამამულე დავას ფარსადანსა და თაყაშვილების მიწაზე და წისქვილზე“ (მჭედლიძე 2009: 74).

სულ ბოლოს, ნაშრომის დასასრულს ავტორს მოცემული აქვს გერმანოზიშვილთა ფეოდალური სახლის გენალოგიური ტაბულა, სადაც გერმანოზ ბარათაშვილის მესამე შვილად დასახელებულია ბერი (არსენი) (მჭედლიძე 2009: 107).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი იზიარებს გურამ ჯანდიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას არსენ მანგლელის გერმანოზიშვილთა ფეოდალური სახლიდან წარმომავლობის შესახებ, უფრო მეტიც იგი მიიჩნევს, რომ არსენ მანგლელის საერისკაცო სახელი ბერი იყო.

თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება, ამისათვის საჭიროა გადავხედოთ გერმანოზ ბარათაშვილისა და მისი ფეოდალური სახლის წევრებისადმი გაცემულ დიპლომატიკურ საბუთებს. გერმანოზიშვილთა ფეოდალური სახლის დამფუძნებელი – გერმანოზი ქართულ საისტორიო საბუთებში 1627-1643 წლებში მოიხსენიება (კლდიაშვილი .... 1991: 402). ამასთან ერთად აღნიშნულ დოკუმენტებში მოიხენიება მისი ვაჟები, რომელთა თანმიმდევრობასაც ასაკობრივი პრინციპით შემოგთავაზებთ: ოთარი, პაატა, ვარაზა (1638-1643 წწ.), ბერი (1642-1643 წწ.). მამის გერმანოზის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ფეოდალური სახლის უფროსობას იკავებს მისი უფროსი ვაჟი ოთარი, რომელიც ისტორიულ საბუთების მიხედვით, 1638-1679 წწ. ქართლის სამეფო კარზე ბოქაულთუხუცესის სახელოს ფლობდა (კლდიაშვილი .... 1991: 430-431). მის გვერდით მოხსენიებული არიან მისი ძმებიც: პაატა, ვარაზა და ბერიც იგივე თანმიმდევრობით. მისი უმცროსი ძმა ბერი უკანასკნელად 1653-1658 წლებით

დათარიღებულ საბუთშია მოხსენიებული, ამის შემდეგ ქრება დიპლომატიკური ძეგლებიდან. მის ადგილას ჩნდება 1663 წელს ოთარისა და მისი ძმების მიერ სვეტიცხოვლისადმი სოფელ საბროწლეს შეწირულობის წიგნში მათი კიდევ ერთი ძმის, არსენის სახელი, რომელიც 1663 წლის შემდეგ ქრება ქართული დიპლომატიკური ძეგლებიდან. სწორედ აღნიშნული სახელი არსენი მიაჩნია გულიკო მჭედლიძეს გერმანოზ ბარათაშვილის როგით მეოთხე ვაჟის ბერის სასულიერო სახელად და შესაბამისად მას არსენ მანგლელთან აიგივებს. მისი შეხედულებით, არსენ მანგლელი XVII საუკუნის 70-იან წლებში მოღვაწე სასულიერო პირი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას მისსავე ნაშრომში მოტანილი აქვს 1669 წლის საბუთი, სადაც მანგლელად არსენ ბარათაშვილია დასახელებული. ჩვენ დიდ გაკვირვებას ის ფაქტიც, რომ ამა თუ იმ ფეოდალური ოჯახის წევრები, რომლებიც სასულიერო ცხოვრებას ეწეოდნენ, როგორც წესი, ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში ან საერთოდ არ იხსენიება ან თუ იხსენიება, აუცილებლად აღნიშნულია მათი სასულიერო ხარისხი. ამ წესს სრულიად ეწინააღმდეგება გერმანოზ ბარათაშვილის ვაჟების: ბერისა და არსენის მოხსენიების ფაქტი. ისინი არსად არ იხსნიებიან, როგორც სასულიერო პირები.

აქედან გამომდინარე, გვიჩნდება კითხვა, თუ რამდენად შეესაბამება რეალობას ქართველ ისტორიკოსთა მიერ გამოთქმული მოსაზრება გერმანოზ ბარათაშვილის რიგით მეოთხე ვაჟის ბერის არსენის სახელით შემონაზვნებისა და მისი სახელის 1667-1670 წლებში მოხსენიებულ არსენ მანგლელთან გაიგივების შესახებ?

სანამ უშუალოდ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს ვუპასუხებდეთ, გვინდა კიდევ ერთხელ ავღნიშნოთ, რომ გურამ ჯანდიერი არსენ მანგლელს გერმანოზიშვილთა ფეოდალურ სახლს მიაკუთვნებს, გარდა იმისა, მას იგი ნამანგლელავიშვილთა ფეოდალური სახლის ფუძემდებლადაც მიაჩნია, რომლის შთამომავლებიც, მისივე თქმით, XVII საუკუნის 90-იანი წლებიდან მოხსენიებული როსტომ და გუგუნა ბარათაშვილები იყვნენ.

თუ, თვალს გავადევნებთ XVII საუკუნის 80-90-იან წლების საბუთებს, სადაც იხსენიებიან როსტომ და გუგუნა ბარათაშვილები, ნათლად დავინახავთ, რომ მათ მამას სახელად ქაიხოსრო ერქვა (კლდიაშვილი .... 1991: 448-449). აღნიშნულ საბუთებში მათი

მამა, ქაიხოსრო ქაიხოსროშვილად არის მოხსენიებული, რაც გვაძლევ იმის თქმის საფუძველს, რომ იგი მისი მამის მოსახელე იყო და მის მამასაც ქაიხოსრო ერქვა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქაიხოსრო XVII საუკუნის 70-90 წლებში იხსენიება საისტორიო დოკუმენტებში, არ შევცდებით, თუ მის მამას, ქაიხოსრო ბარათაშვილს – XVII საუკუნის I ნახევრის მოღვაწედ მივიჩნევთ. XVII საუკუნის I ნახევარში ქართულ ნარატიულ წყაროებსა და ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში გხვდება ორი ქაიხოსრო ბარათაშვილი: I. ქართლის სამეფოს სახლთუხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი; II. ქართლის დედოფლის სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის ვაჟი, ქაიხოსრო. ქაიხოსროს მამად თავიდანვე უნდა გამოირიცხოს სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი ქაიხოსრო, რადგან იგი XVII საუკუნის 80-90 წლების საბუთებში და 1701 წლის სოფელ ორთაშუა იოანე მახარებლის სამშენებლო წარწერაში აბაშიშვილ-ავთანდილიშვილად არის დასახელებული და რაც მთავარია მის შვილებს შორის ვერ ვხვდებით ქაიხოსროს სახელს. გვრჩება ქართლის სამეფოს სახლთუხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილი. მას მართლაც ჰყავდა მისი მოსახელე ვაჟი, სახელად ქაიხოსრო. ამიტომ ლოგიკურია, თუ ვიფიქრებთ, რომ XVII საუკუნის 70-80-იან წლებში მოღვაწე ქაიხოსრო ბარათაშვილის მამა და შესაბამისად, როსტომ და გუგუნას პაპა, XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი ქაიხოსრო აბაშიშვილი იყო, რომელიც აქტიურ როლს თამაშობდა მაშინდელი ქართლი სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ მის აქტიური მოღვაწეობაზე უნდა მეტყველებდეს ქაიხოსრო ბარათშვილისადმი გაცემულ დოკუმენტებში საგანგებოდ ხაზგასმა იმ ფაქტისა, რომ იგი ქაიხოსროს შვილია.

ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად მოვიხმობთ 1664 წლის 3 აგვისტოთი დათარიღებული საბუთის ფრაგმენტს, რომელმაც ჩვენამდე თედო ჟორდანიას ქრონიკების სახით მოაღწია. სრული სახით ვიძლევით აღნიშნული საბუთის ფრაგმენტის ტექტს: „ქ˜კს: ტნბ: ბარათასშჯლი სახლ-ხუცისშვილი ქაიხოსრო კზ˜ს დომენტის სწერს: „ეშმანმან მაცთუნა და მღდელ მონაზონობისაგან (არსენ წოდებული) ერისკაცად შევიქენ.. გაგჯწყერით იმ ჭელად ანტიოქიის პატრიარქი (მაკარი) მობძანდა და მისის შუამავლობით... შეგჯრიგეთ და შენდობა გჯბოძეთ.. საკანონოდ მოგაჭსენეთ.. მამული ორი კუამლი (ჩამოთვლილია ქკს: ტნბ: აგვისტოს: გ (ნუსხა) №:რჟთ: და №49)“ (ჟორდანია 1897: 482).

როგორც აღნიშნული საბუთის ფრაგმენტიდან ვიგებთ, სახლთუხუცესის შვილი ქაიხოსრო მღვდელ-მონაზონობიდან არსენად წოდებული კვლავ ერისკაცობაში დაბრუნებულა. მას ამგვარი საქციელის გამო ქართლის კათალიკოსი დოკუმენტი III (1660-1676 წწ.) (ლომინაძე 1951: 71) გასწყრომია. იმ დროსაც, როცა ქართლში ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (1647-1672 წწ.) ბრძანებულა, რომლის შუამავლობით ქართლის კათალიკოსი შერიგებია ქაიხოსროს და მისთვის შენდობა უბოძებია, რომლის სანაცვლოდაც იგი ქართლის კათალიკოსს უბოძებს რაღაც მამულს და ორ კომლ (ალბათ გლეხს? – თ.გ.). სამწუხაროდ, ამ ფრაგენტიდან არ ჩანს თუ კონკრეტულად რომელ მამულს სწირავს ქაიხოსრო ქართლის კათალიკოსს.

როგორც ცნობილია, საქართველოში ანტიოქიიოს პატრიარქმა ორჯერ იმოგზაურა, პირველად – 1664-1666 წლებში, მეორედ კი – 1669 წელს (ასათიანი 1973: 20-25). აღნიშნული შენდობა ქართლის კათალიკოსის მიერ ქაიხოსროსათვის უნდა მომხდარიყო ამავე 1664 წელს. თუ გავითვალისწინებთ ამ საბუთის ფრაგმენტის თარიღს – ტნბ (1312+352=1664 წ.) აგვისტოს გ (3)-ს, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქაიხოსრომ შენდობა ანტიოქიის პატრიარქის მაკარის შუამავლობით მიიღო ქართლის კათალიკოსს დომენტი III-საგან 1664 წელს, უფრო ზუსტად 1664 წლის 3 აგვისტომდე. თუმცა გასარკვევია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – თუ რა პერიოდით უნდა განვსაზღვროთ სახლთუხუცესის შვილის, ქაიხოსროს მიერ მონაზონობაზე უარის თქმა და მისი ერისკაცობაში დაბრუნების ქრონოლოგია?

აქ ერთი მხრივ ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იგი მონაზონობიდან ერისკაცობაში დომენტი III-ის კათალიკოსობის დროს, რომელიც, როგორც ბერი ეგნატაშვილის და ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, 1660 წელს დაუნიშნია ქართლის მეფეს ვახტანგ V-ს (1658-1675 წწ.) ქართლის კათალიკოსად (ბერი ეგნატაშვილი 1959: 440; ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 448). თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ დომენტი III–ის კათალიკოსობის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს 1660 წელს, ხოლო მეორე მხრივ მხედველობაში მივიღებთ, დოკუმენტის ფრაგმენტის თარიღს – 1664 წლის 3 აგვისტოს, სავსებით ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ სახლთუხუცესის ვაჟს ქაიხოსროს მღვდელ-მონაზონობაზე უარი უნდა ეთქვა 1660-1664 წლებში.

ამრიგად, 1664 წლის 3 აგვისტოს ფრაგმენტის, ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი

ბატონიშვილის ცნობებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1660-1664 წლებში სახლთუხუცესის ვაჟს, ქაიხოსროს უარი უთქვამს სასულიერო ცხოვრებაზე და მღვდელ-მონაზონობიდან (არსენად წოდებული) კვლავ საერო ცხოვრებას დაბრუნებია. 1664 წელს, უფრო ზუსტად, 1664 წლის 3 აგვისტომდე ანტიოქიის პატრიარქის მაკარის ქართლში სტუმრად ყოფნის დროს, მისივე შუამდგომლობით ქართლის კათალიკოსს დომენტი III-ს შუნდვია ამგვარი საქციელი ქაიხოსროსათვის.

თუ გავითვალისწინებთ, ქაიხოსროს მიერ მონაზონობაზე უარის თქმის ქრონოლოგიას – 1660-1664 წლებს, საფიქრებელია, რომ იგი სასულიერო ცხოვრებას სავარაუდოდ XVII საუკუნის 40-50-იანი წლებში ეწეოდა.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, რაც ნათლად ჩანს, მაშინ გამოდის, რომ ამ ფრაგმენტში დასახელებულ სახლთუხუხცესში XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი – ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი უნდა ვიგულისხმოთ, რომლის მოსახელე ვაჟიც ქაიხოსრო მონაზვნად აღკვეცილა არსენის სახელით, ხოლო შემდეგ 1660-1664 წლებში უარი უთქვამს მონაზონობაზე და კვლავ ერისკაცობაში დაბრუნებულა, რასაც ქართლის კათალიკოსის დომენტის მხრიდან დიდი წყრომა გამოუწვევია. სახლთუხუცესის ქაიხოსროს ვაჟი, ქაიხოსრო ქართლის კათალიკოსს ანტიოქიის პატრიარქის მაკარის შუამავლობით 1664 წელს, უფრო კონკრეტულად, 1664 წლის 3 აგვისტომდე შერიგებია, რომლის სანაცვლოდაც მას დომენტი III-სათვის მამული უბოძებია.

ჩვენ მსჯელობაზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გერმანოზიშვილთა ოჯახიდან განსხვავებით, აღნიშნული პერიოდის ქართულ საისტორიო საბუთებში აბაშიშვილთა ფეოდალურ ოჯახში მართლაც მოიძებნა სასულიერო პირი, სახელად არსენი, რომელიც XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის სამეფო კარის სახლთუხუხცესის ქაიხოსრო აბაშიშვილის ვაჟი იყო. თუმცა აქვე ვამახვილებთ ჩვენს ყურადღებას ერთ წინააღმდეგობაზე, რომელიც მდგომარეობს შემდგომში: მართალია, იგი იყო მღვდელ-მონაზონობაში არსენის სახელით, თუმცა 1664 წლის 3 აგვისტოს დოკუმენტის ფრაგმენტის მიხედვით, მას უარი უთქვამს სასულიერო ცხოვრებაზე და კვლავ დაბრუნებია საერო ცხოვრებას.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ ქაიხოსრო სახლთუხუცესის ვაჟი ქაიხოსრო

(ყოფილი არსენი) სასულიერო ცხოვრებას ეწეოდა და 1660-1664 წლბში უარი თქვა მღვდელ-მონაზონობაზე და დაუბრუნდა საერო ცხოვრებას, საინტერესოა შემდგომი მისი ცხოვრება-მოღვაწეობის დეტალები?

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მოვიტანთ გურამ ჯანდიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც შემდგომში მდგომარეობას, რომ „სწორედ გერმანოზიშვილთა შტოს წარმომადგენელ არსენ მანგლელის შთამომავლები არიან როსტომ და გუგუნა, რომლებიც 1690-იანი წწ-ის ბოლოდან იწოდებიან ნამანგლელავისშილებად“ (ჯანდიერი 1991: 176).

ჩვენ გავეცანით XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის I ნახევრის საისტორიო საბუთებს როსტომ და გუგუნა ბარათაშვილების შესახებ, რომელთა გაცნობა არავითარ საშუალებას არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ გერმანოზიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლის – არსენ მანგლელის შვილები იყვნენ როსტომ და გუგუნა ბარათაშვილები, პირიქით, აქ პირდაპირ არის დასახელებულია მათის მამის, ქაიხოსროს სახელი. მას შემდეგ, რაც დავადგინეთ როსტომ და გუგუნა ბარათაშვილების მამის და პაპის ვინაობის საკითხი და ვთქვით, რომ მათ, როგორც მამას, ასევე სახელად პაპასაც ქაიხოსრო ერქვათ, რჩება კიდევ ერთი საკითხი გასარკვევი – იყო თუ არა ნამდვილად როსტომ და გუგუნა ბარათაშვილების მამა მანგლისის ეპარქიის მწყემსთავარი ანუ ფლობდა თუ არა მანგლელის სასულიერო ხარისხს?

დასმულ კითხვებზე ამომწურავ პასუხს სცემს 1713 წლის 25 თებერვლის ვახტანგ VI-ის (1703-1724 წწ.) ძმის, სვიმონ ბატონიშვილის შეწირულობის წიგნი, მიცემული წმინდა დავითის ეკლესიისათვის გიორგი მაკარიძის შეწირვის შესახებ, სადაც ნათქვამია: „….ჩვენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან, პანკრატოანმან მეფეთა ძემან, საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმა ბატონმა სვიმონ ეს შეწირულობის წიგნი მოგართვით ასე, რომე ნამანგლელ<ე>{ა}ვის, ბარათაშვილის ქაიხოსროს დედას, მონაზონს ელენეს ერთის თავის ნასყიდის ყმის, მაკარიძეს გიორგისათვის აზატულობის წიგნი მიეცა და ის კაცი თავისთვის იყო ავლაბარში, თავის ნაჭირნახულემს ერთს ბოსელში ედგა, მოვიდა და იმ კაცმაც შემოგვეხვეწა და ჩევნც ჩვენად სასულიეროდ და წმინდას დავითს შევსწირეთ, ასე, რომ არას კაცს იმასთან ჴელი არა ქონდეს-რა, არა მოურავს, არა მელიქსა, არა მამასახლის

არაფერი ჩვენი სათხოვარი გამოსაღები არა ეთხოვებოდეს, წელიწადში შვიდ ლიტრას ზეთს წონამძღვარს მიართ{მ}ვ-ე<მ>დნენ და ყოველს წელიწადს პეტრე-პავლობას დღეს, ვინც იქ მღდელ-მონაზონი დაეწრებოდეს ჟამს გვიწირევდნენ, ყოვლის კაცის უცილებლად მოგვირთმევი{ა}...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 1449-1976).

როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ვიგებთ, სვიმონ ბატონიშვილთან მისულა მანგლელ ყოფილის, ქაიხორო ბარათაშვილის დედის მონაზონ ელენეს ნაყიდი ყმა, გიორგი მაკარიძე, რომელიც ქაიხოსროს დედას მონაზონ ელენეს გაუაზატებია და თავისთვის თბილისში, კერძოდ, ავლაბარში ცხოვრობდა. იგი მისულა ქართლის სამეფო კარზე თხოვნით, მას სვიმონ ბატონიშვილმა დაუკმაყოფილა თხოვნა და წმიდა დავითის ეკლესიას შესწირა, რის სანაცვლოდაც ამ ეკლესიაში მოღვაწე მღვდელ-მონაზონს მისთვის პეტრე-პავლობის დღესასწაულზე ჟამის წირვა უნდა გადაეხადა. როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილი ადრე მანგლელის სამწყსოს მღვდელმთავარი იყო, რაც კიდევ ერთხელ დოკუმეტურად პასუხს სცემს ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს ქაიხორო ბარათაშვილის მანგლელობის ყოფნა-არყოფნის შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნულ სიგელში დასახელებული მისი დედის, მონაზონობის სახელი ელენე, რომელიც შესაბამისად, ქაიხოსრო ბარათაშვილის მამის, XVII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე ქართლის სამეფოს სახლთუხუცესის, ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი თანამეცხედრე იყო, რაც დღევანდელი მონაცემებით უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ 1667 წლი მანგლისის ტაძრის გალავანში ჩადგმულ წარწერაში მოხსენიებული არსენ მანგლელი XVII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე, სახლთუხუცეს ქაიხოსრო აბაშიშვილი ვაჟი ქაიხოსრო იყო. მან, როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც უარი თქვა მღვდელ-მონაზონობაზე, კვლავ დაუბრუნდა სასულიერო ცხოვრებას და მანგლისის ეპარქიის მწყემსთავარი გახდა. ერთი მხრივ ვითვალისწინებთ 1664 წლის 3 აგვისტოს საბუთის ფრაგმენტს, მეორე მხრივ ყურადღებას ვამახვილებთ 1667 წლის არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერაზე და მისი მანგლელობის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად – 1664-1667 წლებს მივიჩნევთ. მისი მანგლელობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვართან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია 1671 წლის ნასყიდობის

საბუთი, სადაც ვკითხულობთ: „... ესე ხანთა და ჟამთა გასათავებელი სამკუიდროდ და საბოლოდ საქონი უხერხოდა მიზეზ-შემოუღებელი და ყოვლის ჩხუბისაგან გამოკრებული, უთუთო და უთუმცო ნასყიდობის წიგნი, ფიცი და პირი მოგეცით ჩვენ, ბარათაშვილმა ქაიხოსრომ, ჩვენმა ძ<ა>მისწულმა, ქაიხოსრომ და გიორგიმ, თქვენ, ყორღანასშვილს როსტომს და შვილსა შენსა ქაიხოსროს და სხვასა მამავალსა სახლისა შენისა.

ასრე, რომე ხ<ა>შირობში სადუნასშვილის ნარიმას მიწა ორის დღისა დაგვეჭირა და მოგყიდეთ, ავიღეთ ფასი სრული, აღარ დარჩა-რა ჩვენი შენზე ქვეშეთ ხუცის მიწის ნაპირამდი და ზემოთ შვინს მიწამდი....“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 1/69).

ამ საბუთის მიხედვით, ქაიხოსრო ბარათაშვილს და მისი ძმისწულებს როსტომ ყორღანაშვილისა და მისი ძმებისადმი ხშირობში მდებარე ნარიმანა სადუნიშვილის ორი დღის მიწა მიუყიდიათ.

1671 წლის დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი მანგლელობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი და იგი 1670 წლის ნაცვლად, 1671 წლით გადავათარიღოთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მოვიტანთ თედო ჟორდანიას ქრონიკების II ტომში მოცემულ კიდევ ერთ საბუთის ფრაგმენტს, სადაც ნათქვამია: „ამავე დროებში ქკ˜ზს დომენტი ერთგულების წიგნს უწერს ჯავახიშვილი მანგლელი გაბრიელ: „თქუცნ მიერი (ეპისკოპოსად) კურთხევა მოვიღეთ ჩემზედა... ვიყუნეთ თქუცნნი ერთგულნი და.. მორჩილნი“ (მცხეთის ნუსხა №:რმა:“ (ჟორდანია 1897: 480).

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ აღნიშნულ საბუთის შედგენის თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მიღებული 1662 წელი არ შეესაბამება რეალობას, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დომენტი კათალიკოსის მიერ გაბრიელ ჯავახიშვილის მანგლელად კურთხევა მომხდარა ამავე 1671 წელს. აქედან გამომდინარე, მისი მანგლელობის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრამა 1672 წლის ნაცვლად, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, კიდევ ერთი წლით უნდა ჩამოიწიოს ქვევით და შესაბამისად, 1671 წლით უნდა განისაზღვროს.

ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსენის მანგლისის მწყემსთავრობას 1667-1670 (1667, 1669, 1670) წლების ნაცვლად, 1664-1667-1671 წლებით განვსაზღვრავთ, ხოლო

გაბრიელ ჯავახიშვილის მანგლელობის ქვედა ქრონოლოგირ ზღვრად კი 1672 წლის ნაცვლად, 1671 წელს მივიჩნევთ.

ამრიგად, 1667 წლის არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერის, 1664 წლის 3 აგვისტოს საბუთის ფრაგმენტის, 1671 წლის ნასყიდობის საბუთის, 1713 წლის სვიმონ ბატონიშვილის შეწირულობის სიგელისა და 1717-1718 წლების დავის წიგნის ურთიერთშეჯერების საფუძველზე გავარკვიეთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

1., ფარსადანსა და თაყაშვილებს შორის წარმოებული დავის სიგელის ქრონოლოგიას 1661-1688 წლების ნაცვლად, 1717-1718 წლებით განვსაზღვრავთ.

2. არსენ მანგლელი იყო არა გერმანოზიშვილთა, როგორც ეს იყო მყარად დამკვიდრებული დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში (გურამ ჯანდიერი, გულიკო მჭედლიძე), არამედ აბაშიშვილთა ფეოდალი სახლის წარმომადგენელი. სახელდობრ, იგი იყო XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის სამეფოს სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილის ვაჟი, სახელად ქაიხოსრო, რომელმაც 1660-1664 წლებში უარი თქვა სასულიერო ცხოვრებაზე და მღვდელ-მონაზონობიდან (არსენად წოდებული) კვლავ სასულიერო ცხოვრებას დაუბრუნდა, რის სანაცვლოდაც მან ქართლის კათალიკოსს უბოძა მამული.

3. იგი მიუხედავად იმისა, რომ დაუბრუნდა საერო ცხოვრებას, კვლავ დაუბრუნდა სასულიერო ცხოვრებას 1664 წლის შემდეგ, უფრო მეტიც, იგი მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავარი გახდა. მის მანგლელობის ქრონოლოგიას 1664-1667-1671 წლებით განვსაზღვრავთ.

4. მისი სასულიერო ცხოვრების დაწყებას ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით – XVII საუკუნის 40-50-იან წლებით ვათარიღებთ.

4. 1671 წელს იგი საბოლოოდ დაუბრუნდა საერო ცხოვრებას, ამავე 1671 წელს უკურთხებია ქართლის კათალიკოზს დომენტის გაბრიელ ჯავახიშვილი მანგლელად, როცა მისი მანგლელობის ქვედა ზღვრად აქამდე ქართულ სამეცნიერო წრეებში 1672 წელი იყო მიჩნეული.

5. ქაიხოსრო ბარათაშვილ-ქაიხოსროშვილი, არსენ მანგლელ ყოფილი ასევე დამფუძნებელი იყო ნამანგლელავიშვილთა ფეოდალური სახლისა, რომლის

წარმომადგენლები (მხედველობაში გვაქვს როსტომ და გუგუნა ნამანგლელავიშვილები – თ.გ.) XVII საუკუნის 80-იანი წლებსა და XVIII საუკუნის I ნახევარში აქტიურ როლს ასრულებდნენ ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

6. ქაიხოსრო ქაიხოსროშვილის დედა შემონაზვნებული ყოფილა ელენეს სახელით, რომელიც თავის მხრივ XVII საუკუნის I ნახევრის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის – სახლთუხუცეს ქაიხოსრო აბაშიშვილის მეუღლე გახლდათ, რაც ასევე უცნობი იყო დღემდე ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში.

თავი III. აბაშიშვილთა ფეოდალური სახლი XVIII საუკუნეში

§ 1. აბაშ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური სახლის ისტორიიდან

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება XVII საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური მოღვაწის აბაშ ბარათაშვილის ფეოდალური სახლის ისტორიას. აღნიშნული პიროვნების ფეოდალური ოჯახის შესახებ ქართულ ნარატიულ წყაროებში (სეხნია ჩხეიძის 1670-1745 წწ. თხზულება „ცხოვრება მეფეთა“ 1653-1739 წწ.) მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამ ხარვეზს ავსებს აბაშ აბაშიშვილის შესახებ ქართული დიპლომატიკურ ძეგლებში დაცული ინფორმაცია, რომელთა დაწვრილებით განხილვა და მისი ეპიგრაფიკულ მასალასთან შეჯერება, გვაძლევს შესაძლებლობას აღვადგინოთ ამ პიროვნებისა და მისი ფეოდალური სახლის ცხოვრება-მოღვაწეობა. აქვე დავძენთ, რომ აბაშ ბარათაშვილთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არანაირი გამოკვლევა არ მოგვეპოვება.

სულ აბაშ აბაშიშვილის ფეოდალური სახლის შესახებ ჩვენამდე 20 დიპლომატიკურმა ძეგლმა მოაღწია: 1. დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1627 წ.) (ქართულ-სპარსული დოკუმენტი); 2. დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის განახლების საბუთი, ბოძებული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1628 წ.); 3. დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის განახლების სიგელი, მიცემული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1628 წ.); 4. დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი, მიცემული სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილისადმი (1630 წ.); 5. წიგნი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილსა და მგელა ვალალაშვილს შორის უძრავი ქონების გაცვლის შესახებ (1637 წ.); 6. ნასყიდობის წიგნი, მიცემული აბაშ ბარათაშვილის მიერ გიორგი იოთამიშვილისათვის (1651. VIII.) 7. მიწის ნასყიდობის სიგელი, მიცემული შერმაზან მერაბისშვილის მიერ ერასტი იოთამიშვილისათვის (1657 წ.); 8. როსტომ მეფის განჩინების წიგნი, აბაშ ბარათაშვილისა და ზურაბ ელიოზისძის მამულის საქმეზე (1657 წ.); 9. დავის განჩინება, ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილსა და იოთამიშვილებს შორის აკაურთულ მიწებზე (1662 წ.); 10.

დავის განჩინების სიგელი, ბარათაშვილ-აბაშიშვილებსა და იოთამიშვილებს შორის აკაურთულ მიწებზე (1662 წ.); 11. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დავით და აბაშ აბაშისშვილების მიერ სეხნია არეშიშვილისათვის (1683 წ.); 12. პაპუნა ორბელიშვილის შეწირულების წიგნი, მიცემული დმანისის ღმრთისმშობლისადმი, მისი საფლავისათვის მჭედელი ყარახანას ცოლ-შვილით ბოძების შესახებ (1683. VIII. 22.); 13. პაპუნა ორბელიშვილის პირობის წიგნი, მიცემული თავის ძმებისათვის (1684 წ.); 14. პაპუნა ორბელიშვილის შეწირულების წიგნი, მიცემული დმანისის ღმრთისმშობლისადმი, მისი საფლავისათვის სარკინეთს მცხოვრები ერთი კომლი გიორგი და მახარა პაატაშვილების მათი მამულითურთ ბოძების შესახებ (1689. IV. 11.); 15. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შერმაზან ხურდაყულაშვილის მიერ პაპუნა ორბელიშვილისათვის (1699 წ.); 16. განჩინების წიგნი, საჩინოს სახლისკაცების, თაყასშვილების, გიორგისშვილების, მის განაყოფ ფარსადანის, უსუბეგისშვილებსა და ტერტერასშვილების სადავო მამულის საქმეზე (1708. X. 22.); 17. შეწირულების წიგნი სიონის ღმრთიმშობელისადმი, მიცემული გიორგი XI-ის (1677-1688 წწ.) ვაჟის, სულეიმანისა და მისი თანამეცხედრის თამარის მიერ სიონის ღმრთისმშობელისადმი, უკანდაღეთს მცხოვრებ ერთი კომლი შავშავიშვილის ბოძების შესახებ (1714. III. 15.); 18. ისაყ-ფაშას წყალობის განახლების წიგნი, მიცემული როსტომ და გუგუნა ნამანგლელავიშვილებისადმი (1725. VIII. 4); 19. ისაყ-ფაშას ბრძანება, გაცემული ნოდარ აბაშიშვილისადმი როსტომ და გუგუნა ნამანგლელავიშვილებისათვის საღირაშენის მამულისა და იქ მცხოვრები გლეხის დანებების შესახებ (1725-1727 წწ.); 20. იესე მეფის (1714-1716-1727 წწ.) განჩინება დავით სუფრაჯის ვაჟის, ნოდარისა და ვათიაშვილის წისქვილის თაობაზე (1725-1727 წწ.).

პირველად აბაშ ბარათაშვილი 1627 წლის ქართლის დედოფალ ჯაჰანბანუს მიერ მისი ბიძის, სუფრაჯ ავთანდილისადმი მიცემულ წყალობის წიგნში იხსენიება. ქართლის დედოფალი ერთგულ ფეოდალს წყალობის სახით ნასოფლარ დიდ ურცევანს აძლევს. 1627 წლის საბუთში ნათქვამია: „[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა. ჯ{ა}ჰ{ა}ნბანუ{მ} ესე წყალობის წიგნი და ნიშანი [შეგიწყალეთ და გიბოძეთ] ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით [ნამსახურსა ყმასა], ბარათაშვ{ი}ლს ავთანდილს და შენს ძმასა მერაბსა და თქვენს ძმისწულსა აბაშსა და შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე

...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/30).

ეს წყალობის წიგნი დაწვრილებით გვაქვს განხილული სუფრაჯ ავთანდილისადმი მიძღვნილ სტატიაში, სადაც აბაში ავთანდილის ძმის, მერაბის შვილად მივიჩნიეთ. საბუთში კი გარკვევით წერია, რომ ეს წყალობა მიუღია სუფრაჯ ავთანდილს, მის ძმას მერაბს და მათ ძმისწულს აბაშს. როგორც ჩანს, სუფრაჯ ავთანდილს მერაბის გარდა ჰყავდა კიდევ ერთი ძმა, რომელიც 1627 წლისათვის გარდაცვლილია და, შესაბამისად, მის ადგილს წყალობის სიგელში მისი ვაჟი, აბაში იკავებს.

მომდევნო, 1628 წელს ქართლი დედოფალი სუფრაჯ ავთანდილს, მის ძმასა მერაბსა და მის ძმისწულ აბაშს კიკეთის წყალობას უახლებს (სეა, 15/10).

1628 წელსვე ჯაჰანბანუ დედოფალი სუფრაჯ ავთანდილს გოლთეთის და დუეზის მამულების განახლების წიგნს აძლევს, სადაც ვკითხულობთ: „...ჩვენ, დედოფალმა, პატრონმა ჯაჰ{ა}ნ<ა>ბანუ{მ} ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა თავდადებით ნამსახურს ყმასა, აბაშის შვილიშვილს – ავთანდილ<ა>ს და ძმას შენსა – მერაბსა და ძმისწულსა შენსა – აბაშსა და შვილთ და მომავალთა და სახლსა თქვენისათა ყოველთავე ...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/51).

როგორც ვხედავთ, საბუთში საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ ავთანდილ და მერაბ აბაშიშვილების პაპას, შესაბამისად აბაშის დიდ პაპას სახელად აბაში რქმევია.

1630 წელს ჯაჰანბანუ დედოფალი სუფრაჯ ავთანდილს, მის ძმა მერაბს, მის შვილს ბადურასა და ძმისწულს აბაშს უახლებს მათი მკვიდრი მანგლისის წყალობას. საბუთში აღნიშნულია, რომ მანგლისი „თქვენივ მამა-პაპათა სამკვიდრო და სასაფლავო ყოფილ იყო“-ო (სეა, 15/29).

სულ ბოლოს, აბაშ ბარათაშვილი იხსენიება თავის ბიძებთან – სუფრაჯ ავთანდილ და მერაბთან ერთად 1637 წლის მამულის გაცვლის წიგნში (სეა, 1448-2936).

ამ საბუთიდან ჩანს, რომ სუფრაჯმა ავთანდილმა, მისმა შვილმა ლევანმა, ძმამ მერაბმა და ძმისწულმა აბაშმა მგელია ვალალაშვილს გამოართვეს ახოთას მიწები, რის სანაცვლოდაც მას ჭიჭრიანის სათიბი და ახოთას ერთი ნაოხარი ცხვრის საფარეხედ მისცეს. ამ გაცვლის საბუთში სუფრაჯი ავთანდილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ახოთას

მიწებზე და დასძენს, რომ ეს მიწები ადრე მგელია ვალალაშვილისათვის ვიღაც ელიოზს მიუცია.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა 1657 წლის როსტომ მეფის განჩინების წიგნი, აბაშ ბარათაშვილისა და ზურაბ ელიოზისძის მამულის საქმეზე, სადაც ვითხულობთ: „...ბატონიშუილთა პატრონმან ვახტანგ, {მ}დივანბეგმან პატრონმა როინ და მდივანმან ბირთუე[ლ], ჴელმწიფის მეფის, პატრონის როსტომის ბძანებით, აბაშისა და სუეტისცხოვლის აზნაურისშუილის ელიოზისშუილთ ზურაბისა და მათ ძმათ საქმე გაუსინჯეთ, ამას წინათ დიდს ბატონს ლუარსაბს თავა[დ] სუეტისცხოვლისათვის შე{ე}წირა ახოტი და მისი გარეშემოს ნასოფლარები და მერმე კიდევ ელიოზისშუილთათვის საჯილდაოდ ებოძებინა მოკითხული უყავით და ბარათაშვილი აბაში ნასოფლარებს რომე ეცილებოდა, უსამართლოდ ეკიდებოდა და ახოტასა ნასოფლარი დოლანი, მეძლეთი, გოგასგუერდი, სახუევანი, შეხუეტილა და ღანიბანი – ესე{ე}ბი ყველა ახოტისა იყო და ტყუ{ი}ლად ეცილებოდა. ასრე ამათ დავანებეთ, რომე არას ბარათაშუილს ამ ალაგებთან ჴელი არა ჰქონდეს სუეტ{ი}სცხოველსა და ელიოზისძეს ზურაბსა და მის ძმათ დარჩა...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (ხეც, QD-2153).

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აბაშ ბარათაშვილსა და სვეტიცხოვლის აზნაურიშვილს, ზურაბ ელიოზისძის შორის არსებული დავა ახოტას მიწებზე როსტომ მეფის ბრძანებით ვახტანგ ბატონიშვილს, მდივნებს როინსა და ბირთველს გაურიგებია. მათ, როგორც ჩანს, მოუკითხავთ ძველი საბუთები და მათზე დაყრდნობით გამოუტანია განაჩენი. როგორც ირკვევა, ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს (1527-1556 წწ.) ახოტა და მისი გარშემო სოფლები სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს, შემდეგ კი ელიოზიშვილებისათვის საჯილდაოდ მიუცია. აბაშ ბარათაშვილი უსამართლოდ შედავებია ზურაბ ელიოზისძეს აღნიშნულ მიწებზე. აქედან გამომდინარე, მათი გადაწყვეტილებით ახოთა და მისი ნასოფლარები: დოლანი, მეძლეთი, გოგასგუერდი, სახუევანი, შეხუეტილა და ღანიბანი ზურაბ ელიოზისძესა და მისი ძმებს დარჩათ.

1657 წლის დავის განჩინების წიგნი უჩვენებს, რომ 1637 წლის გაცვლის წიგნში დასახელებული ელიოზი იგივე სვეტიცხოვლის აზნაურიშვილი ელიოზ ელიოზისძეა. ამას ემატება ისიც, რომ აღნიშნული პიროვნება ცოცხალია 1544-1573 წლებში (კლდიაშვილი

1993: 128-129).

როგორც 1627 წლის წყალობის წიგნის განხილვისას აღვნიშნეთ, სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილს, მერაბის გარდა, უნდა ჰყოლოდა კიდევ ერთი ძმა, რომელიც ამავდროულად აბაშის მამაც იყო. სამწუხაროდ მისი სახელი აღნიშნულ საბუთში არ არის დასახელებული, თუმცა ამ ხარვეზს ავსებს 1651 წლის ნასყიდობის სიგელი, მიცემული აბაშ ბარათაშვილის მიერ გიორგი იოთამიშვილისათვის. ამ ნასყიდობის საბუთში ნათქვამია: „...ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, დავითის შვილმა აბაშამა თქვენ, იოთამასშვილსა გიორგის, ბეჟანს, იოსებს, გივს და და ერასტას. ასრე და ამა პირსა ზედა, რომე დაგუვეჭირა და მოგყიდეთ რუს ქვეშეთ დიური მიწა სამს კარგის დღიურის, ავიღე ფასი, რაც <რაც> ჩემი გული ჯერ იყო, არა კაცი არ გეცილებოდეს...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა. 38/2).

როგორც ჩანს, 1651 წელს აბაშ ბარათაშვილს გიორგი იოთამიშვლისათვის რუს ქვემოთ მდებარე სამი დღის დიური მიწა მიუყიდია. აქ აბაში მისი მამის სახელით, ანუ დავითის შვილად არის მოხსენიებული. აქედან გამომდინარე, აბაშის მამას და შესაბამისად, სუფრაჯ ავთანდილისა და მერაბის ძმას, სახელად დავითი რქმევია.

1651 წლის შემდეგ აბაშ აბაშიშვილი დასახელებულია 1657 წლის შერმაზან მერაბისშვილის მიერ ერასტი იოთამიშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში, სადაც ვკითხულობთ: „...ჩვენ, მერაბისშვილებმან შერმაზან და სულხან და შვილმან და მ<ა>{ო}მა{ვა}ლმან სახლისა ჩვენისამან, ვიგულე და ვიგულისმოდგინე და მოგყიდე დიური მიწა, სარწყავი რუს ქუეთით აბაშმა რომ მოგყიდა, იმას გვერდზედან, ორის დღისა ჩემი წილი თქვენ, იოთამისშვილთა ერასტას და თქვენთა ძმათა და შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა, 38/19).

აღნიშნული საბუთის თანახმად, შერმაზან მერაბისშვილს ერასტისათვის მიუყიდია ორი დღის დიური მიწა, აბაშის მისყიდული რუს ქვემოთ მდებარე მიწის გვერდით.

1662 წელს იგი თავის სახლისკაცებთან ერთად აწარმოებს დავას იოთამიშვილებთან აკაურთულ მიწებზე. აღნიშნული დავის გარიგების შედეგად აკაურთული მიწები იოთამიშვილებს დარჩათ. ამ საბუთში ჩვენ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აბაშიშვილების მოხსენიებისას ჯერ დასახელებულია სუფრაჯი ავთანდილის ვაჟი

ავთანდილი, შემდეგ აბაში, ხოლო შემდეგ კი მერაბის შვილი სულხანი. აღნიშნულ საბუთში აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები უფროს-უმცროსობის პრინციპით არიან ჩამოთვლილი, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ აბაშ ბარათაშვილის მამა დავითი ასაკით სუფრაჯ ავთანდილისა და მერაბის შუათანა ძმას წარმოადგენდა (სეა, 38/5).

1662 წელსვე კვლავ განაგრძობენ ბრძოლას აბაშიშვილები აკაურთულ მიწებზე იოთამიშვილებთან, თუმცა ეს დავაც მსგავსად წინა დავისა, იოთამიშვილების სასარგებლოდ გადაწყდა (სეა, 38/4).

1662 წლის შემდეგ აბაშ აბაშიშვილი მოქმედ პირად საბუთებში აღარ გვხვდება. სამაგიეროს ასპარეზზე გამოდიან მისი შვილები დავითი და აბაში. ასე მაგალითად, 1683 წლის მამულის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „...ესე უთუო და უთ<ო>{უ}მც{ა}ო, დრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოუღებელი ნასყიდობის წიგნი, ფიცი და პირი მოგეცით ჩვენ, ბარათაშვილმან, აბაშის შვილმან დავით და ძმამან ჩემ{მ}ან, აბაშიმ და სახლისა ჩვენისა მამავალთა, შვილთა და შვილიშვილთა თქვენთა, არეშისშვილს მეშარბათეს სეხნიასა, ძმასა შენსა ფარსადანასა, კიდევ არეშისშვილს ყარაიმითასა, შვილსა ავთანდილასა, დუშიასა, შვილიშვილთა თქვენთა და სახლისა თქვენისათა.

ასე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირა და ჩვენის მკვიდრი მამული, ხუთლიბუგაურის ბოლოს ტყე, ზემოთი საქცევი ელიზბარას მიწის <ძ>{ზ}ვრ<დ>ამდის და დათუაშვილის მიწამდის და გოხამდი და ვარაზჯუ{ა}რამდი, აქამდი, რომე ვარაზჯუ{ა}რი და გოხი, რომ ერთმანერთს შეეყრების იქამდის მოგყიდეთ....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა, 14/13).

როგორც ამ საბუთიდან ვიგებთ, აბაშის შვილებს – დავით და აბაშ ბარათაშვილებს სეხნია არეშიშვილისათვის ხუთლიბუგაურის ბოლოს მდებარე ტყე მიუყიდნიათ. საბუთში ნათლად არის ხაზგასმული ის ფაქტი, რომ დავითი და აბაში აბაშის შვილები არიან. სამართლიანი იქნება, თუ აქ დასახლებულ აბაშში ქართულ საისტორიო საბუთებში 1627-1662 წლებში მოხსენიებულ აბაშს მივიჩნევთ, რომელსაც ჰყოლია პაპისა და მამის მოსახელე ვაჟები: დავითი და აბაში. 1683 წლისათვის, როგორც ამ საბუთიდან ჩანს, გარდაცვლილია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ მოხსენიებული იქნებოდა აბაში და შემდეგ მისი ვაჟები –

დავითი და აბაში. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, იგი ბოლოს მოქმედ პირად 1662 წელს გვევლინება, თუ შევუჯერებთ ამ ფაქტს 1683 წლის საბუთს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აბაშ ბარათაშვილი 1662-1683 წლებს შორის გარდაცვლილა.

ამის შემდეგ ყურადღებას შევაჩერებთ 1699 წლის მიწის ნასყიდობის წიგნზე, მიცემული ზაქუმ [ზაქუმიშვილის] მიერ ალავერდა იაგულაშვილისათვის. ამ საბუთს ამოწმებს აბაშ ბარათაშვილის ვაჟი აბაში, რომელიც აღნიშნულ სიგელში აბაშიშვილად არის მოხსენიებული (სეა, 20/28). აქ არ არის მოწმეთა შორის დასახელებული აბაშ ბარათაშვილის უფროსი ვაჟი დავითი, რაც ბადებს ლოგიკურ კითხვას – რით შეიძლება იყოს გამოწვეული მისი მოუხსენიებლობა 1699 წლის ნასყიდობის წიგნში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მოვიხმობთ XVIII საუკუნის I ნახევრის ისტორიკოსის – სეხნია ჩხეიძის თხზულებას „ცხოვრება მეფეთა“-ს, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი მეფე გიორგი XI-ის (1677-1688 წწ.) მიერ 1695 წელს ქართლის დატოვება და ირანში გამგზავრება. როგორც ცნობილია, სეხნია ჩხეიძე ქართლის მეფეს თან ახლდა ირანში, იგი უშუალო თვითმხილველი და მონაწილე იყო მთელი რიგი მოვლენებისა, რაც ქართველებს გადახდა ამ დროისათვის ირანში. აქედან გამომდინარე, მისი თხზულება პირველწყაროს წარმოადგენს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიისათვის. მემატიანე მას შემდეგ, რაც აღწერს გიორგი XI-ის დამარცხებას ერეკლე I (1688-1703 წწ.) ნაზარალი-ხანთან ბრძოლაში, მის ჩასვლას ისპაჰანში, იქვე დასძენს, რომ „გამოხდა მცირედი დღენი და დაჰპატიჟეს ქართველთ რჯული. „თუ რჯული არ დააგდონ, ქართლში წავიდენო.“ შეექნათ ჭმუნვა დიდი, თავად რჯულის დაგდებისა-თვინ, მერმე პატრონის გაყრისა-თვინ, არა ცოტანი იყვნენ, ქართველნი იყვნენ ექვსასი. შექნეს რჩევა, აღარა გაეწყობოდა-რა, მისცა დასტური ქართველთა: მაგრა ზოგი არ გაუშვეს, გაათათრეს არაგვის ერისთავი გიორგი, ერისთავის დავით, ციცი-შვილი ვახტანგ, ციცი-შვილი პაპუნა, აბაში-შვილი დავით, ზურაბი-შვილი ზურაბ“ (სეხნია ჩხეიძე 1913: 10).

ამის შემდეგ ისტორიკოსი აღწერს 1699 წლის ამბავს, როცა შაჰმა თავისთან დაიბარა გიორგი XI და მას ქირმანის ბეგლარბეგობა უბოძა. ქართლის მეფემ ქირმანის ნაიბობა თავის ძმას, ბატონიშვილ ლევანს ჩააბარა. „წაბძანდა ბატონიშვილი ლევან, თან იახლა სეხნია ჩხეიძე, გაატანა მეფე-მ გიორგი-მ აბაშიშვილი დავით და ათიოდ სხვანი“ (სეხნია

ჩხეიძე 1913: 10).

როგორც ვხედავთ, აბაშ ბარათაშვილის უფროსი ვაჟი დავითი 1695 წელს ქართლის მეფეს გიორგი XI-ს გაჰყოლია ირანში და სხვა ქართველ თავადებთან ერთად იძულებით გამაჰმადიანებულა კიდეც. 1699 წელს ირანის შაჰმა გიორგი XI-ს ქირმანის ბეგლარბეგობა უბოძა, ხოლო გიორგიმ თავის მხრივ ქირმანის ნაიბად თავისი ძმა, ლევან ბატონიშვილი დანიშნა და თან აახლა დავით აბაშიშვილი და ათიოდე სხვა ქართველი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია მისი მოუხსენიებლობა 1699 წლის ნასყიდობის წიგნში, იგი ამ დროისათვის ირანში იმყოფებოდა.

1704 წელს სუფრაჯი დავითი უკვე საართველოშია და ამტკიცებს ყმების ნასყიდობის წიგნს, მიცემულს იოსებ და ფარსადან რატისშვილების მიერ იესე რატიშვილისათვის (ბერძენიშვილი 1940: 126).

როგორც ვხედავთ, დავით აბაშიშვილს დაუფასდა ქართლის მეფის გიორგი XI-სადმი გაწეული ერთგულება და მან ამის სანაცვლოდ ქართლის სამეფო კარისაგან სუფრაჯის საპატიო სახელო მიიღო.

1705 წელს სუფრაჯი დავით აბაშიშვილი, ძმასთან სუფრაჯ აბაშთან და მის ვაჟ ნოდართან ერთად მაცხოვრის ხატს სწირავენ ვარსიმაშვილის ვენახს. საბუთში ნათქვამია: „...შემოგწირეთ ჩვენ, აბაშიშვილმა სუფრაჯმა დავით და ძმამან ჩვენმან, სუფრაჯმა აბაშ, შვილმან ჩვენმან ნოდარ და მომავალთა ს{ა}ხლისა ჩვენისათა თქვენ, ყოვლად პატიოსანსა ხატსა მაცხოვრისასა ქვემო ვარსიმაშვილის ვენაჯი, ესიტაშვილს, რომ უჭირავს, იმას გარდა ნონიაშვილების ვენაჯი საკულუხოთ, რომე ძველათგანვე თქვენი ყოფილიყო ასრე, რომე აიწყოდეს ოთხი პატრონსა და მეხუთე საყდარს მოეხმარებოდეს, ვენაჯი კარგა შეინახოს რთვლამდი და რთველში იქ მდგომს კაცს უჩვენოს და თუ ავათ შე{ი}ნახოს, სამართლიანის საქმით გარდაჯდევინებდენ ..... არის ამისი მოწამე სვეტისცხოვლის წინამძღვარი: გაბაშვილი ბატონი იოსებ, ჩვენი აზნაურ{ი}შვილი ბლორძელი, სა{ხ}ლთუხუცესი ზურაბ, კიდევ ჩვენი აზნ{ა}ურ{ი}შვილი ლამაზაშვილი პაპუა და ავთანდილ, მსახური ნეგულაშვილი ხოსია, ნინუა სვიმონაშვილი დალაქი, კიდევ ჩვენი მსახური დურნუკელი რევაზაშვილი გიორგი, იმისი შვილი რევაზა, ანდრიელი ჩვენი მსახური დონდარაშვილი პაპუა, იქივე ასატურაშვილი ჩვენი მსახური თამაზა, ალიაშვილი ხანვერდი, მე, მცხეთის

კანდელაკიშვილს ათანასეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტჟგ [სუფრაჯ დავითის ბეჭედი; „მონა მღთისა დავით“„بنده خدا داود]“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (ხეც, HD-2506).

1705 წლის საბუთში მოწმეთა შორის ჩამოთვლილია სუფრაჯ დავით, სუფრაჯ აბაშისა და მისი ვაჟის ნოდარის აზნაურიშვილები და მსახურები. როგორც ვხედავთ, ამ საბუთს ბოლოში უზის დავით აბაშიშვილის სახელზე ამოტვიფრული სპარსული ბეჭედი.

თუ გავიხსენებთ, რომ 1695 წელს გაჰყვა გიორგი XI-ს დავით აბაშიშვილი ირანში და ამავდროულად მხედველობაში მივიღებთ 1704 წლის ნასყიდობის სიგელს, სავსებით ლოგიკური იქნება თუ მის ირანში ყოფნას 1695-1704 წლებით განვსაზღვრავთ. თუმცა აღნიშნული დათარიღების კიდევ უფრო დავიწროვებაც შეიძლება. ამ პერიოდის მემატიანე სეხნია ჩხეიძე ამთავრებს რა თავის თხრობას ლევან ბატონიშვილის მიერ ბელუჯთა და ავღანთა წინააღმდეგ მოპოვებულ წარმატებაზე, ამის შემდგომ ამბობს, რომ „შაჰმა ლევან ბატონიშვილი ისპაჰანში დაიბარა, შაჰ-ყული-ხანი უწოდა და ირანის მდივანბეგის თანამდებობაზეც დანიშნა. 1703 წელს ერეკლე I ირანში დაიბარეს და ჩავიდა ირანში, სადაც დიდი პატივით დახვდნენ. იმავე 1703 წელს ირანიდან ქართლში ჩამოვიდა ლევან ბატონიშვილი, რომელსაც მისი ძე ვახტანგი ტაშირთან შეეგება“ (სეხნია ჩხეიძე 1913: 19-20).

ჩვენი აზრით, სწორედ 1703 წელს ლევან ბატონიშვილს უნდა ჩამოჰყოლოდა დავით აბაშიშვილი ქართლში, აქ ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ირანში იგი სწორედ ლევან ბატონიშვილთან ერთად იბრძოდა ბელუჯთა და ავღანთა წინააღმდეგ. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ დავით აბაშიშვილის ირანში ყოფნის პერიოდი და იგი 1695-1703 წლებით დავათარიღოთ.

1708 წელს სუფრაჯი დავით აბაშიშვილი ამტკიცებს ახლა უკვე შეწირულების წიგნს, მიცემულს ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ სიონის ეკლესიისადმი (ბერძენიშვილი 1940: 136).

ამის შემდეგ სუფრაჯ დავითს და მის ვაჟ ნოდარს გაუციათ 1710 წლის შეწირულობის საბუთი, სადაც ნათქვამია: „...ჩვენ, აბაშისშვილმან სუფრაჩმან, ბატონმა დავით და შვილმან ჩემმან, ნოდარ და მომავალთა სახლისა ჩვენისა ყოველთავე შენ, ჩვენსა სასოსა და ორისავე ცხოვრებისათვის დიად სიქადულსა უდაბნოს, საძელს ხატსა მაცხოვრისასა, შემოგწირეთ

და მოგახსენეთ მცირე და კნინი ესე შესაწირავი, ვ(ითარც)ა ძველ ოდესმე დედაკაცმან მწვლილი იგი ჩვენცა ეგრეთვე სასოებით შემოგწირეთ და მოგახსენეთ ჩვენი საკომლო ენაგეთს აბულაშვილი, მისის მიწა-წყლითა, საჴნავითა, უჴნავითა, ვენაჴითა, მთითა, ბარითა, საძებრითა, უძებრითა, სახლ-კარითა, ქვევრ-მარნითა და ყოვლის მისის სამართლიანის მზღვრითა... ამისდა ნაცვლად, ვინცავინ წინამძღვარი იქ მჯდომი ბძანდებოდენ მეორედ მოსვლის ჴსენების კვირიაკესა ჩვენთვინ ჟამს სწირევდეს თავისის კრებულითა, დავსდევ სულის წმინდის მოსვლის დღესა და ჩვენის ცოდვის აღსაჴოცელად მოჴსენებას ყოფდეს....“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (ხეც, HD-1815).

ამრიგად, სუფრაჯი დავითი და მისი ვაჟი ნოდარი მაცხოვრის პატიოსან ხატს სწირავენ ენაგეთში მცხოვრებ აბულაშვილს მისი მამულით, სანაცვლოდ უკვეთავენ აღაპს სულთმოფენობის დღესასწაულზე. ამ საბუთში უკვე აღარ გვხდება მისი ძმის, სუფრაჯ აბაშის სახელი. ჩნდება ლოგიკური კითხვა, ხომ არ არის იგი ამ დროისათვის გარდაცვლილი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მოვიხმობთ პირღებულის მონასტრის 1712 წლის სუფრაჯ აბაშ აბაშისშვილის საფლავის ქვის წარწერას.

დღემდე ქართულ ისტორიოფრაფიაში აღნიშნული 1712 წლის სუფრაჯ აბაშის ეპიტაფია ოთხგზის იქნა გამოქვეყნებული: პირველად – 1904 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (Такаишвили 1904: 25.შდრ. Такаишвили 1905: 25), მეორედ – 1999-2001 წლებში ნოდარ ბახტაძის მიერ (ბახტაძე 1999-2001: 100), მესამედ – 2003 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ (ბახტაძე .... 2003: 84), ხოლო მეოთხედ – 2005 წელს, თემო ჯოჯუას მიერ.

ბოლო პუბლიკაციის მიხედვით წარწერა შემდეგნაირად იკითხება:

1.„ქ. მოიხსენე უფალო. საფალვს. ამს. შიმა. მადებარე

2. ნეფე. გიორაგის. ნამასხური. აბშის. შვილი. სუფრ[ჯ]ი

3. აბში. ვინც. წაიკითხოთ. შენდობ. გვბძანეთ. † უ

ქ. მოიხსენე, უფალო, საფ<ა>ლ{ა}ვს ამ{ა}ს ში<მ>{ნ}ა მადებარე, | ნეფე გიორ<ა>გის ნამ<ა>ს{ა}ხური, აბ{ა}შისშვილი სუფრ(ა)[ჯ]ი | აბ{ა}ში. ვინც წაიკითხოთ, შენდობ{ა} გვ{ი}ბძანეთ. ქ(რონიკონს) უ (1312+400=1712 წ.)“ (ბახტაძე ... 2005: 204).

როგორც აღნიშნული საფლავის ქვიდან ვიგებთ, აბაშ ბარათაშვილის უმცროსი ვაჟი, სუფრაჯი აბაში 1712 წელს გარდაცვლილა. აღნიშნულ ეპიტაფიაზე ჩვენამდე ყურადღება გაამახვილა გივი ჯამბურიამ. მეცნიერმა ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ 1705 წლის შეწირულობის წიგნში მოხსენიებული სუფრაჯ დავითი ძმა, სუფრაჯი აბაში 1712 წლის ეპიტაფიაში მოხენიებული მეფე გიორგის ნამსახურ სუფრაჯ აბაშთანí გააგივა და ყოველივე ამის საფუძველზე სამართალიანად აღნიშნა, რომ „1705 წლის საბუთში მოხსენიებული აბაშ აბაშიშვილი 1712 წ. გარდაცვლილა“ (ჯამბურია 1955: 64).

რაც შეეხება ჩვენ მიერ ზემოთ დასმულ კითხვას 1710 წლის შეწირულების დოკუმენტში სუფრაჯ აბაშის სახელის მოუხსენიებლობის შესახებ, შეიძლება ერთადერთი ახსნა მოეძებნოს ის, რომ 1710 წლისათვის გაყრილები არიან სუფრაჯ დავითი და სუფრაჯ აბაში და სწორედ ამის გამო აღარ გხვდება ამ საბუთში მისი ძმის და მისი ძმისწულის, გვერდით მისი სახელი.

აღნიშნულ 1710 წლის სიგელს ირიბად ეხება გივი ჯამბურია. მეცნიერი მას შემდეგ, რაც მოჰყავს 1705 წლის სუფრაჯ დავითის, მისი ძმის, სუფრაჯ აბაშისა და მისი ვაჟის ნოდარის შეწირულობის საბუთი ბოძებული მაცხოვრის ხატისადმი, მსჯელობს 1708 წლის კიდევ ერთ შეწირულობის წიგნზე, რომელიც მიცემულია ქაიხოსრო ბარათაშვილის მიერ სიონის ეკლესიისადმი. აქ მოწმეთა შორის სუფრაჯ დავითთან ერთად სუფრაჯი ავთანდილიც არის მოხსენიებული. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ: „...მაშასადამე, ერთდროულად სამი სუფრაჯია აბაშიშვილთა გვარიდან“ (ჯამბურია 1955: 64). ყოველივე ამის შემდეგ დასძენს: „დავით სუფრაჯს 1710 წლის შემდეგ ბოქაულთუხუცესობა მიუღია“(ჯამბურია 1955: 64).

ავტორი აღნიშნულ მოსაზრებას გამოთქვამს ვახტანგ VI-ის (1703-1724 წწ.) მიერ შედგენილ დასტურლამაზე დაყრდობით, სადაც ჩამოთვლილ ბოქაულთუხუცესებს შორის მართალაც ვხვდებით დავით აბაშიშვილის სახელს. ჩვენ აღნიშნული ბოქაულთუხუცესი დავით აბაშიშვილი გავაიგივეთ ქაიხოსრო აბაშიშვილ-ავთანდილიშვილის უფროს ვაჟ დავითთან . აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ გივი ჯამბურიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას 1710 წლის შემდეგ სუფრაჯ დავითის მიერ ბუქაულთუხუცესის სახელოს მიღების შესახებ, უფრო მეტიც ჩვენ შეგვიძლია თამამად განვახცადოთ, რომ 1710

წლის შემდეგაც მას ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის საპატიო თანამდებობა ეკავა, რაზეც ნათლად მეტყველებს 1714 წლის შეწირულობის წიგნი, მიცემული გიორგი XI-ის ვაჟის, სულეიმანისა და მისი თანამეცხედრის თამარის შეწირულობის სიგელი, რომელსაც სხვა მოხელეებთან ერთად ამტკიცებს „სუფრაჯი ავთანდილ [ბეჭედი: "ავთანდილ"], აბაშისშვილი სუფრაჯი დავით" (სეა, 1449-2175).

ამის შემდეგ სუფრაჯ დავითის სახელი საისტორიო საბუთებიდან ქრება. თუ რატომ აღარ ჩანს იგი, ამის თაობაზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს პირღებულის მონასტრის კიდევ ერთი – 1716 წლის სუფრაჯ დავითისა და მისი მეუღლის, გივის ასული მარიამის საფლავის ქვის წარწერა. იგი დღემდე ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ოთხგზის იქნა გამოქვეყნებული: პირველად – 1904 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (Такаишвили 1904: 25.შდრ. Такаишвили 1905: 25), მეორედ – 1999-2001 წლებში ნოდარ ბახტაძის მიერ (ბახტაძე 1999-2001: 99), მესამედ – 2003 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ (ბახტაძე .... 2003: 85), ხოლო მეოთხედ – 2005 წელს, თემო ჯოჯუას მიერ.

გთავაზობთ 1716 წლის ეპიტაფიის ტექსტს, მის ბოლო პუბლიკაციაზე დაყრდნობით:

1.„ქკს უდ

2.ქ: მოიხსენე:. უფალო:. სუფრიჯი:. დავით:. თანა:.

3.მეცხედრე:. მისი: გივის:. ასული:. მარიამ:

ქ{რონი}კ{ონ}ს უდ (1312+404=1716 წ.) | ქ. მოიხსენე, უფალო, სუფრ<ი>{ა}ჯი დავით, თანა|მეცხედრე მისი, გივის ასული მარიამ" (ბახტაძე 2005: 212),

როგორც აღნიშნული საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს, სუფრაჯი დავითი და მისი მეუღლე გივის ასული მარიამი 1716 წლისათვის გარდაცვლილან. დიდ ინტერესს იწვევს ეპიტაფიაში ნახსენები სუფრაჯ დავითის თანამეცხედრის მარიამის მამის სახელი გივი. ჩნდება კითხვა – რომელი ფეოდალური სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო სუფრაჯ დავით აბაშისშვილის მეუღლე მარიამი?

სანამ უშუალოდ დასმულ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, გვინდა ავღნიშნოთ, რომ ეპიტაფიის შესრულების დროს ტექსტში საჭიროდ არ მიიჩნიეს აღნიშნული გივის გვარიშვილობის დაფიქსირება, რაც ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი მაღალი მდგომარეობით. თუ გადავხედავთ აღნიშნული პერიოდის საბუთებს, ვნახავთ,

რომ სახელი გივი ამილახორთა ფეოდალური სახლის კუთვნილი სახელია. გივი ამილახორი როსტომის მეფობიდან დაწყებული ერეკლე I-ის მეფობის ჩათვლით ჰქონდა ქართლის სამეფო კარზე ისეთი მაღალი სახელო, როგორიც იყო ზემო ქართლის სარდლობა. გარდა ამისა, თუ თვალს მივადევნებთ მის სახელზე შედგენილ საბუთებს, ნათლად დავინახავთ მის კეთილგანწყობას გიორგი XI-სადმი, რასაც ადასტურებს კიდეც სეხნია ჩხეიძე. მემატიანე აღწერს რა, გიორგი XI-ის საბოლოოდ დამარცხებას ერეკლესთან, და მის იმერეთში გადასვლას, ამბობს: „მეფეს გარდაყვა ერთ-პირად ერისთავი გიორგი, ამილახორი გივი, ძმა ამილახორისა, ქათალიკოზი ნიკოლაოზ, ყორჩიბაში მუხრანის ბატონის-შვილი დათუნა, ზურაბის-შვილი ზყრაბ, სხვანი თავადნი და აზნაურნი მრავალნი“ (სეხნია ჩხეიძე 1913: 8).

თუ ამ ყოველივეს შეუჯერებთ სუფრაჯ დავით აბაშისშვილის ერთგულებას ქართლის მეფე გიორგისადმი, სავსებით ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ ერთ პოლიტიკურ ბანაკში მყოფი ორი გვარი – აბაშიშვილთა და ამილახვართა ფეოდალური სახლები დანათესავდნენ.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ გამოდის, რომ გივი ამილახორს, ანდუყაფარისა და დემეტრეს გარდა, კიდევ ჰყოლია ასული, სახელად მარიამი, რომელიც მიუთხოვებია სუფრაჯ დავით აბაშისშვილისათვის.

ამის შემდეგ მოგვაქვს 1721 წლის 20 ივნისის დავის გარიგების წიგნი აბაშიშვილებსა და მანგლისელებს შორის ნასოფლარებზე არსებული კამათისა, სადაც ნათქვამია: „ქ. ბ{რ}ძანებითა მისითა დავსხედით ჩვენ, ძე ამა მაღლისა მეფისა, პატრონი შაჰნავაზ-ხან და ძმა მისსივე მეფისა, პატრონი ალიყული-ხან და პატრონი სვიმონ, გვერთ ვიახელით ეპისკოპოზი, დარბაისელნი, მდივანბეგი და მდივნები მანგლელისა და მანგლისელთა და იქით აბაშიშვილის ავთანდილისა, სუფრაჯის ნოდარისა და დავითისა და მათის სახლისკაცთ, მთის ალაგებსა და ნასოფლარებზე სარჩელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ და გავსინჯეთ, ამას წინათ სულ-ბრწყინვალის ბიძის ჩვენი, მეფის, პატრონის გიორგის მანგლის ყმის ხიზნათ ბძანებაში ამ ალაგებსა და ნასოფლარებზედ ლაპარაკი და ცილება შეჰქონდათ, მაშინ კურთხეულს მეფეს ამ საცილობელის ნასოფლარებიდამ ორი ნასოფლარი მოეჭრა და მანგლისელთათვინ დაენებებინა და მანგლისის

ღ(მრ)თისმშობლისათვინ კიდეც შეეწირა და სხვა ნასოფლარები და ალაგები აბაშიშვილების ჴელ-დებულად დარჩომილი...აბაშიანთ... ეჭირათYდღესამდინ, ასრე ყოფილიყუნენ, აწ, მანგლისელნი კიდევ წილს ითხოვდენ, ეცილებოდენ, კიდემ წილი გვაკლიაო, ბევრი რამ სტყუა ორთავეთაგან ითქვა და შევიტყევით, ჩვენმა მიჴომამ და სამართალმა ასრე გასჭრა, ვეჭობთ კურთხეულს ბატონსაც ასრე სწადებოდეს, მანამ განაჩენი აღარ დასცალებიათ და დარჩომილა, ეს მთა და ნასოფლარები აბაშიშვილებისა და მანგლისელთათვინ სასწორიოდ უთქვამთ და ჩვენც აგრე ვთქვით, ის ორი ნასოფლარი მანგლისელთათვინ გამორჩევით მეფეს რომ შეუწირავს, გავს ნახევრად ჩაუგდიათ და სხვა, რაც დარჩომილა, აბაშიშვილებისათვინ გაუშვიათ და დღესამდინ სჭერიათ, აწ, ჩვენც ასრე გავასამრთლეთ, ეს მთა და ნასოფლარები შეწირული და სხვებიცა აბაშიშვილებისა და მანგლისელთ სასწოროდ უნდა იყოს და შუა გაიყონ, მაგრამ მანგლელის შეწირულს იმ ნასოფლარს ვერ გამოვწირავთ, იმასვე ეჭიროს და, იმისი გარდა, მოსაქმემ სამართალი სწორე ორი თუ სამი ნასოფლარი გააკეთოს, შეაფარდოს და აბაშიშვილებს მოსცეს და სხვა, რაც ძირს მთა და ნასოფლარი დარჩეს, აბაშიშვილს და მანგლისელთა შუა გაუყონ, რაც მოსაქმემ იმ ორის ნასოფლარის ფარდი აბაშიშვილებს მოსცეს ან სხვა კიდევ წილში რამ ერგოს ნუსხა მოგვიტანოს და სახელდობ{რ} ამ განაჩენზედ მიუწერთ...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა, 1449-1912).

როგორც ამ დავის წიგნიდან ვიგებთ, ავთანდილ აბაშიშვილს, სუფრაჯ ნოდარს, დავით აბაშიშვილსა და მათ სახლიკაცებს დავა ჰქონიათ მანგლისელებთან მთის ალაგებსა და ნასოფლარებზე. აღნიშნული ადგილები გიორგი XI-ის მეფობის დროსაც გამხდარა აბაშიშვილებსა და მანგლისებს შორის ცილობის საგანი. გიორგი მეფეს ამ სადავო ნასოფლარებიდან ორი ნასოფლარი მანგლისელთათვის უწყალობებია და ერთი კიდევ მანგლისის ღმრთისმშობლის ტაძრისათვის შეუწირავს, დანარჩენი კი აბაშიშვილებისათვის დაუნებებია, რომელსაც ისინი ამ დავის დროსაც ფლობდნენ. ვახტანგ მეფემ და მისმა ძმებმა, იესე და სვიმონ ბატონიშვილებმა, აღნიშნული დავა შემდეგნაირად გაარიგეს: ეს სადავო ნასოფლარები და ადგილები თანაბრად გაუყვეს აბაშიშვილებსა და მანგლისელებს, რაც შეეხება გიორგი მეფის მიერ მანგლისის ღმრთიმშობლისადმი ნაწყალობევ ნასოფლარს, ისევ დაუტოვეს შეწირულობის სახით მანგლისის ტაძარს. აქ როგორ ვხედავთ, აღნიშნულ

დავაში მონაწილეობს სუფრაჯი ნოდარიც. არ შევცდებით, თუ სუფრაჯ ნოდარში სუფრაჯ დავით აბაშიშვილის ვაჟ ნოდარს გავაიგივებთ. თუ შევუჯერებთ აღნიშნულ საბუთს პირღებულის მონასტრის 1716 წლის დავით სუფრაჯისა და მისი მეუღლის გივის ასულ მარიამის ეპიტაფიას, ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ 1716 წლის ანუ დავით სუფრაჯის გარდაცვალების შემდეგ სუფრაჯის საპატიო სახელოს მისი ვაჟი ნოდარი ფლობდა, რასაც ადასტურებს 1721 წლის დავის გარიგების წიგნიც.

1721 წლისათვის, რომ ნოდარი სუფრაჯის საპატიო სახლოს ფლობს ამას ერთხელ კიდევ ამტკიცებს ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757 წწ.) 1721 წლის აღწერა, სადაც სუფრაჯ ნოდარის შესახებ ნათქვამია: „ნოდარ სუფრადჯი სახასო: ბეთენია, ენაგეთი, საღირაშენი, ოშეთი, ელფია, მჟავისი, ძველი აბანო, ეგრისი, ფიწუთი, იფნარი, თოფრაყალა, უკან-დაღეთი, ანდრია, დია, მისი მემამულე აზნ. რამაზა“ (ლორთქიფანიძე 1935: 121). გარდა ამისა, ჩამოთვლილია დაწვრილებით თუ რომელ სოფელში რამდენი ყმა ჰყავდა სუფრაჯ ნოდარს: ოშეთში – 3 კომლი ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 36); საღირაშენში – 9 კომლი, 2 ბოგანო გლეხი (ლორთქიფანიძე 1938: 37); ფარცხისში – 1 აზნ. რამაზა, 1 კომლი გამომღები ყმა, 1 კომლი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 38); უკან დაღეთში – 2 კომლი გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 88); დიაში – 1 კომლი გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 88); ეგრისში – გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 97); თოფრაყალაში – 1 კომლი გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 97); იფნარში – 3 კომლი გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 98); ძველ აბანოში – 1 კომლი გამომღები ყმა, 1 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 103).

სუფრაჯ დავითის ვაჟ ნოდართან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია იესე მეფის განჩინება დავით სუფრაჯის ვაჟის, ნოდარისა და ვათიაშვილის წისქვილის თაობაზე, სადაც ვკითხულობთ:

„ქ. დავით სუფრაჯის შვილი ნოდ[ა]რ სუფრაჯის ავთანდილის ყმას იფნარელს ვათიაშვილს ეცილებოდა ჩემის სოფლის პატარა ეგრისული მამული არისო, ჩვენს გარდავარდნას უკან უფლობით აგებრუნებია.

ამის ვათიაშვილმა აშორო უთხრა: არც შენის პატარას ეგრისის მამული იყოსო, როდესაც დიდი ეგრისი აბაშიშვილს სჭეროდეს, მაშინ ეს წისქვილი სამამულედ მე

მომცემოდესო, ორსავ ბარათში მე გამომყოლოდესო და ავთანდილს ამით ვრგებოდეო.

აწ ჩვენ ამისი ასრე გაუჩინეთ: წადგეს ვათიაშვილი ოთხის უმტერ-უმოყრო კაცით, ასრე იფიცოს, როგორც ზემო წერილი არის.

დათუ ას[რ]ე იფიცოდ, დარჩეს ის წისქვილი ვათიაშვილსა. და თუ ვერ იფიცოს, ნოდარს დარჩეს წისქვილი. მოფიცარი იქივ გარაეშემო თავისი ყადარი კაცი ოთხი შეუგდოს; და ორი იშოვნოს და ორი თან მი[ი]ყოლიოს და ისრე იფიცოს“ (დოლიძე 1972: 334).

აღნიშნულ განჩინებაში სუფრაჯ დავითის შვილი ნოდარი სუფრაჯ ავთანდილის ყმა იფნარელ ვათიაშვილს პატარა ეგრისულ მამულზე ედავება, რომელიც მისი გაქცევის შემდეგ ყოველგვარი უფლების გარეშე იფნარელ ვათიაშვილს მოუხნავს. აღნიშნული საბუთის ქრონოლოგიას ისიდორე დოლიძე იესე მეფის ზეობის – 1714-1727 წლებით განსაზღვრავს. ამ საბუთში ჩვენი ყურადღება მიქცია ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა გარემოებამ, რაც მდგომარეობს იმაში, რომ იფნარელ ვათიაშვილს პატარა ეგრისული მამული მოუხნავს მას შემდეგ, რაც ნოდარ აბაშისშვილი გაქცეულა. მეტად საინტერესოა სად უნდა გადახვეწილიყო დავით სუფრაჯის ვაჟი ნოდარი?

დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხს სცემს ვახტანგ VI-ის ამალის ნუსხა, სადაც ქართლის დედოფლის რუსუდანის მხლებელთა შორის დასახელებულია სუფრაჯი ნოდარი თავის ოჯახთან ერთად. აღნიშნულ ნუსხაში ვკითხულობთ: „თავადი: სუფრაჯი: ნოდარ: დავითის: შვილი: აბაშიშვილი ამისი ვაჟი: შვილი აზნეური: ახლავს: მსახური: ახლავს: ამ: ნოდარის: მეუღლე: კნეინა ანნა: ქალი: ამისი: მხლებელი: ამისი:“ (პაიჭაძე 1960: 216).

როგორც ვხედავთ, სუფრაჯ დავითის შვილი ნოდარ აბაშიშვილი, მისი მეუღლე ანა, თავიანთ შვილებთან და მსახურ-აზნაურებთან ერთად 1724 წელს ვახტანგ VI-ს რუსეთში გაჰყოლიან. ასე რომ, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ აღნიშნულ განჩინებაში ნოდარ აბაშიშვილი მის მიერ ნახსენებ „გარდავარდნა“-ში 1724 წელს ვახტანგ მეფესთან ერთად რუსეთში წასვლას გულისხმობს. ამ ფაქტს კიდევ უფრო მეტი სიმტკიცეს სძენს 1725 წლის 4 აგვისტოს ისაყ-ფაშას წყალობის განახლების წიგნი, მიცემული როსტომ და გუგუნა ნამანგლელავიშვილებისადმი, სადაც ნათქვამია: „ასე, რომე თქვენს სამკვიდროს მამულს

და გლეხებს შამოგეცილა და მოხველ კარსა დარბაზისა ჩვენისასა და არზა აბაშისშვილი ავთანდი{ლ} მოგვართვ{ი} და იმას ნოდარ აბაშისშვილი, რომე გაქცეულიყო და რუსეთს წასულიყო, იმისი წილი მამული უბოძოთ და შენ შენი სამკვიდრო<ვს> გლეხები ისევ წყალობა გიყავთ, საღირაშენს – ამილბარისშვილი და აღაჯანაშვილი და იბა{ს}შვილი და გოგინაშვილი, ხუცესი სარალაშვილი და ნადირაშვილი და იშხანაშვილი და ფეროზაშვილი და აზატაშვილი და დალაქი და <ა>კიდე<ბ>{ვ} ფეროზასშვ{ი}ლი და იორდანე და ჯვარისშვ{ი}ლი ხუცესი თავისის მიწა-წყლითა და თავისის წილის ხოდაბუნითა...“ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა, 12/133).

როგორც ვხედავთ, ავთანდილ აბაშიშვილი როსტომ და გუგუნა ბარათაშვილებს შეცილებია საღირაშენს მცხოვრებ გლეხებზე. აღნიშნული დავა ისაყ-ფაშამ გაარიგა შემდეგი სახით: როსტომ და გუგუნას განუახლა საღირაშენში მცხოვრები გლეხების წყალობა, ხოლო ავთანდილ აბაშიშვილს კი რუსეთში გააქცეული ნოდარის აბაშისშვილის კუთვნილი მამული უბოძა. ამ სიგელში პირდაპირ არის აღნიშნული ნოდარ აბაშისშვილის რუსეთში წასვლის ფაქტი, რაც კიდევ ერთხელ დოკუმენტურად ადასტურებს სუფრაჯ ნოდარ აბაშისშვილის ქართლის მეფე ვახტანგთან ერთად რუსეთში გამგზავრებას. ვითვალისწინებთ ერთი მხრივ ვახტანგ VI-ის ამალის ნუსხას, მეორე მხრივ მხედველობაში ვიღებთ 1725 წლის ისაყ ფაშას წყალობის განახლების წიგნს და იესე მეფის განჩინების ქრონოლოგიას კიდევ უფრო ვავიწროვებთ და 1714-1727 წლების ნაცვლად, ორწლიანი შუალედით – 1725-1727 წლებით განვსაზღვრავთ. გარდა ამისა აღნიშნული განჩინება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ნოდარ აბაშისშვილი რუსეთიდან ქართლში დაბრუნებულა და მისი დაბრუნებაც ამ განჩინების მსგავსად, 1725-1727 წლებით უნდა დათარიღდეს. ვითვალისწინებთ რა ერთი მხრივ 1716 წლის სუფრაჯ დავითის ეპიტაფიას, მეორე მხრივ ყურადღებას ვამახვილებთ 1721 წლის დავის გარიგების წიგნზე, სადაც სუფრაჯ დავითის ვაჟი ნოდარი სუფრაჯის სახელოთია მოხსენიებული, ყოველივე ამას კი ვუჯერებთ ვახტანგ VI-ის ამალის ნუსხას და სუფრაჯ დავითის ვაჟის ნოდარის სუფრაჯობას ქართლის სამეფო კარზე 1716-1724 წლებით განვსაზღვრავთ.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისაყ-ფაშას კიდევ ერთი ბრძანება, სადაც ვკითხულობთ: „[ქ.] ჩვენი ბძანება არის, რაც საღირაშენს გლეხი და მამული

ნამანგლელ<ე>{ა}ვიშვილს როსტომს და გუგუნას უბოძეთ აბაშიშვილი ნოდარ არ ანებებს, ჩხუბს ეძლევისო, ჩვენის ბძანების {გ}აუგონლობა ვის შეუძლია და ან რას სარგებელს უზამს, ის მამული ახლავ დაანებონ, თორემ სხვა მამულიც წაერთმევის... “ (პუნქტუაცია და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ.გ.) (სეა, 32/362).

როგორც ვხედავთ, რუსეთიდან დაბრუნებული ნოდარ აბაშიშვილი ედავება როსტომ და გუგუნა ბარათაშვილებს საღირაშენის მამულსა და იქ მცხოვრებ გლეხებზე. ამ ბრძანებას არ უზის თარიღი და მის ქრონოლოგიას დაახლოებით 1725 წლის ახლო დროით განსაზღვრავენ . ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო დავაზუსტოთ აღნიშნული თარიღი და 1725 წლის ახლო ხანების ნაცვლად, 1725-1727 წლებით დავათარიღოთ.

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ აბაშ აბაშიშვილისა ფეოდალური ოჯახის წევრების – სუფრაჯ დავითის, მისი ვაჟის სუფრაჯ ნოდარისა და მისი ძმის, სუფრაჯ აბაშისა ცხოვრების მთელი რიგი დეტალები, გთავაზობთ სოფელ ტანძიაში მდებარე ღმრთისმშობლის სახელობის კარის ეკლესიის სამშენებლო წარწერას. აღნიშნული წარწერა დღეისათვის სამგზის არის გამოქვეყნებული.[1] გასულის წლის დეკემბერში კიდევ ერთხელ მოვინახულეთ აღნიშნული ეკლესია, შესაბამისად მის დასავლეთის შესასვლელის თავზე განთავსებული წარწერაც, დავამზადეთ მისი პალეოგრაფიული პირი და მოვახდინეთ მისი ფოტოფიქსაცია. ვიძლევით აღნიშნული სამშენებლო წარწერის ტექსტის გადმონაწერს

[1] ამ სამი პუბლიკაციიდან პირველი, 1929 წლის პუბლიკაცია ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის, ხოლო მეორე, 1994 წლის პუბლიკაცია – ვახტანგ ბერიძეს, მესამე 2000 წლის პუბლიკაცია კი – დევი ბერძენიშვილს. უცვლელი სახით მოვიტანთ ამ პუბლიკაციებში წარმოდგენილ ტექსტებს. ექვთიმე თაყაიშვილი: “ქ. ნებითა | და შეწევნითა ღ|თისათა ჩვენ პტრონის | ყფლანის შვილმან ბტონმა პაპუნ|ამნ და თანამემცხედრემნ ჩვენმა აბაშ|ის ქალმა ბტონმა ბნგიჯსპიმ აღვაშე|ნე წმიდა ესე ტძარი კარისა ღ~თის მშობ|ლისა სხლზედა ჩვენდა შესნდობლ[ად]” თაყაიშვილი 1929: 95); ვახტანგ ბერიძე: “ქ: ნებითა | და შეწვნითა ღ|თისათა ჩვენ პტრონის | ყფლნის შვილმა ბტონმა პაპუნ|ამნ და თანა მემცხედრემნ ჩვენმა ბნგიჯსპიმ აღვშე|ნე წმიდა ეს ტძრი კარისა ღთისმშბ|ლის სახელზედა ჩვენდა შესდბლ”. ამის შემდგომ წარწერას უზის ვარსკვლავი და მეცნიერი შენიშვნის სახით სქოლიოში აღნიშნავს: “წარწერა კარგადაა შენახული, სიტყვებს შორის ორ-ორი ან სამ-სამი წერტილია დასმული, ხელი ამ გვიანი ხანისთვის ჩვეულებრივია, მაგრამ ულამაზო” (ბერიძე 1994: 75); დევი ბერძენიშვილი: “ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ პატრონის ყაფლანის შვილმა ბატონმა პაპუნამან და თანამეცხედრემან ჩვენმა, აბაშის ქალმა ბატონმა ბანგიჯასპიმ, აღვაშენე წმიდა ესე ტაძარი კარისა ღმრთისმშობლის სახელზედა ჩვენდა შესანდობელად” (ბერძენიშვილი 2000: 156).

დედნის შრიფტის დაცვით:

ქ: ნებითა

და: შეწვნითა: ღ

თისათა: ჩვენ: პტრონის

ყფლნის: შვილმა ბტონმა: პაპუნ

ამნ: და: თანამემცხედრემნ: ჩვენმა: აბაშ

ის: ქალმა: ბტონმა: ბნგიჯსპიმ აღვშე

ნე წმიდა: ესე: ტძრი: კარისა: ღ˜თისმშბ

ლის: სხლზედა: ჩვენდა: შესდობლ

„ქ. ნებითა | და შეწ{ე}ვნითა ღ|{მრ}თისათა, ჩვენ, პ{ა}ტრონის | ყ{ა}ფლ{ა}ნის შვილმა, ბ{ა}ტონმა პაპუნ|ამ{ა}ნ და თანამემცხედრემ{ა}ნ ჩვენმა, აბაშ|ის ქალმა, ბ{ა}ტონმა ბ{ა}ნგიჯ{ა}სპიმ, აღვ{ა}შე|ნე წმიდა ესე ტ{ა}ძ{ა}რი კარისა ღ(მრ)თისმშ{ო}ბ|ლის ს{ა}ხელზედა, ჩვენდა შეს{ან}დობლ[ად]“

მართალია, ეს სამშენებლო წარწერა უთარიღოა, თუმცა ამ ხარვეზს ავსებს ამავე ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე შესრულებული კიდევ ერთი სამშენებლო წარწერა, რომელიც პაპუნა ორბელიშვილს ეკუთვნის და რომლის მიხედვითაც აღნიშნული ეკლესიის მშენებლობა დასრულებულა 1680 წელს. ჩვენი ვარაუდით, ამავე წელსვე უნდა იყო შესრულებული პაპუნასა და მისი მეუღლის ბანგიჯასპის სამშენებლო წარწერაც.

როგორც აღნიშნული წარწერიდან ვიგებთ, პაპუნა ყაფლანიშვილსა და მის თანამეცხედრეს, აბაშის ასულს ბანგიჯასპს ტანძიაში აუგიათ ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია. ჩვენი აზრით, ამ წარწერაში დასახელებული აბაში 1627-1662 წლებში ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში ნახსენებ აბაშ აბაშიშვილთან უნდა გაიგივდეს. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ აბაშ ბარათაშვილს დავითისა და აბაშის გარდა ჰყოლია ასული, სახელად ბანგიჯასპი, რომელიც დიდი ყაფლან ბარათაშვილის უფროსი ვაჟის, პაპუნა ბარათაშვილის მეუღლე გახლდათ.

აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული ბანგიჯასპის სახელით პირველად მიხეილ ქავთარია დაინტერესდა. მეცნიერი თავის ერთ-ერთ ნაშრომში „ყაფლანიშვილთა სახლის

გენეალოგია“ ამბობს, რომ „პაპუნას მეუღლის სახელი ყოფილა ბანგიჯასპი. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ხელმისაწვდომ საბუთებში და ნარატიულ წყაროებში თითქოს არ იხსენიება, დადასტურებული საფლავის ქვის წარწერაში და ტანძიის მეორე ეკლესიის წარწერაში“ (ქავთარია 1987: 118-119).

ამის საპირისპიროდ შევნიშნავთ, რომ ბანგიჯასპი მის მეუღლე პაპუნა ყაფლანიშვილთან ერთად სამგზის გვხდება ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში. პირველად, 1683 წლის შეწირულობის წიგნში, რომლის მიხედვითაც პაპუნა ბარათაშვილმა დმანისის ღმრთისმშობელს თავისი საფლავისათვის შესწირა მჭედელი ყარახანა ცოლ-შვილით. მოვიყვანთ საბუთიდან იმ ადგილს, სადაც ნახსენებია პაპუნა და მისი თანამეცხედრე ბანგიჯასპი: „.... ჩვენ, ბატონის ყაფლანის შვილმან, ბატონმან პაპუნამან და თანამეცხედრემან ჩვენმან, ბანგიჯასპიმ, ძემან ჩვენმან, ბატონმან ერასტიმ ...“ (ხეც, AD-1042). მეორედ, 1684 წლის გაუყრელობის პირობის სიგელში, მიცემული პაპუნა ბარათაშვილის მიერ თავის ძმებისათვის, სადაც ნათქვამია, რომ „.....ესე პირი, ფიცი და წიგნი მოგეცით ჩვენ, ბატონმა პაპუნამ და თანამეცხედრემან ჩუენმან ბატონმა ბანგიჯასპი....“ (თაყაიშვილი 1899: 96).

სულ ბოლო კი, 1689 წლის პაპუნა ბარათაშვილის მიერ დმანისის ღმრთისმშობელისადმი შეწირულობის დოკუმენტში, თავისი საფლავისათვის სარკინეთს მცხოვრები ერთი კომლი, გიორგი და მახარა პაატაშვილების ბოძების შესახებ. აღნიშნულ შეწირულობის საბუთში ვკითხულობთ: „..... ჩვენ, დიდის ორბელის ძის, პატრონის ყაფლანისშვილმან, პატრონმან პაპუნამ და თანამეცხედრემა ჩვენმან, აბაშის Aასულმან, პატრონმან ბანგიჯასპიმ.....“ (ხეც, AD-1291). აქ წინა ორი საბუთისაგან განსხვავებით, დასახელებულია ბანგიჯასპის მამის, აბაშის სახელი.

ბანგიჯასპის გვარიშვილობის იდენტიფიკაციას შეეხო გულიკო მჭედლიძე თავის 1999 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ფიტარეთის მონასტრის ისტორიიდან (ფიტარეთის მონასტრის საფლავის ქვების წარწერები)“. მკვლევარი მას შემდეგ, რაც მიმოიხილავს პაპუნა ორბელიშვილის საფლავის ტექსტს, მას შემდეგ დასძენს: „აქვეა მისი მეუღლის ბანგიჯასპის (აბაშიძის ქალი იყო) საფლავიც“ (მჭედლიძე 1999: 458). ისტორიკოსს იგივე აზრი აქვს გატარებული თავის 2009 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიული ტიპის

ნაშრომში „ფიტარეთის მონასტერი“, სადაც პირდაპირ ამბობს, რომ „პაპუნას ჰყავდა მეუღლე ბანგიჯასპ აბაშიძე“ (მჭედლიძე 2009: 31).

როგორც ვხედავთ, მეცნიერმა ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე პაპუნა ორბელიშვილის თანამეცხედრე ბანგიჯასპი აბაშიძეთა ფეოდალურ საგვარეულოს მიაკუთვნა. მაშინ, როცა სავსებით ნათელია, რომ აღნიშნულ აბაშში – 1627-1662 წლებში მოღვაწე აბაშ აბაშიშვილი იგულისხმება.

სულ ბოლოს, მოგვყავს ფიტარეთის მონასტრის 1701 წლის 17 სექტემბრის საფლავის ქვის წარწერა, რომელიც პაპუნა ყაფლანიშვილის მეუღლის, ბანგიჯასპის სახელზეა ამოკვეთილი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ეპიტაფია დღეს ძალზე დაზიანებულია, გთავაზობთ ამ წარწერის ექვთიმე თაყაიშვილისეულ წაკითხვას,[2]

---

[2] აღნიშნული წარწერა ექვთიმე თაყაიშვილამდე გამოაქვეყნა გიორგი ჩიტაიამ 1926 წელს მის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში “პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის-ქვები”, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილის დროს აღნიშნული ეპიტაფია უფრო უკეთესადად იკითხებოდა, რადგან ექვთიმემ გიორგი ჩიტაიაზე ადრე, უფრო კონკრეტულად, 1894 წელს მოინახულა ფიტარეთის ეკლესია და ჩვენთვის საინტერესო 1701 წლის ბანგიჯასპ აბაშისშვილის ეპიტაფიაც გაშიფრა. გიორგი ჩიტაია შემდგომი სახით კითხულობს აღნიშნულ ეპიტაფიას: “.. ..... | მონაზონი ბარბარე და | [თითქმის მთელი სტრიქონი ამოტეხილია] მათი | შენდობას ყოფდეთ | ჩემ: ცოდვილისათვი|ს რათა თქვენცა. მოგეტევ|ნეს ცდვანი თქვენნი: ამინ: | დაიწერა ქკს: ტპთ სეკდენბ|... იზ: გარდავიცვალე” (ჩიტაია 1926: 120). როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გასული წლის დეკემბერში ვიმყოფებოდით ტანძიის ეკლესიაში. აღნიშნული ეკლესიის შემდეგ მოვინახულეთ ფიტარეთის მონასტერი და შესაბამისად 1701 წლის 17 სექტემბრის ბანგიჯასპ ყოფილი, მონაზონი ბარბარეს, შემდგომში სქემოსანი ფებრონიას საფლავის ქვის წარწერაც, რომელიც ძალზე დაზიანებულია, სახელდობრ, ეპიტაფიის პირველი სტრიქონი საერთოდ აღარ იკითხება, ასევე ცუდად იკითხება მეორე სტრიქონის ბოლო ნაწილი, მესამე და მეოთხე სტრიქონების შუა ნაწილი. ასევე აღნიშვნის ღირსია ამ საფლავის ქვის წარწერის მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე სტრიქონებზე მოთავსებული გრაფემათა ნაწილები, რომელიც ჩვენ მიერ აღნიშნული ეპიტაფიის გადმონაწერში შემდგომი პირობითი ნიშნით [--] გვაქვს აღნიშნული. ამ გრაფემათა ნაწილები, ტექსტის კონტექსტიდან და მათი მოხაზულობიდან გამომდინარე, არის აღდგენილი ჩვენ მიერ. სრული სურათის წარმოდგენის მიზნით ვიძლევით დღეისათვის აღნიშნული საფლავის ქვის წარწერის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მის ჩვენეულ წაკითხვას: “... ...|ღლე ბანგიჯა.. ..... | ონაზონი ბარბარე და .|ქემონსა[--] ფე[-]...ია | შენდო.... ...ფდეთ | ჩემ ცო[-]ვილისათვი|., [-]ათა თქვენცა მოგეტევ|ნეს ცოდვანი თქვენნი, ამინ. | დაიწერა ქკსა ტპთ, სე.დე.ბ|... იზ გარდავიც.... `....[მეუ]|ღლე ბანგიჯა[სპ] ..... [მ]|ონაზონი ბარბარე და [ს]|ქემონსა[ნი] ფე[ბრონ]ია | შენდო[ბასა] [ჰყო]ფდეთ |

რადგანაც მის დროს ტექსტი შედარებით სრულად იკითხებოდა:

1.„[მე პაპუნა] ორბელ[იშვილის მეუ]

2. ღლე ბანგიჯა[სპ ყოფილი]

3. [მ]ონაზონი ბარბარე: და: [ს]

4. ქემოსანი ფებრონია:

5. შენდობას: ჰყოფდეთ:

6. ჩემ: ცოდვილისათვი

7. ს რათა თქვენცა: მოგეტე

8. ვნეს: ცოდვანი: თქვენნი: ამინ:

9. დაიწერა ქ˜კსა: ტპთ: სეკდენბ

10. რ[ის] იზ: გარდავიცვალე“ (თაყაიშვილი 1929: 91).

როგორც საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს, პაპუნა ორბელიშვილის მეუღლე ბანგიჯასპი შემონაზვნებულა ბარბარეს, ხოლო შემდეგ სქემაში ფებრონიას სახელით. აღნიშნული ეპიტაფიის მიხედვით, იგი გარდაცვლილა 1701 წლის 17 სექტემბერს.

ჩნდება კითხვა – როდის შეიძლება შემონაზვნებულიყო პაპუნას თანამეცხდრე ბანგიჯასპი?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მოვიხმობთ ამავე ფიტარეთის მონასტრის ცენტრალური დარბაზის იატაკში მდებარე კიდევ ერთ, 1689 წლის პაპუნა ყაფლანიშვილის სახელზე ამოკვეთილ ეპიტაფიას:

„1. მე დიდის ორ

2. ბელის შვლის ბტონი

3. ს: ყფლ˜ნის: უხუცესი ძე

4. სომხითის. მორვი საორბ

5. ლს პტრონი: სბრათიანოს დ

6. იდი თვდი: მეფის გიორგ

7. ის: დედის: ძმა: ბტონი: პა

ჩემ ცოდვილისათვი|[ს], რათა თქვენცა მოგეტევ|ნეს ცოდვანი თქვენნი, ამინ. | დაიწერა ქ{ორონი}კ{ონ}სა ტპთ, სე[კ]დე[ნ]ბ|[რის] იზ, გარდავიც[ვალე]”.

8. პუნა: გარდვიცლე: და ძ

9. ე: არა: მესვა: არცა ას

10. ული: ესოდენის დიდ

11. ების პტრონი: ამ მცირე

12. ს სფლვს: დავემკვიდ

13. რე: შეძ˜რვდ ჴელს: ნ

14. უ: მყოფთ: შ˜ნდობ˜ს

15. ბრძანებდეთ: გვდრ˜ბ: ქკ: ტოზ:

ქარაგმების გახსნით და ლიგატურების ამოკითხვით:

„მე დიდის ორბელის შვილის ბატონის ყაფლანის უხუცესი ძე სომხითის მო(უ)რავი, საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი, მეფის გიორგის დედის ძმა ბატონი პაპუნა გარდავიცვალე და ძე არ მესვა არცა ასული. ესოდენის დიდების პატრონი ამ მცირე საფლავს დავემკვიდრე, შეძვრად ჴელს ნუ მიყოფთ, შენდობას ბრძანებდეთ გევედრებით. ქორონიკონი ტოზ (1689)“ (ჩიტაია 1926: 119-120).

როგორც აღნიშნული ეპიტაფიიდან ვიგებთ, ყაფლან ორბელიშვილი 1689 წელს გარდაცვლილა. თუ ამ საფლავის ქვის წარწერას შევუჯერებთ ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილ 1689 წლის 11 აპრილის საბუთს, სადაც პაპუნა ბარათაშვილი და მისი თანამეცხედრე ბანგიჯასპი მოქმედ პირებად იხსენიებიან, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბანგიჯასპი მონაზვნად აღკვეცილა 1689 წლის 11 აპრილის შემდეგ.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, თუ რომელი წლიდან შემონაზვნდა პაპუნა ორბელიშვილის თანამეცხედრე ბანგისჯასპი, მეტად მნიშვნელოვანია შემდგომი საკითხი – თუ რომელ მონასტერში იყო შემონაზვნებული პაპუნას მეუღლე ბანგიჯასპ ყოფილი, მონაზონი ბარბარე და შემდგომში სქემოსანი ფებრონია?

საფიქრებელია, რომ ბანგიჯასპი სწორედ ფიტარეთის მონასტერში უნდა შემონაზვნებულიყო. თუმცა ამის პარალელურად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ფიტარეთის ტაძარი XII-XIII საუკუნეებიდან მამათა მონასტერს წარმოადგენდა (მჭედლიძე 2009: 8). როგორც ცნობილია, „საეკლესიო კანონიკის, უფრო ზუსტად კი, ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრების (787 წ.) მე-20 კანონის თანახმად, ენკრატისის ანუ მონაზონი

ქალის ყოფნა სასტიკად იყო აკრძალული მამათა მონასტერში“ (ჯოჯუა 2008: 166). თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ პაპუნა ორბელიშვილის მეუღლის, ბანგისჯასპის ფიტარეთის მამათა მონასტერში შემონაზვნება, ჯერ მონაზონ ბარბარესა და შემსგომ სქემოსან ფებრონიას სახელით?

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა თემო ჯოჯუას მიერ 2008 წლის ჟურნალ „ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები“-ს მე-8 ნომერში გამოქვეყნებული ნაშრომი „გელათელი მონაზონის – ლევან IV დადიანის ცოლყოფილის ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფებრონია ხევარიძის სავედრებელი (XVIII ს-ის I ნახ.) იერუსალიმში გადატანილი ერთი გარეჯული ხელნაწერის (Ven. 4-ის) აშიებიდან“, სადაც მეცნიერი ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული კალიგრაფ ნიკოლოზ ნიკრაის მიერ 1160 წელს გარეჯის მრავალმთაში გადაწერილ კრებულის „სანატრელი“-ს აშიებზე მოთავსებულ კოლოფონებიდან გამოჰყოფს სამ სავედრებელს და ეხება მათი დათარიღებისა და აქ მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის საკითხებს. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია მკვლევრის მიერ გამოყოფილი სამი სავედრებელიდან პირველი, ნინო ბატონიშვილი სავედრებელი. ავტორი სხვა ხელნაწერის მინაწერების, ნარატიული წყაროებისა და კინკლოსური მინაწერების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიდის იმ დასვნამდე, რომ აღნიშნულ სავედრებელში მოხსენიებული მონაზონი თინათინი, ყოფილი ნინო ბატონიშვილი, იყო იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ისა (1660-1661, 1663-1668, 1669-1678, 1679-1681 წწ.) და ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის (1658-1675 წწ.) ძმისწულის, დედოფალ თამარ ბაგრატიონის ქალიშვილი, ამავდროულად სამეგრელოს მთავრის ლევან IV დადიანის (1682-1695/1696 წწ.) თანამეცხედრე. მისი თქმით, თინათინ ბატონიშვილი ქმრის გარდაცვალების შემდეგ 1704 წლის 2 აპრილს მონაზვნად აღკვეცილა ნინოს სახელით. ამის შემდეგ ავტორი ყურდღებას ამახვილებს ნინო ბაგრატიონის მოსწავლის, გაბრიელ გელოვანის ცნობაზე, რომლის მიხედვითაც, როცა 1723 წელს რაჭაში დაბანაკდა ქართლის მეფე ვახტანგ VI (1703-1724 წწ.), იგი გელათის მონასტერში იმყოფებოდა. მის მიერვე დასმულ კითხვაზე, თუ, რა იზნით იმყოფებოდა ნინო ბატონიშვილი ამ დროისათვის გელათის მონასტერში, სარწმუნო პასუხად მისი გელათის მონასტერში შემონაზვნება მიაჩნია. ის სამართლიანად ფიქრობს, რომ მან ისარგებლა თავისი საგვარეულო

პრივილეგიით და ამის გამო აირჩია სამოღვაწეოდ იმერელ ბაგრატიონთა საძვალე – გელათის მონასტერი. შემდგომ ამისა, ყურადღებას ამახვილებს ნიკეის VII საეკლესიო კრების (787 წ.) მიერ დადგენილ მე-20 კანონზე, რომლის თანახმადაც ქალის ყოფნა მამათა მონასტერში სასტიკად აკრძალული იყო. მკვლევარი ფიქრობს, რომ აღნიშნული მე-20 კანონი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ყოველთვის არ იყო დაცული. მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისათვის მეტი სიმტკიცის შეძენის მიზნით, მოჰყავს ერეკლე I ნაზარალი-ხანისა (1688-1703 წწ.) და მისი თანამეცხედრის, ანა ჩოლოყაშვილის (გარდ. 1716 წ.) ასულის, მარიამ ყოფილ, მაკრინე მონაზონის მაგალითი, რომელიც ქმრის, სახლთუხუცესს ედიშერ ჩოლოყაშვილის გარდაცვალების შემდეგ, შემონაზვნებულა ალავერდის მამათა მონასტერში, უფრო კონკრეტულად კი, ალავერდის წმ. გიორგის საეპისკოპოსო ტაძრის წმ. ნიკოლოზის ეკვდერში (ჯოჯუა 2008: 153-167).

ჩვენი აზრით, ყაფლან ორბელიშვილის თანამეცხედრემ, ბაგიჯასპ ყოფილმა, მონაზონმა ბარბარემ და შემდგომში სქემოსანმა ფებრონიამ თინათინ და მარიამ ბატონიშვილების მსგავსად, ისარგებლა იმით, რომ საყაფლანიშვილოს უფროსის, პაპუნა ორბელიშვილის თანამეცხედრე იყო და ქმრის გარდაცვალების შემდეგ შემონაზვნდა ყაფლანიშვილთა საძვალე – ფიტარეთის ღმრთიმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის მამათა მონასტერში, სადაც, როგორც მის სახელზე ამოკვეთილი ეპიტაფიიდან ვიგებთ, გარდაიცვალა 1701 წლის 17 სექტემბერს. ეს არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ირღვეოდა გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში ნიკეის VII საეკლესიო კრების მე-20 კანონი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასევე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აბაშის ასული ბანგისჯასპ ყოფილი, მონაზონი ფებრონია 1689-1701 წლებში ეწეოდა სასულიერო ცხოვრებას ფიტარეთის მონასტერში.

გარდა ამისა, პაპუნა ორბელიშვილის საფლავის ქვის წარწერისა და 1689 წლის 11 აპრილის საისტორიო საბუთის ურთიერშეჯერება საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ პაპუნა ყაფლანიშვილის გარდაცვალების ქრონოლოგია და იგი 1689 წლის ნაცვლად, 1689 წლის 11 აპრილის შემდგომი პერიოდით განვსაზღვროთ.

ამრიგად, აბაშ ბარათაშვილისა და მისი ფეოდალური სახლის წევრებისადმი გაცემულ საისტორიო საბუთების, პირღებულის მონასტრის 1712 წლის სუფრაჯ აბაშ აბაშისშვილის

საფლავის ქვის წარწერის, პირღებულის მონასტრის 1716 წლის სუფრაჯ დავითისა და მისი თანამეცხედრის, გივის ასულ მარიამის ეპიტაფიის, ტანძიის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამშენებლო წარწერის, ფიტარეთის მონასტრის 1689 წლის პაპუნა ორბელიშვილის საფლავის ქვის წარწერისა და ამავე ფიტარეთის მონასტერის 1701 წლის სქემოსან ფებრონიას, ყოფილი ბანგიჯასპის ეპიტაფიის ურთიერთშეჯერების საფუძველზე მეტად საინტერესო დასკვნებამდე მივედით:

1. აბაშ ბარათაშვილის მამას სახელად დავითი რქმევია.

2. აბაშ აბაშიშვილი გარდაცვლილა 1662-1683 წლებს შორის.

3. აბაშის უფროსი ვაჟი, დავითი ქართლის მეფეს გიორგი XI-ს ახლდა ირანში და აქტიურად მონაწილეობდა ბელუჯთა და ავღანელთა წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში 1695-1703 წლებში.

4. აბაშ ბარათაშვილის რიგით მეორე ვაჟი, სუფრაჯი აბაშიí გარდაცვლილა 1712 წელს.

5. აბაშ ბარათაშვილის უფროსი ვაჟი, სუფრაჯი დავითი და მისი თანამეცხედრე, გივი ამილახორის ასული მარიამი გარდაცვლილა 1716 წელს.

6. აბაშ ბარათაშვილს, დავითისა და აბაშის გარდა, ჰყოლია კიდევ ერთი ასული, სახელად ბანგიჯასპი, რომელიც დიდი ყაფლანის უფროსი ვაჟის, პაპუნა ორბელიშვილის მეუღლე იყო.

7. აბაშის ასული ბანგიჯასპი შემონაზვნებულა ფიტარეთის მონასტერში 1689 წლის 11 აპრილის შემდეგ.

8.ბანგიჯასპ-ყოფილი, მონაზონი ბარბარე, შემდგომში სქემოსანი ფებრონია გარდაცვლილა 1701 წლის 17 სექტემბერს.

9.აბაშის ასული ბანგისჯასპ ყოფილი, მონაზონი ფებრონია ეწეოდა სასულიერო ცხოვრებას ფიტარეთის მონასტერში 1689-1701 წლებში.

10.პაპუნა ორბელიშვილი გარდაიცვალა 1689 წლის 11 აპრილის შემდეგ.

11. სუფრაჯ დავითის ვაჟის, ნოდარ აბაშიშვილის სუფრაჯობას ქართლის სამეფო კარზე განვსაზღვრავთ 1716-1724 წლებით.

12.სუფრაჯი დავითის შვილი, ნოდარ აბაშიშვილი, მისი მეუღლე ანა, თავიანთ შვილებთან და მსახურ-აზნაურებთან ერთად ვახტანგ VI-ს რუსეთში გაჰყოლია 1724 წელს.

13. ნოდარ აბაშიშვილის რუსეთიდან ქართლში დაბრუნებას განვსაზღვრავთ 1725-1727 წლებით.

§ 2. მასალები ქაიხოსრო აბაშიშვილ-ავთანდილიშვილის ფეოდალური ოჯახის შესახებ

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება XVII საუკუნის I ნახევრის ქართლის დედოფლის სუფრაჯის, ავთანდილ აბაშიშვილის ერთ-ერთი ვაჟის, ქაიხოსრო ბარათაშვილის, ფეოდალური ოჯახის ისტორიას. ქაიხოსრო აბაშიშვილის შესახებ ქართულ ნარატიულ წყაროებში ვერანაირ ცნობას ვერ ვხვდებით, შევეცდებით ქართულ დიპლომატიკური ძეგლების, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ორთაშუას წმ. იოანე მახარებლის, პირღებულის მონასტრის 1712 წლის დავით აბაშიშვილის ეკლესიის 1701 წლის სამშენებლო წარწერისა და პირღებულის მონასტრის დავით აბაშიშვილის თანამეცხედრის „დიდი მოურვიშვილის შოშიტას (?)“ ასულის თინანის ეპიტაფიის, ამავე პირღებულის მონასტრის 1714 წლის, ქაიხოსროს ძის, აბაშის საფლავის ქვის წარწერისა და ვახტანგ VI დასტურლამალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე წარმოვადგინოთ ქაიხოსრო ავთანდილიშვილის ფეოდალური სახლის შესახებ არსებული დღემდე უცნობი დეტალები.

ქაიხოსრო აბაშიშვილის შესახებ სულ 17 ისტორიული საბუთი მოგვეპოვება: 1. ქართლის მეფის როსტომის წყალობის განახლების წიგნი, გაცემული აბელ ბარათაშვილისა და მისი ძმებისადმი (სეა, 1450 15/21; 1653 წ.); 2. ვახტანგ V-ის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილებისადმი (ხეც, შდ-1; 1664 წ.); 3. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ხანგანოსაანთ აფრიამას მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი (ხეც, QD-8563; 1683 წ.); 4. დავის გარიგების წიგნი, აბაშიშვილებისა და იოთამიშვილების მამულის საქმეზე (სეა, 1450 38/18; 1687 წ.); 5. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოთარ ჯიმშიტაშვილის მიერ ქაიხოსრო აბაშიშვილისადმი (სეა, 1450 15/8; 1689 წ. XI. 15.); 6. ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუა ლამაზასშვილის მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის (სეა, 1450 15/50; 1689 წ. XI. 15.); 7. ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუა ლამაზაშვილის მიერ ქაიხოსრო ავთანდილიშვილისათვის (სეა, 1450 15/49; 1690. V. 27.); 8. წისქვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუა ლამაზასშვილის მიერ ქაიხოსრო

ბარათაშვილისათვის (სეა, 1450 15/7; 1690. VI. 1.); 9. მიწის ნასყიდობის სიგელი, მიცემული გორჯასპ საგინაშვილის მიერ ქაიხოსროსათვის (სეა, 1450 15/5; 1697 წ.); 10. სვიმონ ბატონიშვილის წყალობის წიგნი, მიცემული დავით, აბაშ, იასე (ბარათაშვილ-აბაშიშვილ-ქაიხოსროსშვილთ) აბაშიშვილებისადმი მათი მკვიდრი გარისს მცხოვრები სახასო სარქისაშვილების ბოძების შესახებ (სეა, 1448-107; 1714. VI. 4.); 11. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო შანშიაშვილის მიერ პაპიაშვილ ბეჟანისათვის (ბერძენიშვილი 1940: 194; 1721 წ.); 12. სოფელ გარისის წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ VI-ის (1703-1724 წწ.) მიერ დავით და იასე აბაშიშვილებისათვის (სეა, 1450 15/16; 1723. IV. 15.); 13. ყმებისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ ოთარ რატისშვილისათვის (ხეც, QD-8569; 1724. IX.); 14. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო დოლენჯიშვილის მიერ მანგლელ იოსებ აბაშიშვილისადმი (სეა, 1450 38/50; 1725. VIII. 7.); 15. ნასყიდობის საბუთის ფრაგმენტი (სეა, 1450 38/56; 1725 წლის. VIII. 7.); 16. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო დოლენჯიშვილის მიერ ორბელ იოთამიშვილისადმი (სეა, 1450 38/48; 38/49; 1725 წ.); 17. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ასპაშვილ მაჰმად-აღას მიერ გოსტაშაბიშვილ იესესათვის (თაყაიშვილი 1899: 451-452; 1728 წ.).

ვიძლევით, ზემოთ ჩამოთვლილ ისტორიულ დოკუმენტებში დაცულ ცნობებს ქაიხოსრო აბაშიშვილის ფეოდალური სახლის შესახებ.

ქაიხოსრო აბაშიშვილი პირველად 1653 წლის როსტომ მეფის წყალობის განახლების სიგელში გვევლინება თავის ძმებთან – აბელთან და იესესთან ერთად. იგი, მათთან ერთად, ქართლის მეფისაგან იღებს იმ მამულებს, რომლებიც მისი მამის, სუფრაჯ ავთანდილის მფლობელობაში იყო. ეს სიგელი დაწვრილებით გვაქვს განხილული ქაიხოსროს მამის, სუფრაჯ ავთანდილისადმი მიძღვნილ სტატიაში, ამიტომ აქ მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ მის ხელმეორედ განხილვას.

მეორედ იგი 1664 წლის ვახტანგ V-ის წყალობის სიგელში გხვდება მის ძმასთან, ავთანდილთან ერთად. ამ დოკუმენტის მიხედვით, ისინი ქართლის მეფისაგან იღებენ თავიანთი მამის – ავთანდილის ნაქონ ქციას, რომელიც მათ „ცოტას ხანსა დაუნაშავებლად“ გამორთმეოდათ.

ამის შემდეგ ქაიხოსრო, დაახლოებით 20-წლიანი ინტერვალით, ქართული საისტორიო საბუთებიდან ქრება და 1683 წელს კვლავ ჩნდება. 1683 წლის საბუთი ნასყიდობის სიგელს წარმოადგენს, რომლის მიხედვით ვიგებთ, რომ „..ესე ნასყიდობისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცითა ჩვენა, ხანგანოსათა თოროსასა, შვილმანა აფარიამამან<ა> და ჩემ{მ}ა ძმისაწულმან<ა>, ჰასრათამან და ჩემ{მ}ა შვილმა ოსეფამანა, სა{ხ}ლისა მომავალ<ა>მა ჩვენ<ა>განა, თქვენ<ა>, ბარ{ა}თათა ავ<ა>თანდილის<ა>შვილ<ი>სა ქაიხოს<ა>რო<ვა>სა და შვილისა თქ{უენ}<ა>სა – დავით<ა>სა და აბაშ<ა>სა და ბერ<ა>სა, ნიკ<ა>ოლოზ<ო>სა, სახლისა მომა<მა>ვალ<ი>სა თქვენ<ა>სა.

ასრე და ამა პირ<ა>სა ზედან<ა>, რომე როდისაცა გასყიდვა მოვინდომეთ, ჩვენის ა-სხლობი<ს>{თ}ა მოვედითა, ჩვენისა ნება-წადილითა ჩვენისა სახლ-კარისგანა მოგ<ა>ყიდეთა სამი სახლი სიგ<ად>{რ}ძე <თ> თეთრმეტი მ<ა>ხარი<ა> და განი სამი ადგილი და ერთი ჩარექი<ა>, ერთი გუერდი ჩვენასა დარ<ა>ბაზ<ა>სა მოკიდებითა, ერთი გუერდი შარასა მოკიდებითა ქვემოთი თვი{თ} ბატონისა ანბარასა მოკიდებითა, ერთი გუერდი .... ეზოა, მისისა შესავალ-გამოს{ა}ვლითა...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (ხეც, QD-8563).

როგორც ვხედავთ, 1683 წელს ქაიხოსრო აბაშიშვილმა ხანგანოსაანთ აფრიამასაგან – სამი სახლი აფრიამას დარბაზამდე, ბატონ ანბარას სახლამდე იყიდა. იგი ამ დუკუმენტში თავის ვაჟებთან – დავით, აბაშ, ბერასა და ნიკოლოზთან ერთად არის მოხსენიებული.

1687 წელს იგი თავის სახლიკაცებთან: დავით აბაშიშვილ და შერმაზან მერაბიშვილთან ერთად აწარმოებს დავას იოთამიშვილებთან. აღნიშნულ დავის წიგნში ვკითხულობთ: „ბატონისშვილის მდივანბეგის ბძანებით, მოვედით ჩვენ, მდივანი ბეგთაბეგ და ჩემი ბიძაშვილი ფარსადან, იოთამიშვილი მოვიდა მისი ძმისწულები ავთანდილიშვილს ქაიხოსროსა და აბაშიშვილს დავითასა და მერაბიშვილს შერმაზანს და მის ძმებსა დიურს მიწას ნასყიდობით ესარჩლებოდნენ და ფიციც იოთამიშვილებს დაედვათ მაგრამე ამათ აღარ აფიცეს და, ისრე უფიცრად, ყმისა თუ თავეთი ნასყიდი ზეით, რუს პირს რომ ორი საწნახელი დგას ის იოთამიშვილებს დარჩა; და ქვეშეთ, რომ მეორე საწნახელი დგას, იქითის პირიდამ ისე ჩატანებით, მაშავრის პირამდის ჩასამძღვრული და აქეთ

აკურთისაკენ იასვანისშვილებს რომ ნასყიდი მიწები აქვს, იმას მიდგმამდის, დარჩა იოთამისშვილებსა გივსა და მის ძმისწულებსა, ამასდა გარდა, იქაურს მიწებზედა სხვა საცილო აღარა აქვს-რა...“ (სეა, ფ. 1450 38/18).

ამ საბუთიდან ვიგებთ, რომ მდივანბეგის ბრძანებით, მდივანი ბეგთაბეგი და მისი ბიძაშვილი ფარსადანი, მოვიდნენ აბაშიშვილებსა და იოთამიშვილებს შორის წარმოებულ დავაზე დიური მიწების გამო, რაც იოთამიშვილების სასარგებლოდ გადაწყდა. ამ მიწებიდან ერთი ნაწილი იოთამიშვილებს დარჩა, ხოლო მეორე ნაწილი – იასვანისშვილებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქაიხოსრო აბაშიშვილი დავას იოთამიშვილებთან თავის სახლიკაცებთან – დავით აბაშიშვილთან და შერმაზან მერაბიშვილთან ერთად წარმართავს.

1689 წელს ქაიხოსრო კვლავ მიწების შეძენით არის დაკავებული და ამჯერად ყიდულობს მიწას ოთარ ჯიმშიტაშვილისაგან. აღნიშნულ ნასყიდობის წიგნში ნათქვამია, რომ „ ...ესე უთუო და უთუმცაო, დრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოუღებელი ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, ჯიმშიტ{ა}შვილმან ოთარმან, ძმისწულმან ჩვენმან, თქვენ, ავთანდილიშვილს ქაიხოსროვსა, შვილსა თქვენსა – დავითსა და აბაშსა, ლუარსაბს და იასესა, ჩამამავალსა სახლისა თქვენისასა.

ასე და ამა პირსა ზედა, ოდეს დ{ა}გუეჭირდა და მოგყიდეთ ჩვენი ნასყიდი მიწა ქობულისის პირშია, ზეით გოხმ-ადის და ქვეით გოხამ<ა>დის ბოლო, ქობულეთის მ<ა>ძ<ა>ღვარი რომა ჩ{ა}ივლის, იქ{ა}<ი>მ<ა>დის: ავიღეთ ფასი უნაკლულოთ, რითაც ჩვენი გული შეზჯერდებო<ნ>{და}...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, ფ.1450 15/8).

ამრიგად, 1689 წლის 15 ნოემბერს ქაიხოსრომ ოთარ ჯიმშიტაშვილისაგან იყიდა ქობულისის პირს მდებარე მიწა აფხაზის ხოდაბუნიდან ქობულისის საზღვრამდე. იგი ამ საბუთში თავის ვაჟებთან – დავით, აბაშ, ლუარსაბ და იესესთან ერთად გვევლინება. თუ აღნიშნულ საბუთს შევადარებთ 1683 წლის სიგელს, სავსებით ნათელია, რომ ქაიხოსროს გვერდით უკვე აღარ გხვდება აღარც მისი რიგით მეორე და აღარც რიგით მესამე ვაჟები, ბერა და ნიკოლოზი. თუმცა, ამის პარალელურად ქაიხოსროს გვერდით, ახლა უკვე მათი მომდევნო ძმების ლუარსაბისა და იასეს სახელები ჩნდება. ამგვარ ცვლილებას შეიძლება

ერთადერთი ახსნა მოეძებნოს ის, რომ 1689 წლის 15 ნოემბრისათვის ქაიხოსროს ვაჟები: ბერა და ნიკოლოზი გარდაცვლილნი არიან. ეს ახსნა სავსებით შეესაბამება ბერას გარდაცვალების საკითხს და შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ იგი 1683-1689 წლებს შორის უნდა გარდაცვლილიყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ბერას სახელი არც შემდგომი დროის საბუთებში და არც ნარატიულ წყაროებში აღარ გხვდება. რაც შეეხება ნიკოლოზს, აქ საქმე სულ სხვა რამესთან გვაქვს. ჩნდება კითხვა – თუ ნიკოლოზი გარდაცვლილი არ არის და ცოცხალია, მაშ რატომ აღარ იხსენიება 1689 წლის საბუთში თავისი მამის – ქაიხოსროსა და მისი ძმების გვერდით?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მოვიხმობთ ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის 1724 წლის ამალის ნუსხას, რომელშიც ჩამოთვლილნი არიან ის პირები, რომელნიც ქართლის მეფეს რუსეთში გაჰყვნენ. აქ ცალ-ცალკეა დაყოფილი მეფის, დედოფლის და ბატონიშვილების ამალათა ნუსხები, ხოლო ერთ-ერთი ამათგანი არის ეპისკოპოზთა ნუსხა, რომელშიც სასულიერო პირებს შორის ვხვდებით ნიკოლოზის სახელს: „თავადიშვილი, პირღებულის წინამძღვარი ნიკოლოზ, ამისი მსახური; ყოვლად წმინდის ეკლესიის მქონე“ (პაიჭაძე 1960: 233).

აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია ნიკოლოზის მოუხსენიებლობა 1689 წლის საბუთში, იგი სასულიერო პირი გამხდარა და, რაც ყველაზე საინტერესოა, იმ მონასტრის (მხედველობაში გვაქვს პირღებულის მონასტერი – თ.გ.) წინამძღვარი ხდება, რომელიც მისი საგვარეულო ოჯახის საძვალეს წარმოადგენდა. თუ ამოვალთ იქიდან, რომ ნიკოლოზი უკანასკნელად ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში 1683 წელს იხსენიება, ამას შევუჯერებთ 1689 წლის ნასყიდობის სიგელს, სავსებით ლოგიკურია, თუ ვიფიქრებთ, რომ ნიკოლოზ აბაშიშვილს სასულიერო ცხოვრება 1683-1689 წლებში უნდა დაეწყო. გარდა ამ ნუსხისა, ნიკოლოზ აბაშიშვილის სახელზე მოგვეპოვება კიდევ ერთი საბუთი, რომელიც სამწუხაროდ, უთარიღოა და ერეკლე I ნაზარალი-ხანის მეფობის წლებით – [1688-1703] თარიღდება. ამ საბუთში ქართლის მეფე ერეკლე I მიმართავს მესტუმრეს: „...ჩვენ მაგიერად ჩვენასა დიდ<ა>სა იმედ<ა>სა [დ]იდად: იმედად: მისჩ<ე>ნე{უ}ლ ..... ბ{ა}ტონს, სუფრ{ა}ჩ{ს} ავთანდილ<ა>ს და წინამაძღვ{ა}რ<ი>ს ნოკოლოზ<ა>ს მრავალი მოკითხვა მოახსენეთ.

მერმე, ფარ<ა>სიასი და დათუნასი სამართალი ხერხეულიძეს რევაზას სამართალი ექნას და ან იმის გან{ა}ჩენში ეწეროს, თქვენც გ{ა}უსინჯეთ და ისე გ{ა}ურიგეთ და შეარიგეთ. თუ რამ ერთმანერთ<ა>ში სალაპარაკო ჰქონდესთ, ყველა გუსინჯეთ და გ{ა}ურიგეთ“. ნაზარალი ხანის ბეჭედი: „ნაზარალი-ხან“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (ხეც, QD-254).

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ქართლის მეფე სუფრაჯ ავთანდილსა (1693 1708 წწ.) და წინამძღვარ ნიკოლოზს ავალებს დათუასა და ფარსიას შორის არსებული დავის მოგვარებას. ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ წინამძღვარ ნიკოლოზში პირღებულის მონასტრის წინამძღვარს, ქაიხოსროს რიგით მეოთხე ვაჟს – ნიკოლოზ აბაშიშვილს მოვიაზრებთ. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ გამოდის, რომ იგი პირღებულის მონასტრის წინამძღვარი ერეკლე I-ის მეფობის დროს უკვე ყოფილა, რაზეც ნათლად მეტყველებს აღნიშნული დოკუმენტი.

მართალია, ერეკლე I-ის ბრძანების წიგნი „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“-ს I ტომში მისივე მეფობის წლებითაა განსაზღვრული (კლდიაშვილი .... 1991: 393), შეგვიძლია კიდევ უფრო დავავიწროვოთ აღნიშნული სიგელის ქრონოლოგია. როგორც ერეკლე I-ის ბრძანებიდან ჩანს, აღნიშნული დავა წინამძღვარ ნიკოლოზს სუფრაჯ ავთანდილთან ერთად უნდა მოეგვარებინა. აღნიშნული პიროვნება ქართულ საისტორიო საბუთებში 1693 წლიდან გვევლინება როგორც დედოფლის სუფრაჯი. ეს ყოველივე კი საფუძველს გვაძლევს კიდევ უფრო დავავიწროვოთ ერეკლე I ნაზარალი-ხანის ბრძანების თარიღი და იგი 1688-1703 წლების ნაცვლად, 1693-1703 წლებით განვსაზღვროთ. აქვე დავძენთ იმასაც, რომ „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“-ს ავტორები 1693-1703 წლების საბუთში მოხსენიებულ ნიკოლოზ წინამძღვარს 1692-1703 წლებში მოღვაწე ჯვარის წინამძღვარ – ნიკოლოზთან აიგივებდნენ, რაც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, არ შეესაბამება რეალობას (ბაქრაძე.... 2004: 301).

გარდა ზემოაღნიშნული 1724 წლის ვახტანგ მეფის ამალის ნუსხისა და 1693-1703 წლების სიგელისა, ნიკოლოზ აბაშიშვილთან დაკავშირებით საინტერესოა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1709 წლის პირველნაბეჭდი სახარების მინაწერი, რომელიც ნიკოლოზ აბაშიშვილს ეკუთვნის. მოგვაქვს მინაწერის არქეოგრაფიული აღწერილობა,

ტექსტის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩვენეული წაკითხვა:

1736 წლის 20 სექტემბრის მინაწერი შესრულებულია 1709 წლის პირველნაბეჭდი სახარების (Q-912) 157 რ-ს შუა ნაწილში, 7 სტრიქონად, ლამაზი კალიგრაფიული მხედრულით, შავი ფერის მელნით, განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია წერტილი ან ორწერტილი, ქარაგმად ნახმარია სწორკუთხა ფორმის ხაზი. დღეისათვის ტექსტი გამოქვეყნებულია ორჯერ: პირველად – 1958 წელს (ბრეგაძე 1958: 335), მეორედ – 2009 წელს მაია კარანაძის მიერ (კარანაძე 2002: 52).

ქ: ოდეს ჟამთა ვითარებისაგან. მეფე ვახტანგ: მ
იბძანდა. სამეუფოსა: ქალაქსა: მოსკოს: თან. ვი
ახელ. ნიკოლოზ. აბაშიშვილი: ვეკურთხე. არქი
მანდრიტად. დიდი: ჴელმწიფის: ბრძანებითა: და წმი
ნდის სინოდის. შენდობით და კურთხევითა:
ქ˜კს: ჩღლვ,
თვესა სეკნდემბერს: კ

„ქ. ოდეს ჟამთა ვითარებისაგან მეფე ვახტანგ მ|იბ{რ}ძანდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკო{ვ}ს, თან ვი|ახელ ნიკოლოზ აბაშიშვილი, ვეკურთხე არქი|მანდრიტად დიდი ჴელმწიფის ბრძანებითა და წმი|ნდის სინოდის შენდობით და კურთხევითა, | ქ(ორონი)კ(ონ)ს ჩღლვ (1736), | თვესა სეკნდემბერს კ (20) (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.)“.

როგორც ამ მინაწერიდან ვიგებთ, ნიკოლოზ აბაშიშვილი თან ახლდა ვახტანგ VI-ს, როდესაც ქართლის მეფე მოსკოვს მიბრძანებულა. 1736 წლის 20 სექტემბერს იგი, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტად კურთხეულა. აღნიშნული მინაწერი მოყვანილი აქვს მაია კარანაძეს თავის ნაშრომში: „ქართული წიგნის ყდის ისტორია“, სადაც მეცნიერის ძირითად ინტერესს ქართული წიგნის ყდის შექმნის ისტორია წარმოადგენს. აღნიშნულ მონოგრაფიაში სხვა ხელნაწერებთან ერთად მას მოხმობილი აქვს ჩვენთვის საინტერესო 1709 წლის პირველნაბეჭდი სახარებაც. მკვლევარი მას შემდეგ, რაც მიმოიხილავს ამ ხელნაწერის 1872 და 1873 წლების მინაწერებს, რაც მეცნიერს აძლევს იმის

საშუალებას, სამართლიანად აღნიშნოს, რომ 1709 წლის ხელნაწერი ერთ დროს დადიანების საკუთრებას წარმოადგენდა, დასძენს: „Q-912 პირველნაბეჭდ წიგნთან ერთად ბოლოში აკინძულია ერთი ფურცელი, ჩვენთვის საინტერესო მინაწერით (ქაღალდი ჭვირნიშნიანია. სკლეპიკოვის კატალოგის მიხედვით 1731 ან 1734 წწ. თარიღდება): „ქ. ოდეს ჟამთა ვითარებისაგან მეფე ვახტანგ მიბრძანდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, თან ვეახელ ნიკოლოზ აბაშიშვილი; ვეკურთხე არქიმანდრიტად, დიდისა ჴელმწიფისა ბრძანებითა და წმინდა სინოდის შენდობით და კურთხევითა ქ˜კს ჩღლვ, თვესა სეკდემბერს კ“ (157რ). ვფიქრობთ, მინაწერიანი ფურცელი 1872 წ. წიგნის ხელმეორედ (შესაძლებელია მესამედ) აკინძვამდე ფორზაცად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. 1736 წლით დათარიღებული მინაწერიდან ვიგებთ, რომ, სანამ პირველნაბეჭდი სახარება Q-912 ჯერ წერეთლებისა და დადიანების საგვარეულო კუთვნილება გახდებოდა, იგი ვინმე ნიკოლოზ აბაშიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც 1724 წელს ვახტანგ VI-ს გაჰყოლია მოსკოვში, სადაც 1736 წელს ეკურთხა არქიმანდრიტად. ჩვენი ვარაუდით, Q-912-ის მინაწერში მოხსენიებული ნიკოლოზ აბაშიშვილი უნდა იყოს ქაიხოსრო ბარათაშვილ (აბაშიშვილის) ერთ-ერთი ვაჟი ნიკოლოზი, რომელსაც ვხვდებით 1683 წლით დათარიღებულ საბუთში QD-8563. ვფიქრობთ, Q-912 პირველნაბეჭდი სახარება პირველად 1709 წელს უნდა აეკინძათ და ჩაესვათ ყდაში, მეორედ დაახლოებით 1731-1736 წწ., მესამედ 1872 წელს გაუკეთეს ვერცხლის მოოქროვილი, მოჭედილი ყდა“ (კარანაძე 2002: 53).

როგორც ვხედავთ, მეცნიერი სამართლიანად ახდენს 1683 წლის საბუთში ნახსენებ ქაიხოსროს ვაჟის ნიკოლოზისა და Q-912 ხელნაწერის 1736 წლის მინაწერში მოხსენიებული ნიკოლოზ აბაშიშვილის იდენტიფიცირებას. მკვლევარი 1736 წლის მინაწერის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აღნიშნული ხელნაწერი სანამ დადიანების ხელში მოხვდებოდა, იგი ნიკოლოზ აბაშიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მკვლევარი ერთი მხრივ მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ 1736 წლის მინაწერის ქაღალდი ჭვირნიშნიანია და მას სკლეპიკოვის კატალოგის მიხედვით 1731 ან 1734 წლებით ათარიღებს, მეორე მხრივ უდარებს 1736 წლის ნიკოლოზ აბაშიშვილის მინაწერს და მიდის შემდგომ დასკვნამდე, რომ იგი ხელმეორედ ყდაში უნდა ჩაესვათ 1731-1736 წლებში.

ერთი შეხედვით, არაფერი გვაქვს სადავო ნიკოლოზ აბაშიშვილის ამ მინაწერის

თარიღთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებითაც, რომ მინაწერი პირველ პირშია დაწერილი და უფრო მართებულია თუ ვიფიქრებთ, რომ თვით ნიკოლოზ აბაშიშვილის ხელით.

მიუხედავად ამისა, ვსვამთ კიდევ ერთ კითხვას: რამდენად შეესაბამება რეალობას ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ აბაშიშვილი მაინცდამაინც 1736 წლის 20 სექტემბერს ეკურთხა არქიმანდრიტად?

ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1726 წლის ვახტანგ მეფის წყალობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ აბაშიშვილისადმი მისი სამკვიდრო სოფლის ღორისთავის ბოძების შესახებ:

,, [ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა.
ჩვენ, ღ(მრ)თივ-აღმატებულმან, ღ(მრ)თივ-დამყარებულმან, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან პაკრატიონმ{ა}ნ და ყოვლის საქართველოს თვითმპყრობელმან, მეფეთ მეფემან, თვითხელმწიფემან, პატრონმან ვახტანგ, თანამეცხედრემ{ა}ნ ჩვენმ{ა}ნ, ჩერქეზთ ბატონის ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, მეფემ ბაქარ და გიორგიმ{ა}ნ.

<ა>{ე}სე ამიერით უკუნისამდენ ხანთა და ჟამთა გასათავებელი, სამკვიდრო და საბოლო{ო}დ გამოსადეგი წყალობისა და სოფლის სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულს და წე{სი}სებრივ მრავალფერად ნამსახურს ყმასა, აბაშისშვილს, ქაიხოსროვის შვილს, არქიმანდრიტს ნიკოლოზს, ძმასა შენსა დავითს და იასეს, ძმისწულსა შენსა ქაიხოსროვს, ლუარსაბს, რევაზსა და გიორგისა და ავთანდილს, სახლისა თქვენისა მ<ა>{ო}მავალთა.

მას ჟამს, ოდეს ხონთქარმ{ა}ნ გვძლია და სახელოვ{ა}ნს ჭელმწიფეს, რუსეთის თვითმპყრობელს იმპერატორს, პეტრე ალექსი{ს} შვილს დავებარებინეთ და პეტრებუხს ვიახელით და ნიკოლოზ არქიმანდრიტი თან გვიახლა, რაც ოდენ შეგეძლოთ, მრავალი გვ<ა>{ე}მსახურეთ. ამა თქვენის მრავალი ნამსახურობის სანუქფოდ მოხვედით კარსა დარბაზისასა, წყალობას დაგვიაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ძველთაგან თქვენი ნაქონი, სამკვიდრო მამული ღორისთავი თავისის შესავლითა,

გასავლითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, სა<დ>{თ}იბითა, უთიბითა დღეს, რითაც მამულის მქონებელი იყოს თქვენთვის გვიბოძებია, {გ}ქონდეს და გიბ<ა>{ე}დნი<ა>{ე}როს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერდგულობასა და სამსახურს შინა, არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგ{ა}ნ.

აწე, გიბძანებ ვექილ-ვეზირნო და კარისა ჩვენისა გამრიგენო, ბ{რ}ძანება ჩვენი თქვენც ასრე დაუმტკიცეთ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უიდ, ოკდო{მ}ბერს ი.

დაიწერა ბრძანება ესე კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის – თუმ{ან}ისშვილის ოთარისათა. [ვახტანგ]“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 1450 15/13).

აღნიშნული წყალობის სიგელის მიხედვით, ვახტანგ VI ქაიხოსროშვილს, არქიმანდრიტ ნიკოლოზ აბაშიშვილს და მის ძმებს უბოძებს მათ სამკვიდრო მამულს ღორისთავს, საუბრობს იმ წინაპირობაზეც, თუ რამ განაპირობა აღნიშნული წყალობის ბოძება ქართლის მეფის მხრიდან ერთგული სასულიერო პირისადმი. ნიკოლოზ აბაშიშვილი ვახტანგს ხლებია პეტერბურგშიც, როცა იგი რუსეთის იმპერატორს პეტრე I-ს დაუბარებია თავისთან და მრავალი სამსახურიც გაუწევია ქართლის მეფისათვის. როგორც ვხედავთ, ეს საბუთი 1726 წლის 10 ოქტომბრით თარიღდება და, რაც ყველაზე საინტერესოა, აქ ნიკოლოზი არქიმანდრიტის ხარისხში მოიხსენიება. ეს ყოველივე შეუსაბამობაში მოდის პირველნაბეჭდი სახარების 1736 წლის 20 სექტემბრის მინაწერთან. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს 1726 წლის ვახტანგ მეფის სიგელს გაცემული არქიმანდრიტ ნიკოლოზ აბაშიშვილისადმი, რადგანაც იგი იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს და მინაწერთან შედარებით ობიექტურად მეტ ნდობას იმსახურებს. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გამოდის, რომ ნიკოლოზ აბაშიშვილი არქიმანდრიტად არა 1736 წლის 20 სექტემბერს ეკურთხა, როგორც ამას მინაწერი გვამცნობს, არამედ 1726 წლის 10 ოქტომბრამდე. ეს სიგელი შინაარსის თვალსაზრისითაც ავსებს 1736 წლის მინაწერს – ნიკოლოზ აბაშიშვილი ვახტანგს არა მარტო მოსკოვში, არამედ პეტერბურგშიც ხლებია.

როგორც ისტორიოგრაფიაში არის ცნობილი, ,, დარეჯან არჩილის ასულის (იგი რუსეთში ცხოვრობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა პეტრე I-თან) დახმარებით, 1725 წლის თებერვალში ვახტანგმა მოსკოვში ჩასვლის ნებართვა მიიღო და გაემართა

ჩრდილოეთისკენ. ამალის დიდი ნაწილი რუსუდან დედოფლისა და ვახუშტი ბატონიშვილის თავკაცობით ასტრახანში დარჩა. ვახტანგმა ოთხმოციოდე კაცი იახლა. ესენი იყვნენ მეფის ძმა სვიმონი და შვილი ბაქარი, სარდლები: ლევან მუხრანბატონი, მამუკა ორბელისძე, ვახტანგ ამილახვარი, სახლთუხუცესი ელიზბარ ორბელისძე, სხვა თავადები და აზნაურები.

ვახტანგი მოსკოვში 1725 წლის 10 მარტს ჩავიდა და დარეჯანის სასახლეში დაიდო ბინა. 6 მაისს პეტერბურგს გაემგზავრა. ქართლის მეფისათვის თავზარდამცემი იყო პეტრე I-ის გარდაცვალება (1725 წლის იანვარი). იგრძნობოდა, რომ პეტრეს შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ერთგვარად შეიცვალა " (მეტრეველი.... 2007: 11).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ იმ ოთხმოც კაციან ამალაში, რომელიც ქართლის მეფეს 1725 წლის მარტსა და მაისში თან ახლდა მოსკოვსა და პეტერბურგში, ნიკოლოზ აბაშიშვილიც ირიცხებოდა.

მხედველობაში ვიღებთ, ერთი მხრივ, ქართულ საისტორიო საბუთებში 1683 წლიდან ნიკოლოზ აბაშიშვილის მოხსენიებას, მეორე მხრივ, ყურადღებას ვამახვილებთ 1726 წლის ვახტანგ მეფის წყალობის სიგელზე და ნიკოლოზ აბაშიშვილის პირღებულის მონასტრის წინამძღვრობას ზოგადი ქრონოლოგიური თარიღით – 1683-1726 წლებით განვსაზღვრავთ.

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ ქაიხოსროს რიგით მეოთხე ვაჟის – ნიკოლოზის ბიოგრაფიული დეტალები, მივყვეთ კვლავ ქაიხოსრო აბაშიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის განხილვას.

იმავე 1689 წლის 15 ნოემბერს ქაიხოსრო პაპუა ლამაზასშვილისაგან ყიდულობს დუესის წყაროსთან მდებარე თავისი ყმის მიერ გაცვლილ საკუნლის მიწას. 1689 წლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „...ესე უთუო და უთუმც{ა}ო დრო-დ{ა}უდებელი, მიზეზ-შემოუღებელი ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, ლამაზასშვილმა პაპუამა, ძმამა ჩვენმა თამაზამა, შვილმან ჩვენმა ლამაზამა, შვილთა და ჩამამავალთ სახლისა ჩვენისამა თქვენ, ბარათაშვილს ბატონს ქაიხოსრო<ვ>სა, შვილსა თქვენსა – დავითსა, აბ{ა}შსა, ლუარსაბსა და იასესა, ჩამამავალთა სახლისა თქვენისასა.

ასე და ამან პირსა ზედან, რომე თქვენისავე ყ<ა>მისაგან გამონაცვალი პაპუნას ნაქონი, დუესის წყაროსთან საკუნლის მიწა მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული..." (ქარაგმის გახსნა

და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/50).

ამ საბუთში ქაიხოსრო თავის ვაჟებთან – დავით, აბაშ, ლუარსაბ და იესესთან ერთად იხსენიება.

1690 წელს ქაიხოსრო ბარათაშვილი იმავე პაპუა ლამაზაშვილისაგან ყიდულობს ამჯერად – მისი ყმის, ჯანიას ნაქონ ორი დღის მიწას და კიდევ ორი დღისას საღირათხევში, გასპარას მიწასთან (სეა, 15/49).

აღნიშვნის ღირსია ის, რომ ამ ნასყიდობის წიგნში ქაიხოსროს გვერდით არც ერთი მისი ვაჟის სახელი არ გხვდება.

ამავე 1690 წლის 1 ივნისს ქაიხოსრო პაპუა ლამაზაშვილისაგან ფ<ი>{ა}რცხისს მდებარე წისქვილს ყიდულობს: „...ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩუენ, ლამაზასშვილმა პაპუამ, ძმამა ჩემა თამაზ და შვილმა ჩემა ლამაზამ თქვენ, ავთანდილიშვილს ბატონს ქაიხოსროს, შვილსა თქუენსა დავით, აბაშსა, ლუარსაბს და იესეს და მამავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

ასე, რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ფ{ა}რცხის ჩემი წისქუილი და ჭალა, ჩემი სამკუიდრო იყო და მოგყიდეთ...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა. 15/7).

როგორც ვხედავთ, აქ, წინა საბუთისაგან განსხვავებით, ქაიხოსროს გვერდით კვლავ ვხვდებით მისი ვაჟების – დავითის, აბაშის, ლუარსაბისა და იესეს სახელებს.

სულ ბოლოს, ქართულ საისტორიო საბუთებში ქაიხოსრო აბაშიშვილი 1697 წლის ნასყიდობის სიგელში გვევლინება: „...ესე წიგნი და სიგელი მოგეც მე, საგინასშვილმა გო{რ}ჯასპიმ და ძმამა ჩემმან ზა{ა}ლ<ალ>, ძმისწულმანა ჩემან დესპატ თქვენ, აბ{ა}შისშვილსა ქაიხოსროს და შვილსა თქვენსა დავითსა და აბაშს და ლუარსაბს და იესეს.

ას<ი>{ე} და ამგვარად, რომ ქავთარისშვილის გუგუნასი და დავითის ვალი მემართა და ამათ თქვენი ვალი ემართა, ჩვენ თქვენ შეგვაპირეს, ჩვენი თქვენ მიწა მოგყიდეთ, რითაც იყო ჩვენი გული შეგჯერდებოდა ქობულისის ბოლოს, იმედასშვილისა გიორგის მიწა, სარქისას მიწამდინ, ზეითი სამძღვარი, ქვეითი სამძღვარი ქვემოთი სარქისას მიწამდი, ზემო სამძღვარი მახარებლისშვილის მიწამდი...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/5).

ამ საბუთშიც იგი თავის ვაჟებთან – დავითთან, აბაშთან, ლუარსაბ და იესესთან ერთად არის წარმოდგენილი.

ქაიხოსრო აბაშიშვილის შესახებ მეტად საინტერესოა თეთრიწყაროს რაიონში მდებარე სოფელ ორთაშუას ივანე მახარებლის სახელობის ეკლესიის 1701 წლის სამშენებლო წარწერა, სადაც ავტორი გვთავაზობს აღნიშნული წარწერის გადმონაწერს და მისეულ წაკითხვას:

ქ ბრძანებითა მღთისათა

აღვაშენე წ˜ა ესე ეკლესია

ი˜ე მახარებელისა ჩუენ:. აბა

შის შვილმა ავთანდილის ძემან პატრონმან ქაი

ხოსრომ და თანა მეცხედრემან

ამირეჯიბის ქალმა თი

ნათინ ჩვენდა სულისა

მეოხად ა˜ნ ქ˜კს ჩღა

„По велънию Бога построили сию св. церков вь честъ евангелиста Иоанна мы патронъ Абашишвили Каихосро, сынъ Автандила, и супруга наша Тинатина, урожденая Амиреджиба, в утъшение душъ нашихъ, аминъ, в корониконъ 1701“ (Такаишвили 1905: 1-2).

აღნიშნული წარწერის მიხედვით, 1701 წელს ქაიხოსროს, ავთანდილის ძეს, აბაშიშვილს და მის თანამეცხედრეს, ამირეჯიბ თინათინს იოანე მახარებლის სახელობის ეკლესია აუგიათ ან განუახლებიათ. ეს წარწერა ქაიხოსროს ბიოგრაფიისათვის, როგორც საისტორიო წყარო, აქამდე არ ყოფილა ქართველ მკვლევართა მიერ გამოყენებული. გარდა ამისა, 1701 წლის სამშენებლო წარწერა საინტერესო ცნობებს გვაწვდის აბაშიშვილთა და ამირეჯიბთა სათავადო სახლებს შორის არსებული საქორწინო კავშირის შესახებ, რაც დღევანდელი მონაცემებით, აგრეთვე უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

1701 წლის სამშენებლო წარწერის შემდეგ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ პირღებულის მონასტრის 1712 წლის დავით აბაშიშვილის მეუღლის, „დიდი მოურავიშვილის შოშ[ტას]?“ ასულის – თინანის ეპიტაფიაზე. აღნიშნული საფლავის ქვის

წარწერამ ჩვენამდე სამი ფრაგმენტის სახით მოაღწია.[3]

აღნიშნული ეპიტაფია დღემდე სამჯერ იქნა გამოქვეყნებული. პირველად – 1904 წელს ექვთიმე თაყაიშვილის (Такаишвили 1904: 24.შდრ. Такаишвили 1905: 24), მეორედ – 1999-2001 წლებში ნოდარ ბახტაძის მიერ (ბახტაძე 1999-2001: 99), მესამედ – 2003 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ (ბახტაძე .... 2003: 84), ხოლო მეოთხედ – 2005 წელს, თემო ჯოჯუას მიერ (ბახტაძე ... 2005: 206-207). გთავაზობთ ეპიტაფიის ექვთიმე თაყაიშვილისეულ პუბლიკაციას:

1.„ამა: სამ

2.არხოსა: შ˜ნა:

3.მდებრენ:

4.შ˜ლი... დი

5.დისა: მოურვი

6.შვლსა: შოშ[ტას].

7.ასული და აბაში

8.შვილის დ˜თს

9.თ˜ა მეცხედრე

10.თინანი ვ˜ცა

11.ამოიკითხვი

12.დეთ: შენ

13.დობასა უბ

---

[3] თინანის წარწერიანი საფლავის ქვის მცირე ფრაგმენტს მეცნიერების ფონდ უდაბნოს 1989 წლის კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის წევრებმა პირღებულის მონასტერში მუშაობის დროს, გალავნის მთავარი კარიბჭის პირთან მიაკვლიეს. საფლავის ქვის ეს ფრაგმენტი აქ მოწყობილი იმპროვიზებული მაყალის ერთ–ერთ გვერდად იყო გამოყენებული. მაყალი ახლომდებარე სოფელ სამშვილდის მოსახლეობის მიერ უნდა ყოფილიყო „აგებული“: ადგილობრივი სოფლელები პირღებულის მონსტერს, დროდადრო, საქეიფოდ სტუმრობენ. ამ მიზნით კარიბჭეში რკინის მაგიდა და სკამებიც კი დადგეს. საფლავის ქვის ნატეხის წარწერიანი მხარე პირქვე იდო და ნაცარი ჰქონდა მიყრილი. ექსპედიციის წევრებმა წარწერა მხოლოდ მაყალის მოშლის შემდეგ შეამჩნიეს და ისტორიული მნიშვნელობის ეპიგრაფიკული ძეგლი, მისი დაცვის მიზნით, მთავარი ეკლესიის ინტერიერში გადაიტანეს, სადაც დღემდე ინახება.

14.რძნებდთ

15.ქ˜კს Q“ (Такаишвили 1904: 24.შდრ. Такаишвили 1905: 24).[4]

აღნიშნული საფლავის ქვის მიხედვით ვგებულობთ, რომ დავით აბაშიშვილის თანამეცხედრე თინანი 1712 წელს გარდაცვლილა. 1712 წლის ეპიტაფია საინტერესო ცნობებს გვაწვდის სააკაძეთა და აბაშიშვილთა სათავადო სახლებს შორის არსებული კონკრეტული საქორწინო კავშირის შესახებ, რაც დღევანდელი მონაცემებით, აგრეთვე, უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ამის შემდეგ მეტად საინტერესოა 1712 წლის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო გოსტაშაბისშვილის მიერ აბაშისა და დავითისათვის. საბუთში ნათქვამია: „...ესე .... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, თავადმა ქაიხოსრო გოსტაშაბისშვილმა, ბარათოვმა, თქუ’ნ, დავითს, აბაშს.

ასე, რომ ძველად მურადაშვილს ალავერდას, სოლაღაშვილს ქაიხოსროს და გიორგი ყაფლანიშვილს და ერთიც გოსტაშაბისშვილს, ამ ზემოხსენებულთ დიდებას ოთხი საკომლო ჰქონდათ, ერთი საკომლო ოქროსწონას მამული, მეორე რევანდასშვილს საკუამლო, მესამე როდაშვილს მამული, მეოთხე გუნჯიღას საკუამლო, ამ გლეხებისა მამიდაჩემ{მ}ს, შანშე ერისთავის მეუღლეს, ბატონს ანახანუმისათვის მიეყიდნა და ნასყიდობის სიგლებიც მიეცა და მამიდაჩემ{მ}სა მამის ჩემისათვის მიეცა, ეს მამულები თავიანთის ნასყიდობის სიგლებითა და ჩვენ თქუ’ნ მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.).

აღნიშნული ნასყიდობის წიგნის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანია 1714 წლის სვიმონ ბატონიშვილის წყალობის სიგელი, გაცემული ქაიხოსროს ვაჟების – დავით, აბაშ და იასე აბაშიშვილებისადმი, სადაც ვკითხულობთ: „....ჩვენ, საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან პატრონმან სვიმონ ...წყალობისა და მამულის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ...ბარათაშვილთ-აბაშიშვილის, ქაიხოსროს შვილთ –

[4] 2006 წლის ზაფხულში პირღებულის მონასტერში მოეწყო კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია (ხელმძღვანელი ნოდარ ბახტაძე), სადაც თავადაც მივიღე მონაწილეობა. ბატონ თემო ჯოჯუასთან ერთად, რომლიც აღნიშნული ექსპედიციის ისტორიულ ნაწილს ხელმძღვანელობდა, აღმოვაჩინეთ 1712 წლის ეპიტაფიის ფრაგმენტი, სახელდობრ, მისი ბოლო ოთხი სტრიქონი.

დავითს, აბაშს და იასეს, შვილთა თქვენთა ქაიხოსროს და მამავალთა სახლისა თქვენისათა.

მაშინ, ოდეს მოგვიდეგით კართა დარბაზისა ჩვენისათა და მამულ<ი>ს გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ძველად თქვენი ნაქონი გარის{ს} ახლა ჩვენი სახასო აზნაურიშვილი პარუნ სარქისაშვილები – ალიბეგა ერთი კომლი, ზალია კომლი ერთი და ედიშერა კომლი ერთი, ესენი თავეთის სასაფლაოთი, სახლ-კარითა, მამულითა, მიწა-წყლითა, მთითა, ბარითა, ყოვლის მისის სამართლიანის მზღვრითა...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 1448-107).

1714 წლის წყალობის წიგნის მიხედვით, 1714 წელს სვიმონ ბატონიშვილი დავით, აბაშ და იასე აბაშიშვილებს გარისში მცხოვრებ სახასო აზნაურიშვილებს – ალიბეგა, ზალია და ედიშერა სარქისაშვილებს აძლევს წყალობის სახით. აქვე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ამ საბუთში აღარ გვხვდება ქაიხოსროს რიგით მეხუთე ვაჟის, ლუარსაბის სახელი. მხედველობაში ვიღებთ რა ზემოთ მოყვანილ 1697 წლის ნასყიდობის სიგელს, სადაც უკანასკნელად იხსენიება ლუარსაბ აბაშიშვილი და აქედან გამომდინარე მის გარდაცვალებას – 1697-1714 წლების ფარგლებში ვვარაუდობთ.

1714 წლის წყალობის სიგელის შემდეგ მეტად საინტერესოა ვახტანგ VI-ის 1723 წლის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული დავით და იასე აბაშიშვილებისადმი. აღნიშნულ საბუთში ნათქვამია: „....ჩვენ, ... მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან, პატრონმან ვახტანგ ...შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა დიდად ერდგულსა და მრავალგვარად ნამსახურს ყმასა, აბაშიშვილს დავითს და იესეს, შვილთა თქვენთა: ქაიხოსროს ლუარსაბს და გიორგის და მამავალთა სახლისა თქვენისათა.

მას ჟამსა, ოდეს ჩვენის სამსახურისათვის კარგად და მართებულად შეიბენით და ნარჩენი კაცნი მოგვართვით და ამისად სამუქფოდ წყალობას გვიაჯენით, ჩვენც ვისმინეთ მოხსენება თქვენი და გიბოძეთ გარის{ს} თქვენი ნაქონი აზნაურიშვილი პარუნ სარქისაშვილი, სარქისა, ნასყიდა, სალმახანა, უთრუთა, ალიბეგა ეს{ე}ნი თავეთის მამულითა, მიწა-წყლითა, სახლ-კარითა....“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/16).

როგორც ვხედავთ, ქართლის მეფე ერთგულ ფეოდალებს აძლევს მათ ნაქონ აზნაურიშვილებს – პარუნ, სარქისა, ნასყიდა, სალმახანა, უთრუთა და ალიბეგა

სარქისაშვილების წყალობას უახლებს. ამ წყალობის წიგნში ჩვენი ყურადღება მიიქციია იმ ფაქტმა, რომ დავით და იასე აბაშიშვილების გვერდით ვეღარ ვხვდებით მათი რიგით მეორე ძმის – აბაშის სახელს. ლოგიკურია, თუ ვიფიქრებთ, რომ იგი 1723 წლისათვის გარდაცვლილია, თუმცა საინტერესოა, როდის უნდა გარდაცვლილიყო ქაიხოსრო აბაშიშვილის რიგით მეორე ვაჟი აბაში?

დასმულ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს პირღებულის მონასტრის ცენტრალური დარბაზის იატაკში განთავსებული 1714 წლის ქაიხოსროსა და თინათინის ძის აბაშის ეპიტაფია.

აღნიშნული საფლავის ქვის წარწერა დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ოთხგზის იქნა გამოქვეყნებული. პირველად – 1904 წელს ექვთიმე თაყაიშვილის (Такаишвили 1904: 24.შდრ. Такаишвили 1905: 24), მეორედ – 1999-2001 წლებში ნოდარ ბახტაძის მიერ (ბახტაძე 1999-2001: 99), მესამედ – 2003 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ (ბახტაძე .... 2003: 84-85), ხოლო მეოთხედ – 2005 წელს, თემო ჯოჯუას მიერ (ბახტაძე ... 2005: 209-210).

გთავაზობთ 1714 წლის საფლავის ქვის ეპიტაფიის წარწერის თემო ჯოჯუასეულ წაკითხვას:

1. „[--]ამეთუ
2. ესე. არას. გ
3. ანასასვენე
4. ბელი. ჩემ
5. ი. და. მას დ
6. ავემკვიდ
7. არანეთ. ა
8. რმეთუ. მა
9. თანავს. [ეს]ე
10. [მოიხ]ასე. უფა
11. ლო. მონა. შ
12. ენი. აბაში.
13. ძე. ქაიხ[-]საროსი

14. და. თინათ

15. ინისა. უბ

[ქ.] [რ]ამეთუ | ესე არ<ა>ს გ|ან<ა>სასვენე|ბელი ჩემ|ი და მას დავემკვიდ|<ა>რ<ა>ნეთ. <ა>|რ{ა}მეთუ მ<ა>|თ<ა>ნავს [ეს]ე. | [მოიხ]<ა>სე{ნე}, უფა|ლო, მონა შ|ენი, აბაში, | ძე ქაიხ[ო]ს<ა>როსი | და თინათ|ინისა. | უბ (1312+402=1714 წ.)“ (ბახტაძე ... 2005: 209-210).

თუ შევადარებთ აღნიშნულ ეპიტაფიას 1701 წლის ქაიხოსროს აბაშიშვილისა და მისი თანამეცხედრის, თინათინ ამირეჯიბის სააღმშენებლო წარწერას, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ორივე წარწერაში ერთი და იგივე პირებია მოხსენიებული (მხედველობაში გვაქვს ქაიხოსრო აბაშიშვილი და მისი თანამეცხედრე, თინათინ ამირეჯიბი – თ.გ.), რომელთა რიგით მეორე ვაჟი – აბაში 1714 წელს გარდაცვლილა. ამის პარალელურად ვითვალისწინებთ 1714 წლის 4 ივნისის სვიმონ ბატონიშვილის წყალობის წიგნს, სადაც უკანასკნელად ცოცხალ პირად გვევლინება აბაშ აბაშიშვილი, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო დავაზუსტოთ აბაშის გარდაცვალების თარიღი – 1714 წელი და იგი 1714 წლის ივნისის შემდგომი დროით განვსაზღვროთ.

გარდა ამისა, აღნიშნული საბუთში ვხვდებით ერთ საინტერესო მინიშნებას: ქართლის მეფე საგანგებოდ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რის საფუძველზე განუახლა დავით და იასე აბაშიშვილებს გარისს მცხოვრები სარქისაშვილების წყალობა. საბუთის მიხედვით, დავით და იასე აბაშიშვილებს მონაწილეობა მიუღიათ ერთ-ერთ ბრძოლაში და ტყვეებიც მიურთმევიათ ვახტანგ მეფისათვის. სწორედ ამის საფუძველზე უახლებს ქართლის მეფე მათ გარისში მცხოვრებ სარქისაშვილებს. მეტად საინტერესოა, თუ რომელ ბრძოლაზე არის საუბარი აღნიშნულ საბუთში.

როგორც ცნობილია, 1722 წელს პეტრე I-ის (1682-1725 წწ.) მიერ კასპიისპირეთში წამოწყებული სამხედრო კამპანიის წარუმატებლად დამთავრების შემდეგ, ირანის შაჰმა თამაზ II-მ გადაწყვიტა ქართლის მეფის ვახტანგის დასჯა. ამისათვის შაჰმა 1723 წლის დასაწყისში ქართლში გამოგზავნა კახეთის მეფე კონსტანტინე. კონსტანტინესა და ვახტანგს შორის თბილისისათვის „ბრძოლა სამ თვეს გრძელდებოდა. კონსტანტინემ რამდენჯერმე იგემა დამარცხება, მაგრამ იარაღს არ ყრიდა და ლეკთა ახალ ძალებს

იშველიებდა. 1723 წლის 4 მაისს ვახტანგის ბანაკში ღალატის შედეგად კონსტანტინემ თბილისი აიღო“ (პაიჭაძე 1975: 45-46).

სწორედ ამ ბრძოლებიდან ერთ-ერთ შეტაკებაზეა საუბარი აღნიშნულ 1723 წლის საბუთში, სადაც დავით და იასე აბაშიშვილებს თავი უსახელებიათ და მეფისათვის (იგულისხმება ვახტანგ VI) ტყვეებიც კი მიუგვრიათ. ეს წყალობის წიგნი 1723 წლის 15 აპრილით თარიღდება, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ დავით და იასე აბაშიშვილებს მონაწილება მიუღიათ კონსტანტინეს წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც სავარაუდოდ მარტში ან აპრილის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

ამის შემდეგ ყურადღებას შევაჩერებთ 1721 წლის სიგელზე, რომლის მიხედვითაც ქაიხოსრო რატიშვილი შანშიაშვილ ბეჟანს ნასყიდობით აძლევს თავის სამკვიდრო სოფლის – სახუნდრის ნახევარს. აღნიშნულ საბუთში მოწმეებს შორის ვხვდებით ქაიხოსრო აბაშიშვილის უფროს ვაჟს, დავითს (ბერძენიშვილი 1940: 194).

ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757 წწ.) 1721 წლის აღწერით, დავით აბაშიშვილის მფლობელობაში შედიოდა შემდეგი სოფლები: კიკეთი, გოლთეთი, ფარცხისი, ოშეთი, მჟავისი, გარისი, ეცო, უკანდაღეთი, დია (ლორთქიფანიძე 1935 : 122). გარდა ამისა, სწავლული ბატონიშვილი დაწვრილებით აღწერს, თუ რომელ სოფელში რამდენი მემამულე და ყმა ჰყავდა დავით აბაშიშვილს: დაღეთი უკანა –აზნაური იახთუნაშვილი თევდორე და აბრამა (ლორთქიფანიძე 1938: 16), უკანდაღეთი – მემამულე აზნ. იახთუნაშვილი იესე (ლორთქიფანიძე 1935 : 122); გოლთეთი – უყმო აზნაური ნაზარა (ლორთქიფანიძე 1938: 12), ყმები: ა) გამომღები: 7 კომლი, ბოგანო 1 კომლი, სულ მცხოვრებნი 8. (ლორთქიფანიძე 1938: 29); კიკეთი – დამოკიდებული უყმო აზნაურები –; ყმები: გამომღები 4 კომლი, სულ მცხოვრებნი 4 (ლორთქიფანიძე 1938: 34); მჟავისი – დამოკიდებული უყმო აზნაურები –; ყმები: გამომღები 1 კომლი, ბოგანო 1 კომლი, სულ მცხოვრებნი 2 (ლორთქიფანიძე 1938: 35); ოშეთი – დამოკიდებული უყმო აზნაურები –; ყმები: გამომღები 1 კომლი, ბოგანო –, სულ მცხოვრებნი 1 (ლორთქიფანიძე 1938: 36); ფარცხისი – დამოკიდებული უყმო აზნაურები –; ყმები: გამომღები 6 კომლი, ბოგანო –, სულ მცხოვრებნი 6 (ლორთქიფანიძე 1938: 38); გარისი – დამოკიდებული უყმო აზნაურები –; ყმები: გამომღები 2 კომლი, ბოგანო –, სულ მცხოვრებნი 2 (ლორთქიფანიძე 1938: 88); ეცო

– დამოკიდებული უყმო აზნაურები – ; ყმები: გამომღები კომლი –1, ბოგანო –, სულ მცხოვრებნი – 1 (ლორთქიფანიძე 1938: 89); დია – დამოკიდებული უყმო აზნაურები – ; ყმები: გამომღები კომლი –3, ბოგანო – 1, სულ მცხოვრებნი – 4 (ლორთქიფანიძე 1938: 89).

დავით აბაშიშვილთან დაკავშირებით ასევე მეტად მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ის დასტურლამალი, სადაც მოცემულია მისი მეფობის დროინდელი ბოქაულთუხუცესთა საპატიო სახელოს მქონე პირთა სია. აღნიშნულ დასტურლამალში დასახელებულ ბოქაულთუხუცესებს შორის ვხვდებით ქაიხოსრო აბაშიშვილის უფროსი ვაჟის, დავითის სახელს. მოგვყავს ვახტანგ VI-ის დასტურლამალში ჩამოთვლილ ბოქაულთუხუცესთა სია: „ორბელიშვილი გორჯასპი, არაგვის ერისთვის შვილი ნუგზარ, ამილახვრის შვილი ბეჟან, ავალიშვილი ზაზა, ციციშვილი სეხნია, ფალავანდიშვილი შიოშ, ჩხეიძე თეიმურაზ, იარალიშვილი ვახტანგ, ციციშვილი ლევან, შალიკაშვილი იბაშერ, სამიშვილი ქაიხოსრო, გურჯი-რევაზიშვილი რევაზ, ციციშვილი ლიპარიტ, შალიკაშვილი ზურაბ, [8] ნარიმანა, ზურაბიშვილი ბეჟან, აბაშიშვილი დავით.

იქნა [ჯამი] 17“ (დოლიძე 1965: 240).

როგორც ვხედავთ, ვახტანგ VI-ს მისი ზეობის დროს სულ 17 ბოქაულთუხუცესი ჰყოლია. მათ შორის ქაიხოსროს ვაჟიც დავით აბაშიშვილიც, რომელიც ბოქაულთუხუცესთა რიგში სულ ბოლოს არის მოხსენიებული. ვსვამთ კითხვას – როდის შეიძლება მიეღო დავით აბაშიშვილს ქართლის მეფისაგან ბოქაულთუხუცესობის საპატიო სახელო?

სანამ უშუალოდ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს კიდევ ერთხელ გამვამახვილებთ ყურადღEბას ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ 1723 წლის 15 აპრილის ვახტანგ მეფის წყალობის სიგელზე, რომლის ძალითაც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ქართლის მეფე ქაიხოსროს ვაჟებს – დავითსა და იესეს კონსტანტინეს წინააღმდეგ ბრძოლაშიო გამოჩენილი ერთგულების სანაცვლოდ უახლებს სახასო აზნაურების, სარქისაშვილების წყალობას. 1723 წლის წყალობის წიგნში ქაიხოსროს უფროსი ვაჟი დავითი ყოველგვარი სახელოს გარეშეა მოხსენიებული, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ 1723 წლის 15 აპრილისათვის ის არ ფლობდა ბოქაულთუხუცესის საპატიო სახელოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აუცილებლად იქნებოდახაზგასმული აღნიშნულ დოკუმენტში. ვითვალისწინებთ რა 1723 წლის წყალობის წიგნს, ამის პარალელურად მხედველობაში

ვიღებთ დასტურლამალში ჩამოთვლილ ბოქაულთუხუცესთა რიგში დავით აბაშიშვილის ბოლოს მოხსენიების ფაქტს, ყოველივე ამას ვუჯერებთ ვახტანგ VI-ის მეფობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს – 1724 წელს და აქედან გამომდინარე, დავით აბაშიშვილის ბოქაულთუხუცესობას 1723 წლის 15 აპრილის შემდგომ და 1724 წლებით განვსაზღვრავთ.

1724 წელს დავით აბაშიშვილი ამოწმებს ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ ოთარ რატიშვილისადმი მიცემულ ყმების ნასყიდობის წიგნს, რომლის მიხედვითაც, ქაიხოსრო ჯავახიშვილმა ოთარ რატიშვილს ხოვლეში თავისი ყმები მიჰყიდა (ხეც, QD-8569).

1725 წლის მამულის ნასყიდობის სიგელში, მიცემული ქაიხოსრო დოლენჯიშვილის მიერ ორბელ იოთამიშვილისათვის, მოწმეებს შორის გვხვდება ქაიხოსროს ვაჟები – დავით და იასე აბაშიშვილები (სეა, 1450 38/50).

ამავე 1725 წლის 7 აგვისტოთი დათარიღებულ ნასყიდობის საბუთს, რომელსაც დასაწყისი ნაწილი აკლია, აგრეთვე იასე აბაშიშვილი ამოწმებს (სეა, 1450 38/56).

1725 წლის 7 აგვისტოსვე დავით და იასე აბაშიშვილები ამტკიცებენ ქაიხოსრო დოლენჯიშვილის მიერ მანგლელ იოსებ აბაშიშვილისათვის ბოძებულ მამულის ნასყიდობის წიგნსაც (სეა, 1450 38/48; 1450 38/49).

სულ ბოლოს, მოვიტანთ 1728 წლის ნასყიდობის სიგელს, მიცემულს ასპაშვილ მაჰმად-აღას მიერ გოსტაშაბიშვილ იესესათვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, იესე გოსტაშაბიშვილი ასპაშვილ მაჰმად-აღასაგან ყიდულობს დემეტრე მაყაშვილისაგან ნაყიდ სასახლეს პატივანში. ამ საბუთის მოწმეებს შორის დასახელებულია ქაიხოსრო აბაშიშვილის უმცროსი ვაჟი იასე (თაყაიშვილი 1899: 451-452).

აქ, 1725 წლის საბუთებისაგან განსხვავებით, ვეღარ ვხვდებით ქაიხოსროს რიგით მეორე ვაჟის დავითის სახელს, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს მისი გარდაცვალებით. ერთი მხრივ მხედველობაში ვიღებთ 1725 წლის ვახტანგ მეფის წყალობის სიგელს, მეორე მხრივ, ყურადღებას ვამახვილებთ 1728 წლის ნასყიდობის წიგნში ქაიხოსროს რიგით მეორე ვაჟის დავითის მოუხსენიებლობის ფაქტზე და აქედან გამომდინარე მის გარდაცვალებას – 1725-1728 წლებით განვსაზღვრავთ.

ამრიგად, ქაიხოსრო აბაშიშვილის სახელზე შედგენილი ისტორიული დოკუმენტების, 1709 წლის პირველნაბეჭდი სახარების, ნიკოლოზ აბაშიშვილის 1736 წლის მინაწერის, 1726

წლის ვახტანგ VI-ის წყალობის წიგნის, სოფელ ორთაშუას ეკლესიის 1701 წლის სამშენებლო წარწერის, 1712 წლის დავით აბაშიშვილის მეუღლის "დიდი მოურვიშვილის შოშიტას (?)" ასული თინანის ეპიტაფიის, 1714 წლის სვიმონ ბატონიშვილის წყალობის წიგნის, 1723 წლის ვახტანგ მეფის წყალობის სიგელის, 1728 წლის ნასყიდობის წიგნისა და 1714 წლის პირღებულის მონასტრის საფლავის ქვის წარწერის ურთიერთშეჯერების საფუძველძე მივედით მეტად საინტერესო გენეალოგიურ და ქრონოლოგიურ დასკნებამდე:

1.ქაიხოსრო აბაშიშვილის რიგით მესამე ვაჟის, ბერას გარდაცვალებას ვვარაუდობთ 1683-1689 წლებში.

2.ქაიხოსროს რიგით მეოთხე ვაჟი ნიკოლოზი სასულიერო ცხოვრებას იწყებს ამავე 1683-1689 წლებში.

3.ნიკოლოზ აბაშიშვილის პირღებულის მონასტრის წინამძღვრობა, ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოთი – 1683-1726 წლებით უნდა განისაზღვროს.

4.ერეკლე I ნაზარალი-ხანის ბრძანება გაცემული უნდა იყოს 1693-1703 წლებში.

5.ნიკოლოზ აბაშიშვილი ქართლის მეფეს მოსკოვსა და პეტერბურგში თან ახლდა 1725 წლის მარტსა და მაისში.

6.ნიკოლოზ აბაშიშვილი არქიმანდრიტად ეკურთხა არა 1736 წლის 20 სექტემბერს, როგორც ამას 1709 წლის სახარების მინაწერი გვაუწყებს, არამედ 1726 წელს.

7.ქაიხოსრო აბაშიშვილი და მისი თანამეცხედრე თინათინ ამირეჯიბი თეთრწყაროში მდებარე სოფელ ორთაშუაში აგებენ ან აახლებენ წმ. იოანე მახარებლის ეკლესიას 1701 წელს.

8.ქაიხოსრო ბარათაშვილის უფროსი ვაჟის, დავითის თანამეცხედრე, ,,დიდი მოურვიშვილის შოშ[ტას]?" ასული თინანი გარდაიცვალა 1712 წელს.

9.ქაიხოსრო აბაშიშვილის უფროსი ვაჟი აბაში გარდაიცვალა 1714 წლის 4 ივნისის შემდეგ.

10.ქაიხოსროს უფროსი ვაჟის, დავითის ბოქაულთუხუცესობა 1723 წლის 15 აპრილის შემდგომ და და 1724 წლებით უნდა განისაზღვროს

11.ქაიხოსრო აბაშიშვილის უფროსი ვაჟის, დავითის გარდაცვალებას – 1725-1728

წლებით განვსაზღვრავთ.

§ 3. დედოფლის სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშისშვილის ფეოდალური სახლი და 1702-1725 წლების პირღებულის მონასტრის ეპიტაფია „ხელმწიფეთა შეყვარებული გორჯასპისა“

XVII საუკუნის მიწურული და XVIII საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდს წარმოადგენს. სწორად ამ პერიოდში მოღვაწეობდა ქართლის მეფის, ერეკლე I ნაზარალი-ხანის (1688-1703 წწ.) დედის – ელენე დედოფლის სუფრაჯი ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილი. აღნიშნული პიროვნება არც ქართულ და არც უცხოენოვან (სპარსული, ოსმალური) ნარატიულ წყაროებში არ იხსენიება. ამ ხარვეზს ავსებს სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის შესახებ ქართული დიპლომატიკურ ძეგლებში დაცული ინფორმაცია, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას აღვადგინოთ ამ პიროვნებისა და მისი ფეოდალური სახლის ცხოვრება-მოღვაწეობა. აქვე დავძენთ, რომ ავთანდილ აბაშისშვილსა და მის ოჯახთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არანაირი გამოკვლევა არ მოგვეპოვება.

სულ სუფრაჯ ავთანდილ აბაშისშვილის ფეოდალური სახლის შესახებ 21 დიპლომატიკური ძეგლი მოგვეპოვება: 1. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე I-ის მიერ დედოფლის სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილისადმი (ქართულ-სპარსული) (1693. IX. 6); 2. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე ნაზარალი-ხანის მიერ ზაალ ბარათაშვილისათვის (1694 წ); 3. ყმა-მამულის წყალობის სიგელი, მიცემული ერეკლე I-ის მიერ როსტომ ბარათაშვილისადმი (1694 წ.); 4. დავის გარიგების წიგნი, წარმოებული ფარსიასა და დათუნას შორის [1693-1703 წწ.] ; 5. დავის გარიგების წიგნი, წარმოებული ქვათახევის წინამძვარ ეფთვიმესა და ავთანდილბეგ გორგიჯანაშვილს შორის საწინამძღვრო მიწებზე [1693-1703 წწ.]; 6. წისქვილის დავის გარიგების წიგნი, წარმოებული გიორგი თუმანიშვილსა და ავთანდილ კაჭკაჭიშვილს შორის (1697. III. 20.); 7. მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაქუმ [ზაქუმიშვილის] მიერ ალავერდა იაგულაშვილისათვის (1699. V. 10.); 8. მამულის ნასყიდობის სიგელი, მიცემული შერმაზან

ხურდაყულაშვილის მიერ პაპუა ორბელიშვილისათვის (1699 წ.); 9. ვენახის ნასყიდობის საბუთი, მიცემული სვიმონ ბოშიაშვილის მიერ დურმიშხან [იაგულაშვილისათვის] (1700. XII. 25.); 10. სასამართლო განჩინება, ვახტანგ (ორბელიშვილი) ბარათაშვილის ცოლ-ყოფილის თამარისათვის ჯალდამისა და ღორისთავის კუთვნილების შესახებ 1700 წ.); 11. მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა საგინაშვილის მიერ სუფრაჯ ავთანდილისა და მისი შვილებისათვის [1688-1703 წწ.] ; 12. დავის გარიგების წიგნი, ენაგელთა და ჯაბუკათუბნელთა მამულის საზღვარზე (1702. III. 15.); 24. ნასყიდობის წიგნი, მიცემული გერმანოზიშვილ ვარაზას მიერ ერასტი ორბელიშვილისათვის (1702. VI. 20.); 13. მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შანშე აფხაზიშვილის მიერ სუფრაჯ ავთანდილის შვილ იოსებისათვის (1702. X. დამდეგი.); 14. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბარათაშვილი (თამაზიშვილი) ავთანდილის მიერ ანახანუმ ბატონიშვილის მდივანბეგ ერასტისათვის [1704-1725 წწ.]; 15. დავის განჩინების წიგნი, საჩინოს სახლისკაცების, თაყასშვილების, გიორგისშვილების, მის განაყოფ ფარსადანის, უსუბეგისშვილებსა და ტერტერასშვილების მამულის საქმეზე (1708. X. 22.); 16. შეწირულების წიგნი სიონის ღმრთიმშობელისადმი, მიცემული შალვა ქსინის ერსთავის ასულისა და გიორგი XI-ის ვაჟის, სულეიმანის თანამეცხედრის თამარის მიერ სიონის ღმრთისმშობელისადმი უკანდაღეთს მცხოვრებ ერთი კომლი შავშავიშვილის ბოძების შესახებ (1714. III. 15.); 17. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარსადან ციციშვილის მიერ სუფრაჯის შვილ წინამძღვარ იოსებისათვის [ბარათაშვილი] (1719 წ.); 18. [1724 წ.] [1720-1723 წწ.] ბრძანება უცნობი პირისა მანგლელებისადმი; 19. ვენახის ნასაყიდობის წიგნი, მიცემული მეზვრისშვილი ბერუას მიერ სუფრაჯის შვილ ზაზასათვის (1724. IX. დამდეგი.); 20. სასახლის ადგილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სუფრაჯ ავთანდილის შვილის, ლევან აბაშიშვილის მიერ მეკალაპოტე დემუჩასათვის (1737. IV. 3.); 21. ნასყიდობის წიგნი, მიცემული სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის შვილის ლევან აბაშიშვილისა და მისი ძმისწულის სვიმონის მიერ ხელმწიფის მდივნის – თუმანიშვილი სულხანისათვის კიკეთის მიყიდვის შესახებ (1738. V. 12.).

პირველად, სუფრაჯი ავთანდილ აბაშისშვილი 1693 წლის წყალობის წიგნში იხსენიება, რომლის მიხედვით ქართლის მეფე ერეკლე I ერთგულ ფეოდალს უახლებს მის

წილში ნარგებ სამშვილდის, კრწანისის, ჩაჩალის ციხისა და საღირაშენის წყალობას. აღნიშნულ წყალობის სიგელში ნათქვამია: „...ჩვენ, ... მეფეთ მეფემან და ვით ხელმწიფემან პატრონმა ნაზარალი-ხან,..... ესე ..... წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა და ბედნიერის ყაენისა მოდგომისა და ჩვენის ერდგულად შემორჩომის გულისათვის, სახლით მამულ{ა}მდი აკლებით გაღარიბებულს ყმასა ჩვენსა, ერდგულსა და თან{ა}მკუდარსა, ბარათაშვილის, აბაშისშ<ა>ვილს, ბატონის დედოფალის სუფრაჯს, ავთანდილს, შ<ა>ვილსა თქვენსა – ლევანს, გორჯასპის, ზაზას და ოტიასა და შ<ა>ვილთა და მამავალს სახლისა შენისასა და მასა ჟამსა, ოდესა მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა, თქვენსა სამკვიდროს ძმათაგ{ა}ნ წილში გამოყოლილსა მამულის წყალობასა დაგვიაჯენით და რადგან ბედნიერს ყ{ა}ენზე და ჩვენზე ნამსახურად და ერდგულად ციხით გარ{ე}მდი შეგურ<ა>ჩით და შვილით თავამდინ მოგვიდეგით, ამისდა სამუფაქოთ ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენებ[ა] თქვენი, შეწგიწყალეთ და გიბოძეთ სულ სამშვილდე, კ<ა>რწანისი, ჩაჩალისა ციხითა და სულ ხელ მეორედ საღირაშენი, სამკვიდროდ და საბოლოდ გამოსადეგად თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია, ყოვლის კაცის უცილებლად, მისის შესავლით და გამოსავლით, საყდრით და სასაფლ{ა}ოთ..... (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.)“ (სეა, 15/27).

აღნიშნულ დოკუმენტის მიხედვით, ქართლის მეფე დედოფლის სუფრაჯ ავთანდილს ძმათაგან წილში ნარგებ სამშვილდეს, კრწანისს, ჩაჩალის ციხესა და საღირაშენის წყალობას აძლევს. ერეკლე I საბუთში ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სუფრაჯი ავთანდილ აბაშისშვილი მისთვის გაწეული ერთგულების გამო „სახლით მამულ{ა}მდი“ გაღარიბებულა. ამ სიგელში სუფრაჯ ავთანდილის გვერდით ვხვდებით მისი ვაჟების – ლევანის, გორჯასპის, ზაზასა და ოტიას სახელებს.

1693 წლის საბუთს გააჩნია აგრეთვე სპარსული ვერსიაც, რომელიც დოკუმენტის ქართულს ნაწილს შინაარსობრივი თავლსაზრისით კიდევ უფრო ავსებს. აღნიშნული დოკუმენტის სპარსული ვარიანტი 1694 წლით თარიღდება. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ვიძლევით წყალობის წიგნის სპარსული ნაწილის ტექტს:

„[გამოვიდა მაღალი ბრძანება] მასზე, რომ მაღალი ბატონის ყურადღების მიპყრობის

გამო აბაშ ბარათაშვილის შვილის, სიდიადისა და აღმატებულების საფარველის ავთანდილ-ბეგ სუფრაჯის მიმართ, რომელიც მსოფლიოსა და მსოფლიოთა კეთილისმყოფელისადმი (შაჰისადმი) ერთგულებისა და [შაჰის] სასახლის მონისადმი (ე.ი. საქართველოს მეფისადმი) ერთგულების გზით [ჩვენს] მტრებს განშორდა და ოჯახით თბილისის კურთხეულ ციხეში იყო ერთხანს გამაგრებული, თავდადებით მსახურებდა რჯულისა და სახელმწიფოსთვის და თავისი წრფელი ერთგულება სათანადოდ გამოაჩინა, [ამიტომ] ქათმის წლის დასაწყისიდან, ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი სოფლები: სამშვილდე კრწანისი ჩალის ციხით და საღირაშენით, რომლებიც [მას] წინათაც ჰქონდა, ხსენებულ [ავთანდილ-ბეგისა] და მისი შვილების: ლევანის, როსაბის, ქეშიშის, გორჯასპის, ზაზასა და ოთიასათვის გვიწყალობებია და გვიბოძებია....“ (ფუთურიძე 1955: 364).

როგორც ვხედავთ, სპარსულ ვერსიაში ქართული ნაწილისაგან განსხვავებით ვიგებთ, რომ სუფრაჯ ავთანდილი აბაშ ბარათაშვილის ვაჟი ყოფილა. გარდა ამისა, აქ აღნიშნული ერთი საინტერესო გარემოება, რაც მდგომარეობს შემდგომში, რომ სუფრაჯი ავთანდილი თავდაპირველად ერეკლე I-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ირიცხებოდა ე.ი. ქართლის მეფის გიორგი XI-ის ერთგული ყოფილა და შემდეგ გადასულა ერეკლე I ნაზარალი-ხანის მხარეზე. აქ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟების რიგში ლევანის, გორჯასპის, ზაზასა და ოტიას გარდა დასახელებულია მისი კიდევ ორი ვაჟის – როსაბისა და ქეშიშის სახელები. როსაბი და ქეშიში ავთანდილის რიგით მეორე და მესამე ვაჟები არიან და საბუთში დასახელებულნი არიან დედოფლის სუფრაჯის უფროსი ვაჟის ლევანის შემდეგ. ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით სუფრაჯ ავთანდილის რიგით მესამე ვაჟის ქეშიშის სახელით, რომელიც ქართული ონომასტიკონისათვის უცხოა. ქეშიში (کشیش) სპარსული სიტყვაა და ქართულად მღვდელს ნიშნავს. როგორც ჩანს, სუფრაჯ ავთანდილის რიგით მესამე ვაჟი სასულიერო მოღვაწე ყოფილა.

აღნიშნული დოკუმენტის როგორც ქართულ, ისე სპარსულ ვერსიაში აღნიშნულია, რომ ერეკლე I-მა სუფრაჯ ავთანდილს თბილისის ციხეში გამაგრების დროს გამოჩენილი თავდადებისათვის უბოძა აღნიშნული წყალობა. საინტერესოა რამ განაპირობა ერეკლე I-ის გამაგრება თბილისის ციხეში?

დასმულ კითხვას ამომწურავ პასუხს სცემს ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1696 წწ.)

მიერ 1656-1696 წლებში შედგენილი „ისტორია“, სადაც მემატიანე რამდენიმე ადგილას აღწერს ჩვენთვის საინტერესო ამბავს. იგი პირველად აღნიშნულ ფაქტზე საუბრობს მაშინ, როცა მოგვითხრობს ირანის შაჰის თხოვნით ოსმალეთის სულთნის მიერ იმერეთის ტახტზე კვლავ ალექსანდრე IV-ის (1683-1690; 1691-1695 წწ.) დასმის შესახებ, დასძენს: „არჩილი გაეცალა და გიორგი მეფე ხონთქრის ბძანებით ახალციხის ფაშამ დაიჭირა და ციხეში აპატიმრეს და ციხიდამ წამოუვიდა და არგვის ერისთავი და ქსნის ერისთავი და გვივი ამილახორი და თამაზ ბარათია(ნ)თ სარდარი გაერთდენ და სრულ ქართველნი მათის შიშით მიუვიდნენ და ნაზარ ალი ხან კოჯრით ქალაქის ციხეში შევიდა და ეს ანბავი ყაენს მისწერეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 287).

მეორედ ისტორიკოსი უფრო ვრცლად მოგვითხრობს ჩვენთვის საინტერესო ფაქტის შესახებ და ამბობს, რომ „ქართლით ბარათაშვილი ლვარსაბ ჩაფრათ მოვიდა და ლაშქარი და მიშველება ეთხოვნა ნაზარ ალი ხანს და კახეთის ბატონი აბას ყული ხან გიორგი მეფეს ეხმარებოდა და ეჰტიმადოვლე და უფროსი ერთნი კარის ბატონები განჰის ხანის საქმით გიორგი მეფეს ეხმარებოდეს და შხალი ხანის შვილი შაჰყული ხან ყორჩიბაში და თაჰრანის ხანი ეშიკაღას ბაში ჴემწიფეს ასრე გაშინჯვეს, რომ გიორგი მეფე ურუმთა ტყვთა ჰყვანდაო და იმათ გამოეპარაო და თავისის ძალით ქართლი დაიჭირაო და ერთმან ახალციხის ფაშამანო შაჰნაზარ ხან იმერეთით გარდაგდო და ხონთარმან თქვენის გულისათვის იმერეთი თავის მემკვიდრეს ბატონს მეფეს ალექსანდრეს უბოძაო და რა ცოცხალი თქვენი ერთგული არისო. რისგან იქნასო და ან რა გაგვ(ი)ჭირდა მაგისთანაო, რომ ერთმან თქვენგან გაგდებულმან ყულმანო ძალად საბატონო წაგართვასო. ჴემწიფემ ამთი თქმული მოიწონა, მაგრა ქალბალიბეგს უღურლუ ხანის შვილს ელოდენ, რომ ხონთქარსთან ელჩათ წასულიყო და შაჰნაზარ ხანც იმას გაეგდებინა და იმერეთი ისევე მეფის ალექსანდრესათვის ეშოვნა და გიორგი მეფე დაეჭირვინა და და წამოსვლოდა და ხუთნი თავადნი მისვლოდენ – გივი ამილახორი, არაგვის ერისთავი გიორგი და მისი ძმა ბარძიმ და ქსნის ერისთავი დავით და ბარათაშვილი თამაზ და ამათის ძალით სხვანიც მისვლოდენ და უომრათ მეფე მისმან მრჩეველმან ვაზირმან ქალაქის ციხეში შეახვეწა, თორადა სხვა თავადნი ყაენს არ წაუვიდოდნენ“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 289).

როგორც ფარსადანის მონათხრობიდან ირკვევა, მას შემდეგ, რაც იმერეთის მეფემ

სულთნის ჯარის დახმარებით მოახერხა იმერეთის ტახტის დაკავება, არჩილი II (კახეთის მეფე 1661-1663 წწ; იმერეთის მეფე 1664-1675 წწ.; კვლავ იმერეთის მეფე 1678-1679; 1690-1691; 1695-1696; 1698 წწ.) იმერეთს გაეცალა, სულთნის ბრძანებით კი გორგი XI ტყვედ შეიპყრეს. მან მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა და ქართლის დიდებულების – გივი ამილახორის, არაგვის ერისთავი გიორგის, მისი ძმის ბარძიმის, ქსნის ერისთავის დავითისა და მისი ბიძის, თამაზ ბარათაშვილის დახმარებით შეძლო ქართლის დაკავება, რამაც განაპირობა ერეკლე I-ის კოჯრიდან თბილისის ციხეში შეხიზვნა. ერეკლე I ნაზარალი-ხანმა ქართლიდან ირანს ჩაფრად ლუარსაბ ბარათაშვილი დახმარებისათვის გაგზავნა და მომხდარი ამბავის შესახებ შაჰს აცნობა.

ფარსადან გორგიჯანიძე ამ დროისათვის ირანის სამეფო კარზე მსახურობდა და ეკავა ისეთი მნიშვნელოვანი თანამდებობა, როგორიც იყო ისპაჰანის ტარუღის სახელო. აქედან გამომდინარე, მისი ცნობები ამ ამბების შესახებ პირველწყაროდ უნდა მივიჩნიოთ, რაც ჩვენი მხრიდან მეტ სანდოობას მოითხოვს. იგი აღნიშნული მოვლენებს მოგვითხრობს მას შემდეგ, რაც 1692 წლის 1 ივლისით ათარიღებს შაჰ სულეიმანის მიერ თავისი ყორჩიბაშის სარუ-ხან მურთუზა ყული-ხანის შვილის სიკვდილით დასჯას. აქედან გამომდინარე, არ შევცდებით თუ დავასკვნით რომ, ისტორიკოსი ჩვენთვის საინტერესო ამბებს 1692 წლის შემდგომი დროით ათარიღებს, რაც მეორე მხრივ ემთხვევა ერეკლე I ნაზარალი-ხანის მიერ გაცემული 1693 წლის საბუთის ქრონოლოგიას.

ამის შემდეგ მეტად საინტერესოა მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა საგინაშვილის მიერ სუფრაჯ ავთანდილისა და მისი შვილებისათვის. აღნიშნულ დუკუმენტში ნათქვამია: „...ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი ჩ{ვ}ენ, ავთანდილის შვილმა ზაზამ საგინაშვილმან თქუენ, ბატონს სუფრაჯს ავთანდილს და შ{ვ}ილსა თქუენსა, ლევანს და გორჯასპის და ზაზას, ოტიას და მომავალთა სახლისა თქ{ვე}ნისათა, რომე დაგ{ვ}ეჭირა და ჩ{ვ}ენი ყმა, ბერიასშვილი, გა{ა}ხელით და იმისის პირით შე<გ>{ვ}რიგდით და მოგყიდეთ გაბიტას მიწის ნახევარი...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/20).

როგორც ვხედავთ, ამ ნასყიდობის წიგნში სუფრაჯი ავთანდილი თავის ვაჟებთან – ლევან, გორჯასპი, ზაზასა და ოტიასთან ერთად გვევლინება. ამ საბუთის ქრონოლოგიას

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ერეკლე I-ის ზეობის წლებით განსაზღვრავდნენ და შესაბამისად, 1688-1703 წლებით ათარიღებდნენ. 1693 წლის წყალობის წიგნის სპარსული ვერსიისაგან განსხვავებით, რომელიც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 1694 წლით არის დათარიღებული, აქ ვეღარ ვხვდებით მისი რიგით მეორე და მესამე ვაჟების – როსაბისა და ქეშიშის სახელებს. ჩვენი დაკვირვებით, სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის რიგით მეორე ვაჟი – როსაბი გარდაცვლილია და სწორედ ამის გამო არ გხვდება მამისა და ძმების გვერდით. რაც შეეხება ქეშიშს, ის როგორც გავარკვიეთ სპარსული სიტყვაა და მღვდელს ნიშნავს. აქვე დავძენთ, რომ როგორც წესი ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში ხშირ შემთხვევაში შვილთა ნუსხაში არ არის მოყვანილი იმ შვილთა სახელები, რომელნიც სასულიერო ცხოვრებას ეწეოდნენ. ამიტომ ამ ნასყიდობის წიგნში სუფრაჯ ავთანდილის რიგით მესამე ვაჟის მოუხსენიებლობა ჩვენი მხრიდან არავითარ გაკვირვებას არ იწვევს. თუ ამოვალთ იქიდან, რომ სუფრაჯი ავთანდილის ვაჟი როსაბი 1694 წლისათვის ცოცხალია, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნული საბუთი 1694 წლის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი და მისი ქრონოლოგია 1688-1703 წლების ნაცლად, 1694-1703 წლებით უნდა განისაზღვროს. ამავე ქრონოლოგიური ჩარჩოთი უნდა განისაზღვროს სუფრაჯ ავთნდილის რიგით მეორე ვაჟის როსაბის გარდაცვალებაც.

სუფრაჯ ავთანდილთან დაკავშირებით ასევე მეტად მნიშვნელოვანია (1693 1708 წწ.) ერეკლე I-ის ბრძანება მესტუმრესადმი, რომლის მიხედვითაც ქართლის მეფე სუფრაჯ ავთანდილსა და პირღებულის მონასტრის წინამძღვარ ნიკოლოზს ავალებს დათუასა და ფარსიას შორის არსებული დავის მოგვარებას (ხეც, QD-254).

ამის შემდეგ სუფრაჯი ავთანდილი უცნობი პირის პირობის წიგნში იესესადმი მოიხსენიება გამრიგედ. ამ საბუთის ქრონოლოგიას პირთა ანოტირებული ლექსიკონის ავტორები ერეკლე I ბრძანებულების მსგავსად, მისივე მეფობის წლებით – 1688-1703 წლებით ათარიღებდნენ. აქაც ყურადღებას ვამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში ავთანდილი სუფრაჯის სახელოთი 1693 წლიდან გხვდება და ამ დოკუმენტის ქრონოლოგიასაც 1688-1703 წლების ნავცლად, 1693-1703 წლებით განვსაზღვრავთ (ხეც, HD-15090).

1694 წელს ნაზარალი-ხანმა როსტომ ბარათაშვილს აძლევს წყალობის სიგელს, სადაც

ქართლის მეფე მიმართავს ერთგულ ფეოდალს: „...ჩვენ, ... ჴელმწიფემან, პატრონმან ნაზარალი-ხან ..... ესე ..... წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ბარათაშვილს როსტომს და ძმასა თქვენსა – გუგუნასა და დავითას და შ<ა>ვილ<ა>თ და მამავალ<ა>ს სახლისა თქვენისასა.

ოდესა, ჟამსა მოგვადეგით კარს დარბაზისა ჩვენისასა და ამოვარდნილს, თქვენის ბიძის, სუფრაჯის ქაიხოსროვის კერ<ა>ძის მამულის და გლეხების წყალობასა გვიაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ვითაც თქვენი სამკვიდრო საგანაყოფო მამული იყო და ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ საღირაშენს, სუფრაჯის ავთანდილ{ი}ს წილის გარდა გ<ა>ლეხი ამილბარაშვილი ბერუკა დღეს, რისაც მამულისა მქ{ო}ნე იყოს, ნ{ა}დირაშვილი გტეგბილას შ<ა>ვილი ქიტა, ფეროზაშვილი ელიზბარა, მირანაშვილი შალუტა, ახატაშვილი პა{ა}ტა, ესე ექვსი კომლი კაცი...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 32/320).

როგორც 1694 წლის წყალობის წიგნიდან ვიგებთ, როსტომ ბარათაშვილს ქართლის მეფისათვის ერთგული სამსახური გაუწევია გიორგი XI-ისაგა თბილისში გამოკეტილი ნაზარალიხანისათვის. ქართლის მეფემ ამის სანაცვლოდ როსტომ ბარათაშვილს თავისი ბიძის, ამოვარდნილი სუფრაჯ ქაიხოსროს ნაქონი ექვსი კომლი ყმა უბოძა სუფრაჯ ავთანდილის წილის გარდა. როგორც ჩანს, როსტომ ბარათაშვილი სუფრაჯ ავთანდილთან ერთად ერეკლე I-ის ერთგულ ფეოდალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა.

იმავე 1694 წელს ერეკლე I ამჯერად ზაალ ბარათაშვილის აძლევს ყმა-მამულის წყალობის წიგნს, სადაც ნათქვამია: „... ჩვენ, ... ჴელმწიფემან, პატრონმან ნაზარალი-ხან ... ესე ... წყალობის წიგნი და ნიშანი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმას, ბარათაშვილს ზა{ა}ლასა, შ<ა>ვილ<ა>თ{ა} და მომავ{ა}ლსა სახლისა თქვენისასა.

ოდეს ჟამსა მოგვიდეგით კარსა, დარბაზის ჩვენისას და ამოვარდნილის თქვენის ბიძაშვილის, სუფრაჯი ქაიხოსროს მამულის წყალობას დაგვიაჯენით, რად<ა>განაც თქვენ ჩვენ ციხით გარემოდი ერდგულად ნამსახურა-მ შემომრჩი, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენებ[ა] თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ საღირაშენსა, სუფრაჯის ავთანდილის კერ<ა>ძოს გარდა გლეხი ჯაშია, კიდევა ნადი{რ}ა კუნ<ა>{ელუ}რი, ექავე ფირია, ნინია

პაპანაშვილი, კიდევა მაზია, ესე ექვსი კომლი გ<ა>ლეხი...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (ხეც, AD-1371).

აღნიშნული საბუთის მიხედვით, ქართლის მეფე ზაალ ბარათაშვილს აძლევს თავისი ბიძაშვილის, სუფრაჯი ქაიხოსროს საღირაშენში ნაქონ ექვს კომლ ყმას ამჯერადაც სუფრაჯ ავთანდილის წილის გარდა. ერეკლე I-ის თქმით, მას სუფრაჯ ავთანდილისა და როსტომ ბარათაშვილის მსგავსად, დიდი სამსახური გაუწევია თბილისი ციხეში გამოკეტილი ქართლის მეფისათვის, რის სანაცვლოდაც ნაზარალი-ხანისაგან იღებს აღნიშნულ წყალობას.

ამის შემდეგ სუფრაჯი ავთანდილი 1697 წლის გიორგი თუმანიშვილისა და ავთანდილ კაჭკაჭიშვილს შორის წისქვილზე დავის გარიგების წიგნში მოწმეთა შორისაა დასახელებული (ხეც, HD-2268).

1699 წელს ზაქუმ [ზაქუმიშვილის] მიერ ალავერდა იაგულაშვილისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში სუფრაჯი ავთანდილი კვლავ მოწმის სტატისით გვევლინება (სეა, 9/119).

ამავე 1699 წელს სუფრაჯი ავთანდილი ამოწმებს შერმაზან ხურდაყულაშვილის მიერ პაპუა ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნს (სეა, 20/28).

მან 1700 წელს მონაწილეობა მიიღო ეფთვიმე, ქვათახევის წინამძღვარსა და ავთანდილბეგ გორგიჯანაშვილს შორის საწინამძღვრო მიწებზე დავის გარჩევაში (სეა, 1448-1863).

სუფრაჯი ავთანდილ აბაშისშვილი 1700 წლის 25 დეკემბრის სვიმონ ბოშიაშვილის მიერ დურმიშხან [იაგულაშვილისათვის] მიცემულ ვენახის ნასყიდობის წიგნში კვლავ მოწმეთაა შორისაა დასახელებული (სეა, 9/93).

1700 წელსვე სუფრაჯი ავთანდილი ამოწმებს, რომ ჯალდამი და ღორისთავი ვახტანგ ორბელიშვილის ცოლყოფილის, თამარის ნამზითვით შეძენილი ქონება და მისი შვილების კანონიერი საკუთრება იყო (ხეც, Sd-2301).

1701 წელს ავთანდილ სუფრაჯი ამოწმებს ნასყიდობის წიგნს, მიცემულ ოთარ გერმანოზიშვილის ცოლყოფილის მარიამის მიერ თბილელ მიტროპოლიტ დომენტი ორბელიშვილისათვის ტბისში მისი კუთვნილი ვენახების მიყიდვის შესახებ (სეა, 1449-

2181).

ამავე წლის 1 იანვრის წყალობის წიგნში, მიცემული თაყა ბარათაშვილის მიერ ერეკლე I-სათვის, რომლის ძალითაც თაყამ ქართლის მეფეს მიჰყიდა ენაგეთს ერთი საკომლო მამული და ოცდათორმეტი დღის მიწა, ჩამოთვლილ მოწმეებს შორის ვხვდებით სუფრაჯ ავთანდილის სახელს (თაყაიშვილი 1899: 439-440).

1701-1703 წლების ერეკლე I-ის განჩინების წიგნში ციციშვილების ყმა-მამულის საქმეზე დავის გამრიგედ ქართლის მეფესა და სხვა სამეფო კარის მოხელეებთან ერთად სუფრაჯი ავთანდილიც გვევლინება (დოლიძე 1972: 206).

1702 წლის მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული ვარაზა გერმანოზიშვილის მიერ ერასტი ყაფლანიშვილისათვის სუფრაჯი ავთანდილ კვლავ მოწმეთაა შორისაა დასახელებული (ხეც,Sd-2313).

სუფრაჯ ავთანდილის ფეოდალური სახლის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია 1702 წლის მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შანშე აფხაზიშვილის მიერ სუფრაჯ ავთანდილის შვილ იოსებისათვის, სადაც ვკითხულობთ: „...ესე მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობა მოგეცით ჩვენ, აფხაზისშვილმან შანშემ და ძმამა ჩემმან ავთანდილ და პა{ა}ტამა.

ასრე, რომე ქირმანის სალაშქროთ დიახ გაგვიჭირდა, თეთრი ვერსად ვიშოვნეთ სხვაგან, ღონე და ალაგი ვერსაიდ ვქენით, მოგყიდეთ თქვენ, სუფრაჯის ავთანდილის შვილს იოსებს, ძმათა თქვენთა – ლევანს, გორჯასპის, ზაზასა და ოტიასა გოლთეთს თავის ხოდაბუნში ათის დღის მიწა, რაგვარათაც ჩვენი გული შეიჯერე, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/32).

1702 წლის ნასყიდობის სიგელის მიხედვით, შანშე აფხაზისშვილი ქირმანის ლაშქრობის გამო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რის გამოც იძულებულია სოფელ გოლთეთში მდებარე თავის ხოდაბუნში ათის დღის მიწა მიჰყიდოს სუფრაჯ ავთანდილის ვაჟებს. როგორც ზემოთ მოგახსენოთ, 1694-1703 წლებით განვსაზღვრეთ სუფრაჯ ავთანდილის რიგით მეორე ვაჟის როსაბის გარდაცვალების თარიღი. ვითვალისწინებთ რა ამ ნასყიდობის წიგნის კონკრეტული თარიღს – 1702 წელს, მასში სუფრაჯ ავთნდილის ვაჟის როსაბის სახელი მოუხსენიებლობას და შესაბამისად

როსაბ აბაშისშვილის გარდაცვალებას 1694-1703 წლების ნაცვლად, 1694-1702 წლებით ვათარიღებთ. აღნიშნულ საბუთში 1693 წლის წყალობის საბუთისაგან განსხვავებით, სუფრაჯ ავთანდილის ვაჟების – ლევანის, გორჯასპის. ზაზასა და ოტიას გვერდით ხვდებით მის კიდევ ერთი ვაჟის, იოსების სახელს. გაკვირვებას იწვევს ის, რომ თუ, 1693 წლის ერეკლე I-ის წყალობის დოკუმენტში სუფრაჯ ავთანდილის ვაჟებს შორის პირველი ლევანის სახელი გხვდება, აქ პირიქით ჯერ იოსებია დასახელებული, ხოლო შემდეგ ლევანი, გორჯასპი, ზაზა და ოტია, რაც ჩვენ დიდ გაკვირვებას იწვევს.

1702 წლის 15 მარტს ქართლის მეფის ბრძანებით, სუფრაჯ ავთანდილმა ეშიკაღასბაშ ზურაბთან ერთად გაარიგა ენაგელთა და ქაიხოსრო საამისშვილის აზნაურისშვილის ჭაბუკაშვილს შორის საზღვრებზე ატეხილი დავა. აღნიშნული დავა ეშიკაღასბაშ ზურაბმა და სუფრაჯ ავთანდილმა ენაგელთა სასარგებლოდ გაარიგეს, რის საფუძველზეც ამ საზღვრებზე ჭაბუკაშვილს ხელი აღარ მიუწვდებოდა (სეა, 1450 11/160).

ამის შემდეგ შევეხებით [1704-1725 წწ.] ნასყიდობის წიგნს, მიცემული ავთანდილ ბარათაშვილის (თამაზიშვილის) მიერ ანახანუმ ბატონიშვილის მდივანბეგ ერასტისათვის, რომლის ძალითაც ავთანდილ ბარათაშვილი მდივანბეგ ერასტის მიჰყიდა ძმათაგან წილში ნარგები სოფელი სამტრედო. აღნიშნული საბუთის მოწმეებს შორის კვლავ სუფრაჯი ავთანდილი გვხვდება (ხეც, HD-6055).

1708 წლის 22 ოქტომბერს ვახტანგ მეფის (1703-1724 წწ.) ბრძანებით სუფრაჯ ავთანდილ აბაშისშვილმა საჩინოს სახლის კაცების: თაყასშვილების, გიორგისშვილებისა, მის განაყოფ ფარსადანისა და უსუბეგისშვილების მიერ ტერტერასშვილებისათვის მიყიდული მამულების საქმე გაარიგა. აღნიშნული დოკუმენტი იწყება შემდეგი სიტყვებით: „ზე ადიდენ ღმერთმა, მეფეთ მეფე, ჰემწიფე გიორგი, გამგებელი მისი საქართველოს პატრონი, ვახტანგ...“ (სეა, 50/202).

აღნიშნული ციტატიდან კარგად ჩანს სუფრაჯ ავთანდილის მოხერხებულობა, თუ წინა წლების საბუთებს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ იგი ერეკლე I-ის ერთ-ერთ ერთგულ ფეოდალს წარმოადგენს, თუმცა მას შემდეგ, რაც ერეკლე I ირანს გაიწვიეს სუფრაჯი ავთანდილი კვლავ გიორგი XI-ისა და მისი ძმისწულის, ვახტანგ VI-ის სამსახურში დგება, რაზეც ნათლად მეტყველებს აღნიშნული დოკუმენტი.

1714 წელს ავთანდილი კვლავ სუფრაჯის სახელოს ფლობს და ამჯერად ამოწმებს სიონის ღმრთიმშობელისადმი შეწირულების წიგნს, მიცემულს შალვა ქსნის ერსთავის ასულისა და გიორგი XI-ის ვაჟის, სულეიმანის თანამეცხედრის თამარის მიერ სიონის ღმრთისმშობელისადმი უკანდაღეთს მცხოვრები ერთი კომლი შავშავიშვილის ბოძების შესახებ (სეა, 1449-2175).

მისი მოხსენიება ამ სიგელში ერთი მხრივ განაპირობა იმან, რომ ის ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის საპატიო სახლოს ფლობს, ხოლო მეორე მხრივ, იმან რომ დაღეთი მის მკვიდრ მამულს წარმოადგენდა.

ასევე მეტად საინტერესო საბუთია 1724-1727 წწ. განჩინება იესე მეფისა ნოდარ სუფრაჯის შვილისა და ვათიაშვილის წისქვილის თაობაზე.

აღნიშნულ განჩინებაში სუფრაჯ დავითის შვილი ნოდარი სუფრაჯ ავთანდილის ყმა იფნარელ ვათიაშვილს პატარა ეგრისულ მამულზე ედავება, რომელიც იფნარელ ვათიაშვილს მისი გაქცევის შემდეგ ყოველგვარი უფლების გარეშე მოუხნია (დოლიძე 1972: 334).

1715 წლის 27 თებერვლით დათარიღებულ ელიზბარ დავითაშვილისა და გიორგი რამაზაშვილის მამულის საქმეზე დავის გამრიგეთა შორის ავთანდილ სუფრაჯიც იხსენიება (დოლიძე 1972: 261).

ამის შემდეგ მოგვყავს 1719 წლის მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარსადან ციციშვილის მიერ სუფრაჯის შვილ წინამძღვარ იოსებისათვის, სადაც ვკითხულობთ: „... ესე ამიერითგან უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი მიზეზ-მოუდებერი და დრო-შემოუკრებელი ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ციციშვილმან ფარსადან და შვილმან ჩემ{მ}ან პაპუნამა თქვენ, სუფრაჯის შვილს, იოსებს წინამძღვარსა, მოგყიდე დაღეთს ჩემი სამკვიდრო მამული და ძმათ{ა}გან ბარათაში გამოყოლილი ყოვლის კაცისაგან მოუდევარი და უცილებელი წატურაშვილი თავისის მამულითა და ბურდილის მამა, დედა-შვილის იას<ი>{ე}ს მამული...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/68).

როგორც 1719 წლის ნასყიდობის საბუთი გვაუწყებს ფარსადან ციციშვილს სუფრაჯის შვილ, წინამძღვარ იოსებისათვის მიუყიდია ძმათაგან წილში გამოყოლილი დაღეთს

მცხოვრები წატურაშვილისა და ბურდული იასეს მამული. ეჭვგარეშეა აქ დასახელებულ სუფრაჯში, რომ ავთანდილ აბაშისშვილი უნდა ვიგულისხმოთ. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ, რომ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი იოსებ ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვრის სახელოს ფლობს. აქ კიდევ ერთხელ უნდა მოვიხმოთ 1693 წლის ერეკლე I-ის საბუთის სპარსულ ვარიანტში დაცული ცნობა სუფრაჯ ავთანდილის ვაჟის ქეშიშის შესახებ, რომელიც, როგორც ზემოთ განვმარტეთ, სპარსული სიტყვაა და ქართულად მღვდელს ნიშნავს. თუ შეუჯერებთ 1693 წლის წყალობის სიგელსა და 1719 წლის ნასყიდობის საბუთში დაცულ ცნობებს ერთმანეთს, ლოგიკურია თუ ვიფიქრებთ, რომ 1693 წლის საბუთში დასახელებულ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟ ქეშიშში ავთანდილ აბაშისშვილის ვაჟი იოსები უნდა ვიგულისხმოთ. თუ ეს ასეა, რაც ნათლად ჩანს, მაშინ არ შევცდებით თუ მისი სასულიერო ცხოვრების დაწყების ქვედა ზღვრად 1693 წელს დავდებთ. მას შემდეგ, 1693 წლის საბუთში დასახელებულ სიტყვა „ქეშიშში“ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი, წინამძღვარი იოსები მოვიაზრეთ, ვსვამთ ლოგიკური კითხვას – რომელი მონასტრის წინამძღვარი შეიძლება ყოფილიყო სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი იოსები?

თუ ამოვალთ იქიდან, რომ იგი ფარსადან ციციშვილისაგან დაღეთს მცხოვრებ ყმებს ყიდულობს და პარალელურად ამისა მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ სოფელი დაღეთი აბაშისშვილთა ფეოდალური სახლის საძვალის – პირღებულის მონასტერის ახლოს მდებარეობს, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგი 1719 წლისათვის პირღებულის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ. ჩვენ ვითვალისწინებთ რა 1693 წლის წყალობის სიგელში მის სასულიერო პირად (كشيش) მოხსენიებას მისი სასულიერო ცხოვრების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1693 წელს ვდებთ. ამის შემდეგ ვსვამთ კიდევ ერთ კითხვას – როდის შეიძლებოდა გამხდარიყო სუფრაჯ ავთნდილის ვაჟი იოსები პირღებულის მონასტრის წინამძღვარი?

სანამ უშუალოდ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია 1693-1703 წლის ერეკლე I-ის ბრძანება მესტუმრისადმი, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ განვმარტეთ, სუფრაჯ ავთანდილსა და წინამძღვარ ნიკოლოზს უნდა გაერიგებინათ დათუასა და ფარსია შორის არსებული დავა. ჩვენ ქაიხოსრო ავთანდილისშვილის

ფეოდალური სახლისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განვიხილეთ და სამართლიანად წინამძღვარი ნიკოლოზში ქაიხოსროს რიგით მეოთხე ვაჟი – ნიკოლოზი მივიჩნიეთ და მისი პირღებული მონასტრის წინამძღვრობა ზოგადი ქრონოლოგიური თარიღით – 1683-1726 წლებით განვსაზღვრეთ. ჩვენ მხედველობაში ვიღებთ 1693-1703 წლების ერეკლე ნაზარალი-ხანის ბრძანებულებას, ამის პარალელურად ყურადღებას ვამახვილებთ 1719 წლის ნასყიდობის სიგელზე და აქედან გამომდინარე დასკვნის სახით ვაცხადებთ, რომ სუფრაჯ იოსების პირღებულის მონასტრის წინამძღვრობის ქვედა ქრონოლოგიურ თარიღად 1719 წელი უნდა იქნეს მიჩნეული. რაც შეეხება მისი წინამძღვრობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს ამასთან დაკავშირებით მოვიტანთ კიდევ ერთ ბრძანებულებას, რომელიც 1724-1725 წლებით თარიღდება. აღნიშნულ საბუთში ნათქვამია: „ ... მა{ნ}გლელო იოსებ, ზაზავ! მრავალი მოკითხვის უკან ესე, რომ როსტომის ზ{ვ}რისა და ხოდაბუნის გამოსავალი, რომ ეს წაგირთმევიათ ესენიო თავის <შ>{დ}ამუშაებული ყოფილან, წართმევას არას ვემართლებით, რაც ამა წილისა ზ{ვ}რისა ან ხოდაბუნისა აგეღოს თამამ ქამალათ მიაბარეთ და ნუ აჩივლებთ, თორემ ავად მოგივა საქმე, კიდეც გამოგერთმევა...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 32/364).

ჩვენ შეგვიძლია ამ საბუთის ქრონოლოგიის კიდევ უფრო დავიწროვებას, ამისათვის მეტად საინტერესოა 1725 წლის 9 იანვრით დათარიღებული საბუთი, სადაც მანგლელად დასახელებულია არსენ დოლენჯიშვილი. აქედან გამომდინარე არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული ბრძანებულება 1724-1725 წლების ნაცვლად, 1725 წლის 9 იანვრის შედგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს. აღნიშნული საბუთის თარიღის დავიწროვების საფუძველზე, იოსების პირღებული მონასტრის წინამძღვრობის ზედა ზღვრად 1725 წელს ვდებთ. აქედან გამომდინარე მისი პირღებულის მონასტრის წინამძღვრობას 1719-1725 წლებით განვსაზღვრავთ.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ სუფრაჯ ავთნდილის ვაჟის იოსების პირღებულის მონასტრის წინამძღვრობის წლები და იგი 1719-1725 წლებით განვსაზღვრეთ. მაშინ გამოდის, რომ ქაიხოსრო აბაშიშვილის ვაჟის – ნიკოლოზის პირღებულის მონასტრის წინამძღვრობა კიდევ უფრო დავიწროვდეს და 1683-1726 წლების ნაცვლად, 1683-1719

წლებით უნდა განისაზღვროს. თუმცა აქ ერთ წინააღმდეგობას ვაწყდებით, რაც მდგომარეობს შემდგომში, რომ 1724 წლის ვახტანგ VI-ის ამალათა ნუსხაში ნიკოლოზ აბაშიშვილი იხსენიება, როგორც პირღებულის მონასტრის წინამძღვარი. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს, რომ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟის, იოსების წინამძღვრობა კიდევ უფრო დავავიწროვოთ და 1719-1725 წლების ნაცვლად, 1719-1724 წლებით განვსაზღვროთ. მაშინ გამოდის, რომ პირღებულის მონასტერს წინამძღვრად 1683-1719 წლებში ჰყავდა ქაიხოსრო აბაშიშვილის ვაჟი ნიკოლოზი, მის შემდეგ პირღებულის მონასტრის წინამძღვარი გამხდარა სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი იოსები, რომელიც მის საგვარეულოს საძვალე მონასტერს 1719-1724 წლებში განაგებდა. ხოლო იოსების შემდეგ პირღებულის მონასტრის წინამძღვარი კვლავ ნიკოლოზ აბაშიშვილი ხდება, რომელიც 1724 წლისათვის ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში, სადაც ქართლის მეფისადმი დიდი ერთგულება გამოუჩენია. ამის სანაცვლოდ მას 1726 წელს ვახტანგ VI-მ მისი მკვიდრი მამული ღორისთავი უწყალობა. აქედან გამომდინარე, ნიკოლოზ აბაშიშვილის პირღებულის მონასტრის წინამძღვრობის მეორე ეტაპს – 1724-1726 წლებით განვსაზღვრავთ.

1720-1723 წლების ბრძანების წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ მაგიერად ავთანდილს სუფრაჯს და დავითს და აბაშისშვილებ<ა>ს ასე უანბეთ.

მერ<ა>მე, მაგ<ა>ლისელთ შემოგჩივ<ა>ლეს, რომე დაგვალახეს და ნასყიდობასა და მამულისა არას გვანებებენ, ეგ როგო{რ}ი საქციელია, თავიანთ მამული და ნასყიდობა ისევ და{ა}ნებეთ, ჩვენთან ნუღარ აჩივ<ა>ლებთ, თუ რამ ქარ<ა>თული გაქუთ ჩვენ მოგვახსენეთ, სამართალს გიზამთ, ავთანდილ სუფრაჯი, მანდ{ა}ური მამულისა და სამძღვრისა ყ<ო>ველა კარ<ა>გათ იცის, როგო{რ}ც მაგანა თ<ა>ქვას ისე გა{ა}რიგეთ...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 1448-1321).

როგორც აღნიშნული ბრძანებიდან ვიგებთ, ქართლის სამეფო კარისათვის მანგლისელებს შეუჩივლიათ აბაშიშვილების მხრიდან მამულების წართმევისა და შევიწროების შესახებ. ქართლის სამეფო ხელისუფლებაც თავის მხრივ იქაური მამულებისა და საზღვრების კარგ მცოდნეს – სუფრაჯ ავთანდილ აბაშისშვილს აგზავნის აღნიშნული საქმის გადასაწყვეტად და მანგლისელებს მოუწოდებს, რომ აღნიშნული დავა სუფრაჯ

ავთანდილის გადაწყვეტილების შესაბამისად გაარიგონ.

ამის შემდეგ ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ 1724 წლის სექტემბრის დამდეგის ვენახის ნასყიდობის წიგნზე, რომლის მიხედვითაც მეზვრიშვილი ბერუა ვალების გამო იძულებული გახდა სუფრაჯ ავთანდილის შვილის, ზაზასათვის გოგიაშვილის ვენახის გვერდით მდებარე მისი ნაყიდი ვენახი მიეყიდა (სეა, 15/12).

1725 წელს ისაყ-ფაშა წყალობის სახით აძლევს ნამანაგლელავიშვილ როსტომსა და გუგუნას საღირაშენში მის მკვიდრ მამულს. 1725 წლის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...ჴელმწიფისაგან უხვად გამდიდრებულმან, ბედნიერმან ვეზირმან ისაყ ფაშამ ესე მამულისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ნამანგლელავისშვილს – როსტომს და გუგუნას და ქაიხოსროს და ვახტანგს და დავითს და ბარათას.

ასე, რომე შენს სამკვიდროს გლეხებს აბაშისშვილი ავთანდილ შემოგეცილა და მოკითხული ვქენით და შენი სამკვიდრო ყოფილიყო და ჩვენც ისევ წყალობა გიყავთ, საღირაშენს – ამილბარიშვილი, აღაჯანაშვილი, იბაშვილი, გოგინაშვილი, სარალაშვილი, ნადირაშვილი, იშხანაშვილი, ფეროზაშვილი, აზატაშვილი და დალაქი და კიდემ ფეროზაშვილი იორდანე და ჯვარისასშვილი ხუცესი...“ (სეა, 32/332).

როგორც ვხედავთ, ავთანდილ აბაშისშვილი უკვე აღარ იხსენიება სუფრაჯის სახელოთი. როგორც ჩანს, ქართლში ოსმალობის დამყარებამ მის პროირანულ ორიენტაციაზე გავლენა ვერ იქონია და აქედან გამომდინარე უნდა იყოს გამოწვეული მისთვის სუფრაჯის სახელოს ჩამორთმევა. სწორედ ამან განაპირობა ნამანგლელავიშვილებთან წარმოებული დავაში მისი დამარცხება და ისაყ-ფაშას მიერ საღირაშენში მცხოვრები გლეხების ნამანგლავიშილებისათვის მიკუთვნება.

1725 წლის 4 აგვისტოს ისაყ-ფაშა კიდევ ერთ წყალობის წიგნს აძლევს ნამანგლელაშვილ როსტომსა და გუგუნას, რის საფუძველზეც ვიგებთ, რომ ავთანდილი კვლავ განაგრძობს დავას ნამანგლელავიშვილებთან საღირაშენს მცხოვრები გლეხების თაობაზე. ამის გამო ისაყ-ფაშა იძულებული ხდება განუახლოს როსტომსა და გუგუნა ბარათაშვილებს საღირაშენს მცხოვრები გლეხების წყალობა, ხოლო ავთანდილ აბაშისშვილს რუსეთში გაქცეული ნოდარ აბაშისშვილის მამულები უბოძა (სეა, 12/133).

სუფრაჯ ავთანდილის შვილებისა და ნამანგლელავიშვილების დავასთან

დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი კიდევ ერთი დავის გარიგების წიგნი. ამ დოკუმენტში მიხედვით, როსტომ და გუგუნა ბარათაშვილები მანგლელსა და მის ძმას ლევანს საღირაშენზე ედავებიან, გარდა ამისა, მათ მიუყიდიათ მანგლელისა და მისი ძმისათვის ანდრიას გლეხები, რომელიც დავის განჩინების თანახმად კვლავ ნამანგლელავიშვილებს დაუბრუნდა (დოლიძე 1972: 335-336).

ეჭვგარეშეა, რომ აქ დასახელებულ მანგლელსა და მის ძმა ლევანში სუფრაჯ ავთანდილის ვაჟები – მანგლელი იოსები და ლევანი უნდა ვიგულისხმოთ. აღნიშნული განჩინების საბუთი ისიდორე დოლიძეს 1724-1735 წლებით აქვს დათარიღებული. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენთვის ცნობილია იოსებ მანგლელის მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავრობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი – 1725 წელი, აღნიშნული დოკუმენტის ისიდორე დოლიძისეულ დათარიღებას – 1724-1735 წლებს, ერთი წლით ვავიწროვებთ და შესაბამისად 1725-1735 წლებით გავსაზღვრავთ.

ამის შემდეგ შევეხებით 1725 წლის 7 აგვისტოს მამულის ნასყიდობის წიგნს, მიცემულს ქაიხოსრო დოლენჯიშვილის მიერ მანგლელ იოსებ აბაშიშვილისათვის ნასოფლარ ახალდიას ბოძების შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „...ესე ....ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, დოლენჯისშვილმა ქაიხოსრომ .....თქვენ, აბაშიშვილთ, ბატონს მანგლელს იოსებს, ძმასა შენსა ლევანსა, ძმისწულსა შენსა სვიმონსა და ძმასა შენსა ზაზასა, შვილთა, შვილისშვილთა სახლისა თქვენისათა მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მამული და ნასოფლარი ახალდია, მისი ერთი სამძღვარი ქცია{ს} ზემო გრძელის ჭალითა, აქათ აკაურთის სამძღვრამდინ, იქით დიის სამძღვარმდინ, წყაროს მიწა აქათი გვერდიცა და იქითა გვერდიცა, ამისი მაშავრის პირს ჭალა ხიზანაანთ ჭალის სამძღვრამდინ, ქვეით დიის სამძღვრამდინ...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 38/49).

როგორც აღნიშნული დოკუმენტი გვატყობინებს, ქაიხოსრო დოლენჯიშვილს მანგლელი იოსებ აბაშისშვილის, მისი ძმებისა და ძმისწულისადმი მისი სამკვიდრო მამული და ნასოფლარი ახალდია მიუყიდია. აქ მანგლელის გვერდით ვხვდებით ჯერ მისი ძმის, ლევანის, შემდეგ მისი ძმისწულის სვიმონის, შემდეგ კი მისი ძმის ზაზას სახელებს. 1702 წლის ნასყიდობის საბუთისაგან განსხვავებით აქ ვეღარ ვხვდებით მისი ძმების გორჯასპისა და ოტიას სახელებს. ამგვარ ცვლილებას შეიძლება მოეძებნოს ერთადერთი

ახსნა ის, რომ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟები, გორჯასპი და ოტიას ამ დროისათვის გარდაცვლილნი არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საბუთში დასახელებულნი იქნებოდნენ. 1702 წლისა და 1725 წლის ნასყიდობის საბუთებში დაცული ცნობების ურიერთშეჯერების საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მათი გარდაცვალების ქრონოლოგია – 1702-1725 წლებით უნდა განისაზღვროს.

ამასთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანია პირღებულის მონასტრის ეპიტაფია „ხელმწიფეთა შეყვარებული გორჯასპისა“. აღნიშნული ეპიტაფია ოთგზის იქნა გამოცემული. პირველად, 1904 წელს – ექვთიმე თაყაიშვილის (Такаишвили 1904: 24-25.შდრ. Такаишвили 1905: 24-25), მეორედ – 1999-2001 წლებში ნოდარ ბახტაძის მიერ (ბახტაძე 1999-2001: 100), მესამედ – 2003 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ (ბახტაძე .... 2003: 83), ხოლო მეოთხედ – 2005 წელს, თემო ჯოჯუას მიერ. ვიძლევით ამ საფლავის ქვის ბოლო, თემო ჯოჯუასეულ წაკითხვას:

1. „ ⵗემა[წ]იფე[თ]ა. შეყვარებუ[ლ]ი. ამახანაგთა. მოწონებულ
2. გორაჯასპი. კეთილთ მოიხასენე. უფალო

ⵗ. ⵗემ<ა>[წ]იფე[თ]ა შეყვარებუ[ლ]ი, ამ<ა>ხანაგთა მოწონებულ{ი} | გორ<ა>ჯასპი კეთილ{ა}თ მოიხ<ა>სენე. უფალო“ (ბახტაძე ... 2005: 216).

როგორც ვხედავთ, გორჯასპის საფლავის ქვის წარწერას არ უზის თარიღი. აღნიშნული ეპიტაფიის დათარიღების საკითხს პირველად 2003 წელს ავტორთა ჯგუფი (ნოდარ ბახტაძე, კონრად ზენდერი, ნანა კუპრაშვილი, ლადო მირიანაშვილი, თემო ჯოჯუა) შეეხო. მათ გაითვალისწინეს გორჯასპისთან დაკავშირებული ქართული ნარატიული წყაროებისა და ასევე ქართული საისტორიო საბუთების ცნობები და ამ ეპიტაფიის ქრონოლოგია XVII საუკუნის I ნახევრით განსაზღვრეს (ბახტაძე.....2005: 83). მეორედ, აღნიშნულ საკითხს შეეხო თემო ჯოჯუა. მეცნიერი აღნიშნული საფლავის ქვის დათარიღებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის პალეოგრაფიას და შესაბამისად ეპიტაფიაში მოყვანილ 24 გრაფემას დაწვრილებით განიხილავს, რის შემდეგაც დასძენს: „აღნიშნული პალეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, გორჯასპის ეპიტაფია არსებითი ხასიათის მსგავსებას ამჟღავნებს იქვე, პირღებულის მონასტრის მთავარი ტაძრის ცენტრალური დარბაზის იატაკში ჩადგმული სხვა საფლავის ქვების მხედრულ

წარწერებთან, პირველ რიგში – სუფრაჯ აბაშ აბაშისშვილის 1712 წლისა და ქაიხოსრო და თინათინის ძის აბაშის 1714 წლის ეპიტაფიებთან. შესაბამისად, ვფიქრობთ, ლოგიკური იქნება, რომ ზუსტად იმავე 1710-იანი წლებით განისაზღვროს გორჯასპის ეპიტაფიის ქრონოლოგიაც. თუმცა, პარალელურად ამისა, ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ პირღებულის მონასტრის მთავარ ტაძარში გამოვლენილი საფლავის ქვების ეპიტაფიათა საერთო ქრონოლოგია არამხოლოდ 1710-იან წლებს, არამედ 1640-იან წლებსაც კი მოიცავს, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ ლაპიდარულ ძეგლებს პრაქტიკულად იდენტური პალეოგრაფიული თავისებურებები ახასიათებს და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ჴელმწიფეთა შეყვარებული“ გორჯასპის ეპიტაფიას გაცილებით უფრო ვრცელი ქრონოლოგიური მონაკვეთით – XVII-XVIII საუკუნეებით ვათარიღებთ“ (ბახტაძე ....2005: 214-215).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი ავტორთა ჯგუფისაგან განსხვავებით, მხედველობაში იღებს ამ საფლავის ქვის მსგავსებას 1712 წლისა და 1714 წლის ეპიტაფიებთან, ამავე 1710-იან წლები ეპიტაფიად მიიჩნევს გორჯასპის წარწერასაც, თუმცა ითვალისწინებს რა XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ ლაპიდარულ ძეგლების იდენტურობას „ჴელმწიფეთა შეყვარებული“ გორჯასპის ეპიტაფიას XVII საუკუნის I ნახევრის ნაცვლად, უფრო ვრცელი ქრონოლოგიური ჩარჩოთი – XVII-XVIII საუკენეებით ათარიღებს.

ამ ეპიტაფიაში მოხსენიებული გორჯასპის ქვეშ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სუფრაჯ ავთანდილის რიგით მეოთხე ვაჟი გორჯასპი უნდა ვიგულისხმოთ. მას შემდეგ, რაც 1702 წლისა და 1725 წლის ნასყიდობის საბუთთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სუფრაჯ ავთანდილის ვაჟის გორჯასპის გარდაცვალების თარიღი 1702-1725 წლებით განვსაზღვრეთ, ამ საფლავის ქვის წარწერის ქრონოლოგიას შესაბამისად, XVII საუკუნის I ნახევრის, XVII-XVIII საუკუნეების ნაცვლად, 1702-1725 წლებით განვსაზღვრავთ.

1725 წლის 1 აგვისტოს მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული ქაიხოსრო დოლენჯიშვილის მიერ ორბელ იოთამიშვილისათვის ვკითხულობთ: „...ესე .....წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, დოლენჯისშვილმა ქაიხოსრომ, შვილმა ჩემ{მ}ა გიორგიმ თქვენ,

იოთამისშვილს ორბელს, შვილსა თქვენსა – ზა{ა}ლს, იოთამს, ნიკოლოზს, დავითს.

ასრე, რომენ დაგვეჭირა და მოგყიდე ჩვენის ნებით ჩვენი ალალი მამული ახალდიურში, ავაზნის ძირს, ქალაქის შარასა, ქვეით გზის პირს ყანდუას მიწა, აქეთ საქცევი ძამნიაურის ხევამდის, იქით საქცევი დი{ი}ს სამძღვრის გორამდინ კიდევ, იქავ ნურუასშვილის მიწა კიდევ, იმას გვერდით ყანდიასშვილის ხევის მიწა, კიდევ კენჭის ყარასთან ქალაქის შარას ქვეით პაროშასშვილის მიწა, აქეთ საქცევი კენჭის ყარამდინ, იქით ხე საქცევი ძამნიაურის ხევამდინ, ავიღეთ ფასი სრული და უნაკლულო.... არის ამისი მოწამე თავად ღ(მერ)თი, კაცთაგან: მანგლელი იოსებ, აბაშიშვილი დავით [ადგილი ბეჭდისა], ... აბაშიშვილი იასე [ადგილი ბეჭდისა], აბაშიშვილი ზაზა....“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 38/50).

როგორც საბუთიდან ირკვევა, ქაიხოსრო დოლენჯიშვილს ორბელ იოთამიშვილისა და მისი ვაჟებისათვის სხვა მიწებს შორის მიუყიდია სოფელ ახალდიასა და დიაში მისი კუთვნილი მიწები. როგორც ჩვენთვის ცნობილია აღიშნული სოფლები აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის საკუთრებაში შედიოდა და სწორედ ამის გამოა დასახელებული აღნიშნულ საბუთში მოწმეებს შორის აღნიშნული საგვარეულოს ოთხი წარმომადგენელი: მანგლელი იოსები, აბაშიშვილი დავით, აბაშიშვილი იასე, აბაშიშვილი ზაზა.

ამ დოკუმენტს კიდევ უფრო ავსებს ინფორმაციული თვალსაზრისით 1729 წლის მანგლელ, იოსებ აბაშიშვილის ბოძების სიგელი თავის დის, დარეჯანისა და თავის სიძის ორბელისათვის ახალდიას ნასონიშვილი საბაქთარისა და ვახტანგის ნასყიდი ნასოფლარის წყალობის შესახებ. ამ წყალობის წიგნს მისი ნიშვნელობიდა გამომდინარე სრული სახით ვიძლევით:

,, [ქ.] ნებითა და შეწევნითა მ¬ღ(რ)თისითა.

მე, მანგლელმან, აბაშისშვილმან იოსებ მოგეც ჩემი ნასყიდი ახალდიას ნასონიშვილის საბაქთ{ა}რის და ვახტანგის მოსყიდული ნასოფლარი ქალაქის შარამდინ აკაურთის <კენჭი> [კერძი] ყარამდინ წყაროს მიწა ამისთვინ, რომე მოხვედით ჩემ{მ}ა დამან, დარეჯან და ჩემ{მ}ან სიძემან, ორბელმან და იოთამ, რევაზ, ნიკოლოზ და დავით ასე, რომე შემამეხვეწენით ერთის გუთნის სახნავი მიწა მთხოვეთ, თქვენზე ახლო იყო და იქ მოგეც ახალდი{ა} <კენჭი> [კერძი] ყარამდინ აკ{ა}ურთის გზა, რომე გამოივლის იმას ზევით

ღმერთმან მოგცესთ და გიბედნიეროსთ ჩემს დასა და ჩემს სიძეს და დისწულებს, სხვა არა მოგეც რა და ისი მთხოვეთ და ის მოგეც, რომე იმასთან არას კაცს ხელი არა {ჰ}ქონდეს, არც ჩემს ძმებს, არც ჩემს ძმისწულებს, არც სახლისკაცს.

ვინც, ეს მოგიშალოს, მასცა <მ>{ჰ}რისხავს პირღებულთა მ-ღ(რ)თისმშობელი, არის ამისი მოწამე: იახათუნასშვილი იასე, იახათუნასშვილი მოსე, იასონასშვილი დეკანოზი ოსია, კიდევ ჩემი მსახური ვარდია.

დაიწერა მის დამდექს ქ(ორონი)კ(ონ)ს უიზ [ადგილი ბეჭდისა]. ბიძიას მანგლელს, რაც თავის დის დარეჯანისათვის და თავის სიძის ორბელისათვის ახალდია{ა}ს თავისგან ნასყიდი მიეცა, მეც ყაბული ვქენ, მე, სვიმონ აბაშისშვილმა [გადმოხატულია სვიმონ აბაშიშვილის ხელრთვა]“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 38/7).

1729 წლის წყალობის წიგნის თანახმად ვგებულობთ, რომ სუფრაჯ ავთანდილს ლევანის, როსაბის, იოსების, გორჯასპის, ზაზასა და ოტიას გარდა ჰყოლია კიდევ ერთი ქალიშვილი, სახელად დარეჯანი. აღნიშნული დოკუმენტით, მანგლელ იოსებ აბაშისშვილი თავის დას დარეჯანსა და თავის სიძეს, ორბელს ახალდიას საბაქთარ და ვახტანგ ნასონიშვილებისაგან ნაყიდ ნასოფლარს ქალაქის შარამდის, ასევე აკაურთაში მდებარე წყაროს მიწას წყალობის სახით აძლევს. თუ ამ საბუთისა და 1725 წლის ნასყიდობის წიგნში დაცულ ცნობებს შევუჯერებთ ერთმანეთს, სრულიად ნათელია, რომ სუფრაჯ ავთანდილის ქალიშვილი დარეჯანი იოთამიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენის – ორბელ იოთამიშვილის თანამეცხედრე გახლდათ. 1725 წლის 1 აგვისტოს მან ქაიხოსრო დოლენჯიშვილს სხვა მამულებთან ერთად იოსებ მანგლელისაგან ნაწყალობევი სოფელ ახალდიიაში მისი კუთვნილი მამულიც მიჰყიდა. ამ წყალობის წიგნს ამოწმებს იოსებ მანგლელისა და დარეჯან აბაშისშვილის ძმისწული – სვიმონ აბაშისშვილი. ამავე საბუთის მიხედვით, იოსებ მანგლელის მსახური ყოფილა ვარდია, რომელიც სხვა მოწმეებს შორის არის დასახელებული. ასევე მეტად საინტერესოა ამ საბუთის კრულობითი ნაწილი, სადაც იოსებ მანგლელის თქმით, ამ სიგელის მომშლელს შეჰრისხავს პირღებულის ღმრთისმშობელი. ამით იოსებ მანგლელი ხაზს უსვამს მისი საგვარეულოს საძვალის – პირღებულის მონასტრისადმი მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას.

სულ ბოლოს, გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს საბუთი კიდევ უფრო ამყარებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი იოსები სანამ მანგლელი გახდებოდა პირღებულის მონასტრის წინამძღვარი იყო 1719-1724 წლებში.

1725 წლის 8 აგვისტოთი დათარიღებულ მამულის ნასყიდობის წიგნში მოწმეთა შორის ჩანს იოსებ მანგლელი და მისი ძმა ზაზა აბაშიშვილი (სეა, 38/56).

1727 წლის 30 მარტს ქართლში ოსმალეთის სულთნის წარმომადგენელი – უსუფ-ბეგ ქეი ბრძანება უგზავნის როინ ჯავახიშვილს, სადაც ნათქვამია: „... როინ ჯავახიშვილსა ასე უანბეთ, მერმე შენი განაყოფი, მანგლელი და იმისი ძმისწული, რომე ზეს სასახლე და ერთი ბოგან როინს სყიდვით გაძლევდენ, დასტური მოგეცი, ფიქრი ნურას გაქვს, შენ იყიდე, ვერვინ შემოგეცილების და არავის ხელი აქვს შენს მეტს...“ (სეა, 48/68).

აქ ჩვენი აზრით, საბუთში შეცდომა უნდა იყოს, რაც მდგომარეობს შემდგომში, რომ „შენი განაყოფი“ს მაგივრად უნდა იყოს „შენ განაყოფს“. ეს გადამწერის უნებლიე შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს საბუთი პირს წარმოადგენს. თუ ამ შესწორება არ შევიტანთ საბუთში, გამოვა, რომ მანგლელი და მისი ძმისწულები როინ ჯავახიშვილის განაყოფები ანუ ჯავახიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები არიან, რასაც ამ საბუთის როგორც წინა წლების, ასევე ამის შემდგომ დროის იოსებ მანგლელ აბაშისშვილისადმი გაცემული საბუთები ეწინააღმდეგება. აქ დასახელებულ მანგლელსა და მის ძმისწულში იოსებ მანგლელი და მისი ძმისწული სვიმონ აბაშისშვილი უნდა ვიგულისხმოთ, რომელნიც როინ ჯავახიშვილს სასახლესა და ერთ ბოგანო გლეხს ნასყიდობის სახით აძლევენ. სწორედ ამაზე აძლევს დასტურს უსუფ-ბეგ ქეი როინ ჯავახიშვილს.

1727 წლის სექტემბრის გასულს იოსებ მანგლელი ამოწმებს ყმის ნასყიდობის წიგნს, მიცემულს ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ ესტატე მარკოზიშვილისათვის (სეა, 52/26).

1727 წლის დეკემბრის 21 დეკემბრის ნასყიდობის წიგნში, მიცემული თაყაშვილი დემეტრეს მიერ მდივანბეგს, ბატონს ერასტი ყაფლანიშვილისათვის მოწმეებს შორის ვხვდებით იოსებ მანგლელს, მის ძმა ზაზა აბაშისშვილს და მათ სახლიკაცს ქაიხოსრო აბაშისშვილს (თაყაიშვილი 1909: 341-342).

1728 წლის მარტის ნასყიდობის წიგნში, მიცემული მღვდელ ფილიპეს მიერ ვახტანგ

ორბელიშვილისათვის მოწმეებს შორის გხვდება თბილელ მიტროპოლიტი მანგლელი იოსები, აბაშისშვილი ქაიხოსრო და აბაშისშვილი ზაზა (თაყაიშვილი 1909: 345-346).

როგორც ვხედავთ, სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი, მაგლელი იოსები 1728 წლისათვის მანგლელობასთან ერთად თბილელ მიტროპოლიტობის საპატიო სახელოსაც ითავსებდა, რომელიც თავის ძმა ზაზა აბაშისშვილთან და ქაიხოსრო აბაშისშვილთან ერთად ამოწმებს აღნიშნულ დოკუმენტს.

იგივე სურათი გვაქვს ამავე წლის ნასყიდობის სიგელში, მიცემული ქაიოსრო თაყაშვილის მიერ ყაფლანიშვილი ვახტაგისათვის, აქაც მოწმეებს შორის ვხვდებით მიტროპოლიტ მანგლელ იოსებს, მის ძმას, ზაზას და ქაიხოსრო აბაშისშვილს (თაყაიშვილი 1909: 347-348).

მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია ასევე 1730 წლის 25 დეკემბრის ნასყიდობის სიგელი, რომლის ძალითაც ალექსანდრე გურიელისშვილი, მის მეუღლე მახია ქავთარიშვილთან ერთად ორბელიშვილ ვახუშტის ნასყიდობის სახით აძლევს ცხნარში და საკეცეში მდებარე მის წილ მამულებს. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, ამ საბუთის აშიაზე სხვადასხვა ხელით შესრულებულ დამოწმებებს შორის გხვდება შემდეგი დამოწმებანი: „...არის ამისი მოწამე აბაშისშვილი თბილელ-მანგლელ მიტროპოლიტი, ბატონი იოსებ, ...ქ. აბაშიშვილი ქაიხოსრო †, ქ. აბაშიშვილი ზაზა...“ (თაყაიშვილი 1909: 355).

წინა ნასყიდობის საბუთებისაგან განსხვავებით, აქ კონკრეტულად არის აღნიშნული, რომ თბილელ მიტროპოლიტი იოსები აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელია, რაც კიდევ ერთხელ ნათელს ფენს წინა საბუთებში დასახელებულ თბილელ-მიტრიპოლიტ იოსების გვარიშვილობის საკითხს.

მეტად საინტერესოა 1727-1728 წლის საბუთებში იოსებ მანგლელისა და მისი ძმის ზაზა გვერდით მოხსენიებული ქაიხოსრო აბაშისშვილის პიროვნება. ჩნდება ლოგიკური კითხვა – რა ნათესაური კავშირში შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული ქააიხოსრო იოსებ მანგლელისა და მისი ძმის ზაზასადმი?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მოგვყავს 1696 წლის ნაზარალი-ხანის კიდევ ერთი გაცემული წყალობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ: „...ჩვენ, მეფეთ-მეფემ{ა}ნ

და თვით ჴელმწიფემ{ა}ნ პატრონმ{ა}ნ ნაზარალი-ხან .....ესე ..... წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ, სუფრაჯის ჯალაბს, ქეთევანს ასე, რომე თქვენს შვილს ავთანდილს, ქაიხოსროს.

ასე, რომე ზემო წერაქვი ჩვენს შვილს, გიორგის უბოძეთ და ჩვენი შვილს გიორგის თქვენ ზდით, რადგან ის ყმაწვილი თქვენთან იყო, ისიც თქვენთვინ მოგვიცია და მოგვიბარებია, ექვს კომლს კაცი გარდის, რომ დიაღ ავი არ იყოს, ის ექვსი კომლი სხვას უბოძეთ...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (ხეც, HD-6357).

როგორც 1696 წლის ერეკლე I-ის წყალობის წიგნი გვატყობინებს, ქართლის მეფეს მისი ერთ-ერთი ვაჟი, გიორგი ბატონიშვილი სუფრაჩ [ბარათაშვილის] ჯალაბი ქეთევანისათვის მიუბარებია და მისი შვილებთან: ავთანდილთან და ქაიხოსროსთან ერთად იზრდებოდა. სწორედ ამ დამსხურების გამო ქართლის მეფე სუფრაჯის ჯალაბს წყალობის სახით აძლევს ზემო წერაქვს, რომელიც ადრე თავისი ვაჟის, გიორგი ბატონიშვილისათვის მიუბარებია.

ერთი შეხედვით აქ დასახელებული სუფრაჯის ჯალაბი ქეთევანი და მისი შვილები ავთანდილი და ქაიხოსრო სუფრაჯ ავთანდილის .ოჯახის წევრებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, 1693 წლიდან ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის სახელოს ავთანდილ აბაშისშვილი ფლობდა. თუმცა ამ დებულებას ეწინააღმდეგება, სუფრაჯ ავთანდილისა და მისი ფეოდალური სახლის წევრებისადმი გაცემული დოკუმენტები, სადაც ჩამოთვლილ მის ვაჟებს შორის არსად არ ვხვდებით ავთანდილისა და ქაიხოსროს სახელებს. ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ვსვამთ კიდევ ერთ კითხვას – მაშინ ვინ უნდა მივიჩნიოთ აღნიშნულ წყალობის სიგელში სიტყვა სუფრაჯის ქვეშ?

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ერეკლე I-ის ერთ-ერთი ბრძანება, სადაც ნათქვამია: „ქ: ჩვენი ბრძანება არის, აბაშო! ასე მოგვხსენდა: ახლა რომ სახლობს ტორაბაკიძე, ეგ ალაგი ავთანდილ ჯავახიშვლისა არის, ტორაბაკიძე აყარე, სადა უწინ ესახლა და გვემსახურებოდა, იქავ დააყენე. არავინ არ შესცოდოს, თვალ-ყური მიყარე, უწინდელის ალაგიდამ გვემსახუროს [ნახარალიხან]“ (თაყაიშვილი 1909: 113-114).

აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე, აბაშს უნდა აეყარა ტორაბაკიძე და თავის ძველ ადგილას უნდა გადაესახლებინა, რადგან ავთანდილ ჯავახიშვილის ადგილი

მიეთვისებინა. ეჭვგარეშეა, რომ აქ დასახელებულ აბაში აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელია, რადგან ეს სახელი აბაში გვიან შუასაუკუნეების საქართველოში მხოლოდ ამ ფეოდალური სახლის წევრებისათვის არის დამახასიათებელი. ამას თუ დავუკავშირებთ 1693 წლის ერეკლე I-ის წალობის წიგნის სპარსულ ვარიანტს, სადაც დასახელებულია სუფრაჯ ავთნდილის მამა აბაშ ბარათაშვილი, არ შევცდებით თუ ვიტყვით რომ, 1696 წლის წყალობის საბუთში დასახელებული სუფრაჯის ჯალაბი ქეთევანი და შვილები ავთანდილი და ქაიხოსრო აბაშ ბარათაშვილის ოჯახის წევრები არიან. აქვე შევნიშნავთ, რომ ერეკლე I-ის ბრძანებულების საბუთს, მიმართულს აბაშისადმი ექვთიმე თაყაიშვილი 1695-1703 წლებით განსაზღვრავს, რადგან ამავე წლებში მიიჩნევს ერეკლე I-ის მეფობას ქართლში. პირთა ანოტირებული ავტორები აღნიშნულ საბუთს ექვთიმესაგან განსხვავებით, საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით, 1688-1703 წლებით განსაზღვრავენ. ჩვენ მას შემდეგ, რაც სუფრაჯ ავთანდილის მამა აბაშ ბარათაშვილი 1696 წლის ერეკლე I-ის წყალობის საბუთში მოხსენიებულ სუფრაჯთან გავაიგივეთ, შეგვიძლია ერეკლე I-ის ბრძანებულების ქრონოლოგიის დავიწროვება. როგორც ჩვენთვის ცნობილია სუფრაჯი 1693 წლისათვის აბაშის ვაჟი ავთანდილია. იქიდან გამომდინარე, რომ ბრძანებას ერეკლე I გასცემს, რომლის ქართლში მეფობის ქვედა ზღვრად მიჩნეულია 1688 წელი, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული ბრძანების ქრონოლოგია კიდევ უფრო უნდა დავიწროვდეს და 1695-1703, 1688-1703 წლების ნაცვლად, 1688-1693 წლებით უნდა განისაზღვროს.

თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ გამოდის, რომ სუფრაჯ ავთანდილის მამა აბაშიც ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის საპატიო სახელოს ფლობდა. ასევე ირკვევა, სუფრაჯ ავთანდილის დედის ქეთევანისა და ძმის ქაიხოსროს სახელები. ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე გამოდის, რომ 1727-1728 წლებში დასახელებული ქაიხოსრო აბაშისშვილი იოსებ მანგლელისა და მისი ძმის ზაზა აბაშისშვილის ბიძა ყოფილა.

1729 წლის 7 მარტს მაწევნელი ივანე ნუხასიაშვილი გოლთეთელ ბეჟუა ამილბარაშვილს აძლევს ნასყიდობის წიგნს, სადაც ეუბნება: „ასე წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენა, მაწევნელი ნუხასიაშვილმა ივანამა და ჩემ{მ}ა ბიძაშვილმა ბერუამა შენა,

გოლთელი ამილბარაშვილსა ბეჟუასა და ძამს შენსა ბერუასა და ზურაბ<აბ>ასა და თამაზასა, სახლისა შენისა მომავალს.

ასე, რომე ჩემი მკვიდრი მამუ<რ>ლი გაწყვეტილაში ერთი დღისა მიწა თავისი შესამატით ერთი ნაპირი ახალკაცისშვილის მიწა, ქვეით პირი გოლ<ია>{თე}თ{ს} ტერ-არაქელას მიწა, ქვეით საქცევი იოსებ მა{ნ}გლელისა მიწა მოგეცა და ღმერთმან {მ}შვიდობაში მოგახმაროს...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 15/31).

1731 წლის 18 ივნისისათვის იოსებ აბაშისშვილი კვლავ მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავარია, რაზეც ნათალად მეტყველებს ამ წლის მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გერმანოზიშვილ ოთარის მიერ ორბელიშვილ ქაიხოსროსათვის ტბისს მისი კუთვნული მამულის ბოძების შესახებ, სადაც მოწმეებს შორის დასახელებულია „...აბაშიშვილი მანგლელი იოსებ [ადგილი ბეჭდისა]...“ (სეა, 1450 15/75).

1737 წლის 17 სექტემბერს იოსებ აბაშიშვილი კვლავ მანგლე-თბილელ მიტროპოლიტია, რაზეც ნათლად მეტყველებს ამ წლის მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გოშპარ [ჯავახიშვილის] მიერ თავის განაყოფ – როინ [ჯავახიშვილისათვისათვის] (სეა, 48/62). იგი აღნიშნულ საბუთშიც კვლავ მოწმის სტატუსით არის წარმოდგენილი.

ამის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანია 1741 წლის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სვიმონ აბაშიშვილის მიერ ერასტისა და მისი ძმებისათვის, ახალდიაში მისი წილი მამულის მიყიდვის შესახებ, სადაც ნათქვამია: „... ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, აბაშიშვილმან სვიმონ, აბაშმა, დემეტრემ, შერმაზან თქვენ, ერასტის, ზა{ა}ლს, რევაზს და დავითს, სახლისა მამავალსა თქვენსა.

ასე, რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ ახალდია იასონისშვილისგან გასყიდული და ჩვენგან ნასყიდი, რაც ბიძის მანგლელმა და მე მიგვეცა თავის დისთვის და თავის სიძისთვის, ამას გარდა, რაც დარჩომილა თქვენთვინ მოგვიყიდია...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 38/10).

როგორც ვხედავთ, სვიმონ აბაშიშვილმა ერასტისა და მის ძმებს მიჰყიდა ახალდიას მდებარე იასონიშვილისაგან ნასყიდი მამული. თუმცა იქვე დასძენს, რომ მან ერასტის მიჰყიდა ახალდიაში მამულის ის ნაწილი, რაც დარჩენია მას და მის ბიძას მანგლელ

იოსებს, მანგლელის მიერ ახალდიის მამულის თავისის დისა და სიძისათვის ბოძების შემდეგ. ამ საბუთს თუ შევუჯერებთ 1729 წლის იოსებ მანგლელ აბაშიშვილის წყალობის წიგნს, ბოძებულს თავის დის დარეჯანისა და თავისი სიძის, ორბელ იოთამიშვილისათვის, სავსებით ნათელია, რომ აქ დასახელებული სვიმონ აბაშიშვილის მანგლელი ბიძა – მანგლელი იოსებ აბაშიშვილია. თუმცა საინტერესოა ერთი დეტალი – 1741 წლისათვის იოსები კვლავ მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავარია? თუ ამ საბუთში აღნიშნულია მისი წინანდელი მდგომარეობა?

ჩვენს მიერ დასმულ კითხვას ამომწურავ პასუხს სცემს 1739 წლის საბუთი, სადაც მანგლელად ამჯერად უკვე ქრისტეფორეა დასახელებული (ხეც, AD-583). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ ნასყიდობის წიგნში სვიმონ აბაშიშვილი ხაზს უსვამს მისი ბიძის, იოსებ მანგლელის წინანდელ მდგომარეობას.

თუ მანგლისის ეპარქიას 1739 წლისათვის მანგლელი ქრისტეფორე უდგას სათავეში, რაც როგორც ვნახეთ დოკუმენტურად დასტურდება, მაშინ იოსებ მანგლელის მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავრობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1739 წელი უნდა იქნეს მიჩნეული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვითვალისწინებთ რა იოსებ აბაშიშვილის მანგლელობის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს 1725 წელს, მისი მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავრობას – 1725-1739 წლებით განვსაზღვრავთ, ხოლო მის მანგლელ-თბილელობას კი 1728-1739 წლებით.

შემდეგი საბუთი, სადაც ავთანდილ აბაშისშვილისა და მისი ფეოდალური სახლის წევრების შესახებ არის საუბარი 1737 წლის 3 მარტით თარიღდება, სადაც ნათქვამია: „...ჩვენ, აბაშისშვილთა, სუფრაჯის ავთანდილის შვილთა ლევან, ჩემმა ძმისწულმა გორჯასპის შვილმა სვიმონ, შვილთა და შვილისშვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა შენ, მეკალაპოტე დემუჩას, შვილსა შენსა არუთინასა, დავითასა, პაპასა, გოლიასა, არუთ<ა>{ი}ნას, შვილსა გიორგისა, მელქუასა, შვილთა, შვილისშვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 2/75).

აქ, როგორც ვხედავთ, სუფრაჯ ავთანდილის უფროსი ვაჟი ლევანი და მისი შვილიშვილი, გორჯასპის შვილი სვიმონია დასახელებულია. აქ უკვე ვეღარ ვხვდებით სუფრაჯ ავთანდილის შვილის ზაზას სახელს. როგორც ჩანს, იგი ამ დროისათვის

გარდაცვლილია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იგი ბოლოს 1730 წლის ნასყიდობის სიგელში იხსენიება მოწმეებს შორის, თუ შევუჯერებთ ამ საბუთს 1737 წლის ნასყიდობის წიგნს, მისი გარდაცვალების ქრონოლოგია 1730-1737 წლებით უნდა განისაზღვროს.

სულ ბოლო საბუთი, სადაც სუფრაჯ ავთანდილის ოჯახის წევრების შესახებაა საუბარი 1738 წლით თარიღდება. 1738 წელს სუფრაჯ ავთანდილ აბაშიშვილის შვილი, ლევანი და მისი ძმისწული სვიმონი ხელმწიფის მდივანს, სულხან თუმანიშვილს კიკეთის მამულის წყალობის წიგნს აძლევენ, სადაც ვკითხულობთ: „...ესე ..... წიგნი და პირი ნასყიდობისა და სიგელი საბოლო{ო}დ გამოსადეგი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, აბაშიშვილმან, სუფრაჩის ავთანდილის ძემან, ლევან და ძმისწულმან ჩვენმან სვიმონ თქვენ, ჴელმწიფის მდივანს, თუმანისშვილს სულხანს და შვილსა თქვენსა – შიოშს და გიორგის და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკუიდრო და ბარათში გამოყოლილი მამული და სოფელი კიკეთი, რაც ოდენ ჩვენი წილი იყო ყოვლითურთ უნაკლულოდ მოგყიდეთ...“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ.გ.) (სეა, 1448-79).

როგორც ჩანს, 1738 წლისათვის სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი ლევანი და მისი შვილიშვილი სვიმონი ფინანსური პრობლემების გამო იძულებულნი არიან მათი მკვიდრი მამული კიკეთი ქართლის მეფის მდივანს – სულხან თუმანიშვილს მიჰყიდონ.

ამრიგად, XVII-XVIII საუკუნეების დიპლომატიკური ძეგლების, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიის, 1724 წლის ვახტანგ VI-ის ამალის ნუსხისა და 1702-1725 წლის „ხელმწიფეთა შეყვარებული გორჯასპისა“ ეპიტაფიის ურთიერთშეჯერების საფუძველზე მეტად საინტერესო ქრონოლოგიურ დასკვნებამდე მივედით:

1.ზაზა საგინაშვილის მიერ სუფრაჯ ავთანდილისა და მისი შვილებისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნის ქრონოლოგია 1688-1703 წლების ნაცვლად, 1694-1703 წლებით განვსაზღვრავთ.

2.ამავე 1694-1703 წლებით დავათარიღეთ სუფრაჯ ავთანდილის რიგით მეორე ვაჟის – როსაბის გარდაცვალებაც.

3.განჩინება იესე მეფისა ნოდარ სუფრაჯის შვილისა და ვათიაშვილის წისქვილის

თაობაზე 1714-1727 წლების მაგივრად, 1724-1727 წლებით გადავათარიღეთ.

4.1693 წლის წყალობის წიგნში ჩამოთვლილ სუფრაჯ ავთანდილის რიგით მესამე ვაჟ „ქეშიშში“ 1719 წლის საბუთში სუფრაჯ ავთანდილის ვაჟი იოსები მივიჩნიეთ და მისი პირღებულის მონასტრის წინამძღვრობა 1719-1724 წლებით განვსაზღვრეთ. რაც შეეხება მის მანგლისის ეპარქიის მწყემსმთავრობას 1725-1739 წლებით ვათარიღებთ, ხოლო მანგლელ-თბილელობას 1728-1739 წლებით.

5.სუფრაჯ ავთანდილის შვილებისა და ნამანგლელავიშვილების დავასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი დავის გარიგების წიგნი 1724-1735 წლების ნაცვლად, 1725-1735 წლებით გადავათარიღეთ.

6.1702-1725 წლებით ვათარიღებთ სუფრაჯ ავთანდილის ვაჟების გორჯასპისა და ოტიას გარდაცვალების ქრონოლოგიას..

7.„ჭელმწიფეთა შეყვარებული“ გორჯასპის ეპიტაფიას XVII საუკუნის I ნახევრის, XVII-XVIII საუკუნეების ნაცვლად, 1702-1725 წლებით განვსაზღვრავთ.

8.სუფრაჯ ავთანდილს ლევანის, როსაბის, იოსებ მანგლელის, გორჯასპის, ზაზასა და ოტიას გარდა ჰყოლია კიდევ ერთი ქალიშვილი სახელად დარეჯანი, რომელიც იოთამიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელ – ორბელზე იყო გათხოვილი.

9.გავარკვიეთ, რომ სუფრაჯ ავთანდილის მამა აბაშიც ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის საპატიო სახელოს ფლობდა, ასევე მისი დედის ქეთევანისა და მისი ძმის ქაიხოსროს სახელები.

10.ერეკლე I-ის ბრძანების ქრონოლოგია კიდევ უფრო დავაზუსტეთ და 1695-1703 წლების, 1688-1703 წლების ნაცვლად, 1688-1693 წლებით დავათარიღეთ.

დასკვნა

ამრიგად, XVI-XVIII საუკუნეების ქართული და სპარსულ ნარატიულ წყაროების, ამავე პერიოდის ქართული საისტორიო საბუთების, ასევე ქართულ-სპარსული საბუთებისა და ეპიგრაფიკული მასალის ურთიერთეშეჯერების საფუძველზე წარმოვადგინეთ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია. აღნიშნულ ნაშრომში გავარკვიეთ XVI-XVIII საუკუნის აბაშიშვილთა ფეოდალური სახლთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: აბაშიშვილთა ფეოდალური ოჯახის წარმოშობა, მათი ურთიერთობა ქართლის სამეფო კართან, მათი საგვარეულოს წარმომადგენელთა საერო და სულიერო სახელოები, ამ ფეოდალური საგვარეულოს კონკრეტული საქორწინო კავშირები ამირეჯიბთა, ამილახორთა, ყაფლანიშვილთა და იოთამიშვილთა ფეოდალურ ოჯახებთან, მათ დაქვემდებარებაში მყოფი სოფლებისა და გლეხებისა ნუსხა, მათი ფეოდალური სახლის გენეალოგია. გარდა ამისა, ინფორმაციული თვალსაზრისითაც გავამდიდრეთ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორებიცაა XVII საუკუნის 40-იან წლებში ქართლის ფეოდალთა მიერ მოწყობილი გამოსვლა-შეთქმულებები, სადაც აქტიურ მონაწილებას იღებდნენ ჩვენთვის საინტერესო ფეოდალური სახლის წარმომადგენლები. ჩვენს მიერ გამოტანილი ქრონოლოგიური და გენეალოგიური დასკვნები კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰფენს XVI-XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ამ მეტად ურთულეს მონაკვეთს, რაც ჩვენი აზრით, დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1.არჩილი 1937: არჩილიანი (თხზულებათა სრული კრებული) ალ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედ., ტ.II, თბილისი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა“, 1937.

2. ვახუშტი ბატონიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – წგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973.

3. ბარნაველი 1961: ბარნაველი თ., მანგლისის ტაძრის წარწერები, თბილისი 1961.

4. ბახტაძე1999-2001: ბახტაძე ნ., პირღებულის მონასტრის არქეოლოგიური კვლევის ზოგიერთი ასპექტი. კრებულში: საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო შრომების წელიწდეული, IV-V, გამომცემლობა მითითებული არ არის, თბილისი 1999-2001.

5. ბახტაძე...2003: ბახტაძე ნ., ზენდერი კ., კუპრაშვილი ნ., მირიანაშვილი ლ., ჯოჯუა თ., პირღებულის მონასტრის კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები, კრებული: სამეცნიერო სესია მიძღვნილი ე.თაყაიშვილის ხსოვნისადმი, მოხსენებების მოკლე შინაარსები, 2003 წლის 27-30 მაისი.

6. ბახტაძე...2005: ბახტაძე ნ., ზენდერი კ., კუპრაშვილი ნ., მირიანაშვილი ლ., ჯოჯუა თ., პირღებულის მონასტერი 1989 და 2002-2003 წწ. კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები, თბილისი, მეცნიერების ფონდი „უდაბნო“, 2005.

7. ბერიძე 1956: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი 1956.

8. ბერიძე 1994: ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, გამომცემლობა „კანდელი“, თბილისი 1994.

9. ბერძენიშვილი 1979: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნარკვევი I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1979.

10. ბერძენიშვილი 2000: ბერძენიშვილი დ., დმანისხევი, კრებული დმანისი ტ. 2, თბილისი 2000.

11. გვრიტიშვილი 1955: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, „სახელგამი“, 1955.

12. გოგოლაძე 2009: გოგოლაძე თ., ქართლის დედოფლის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის (XVII ს-ის I ნახ.) სიკვდილით დასჯის თარიღისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტეს შრომები, IX, თბილისი 2009.

13. გოგოლაძე 2011: გოგოლაძე თ., ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი და 1648-1653 წწ. შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილის და მისი ძმებისა პირღებულთა ღმრთისმშობელისადმი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ინსტიტუტის შრომები. ტ. III. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2011.

14. დვალი 1974: დვალი მ., მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1974.

15. ბერძენიშვილი 1940: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ბატონყმური ურთიერთობა (XVI-XVIII ს.ს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. ტ. I. თბილისი 1940.

16. დუნდუა 1980: დუნდუა ნ., როსტომ მეფის ორენოვანი (ქართულ-სპარსული) ჰოქმები, „მაცნე ისტორიის სერია, 1980, №2.

17. თაყაიშვილი 1929: თაყაიშვილი ექვ., სომხით-საორბელოს წარწერები (ნაწილი პირველი) კავკასიონი № 1-2 პარიზი 1929 წლის იანვარ-თებერვალი.

18. კაკაბაძე 1913: კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, ტ. III, ტფილისი 1913.

19. კაკაბაძე 1922: კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810), თბილისი, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა“, 1922.

20. კარანაძე 2002: კარანაძე მ., ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბილისი 2002.

21. ლომინაძე 1951: ლომინაძე ბ., მასალები საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვ. 29

22. ლორთქიფანიძე 1935: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ტ. I 1935.

23. ლორთქიფანიძე 1937: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ტ. II 1938.

24. მამისთვალიშვილი 1996: მამისთვალიშვილი ე., ამილახვრები, გორი, „ქართლი“, 1996.

25. ასათიანი 1973: მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), ტექტსი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, გამომცემლობა “მეცნიერება“, თბილისი 1973.

26. მესხია 1983: მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1983.

27. მოჰამედ თაჰერი 1954: მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ.ფუთურიძის გამოცემა, – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნარკვევი 30.

28. მეტრეველი...2007: მეტრეველი რ., ჯადუგიშვილი ნ., „მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ“ საარქივო მასალები ვახტანგ VI-ის მემკვიდრეთა ურთიერთობის შესახებ, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი 2007

29. მჭედლიძე 1999: მჭედლიძე გ., ფიტარეთის მონასტრის ისტორიიდან (ფიტარეთის მონასტრის ქვების წარწერები), მრავალთავი, ტ. 18, თბილისი 1999.

30. მჭედლიძე 2001: მჭედლიძე გ., გერმანოზიშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან, მრავალთავი, XIX, თბილისი 2001.

31. მჭედლიძე 2009 ა : მჭედლიძე გ., გუდარეხის მონასტერი (ქვემო ქართლის სენიორიების ისტორიიდან), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009.

32. მჭედლიძე 2009 ბ : მჭედლიძე გ., ფიტარეთის მონასტერი (ქვემო ქართლის სენიორიების ისტორიიდან), გამომცემლობა „ფავორიტი“, თბილისი 2009.

33. ნაკაშიძე 1977: ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბილისი, „მეცნიერება“, 1977.

34. ნინიძე 2004: ნინიძე დ., ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები), თბილისი, „მერიდიანი“, 2004.

35. პაიჭაძე 1960: პაიჭაძე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბილისი 1960.

36. პაიჭაძე 1975: პაიჭაძე გ., ვახტანგ VI, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი 1975.

37. ზაქარია 1984: ზაქარია პ., პირღებული, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბილისი 1984.

38. კლდიაშვილი...1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი 1991.

39. კლდიაშვილი...1993: პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), ტ. II, გამოსაცემად მოამზადეს დ კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი 1993.

40. ბაქრაძე....2004: პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), ტ. III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ, გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი 2004.

41. ჟორჟოლიანი 1987: ჟორჟოლიანი გ., აღმოსავლეთ საქართველო XVII საუკუნის 30-50 წლებში, თბილისი, „მეცნიერება“ 1987.

42. რეხვიაშვილი...2000: რეხვიაშვილი მ., რეხვიაშვილი ნ., საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე) „ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2000.

43. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/18.

44. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/8.

45. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 15/13.

46. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/20.

47. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/23.

48. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 12/110.

49. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/27.

50. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/50.

51. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/49.

52. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 15/7.

53. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 15/12.

54. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 2/75.

55. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/5.

56. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/32.

57. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 15/68.

58. საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1450 11/160.

59. საქართველოს ეროვნული არქივი 1448-79.

60. საქართველოს ეროვნული არქივი 1448-107.

61. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 15/16.

62. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/50.

63. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/56.

64. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 48/68.

65. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 52/26.

66. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/7.

67. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/10.

68. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/56.

69. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/48; 1450 38/49.

70. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/2.

71. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/19

72. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/5.

73. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 38/4.

74. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 14/13.

75. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 20/28.

76. საქართველოს ეროვნული არქივი 1449-2175.

77. საქართველოს ეროვნული არქივი 1449-1912.

78. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/133.

79. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 9/119.

80. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 9/93.

81. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 32/332.

82. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 32/362.

83. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 32/364.

84. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/113.

85. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/110.

86. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/106

87. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 26/96.

88. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 32/320

89. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 32/341

90. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 32/351.

91. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 20/63.

92. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 26/69.

93. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 50/202

94. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 11/59.

95. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1448-598.

96. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1448-1863.

97. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1448-2181.

98. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/107.

99. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/132

100. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/133.

101. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 15/31.

102. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 15/75.

103. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 48/62.

104. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1448-2318.

105. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/129

106. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 12/106.

107. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1448-2942.

108. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1448-1321.

109. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 1/69.

110. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1449-1976.

111. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1449-1916.

112. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1450 11/8.

113. საქართველოს ეროვნული არქივი ფ. 1449-1539

114. საქართველოს სიძველენი, ტ.I, ე.თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, 1899.

115. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1909.

116. სეხნია ჩხეიძე 1913: სეხნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, თბილისი 1913.

117. სვანიძე 2007: სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), (რედ. გიული ალასანია), საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი, „არტანუჯი“, თბილისი, 2007.

118. სოსელია 1973: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისი, „მეცნიერება“, 1973.

119. სურგულაძე 1985: სურგულაძე ი., სუფრაჯი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ.9, თბილისი 1985.

120. ფარსადან გორგიჯანიძე 1925: ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, ს.კაკაბაძის გამოცემა, – საისტორიო მოამბე, ტ.II, 1925.

121. ფუთურიძე 1966: ფუთურიძე ვლ., ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, კრებულში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი 1966.

122. ფურცელაძე 1892: ფურცელაძე ან., ბრძოლა საქართველოს მოსასპობელად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, სტამბა „მ.შარაძისა“, ტფილისი, 1892.

123. ქავთარია 1987: ქავთარია მ., ყაფლანიშვილთა სახლის გენეალოგია, მრავალთავი, ტ. 14, თბილისი 1987.

124. ყაუხჩიშვილი 1959: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.II, თბილისი, „სახელგამი“, 1959.

125. დოლიძე 1965: ქართული სამართლის ძეგლები, ტ.II , საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები პროფ. ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1965.

126. დოლიძე 1972: ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1972.

127. ფუთურიძე 1955: ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ.ფუთურიძემ, თბილისი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“, 1955.

128. ბრეგაძე... 1958: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ტ. II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1958.

129. ჟორდანია 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, თბილისი 1897.

130. შანიძე 1926: შანიძე აკ., კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ, მიმოხილველი I, ტფილისი 1926.

131. შაორშაძე 2008: მ. შაორშაძე, წმ. იოანე მანგლელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, თბილისი 2008.

132. კეკელიძე 1930: შვიდი მთიები (ბარამ გური), პროფ. კ.კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევითა და ლექსიკონით, ტფილისი, „ქართული წიგნი“, 1930.

133. ჩიტაია 1926: ჩიტაია გ., პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის-ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბილისი 1926.

134. ჩოჩიევი 1957: ჩოჩიევი ვ., ირან-საქართველოს 1639 წლის ზავი და საქართველო წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957.

135. ღუნაშვილი 2005: ღუნაშვილი ვლ., ქსნის საერისთავის პოლიტიკური ისტორია,

თბილისი, დაიბეჭდა შპს „პდპ“-ში, 2005.

136. ჯამბურია 1955: ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბილისი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, 1955.

137. ჯამბურია 1973: ჯამბურია გ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90 წლებში, წიგნში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973.

138. ჯანდიერი 1971: ჯანდიერი გ., XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი) მრავალთავი, I, თბილისი 1971.

139. ჯანდიერი 1991: ჯანდიერი გ., ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის საგვარეულო განშტოებების შესახებ, მრავალთავი XVI, თბილისი 1991.

140. ჯანაშია 1952: ჯანაშია ს., ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები II, თბილისი 1952.

141. ჯაფარიძე 1996: ჯაფარიძე ა., ქართული ეკლესია XVII საუკუნეში, თბილისი, 1996.

142. ჯოჯუა 2008: ჯოჯუა თ., გელათელი მონაზონის – ლევან IV დადიანის ცოლყოფილის ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფებრონია ხევარიძის სავედრებელი (XVIII ს-ის I ნახ.) იერუსალიმში გადატანილი ერთი გარეჯული ხელნაწერის (Ven. 4-ის) აშიებიდან, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, №8, მიძღვნილი გელათის მონასტრის დაარსების 900 წლისთავისადმი, თბილისი 2008

143. ჯოჯუა 2011: ჯოჯუა თ., მასალები სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის (XIII-XIV სს.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2011.

144. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი HD-14694.

145. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი HD-14429

146. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი QD-9585

147. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი QD-503.

148. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი QD-8563.

149. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი QD-254.

150. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი QD-8569.

151. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Q-912.

152. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, QD-2153.

153. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-2506.

161. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-1815.

154. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, AD-1042.

155. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, AD-1291.

156. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, AD-1371.

157. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, AD-583.

158. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-2115.

159. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-2895.

160. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-14448.

161. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-10233.

162. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-6357.

163. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, QD-871-1.

164. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, QD-1604.

165. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, AD-647.

166. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-15090.

167. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-2268.

168. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-2115.

169. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-6055.

170. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, SD-2301.

171. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, SD-2313.

172. ჰასან რუმლუ 1966: ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძე, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი 1966.

173. Сливицкий 1837: Сливицкий И., Храмъ въ Манглисъ и Алгетския пешеры, „Кавказ“ № 37.

174. Сливицкий 1902: Сливицкий И., Древнїй храмъ въ Манглисъ, Тифлисъ, 1902 г.

175. Такаишвили 1893: Такаишвили Евфимий, Ешё один из источников истории Грузии царевича Вахушта, ЗВОРАО, Санкт-Петербург 1893.

176. Такаишвили 1904: Такаишвили Евфимий, Грузинские памятники окрестностей Белаго-Ключа. В сборнике: Известия кавказскаго Отделения Императорскаго Московскаго Археологическаго Обшества, выпускъ I, типография К.М. Козловскаго, Тифлисъ, 1904 г.

177. Такаишвили 1905: Такаишвили Евфимий, Грузинские памятники окрестностей Белаго-Ключаю В книге Такаишвили Евфимий, Археологическия экскурсии, разискания изаметки, выпускъ II , типография К. И. Козловскаго, Тифлисъ, 1905 г.

178. Такаишвили 1913: Такаишвили Евфимий, Археологическия Экскурсии, Разыскания и Заметки, IV Тифлисъ, 1913 г.

179. Уманец 1852: Уманец А., Древний храм в Манглисе, Кавказский календарь, 1852.

180. Brosset 1839: Brosset M., Explications de diverses inscriptions georgienes, armeniennes et greques, Memoires de l Academie de science VII serie, t. IV, №2, 1839.